

ISSN 1512-3936

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
გეგმის განვითარების პროექტირების და  
მშენებლობის ცენტრი



№3(42) 2016

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მშენებლობის ცენტრი



თბილისი 2016

## გ ვ ე ბ ი ძ ლ ი ძ ა

მთავარი რედაქტორი – მალხაზ წიქარიშვილი  
მთავარი რედაქტორის

მოადგილეები – გელა ყიფიანი  
როინ იმედაძე

დამფუძნებელი  
გიორგი ლალუნდარიძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგიის წევრები:

ბაციკაძე თამაზი, გურგენიძე დავითი, დანელია დემური, დრაშვილი  
ფერდინანდი (სლოვაკეთი), კვიციანი ტარიელი, კოდუა ნოდარი, კლიმიაშვილი  
ლევანი, კუბლაშვილი მურმანი, კუბესკოვა დარია (ჩეხეთი), მახვილაძე რევაზი,  
მექმარიაშვილი ელგუჯა, მიაჩენკოვი ვლადიმერი (რუსეთი), მშვენიერაძე  
ინგუშა, ნადირაძე ანზორი, რაიჩიკი იაროსლავი (პოლონეთი), რეკვავა პაატა,  
რიპი იანი (პოლანდია), ფრანგიშვილი არჩილი, ჩერნოგოლოვი იგორი  
(რუსეთი), ჩიხლაძე ვლადიმერი, ჩიქოვანი არჩილი, ციხელაშვილი ზაური,  
ცხვედაძე რევაზი, ჭოხონელიძე გუგა, ხაზარაძე ომარი, ხმელიძე თამაზი,  
ჯავახიშვილი მარინა.

პასუხისმგებელი მდივანი: თინათინ მაღრაძე

საკონტაქტო ტელ. 65-93; 599-478422

E-mail: [tinmag@mail.ru](mailto:tinmag@mail.ru)

ვებ-გვერდი: [www.sheneba.ge](http://www.sheneba.ge)

კომპიუტერული და გრაფიკული უზრუნველყოფა  
ლიკა ლალუნდარიძე

: . . .  
: . . . ;  
: . . . :  
.. , . ; .. ; .. ; .. : ( ;); .. ;  
; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; ..  
. . Кубескова Д. (Чешская республика); ; .. ; .. ; .. ; ..  
; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; ..  
( ); ( ); ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; ..  
.. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; .. ; ..  
; .. , .. ; ..

: . . .  
: 65-93; 599 478422

E-mail:[tinmag@mail.ru](mailto:tinmag@mail.ru)

: [www.sheneba.ge](http://www.sheneba.ge)

## BUILDING

EDITOR-IN-CHIEF: M. Tsikarishvili

DEPUTY EDITORS

IN-CHIEF: G. Kipiani;  
R. Imedadze

CONSTITUTIVE:  
G. Lagundaridze

MEMBERS OF SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:

T. Batsikadze; Chernogolov (Russia); V. Chikladze; A. Chikovani; G. Chokhonelidze;  
D. Gurgenidze; D. Danelia; F. Drashkovich; M. Javakhishvili; T. Kvitsiani; O.  
Khazaradze, T. Khmelidze; N. Kodua; L. Klimiashvili; M. Kublashvili; D. Kubeskova  
(Czech Republic); R. Makhviladze; E. Medzmariaashvili; V. Miachenkov (Russia); I.  
Mshvenieradze; A. Nadiradze; A. Prangishvili; Y. Raichik (Poland); J. Rip (Nederland);  
P. Rekvava; Z. Tsikhelashvili; R. Tskhvedadze.

Responsible secretary T. Magradze

Tel: 65-93; 599 478422

E-mail:[tinmag@mail.ru](mailto:tinmag@mail.ru)

Web-site:[www.sheneba.ge](http://www.sheneba.ge)

Computer and Program providing:

L. Lagundaridze

## შინაარსი

ჯ. გიგინეიშვილი, ნ. ინწურველი, გ. გელეგანიშვილი, ნ. ქავთარაძე, ჯ. ფირცხალავა. ისტორიული და მოცუმენტალური ხუროთმოლპლატფორმების, მაგრავი აგარიული და დაზიანებული შენობა-ნაბეჭდების საპროექტო-საპონსტრუქტორო გადაწყვეტების სამიანობასთან დაპავშირებული რისკების პრევენციისა და მინიმიზაციის თანამედროვე ბზები.....	6
დ. გურგენიძე, ა.ჩიქოვანი. ბეჭონი მოღიზიცირებულ თაბაშირშემპრელებზე.....	18
ა. ფრანგიშვილი, ზ. ციხელაშვილი, ნ. ჩხეიძე, ი. ქადარია, პ. გორგაძე. სანაპირო არეალი მოფიცივე ფალიაშემარბილებელი ნაბეჭდების მოწყობისას მოსალოდნებული შედეგები.....	22
ლ. კლიმიაშვილი, ნ. ნებიძეიძე. ქალაქებისა და დასახლებული ადგილების ჩამონარე-საყოზაცხოვრებელი ტყლების მემარიზური და პიოლოგიური გამოხდის შესაძლო პრიცეპიული სემის შესახებ .....	27
ტ. კვიციანი. ზერდოს ბრუნტის ზღვრული დაძაბულ-დეფორმირებული მდგრმარეობის ცვლილება სამორ სამუშაოების შესრულების პროცესში .....	32
რ. იმედაძე, ლ. ბერიძე, თ. მალრაძე. ნაბეჭდის დასაწვავი სადგურები გარემოს მინიმალური დაჭურვიანებით .....	39
დ. გურგენიძე, ლ. კახიანი, გ. სულაძე. რძინაბეჭონის მაღლივი კარპასული შენობები და მათი სეისმომედებრებაზე გაანგარიშების არსებული პრობლემები .....	42
ი. ქვერაიძე, ა. შიროსმანიშვილი. თანამედროვე ხარაჩოების გამოყენების მრავალმხრივი შესაძლებლობები .....	45
შ. გამანიძე, ლ. ზაგახიძე, გ. შალიტაშვილი. შენობათა ფასაზის კეთლები გარ-ზანჯრის გაღორების ჩამაბრების საკითხისათვის .....	49
ა. ნადირაძე, ა. კანკავა. ახალი თაობის ბეჭონები მშრალ წვრილმარცვლოვან-ზეგნილოვან შემსებებაზე .....	52
ა. ახვლედიანი, ა. გოგოლაძე, გ. ახვლედიანი. ძარის ძრავების სახეობები 0.56 ლ. ავალიშვილი, ზ. კავლელაშვილი, გ. თავაძე, ხ. გორჯოლაძე. რძინაბეჭონის ჩარჩოვანი კარპასის გაანგარიშება სეისმომედებრებაზე ცხრილების დახმარებით .....	60
ა. ხატელაშვილი. ქსელურ-ცენტრული ომი (NWC) .....	65
თ. ბაციკაძე, ნ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე. შედგენილი ცილინდრული გარსის არასტაციონარული დეფორმაციის საკითხისათვის .....	69
ი. მასპინძელიშვილი, ი. ქადარია. სიგრცეში მოცემული ამონიატი მრავალპულოვნების მიმართ წერტილის მდებარეობის დადგენა, თუ წერტილი და მრავალპულოვნები ერთ სიბრტყეზე მდებარეობს .....	73
დ. ჯანყარაშვილი, დ. ტაბატაძე, კ. იაშვილი, ლ. ქრისტესიაშვილი. გამჭიმავი ცენტრიდანული ძალების გავლენა დისკის კუთხეულ სიჩრაოება და დატვირთვის ინტენსივობაზე .....	78
დ. ბაქრაძე, თ. ამყოლაძე. ბეჭონის შემპვრივების ცენტრიზების მეთოდი.....	85
ლ. კლიმიაშვილი, დ. გურგენიძე, ა. ჩიქოვანი. ბეჭონის ტექნიკური ნორმები, ეზორულობა შესაბამისობაში .....	89
თ. პაპუაშვილი, გ. ჯლამაძე, გ. სულამანიძე. რეზინობიტუმებისა და კოლიმერბიტუმების რეოლოგიური თვისებები .....	95
რ. გორგობიანი, გ. სოხაძე. ოსმელკედლიანი ცილინდრის გაანგარიშება როული დეფორმაციის პირობებში .....	102

გ. ჯავახიშვილი, ქ. სამხარაძე. სასურველი აკუსტიკისა და ბგერის მაღალი 0ზოლაციის ხარისხის მიზანის შესაძლებლობები .....	105
ი. გეგარაია რაინაპეტონის წრიულ ზედაპირუ მაღალი ღიობების მოყვანის ტექნიკური გადაწყვეტა .....	111
გ. კვიციანი მთის ქანების ფერდობის მდგრადობაზე გაანგარიშება უღრული დაკაგული მდგრმარეობის მეთოდით .....	114
· · · , · · · , · · · , · · · , · · · .....	121
გ. გამანიძე, ლ. ზამბაზიძე, გ. გულიჭავრი. კლდოვანი და ნახევრდაკლდოვანი მთის ქანების შრეებისაგან შეღენილი ფერდობის მდგრადობა .....	124
· · · , · · · , · · · , · · · .....	129
ა. ხატელაშვილი. სამხედრო თანამგზავრული სისტემის პროექტი .....	132
გ. ნოზაძე. ორ საყრდენზე თავისუფლად მდებარე შედგენილი კვეთის კოშის ექსპრიმენტული კვლევა .....	136
თ. მახარაშვილი, გ. ხოვერია. საბჭოთა პერიოდის მსხვილი საცხოვრებელი მასივების რეკონსრუტივულის უცხოური გამოცდილება .....	140
მ. ბეგიაშვილი, ნ. მუმლაძე, თ. შუბითიძე. ორთოცენტრული სამკუთხედის პერიმეტრი .....	145
თ. მახარაშვილი გ. ხელაძე. თბილისის საკარპო რეპრეაციული ლანდშაფტების ფორმირება XIX-XX საუკუნეებში (საბჭოთა და კოსტავაბჭოთა პერიოდი) .....	148
ლ. კლიმიაშვილი, ნ. ნებიურიძე. ჩამდინარე ფელების ბუნებრივი ჰარატენიანი ეკოსისტემებით გამოვლის საზღვარგარეთული ბამოცდილების შესახებ .....	154
მილოცვა .....	160
SUMMARIES.....	163

! , : ??

! ...

ისტორიული და მონუმენტალური ხუროთმოძღვრული ძეგლების, მწვავე  
აგარიული და დაზიანებული შენობა-ნაგებობების საპროექტო-  
საპრესტრუქტორო გადაწყვეტების სამიანობასთან დაკავშირებული  
რისპების პრეცენციისა და მინიმიზაციის თანამედროვე ბზები

კ. გიგინეიშვილი, ნ. ინწკირველი, გ. გედევანიშვილი,  
ნ. ქავთარაძე, კ. ფირცხალავა

**რეზიუმე:** საქართველში მრავლადაა სხვადასხვა დანიშნულების მონუმენტალური  
ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომელთა დიდი ნაწილი მოითხოვს გადაუდებელი  
გამაგრება-გაძლიერების, აღდგენის, სარეაბილიტაციო და სარესტავრაციო  
სამუშაოების ჩატარებას. ბოლო წლებში, ასევე მომრავლდა ავარიული და  
დაზიანებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-  
ნაგებობები. ავარიების გამომწვევა მიზეზებად კი როგორც წესი სახელდება:  
საძირკვლის ქვეშა გრუნტებში ტექნიკური პროცესებით გამოწვეული  
ცვლილებები, მათი ტექნიკური მომსახურების გაუმართაობა, არასწორი  
საყოფაცხოვრებო საექსპლუატაციო პირობები და სხვა. ასეთ შემთხვევაში  
ავარიული შენობა-ნაგებობა განიხილება, როგორც როგორც ტექნიკური სისტემა,  
რომელმაც განიცადა დეფორმაციები და ნგრევები, მზიდ ელექტრიციული  
წარმოშობილია ბზარები, ხშირად ამორტიზებული და ფაქტობრივად  
დეგრადირებულია მზიდი კონსტრუქციების შემადგენელი მასალები და სხვა  
ფაქტორები.

ნაშრომში წარმოჩნდია, როგორც ისტორიული ძაგლების, ასევე სხვა  
შენობა-ნაგებობების ტექნიკური კვლევის, მათი დაძაბულ-დეფორმირებული  
მდგომარეობის სრულფასოვანი და ყოველმხერივი ანალიზის საფუძველზე  
აღდგენა-რეაბილიტაციის გზები და ხერხები თანამედროვე მასალების  
გამოყენებით.

**საკვანძო სიტყვები:** ავარიული და დაზიანებული შენობა-ნაგებობები, ისტორიულ-  
კულტურული ხუროთმოძღვრების ძეგლები, კომპიუტერული მოდელირება და  
გაანგარიშება, კონსტრუქციათა დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა,  
რისკების პრევენცია, მინიმიზაცია, თანამედროვე მასალები, აღდგენა, გამაგრება-  
გაძლიერება, რეაბილიტაცია, რესტავრაცია.

## 1. შესაბამის

დღევანდელი გადმოსახედიდან არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობასთან  
დაკავშირებული სამეცნიერო და საპროექტო საქმიანობა წარმოადგენს რთულ  
პროცესს, რომელიც მოითხოვს ღრმა ცოდნას და პირდაპირ კავშირშია მთელ რიგ  
თეორიულ და ფუნდამენტურ მეცნიერების საფუძვლებთან. რაც შეეხება უშუალოდ  
დაზიანებულ შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციების გამაგრება-გაძლიერებისა და მათი  
აღდგენა-რეაბილიტაციისათვის საჭირო პროექტირების პროცესს, თანამედროვე

მოთხოვნების შესაბამისად, იგი შესაძლოა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტების სასიცოცხლო ციკლის ეტაპებს: პროექტირება, მშენებლობა, ექსპლუატაცია და დეგრადაცია.

(აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ საუკუნეების მანძილზე ქართველი მშენებელების მიერ შექმნილი მრავალი არქიტექტურული ძეგლი დღემდე იმსახურებს სხვადასხვა ქვეყნების საეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას, მაგრამ სამწუხაოდ მათი დიდი ნაწილი დღეისათვის მწვავე ავარიულ სტადიაშია და საჭიროებს გადაუდებელი აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარებას).

აღდგენა-რეაბილიტაციისა და გამაგრება-გაძლიერების შემთხვევა, განიხილება, როგორც არქიტექტურული ძეგლის ან არსებული შენობა-ნაგებობის ძირითადი ჩონჩხედისა და მისი იერსახის შენარჩუნების პროცესი, რომელიც ამავე დროს გულისხმობს შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და მედეგობის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას, სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებულ ზემოქმედებაზე - თანამედროვე მასალებისა და სამშენებლო ტექნიკის გამოყენებით. (ლათ. - restauratio - აღდგენა-რესტავრირება) აღიქმება, როგორც არქიტექტურული ნაწარმოების აღდგენა-რესტავრაცია იმ პირვანდელი მდგომარეობის შესაბამისად, როგორც საწყის ეტაპზე იყო განხორციელებული და გარკვეული პერიოდის შემდეგ (სხვადასხვა მიზეზთა გამო) დაკარგა პირვანდელი სახე.

შენობა-ნაგებობების რესტავრაცია რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა დარგის საეციალისტების: გეოლოგების, არქეოლოგების, არქიტექტორ-რესტავრატორების, კონსტრუქტორების, ისტორიკოს-ხელოვნებათმცოდნების, ტექნოლოგების, ინჟინერ-მშენებლებისა და სხვათა ძალისხმევას სახელმწიფო სტრუქტურების თანადგომით.

სტატიის ავტორების მიერ შერჩეულ იქნა რამდენიმე გამაგრება-გაძლიერების საპროექტო გადაწყვეტა, რომლებშიც აისახა მთელი ის პროცესი რაც თან ახლავს აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებას, რომლებიც აღწერილი და განხილულია ქვემოთ მოცემულ მასალებში.

## 2. ძირითადი ნაშილი

ქ. თბილისში, პეტრი ავაგაშვილის ქ. №2-ში მდებარეობს ე.წ. „აკადემიკოსების სახლი“, რომელიც დაპროექტებულია ჯერ კიდევ 1940-იანი წლების ბოლოს, მშენებლობა კი მიმდინარეობდა 1950-ანი წლების დასაწყისში და იგი წარმოადგენს აღგილობრივი მნიშვნელობის არქიტექტურულ ძეგლს.

საცხოვრებელი სახლი 8 სართულიანია, სარდაფით, ერთ სადარბაზოიანი. შენობა სწორხაზოვანი მოხაზულობისაა, მაქსიმალური ზომებით გეგმაში 17.60X15.20მ., შენობის სიმაღლე  $H=35.50\text{m}$ , სართულების სიმაღლე:  $H_{\text{სართ}}=6.55+(4.00X7)\text{m}$ ;  $H_{\text{სარდაფ}}=2.80\text{m}$ .

შენობა ჩარჩო-კავშირებიანი სისტემისაა, განხორციელებული, ნაწილობრივ მონოლითური და ნაწილობრივ ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით. ნაგებობა ავარიულია მას შემდეგ, რაც მოხდა ფუძე გრუნტის ინტენსიური გაწყლიანება, რამაც გამოიწვია ფუძე-საძირკვლებისა და შენობის არათანაბარი ჯდენის პროცესები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შენობის საძირკვლები ნაწილობრივ წერტილოვანია, ნაწილობრივ კი ლენტური და ისინი მხოლოდ საძირკვლის კოჭითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მსგავსი საძირკვლები, როგორც წესი, განსაკუთრებით მგრძნობიარებული ფუძის მზიდუნარიანობის შემცირების მიმართ - ფილის ან ურთიერთ გადამკვეთ კოჭებთან შედარებით, სადაც ფუძის ერთი ნაწილის მზიდუნარიანობის შემცირება იწვევს ძაბვების გადანაწილებას საძირკვლის მთელ ფართობზე და მის არათანაბარ ჯდენასა და მობრუნებას, რასაც როგორც წესი

მოყვება სიმტკიცის ზღვარზე მყოფი სვეტებისა და სხვა მზიდი კონსტრუქციების გადაძაბვა და მსხვრევა.

**შენობის დეფორმაციის გამომწვევი მიზეზები და შედეგები:**

- ზედაპირული ან ტექნიკური წყლების ზემოქმედება იწვევს სამშენებლო უბნის ცალკეულ ადგილებში ფუძე-გრუნტების დასველებას, რის შედეგადაც ხდება გრუნტის ფიზიკო-მექანიკური თვისებების გაუარესება და მათი მზიდუნარიანობის შესუსტება.

თანახმად, წინა პერიოდში ჩატარებული კვლევებისა, შენობაზე საწყისი დეფორმაციები (1972 წელი) და მათი მცირე ინტენსივობით პროგრესირება აღნიშნულია სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი “საქქალაქმშენსახაროექტი”-ის (ქ.თბილისი. 1972წ.) და სამეცნიერო-საპროექტო სამშენებლო ფირმა “დარბაზნი”-ის (ქ.თბილისი. 1992წ.) მიერ შესრულებულ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მასალებსა და დასკვნებში. შენობის მიერ მიღებული დეფორმაციები ნათლად ჩანს მისი ფასადის 2014 წლის არსებული მდგომარეობის ფოტოსურათებზე, იხილე სურ. 1.



სურ. 1. შენობის ტექნიკური მდგომარეობის ამსახველი ფრაგმენტის სურათები 2014 წლის მდგომარეობის მიხედვით.

2013 წლის აგვისტოს თვეში სს “საქქალაქმშენსაროექტი”-ის მიერ განხორციელებულ იქნა დამატებითი კვლევები, რომლის მიხედვითაც დაზუსტდა აღნიშნული შენობის საძირკვლის კონსტრუქციების გაბარიტული ზომების გავრცელების არეალი, ჩაღრმავება და მის ქვეშ განლაგებული გრუნტების მონაცემები.

**სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობის კსპლუატაციისათვის საჭირო ორნისძიებები:**

- შენობის გამაგრება-გაძლიერების კონსტრუქციები დონისძიებების დასახვა;
- შენობის დასავლეთიდან შემომავალი და მის ირგვლივ არსებული მიწის ქვეშა კომუნიკაციების დადგენა და დაზიანებების შეგვება, რაც გამორიცხავს შენობის ფუძის გრუნტების დამატებით გაწყლიანებას და გამორეცხვას.
- გამოირიცხოს აგმოსფერული წყლების ჩაუზია საძირკვლებში - შენობის კონტურის ფარგლებში.
- განხორციელდეს (შენობის კონტურის ფარგლებში) შენობის გადასმა-დაფუძნება ფუძეულმშვად ქანებზე (სეისმური თვისებებით I კატეგორიის ქანები) გობისებური ფილისა და ნაბურღ-ინექციორებული ხიმინჯების გამოყენებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს საქართველოში მოქმედი სეისმური სამშენებლო ნორმების მიხედვით ქ. თბილისი 8 ბალიან სეისმურ ზონას მიეკუთვნება, ხოლო, შენობა კი აშენებულია იმ დროს, როცა ქ. თბილისი 7 ბალიან სეისმურ ზონას ეკუთვნოდა. ფაქტობრივად შენობა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმების დღევანდელ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

ნაბურღ-ინექციორებული ხიმინჯები გამოირჩევა მცირე დიამეტრით ( $d=120-150\text{მმ}$ ) და დიდი მოქნილობით ( $L/d=80-120$ ).

ფუძეუკუმშვად ქანებში შენობის დაფუძნების შემოთავაზებული მეთოდი შენობათა სეისმომედეგობას აუმჯობესებს, ვინაიდან ფუძეუკუმშვადი ქანები სეისმური თვისებების მიხედვით I კატეგორიას მიეკუთვნება და ამ მეთოდით გაძლიერებული შენობისათვის მოსალოდნელი საანგარიშო სეისმური დატვირთვა უკვე კატასტროფულ საფრთხეს არ წარმოადგენს (ქვეყანაში მოქმედი სეისმური ნორმების მიხედვით სამშენებლო ტერიტორიის ბალიანობა ასეთი ფუძის შემთხვევაში მცირდება ერთი ბალით), მაშინ, როცა სხვა, გაუძლიერებელმა ან არასაკმარისად გაძლიერებულმა შენობებმა შესაძლებელია მნიშვნელოვანი დაზიანებები მიიღოს.

ფუძეუკუმშვად ქანებზე შენობის ჩანგარება მცირე დიამეტრის  $\varnothing 120-150\text{მმ}$ , ნაბურღ-ინექციორებული ხიმინჯებისა და გობისებური ფილის გამოყენებით, მიწისძვრის დროს შეიძლება განვიხილოთ, როგორც აქტიური სეისმოდამცავი სისტემა, ვინაიდან, მსგავსი კონსტრუქციული გადაწყვეტა შენობაზე სეისმური ზემოქმედების შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ენერგიის ეფექტურ გამბნევ სისტემად.

ნაბურღ-ინექციორებული ხიმინჯების გაანგარიშება სიმტკიცეზე უნდა აკმაყოფილებდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებს /1,2,3,13,16/, ხოლო ჩადუნების გავლენა ხიმინჯის გასწვრივ მოქმედი ძალების განსაზღვრისათვის კი გამოისახება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\eta = \frac{1}{1 - \frac{N}{N_{kp}}}$$


სადაც:  $N$  - ხიმინჯის გასწვრივ მოქმედი ძალის მნიშვნელობაა;

$N_{kp}$  - ხიმინჯის გასწვრივ მოქმედი კრიტიკული ძალის მნიშვნელობა, რომელიც მიიღება გაანგარიშებათა საფუძველზე და შესაბამისობაში უნდა იყოს სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან.


შენობის სივრცული კომპიუტერული მოდელირება და გაანგარიშებანი ჩატარებულ იქნა კომპიუტერული პროგრამული კომპლექსის “ЛИРА САПР -2014”-ის გამოყენებით. იხილე ფოტო სურათები.



სურ. 2. შენობის საანგარიშო კომპიუტერული მოდელი ნაბურღ-ინექციორებული ხიმინჯებით.



სურ. 3. კომპიუტერული მოდელის ფრაგმენტი.



სურ. 4. შენობის გაანგარიშებათა საფუძველზე მიღებული დეფორმაციები და მათი მნიშვნელობანი

აქედან გამომდინარე ფუძე უკუმშვად გრუნტზე დაფუძნებული კარკასულ-კავშირებიანი, შედარებით მოქნილი შენობა, მაქსიმალურად შორდება საშიშ ზონას და მინიმუმად მცირდება რეზონანსული მოვლენის ალბათობა, რაც საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შენობის სეისმომედეგობას.

**მაგალითი 2.** ქ. თბილისში, 2016წლის ივნისში, გლდანის VI მ/რაიონის №2 საცხოვრებელი სახლის მე-5-ე სართულზე ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად მოხდა შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ნგრევა, რის შედეგადაც დაიღუპა 7 მაცხოვრებელი. აფეთქების ტალღამ გამოიწვია შენობის მე-5-ე და მე-6-ე სართულების გადახურვის ფილების სრული ჩამოგრევა, მე-4-ე სართულის გადახურვა კი დაინგრა ზედა სართულების ნანგრევების მასის ზემოქმედებით. იხილე ფოტო სურათები: ფოტო 5-9. საცხოვრებელი შენობა დაპროექტებული იყო გასული საუკუნის 70-იან წლების ბოლოს, იმ პერიოდში მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად. შენობა 9 სართულიანია, 4 სადარბაზოთი და სარდაფის სართულით. სარდაფის სართულის სიმაღლე 2.9მ, ტიპიური სართულის სიმაღლე 2.9მ, სხვენი 0.9მ. შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, მაქსიმალური ზომებით დერძებში 56.8X11.62მ. მაქსიმალური მაღლი 5.8მ.

ამავე შენობის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება გათვალისწინებულ იქნა 3 ეტაპად, მათ შორის:

**I ეტაპი** – შენობის დაზიანებული უბნების კვლევითი სამუშაოები და გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების წინმსწრებ-დამზღვევი დონისძიებების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება.

**II ეტაპი** – შენობის დაზიანებული უბნების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება.

**III ეტაპი** – დაზიანებული საცხოვრებელი ბინების აღდგენითი და სარემონტო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება.

საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული უბნების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების წინმსწრებად შესრულებულ იქნა შენობის კომპიუტერული მოდელი და განხორციელდა ვარიანტების გაანგარიშება. გაანგარიშებანი შესრულებულ იქნა 2 ძირითად ვარიანტად:

– ვარიანტი I-ში გათვალისწინებულია ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად დაზიანებული შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობა.

– ვარიანტი II-ში გათვალისწინებულია აფეთქების შედეგად დაზიანებული შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გამაგრება-გაძლიერებული დაგომარეობა.


გარდა ზემოთ აღნიშნული სართულებისა, შენობის ქვედა და ზედა მზიდ კონსტრუქციებში (კედლები, გადახურვის ფილები და სხვა) არ წარმოქმნილა დეფორმაციები და ბზარები, რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ ნაწილში შენობის მზიდი ელემენტები მუშაობენ წრფივ სტადიაში როგორც ერთიანი მზიდი კონსტრუქციული სისტემა. აქედან გამომდინარე, შედგენილი იქნა შენობის სიკრცეული, კომპიუტერული საანგარიშო მოდელი, სადაც სრულად იქნა გათვალისწინებული და ასახული შენობის როგორც თავდაპირველი სამუშაო სიტუაცია ასევე ავარიულ ნაწილში განვითარებული დეფორმაციები, ნგრევების დინამიკა და დაზიანებები.

მთავარი ფასადისა სართულშეა გადახურვის მზიდი კონსტრუქციების მდგომარეობა აფეთქების შემდეგ, მოცემულია ფოტოზე.




**სურ. 5.** ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად დაზიანებული №2 საცხოვრებელი კორპუსის IV სადარბაზოს მე-4, 5, 6, სართულების მდგომარეობა


სამუშაო პროცესში ვერ მოვიძიეთ კვანძების დეტალური კონსტრუქციული გადაწყვეტების ნახაზები, თუმცა, შენობა მიეკუთვნება მსხვილპანელიანი შენობების ქ. თბილისში გავრცელებულ სახეობას, სადაც პანელები ერთმანეთან დაკავშირებულია ჩასატანებელი დეტალების ურთიერთ შედუდებით. გარე პანელები სისქით 300მმ-ია და პერიოდულ ბეტონზეა დამზადებული. შიდა პანელები კი სისქით 140მმ მდიმე ბეტონისაგან არის დამზადებული. შენობის ყველა ელემენტის ჩამოსხმა და ავტოკლავური დამუშავება ხდებოდა ქარხანაში. მზა ნაწარმი, სამშენებლო ობიექტს ავტოტრანსპორტით მიეწოდებოდა და ხდებოდა მათი ადგილზე მონტაჟი, ამდენად, კონსტრუქციები გაანგარიშებული იყო ყველა ამ პროცესის გათვალისწინებით. საკედლე პანელები არმირებულია AIII კლასის არმატურის ბადეებით.



**ფოტო 6.** შენობის ავარიული ბლოკის სივრცული კომპიუტერული მოდელი არსებული მდგრადარევობის მიხედვით (აფეთქების შემდეგ)



**ფოტო 7.** შენობის ავარიული ბლოკის სივრცული კომპიუტერული მოდელის ფასადის ფრაგმენტი



**ფოტო 8.** IV, V და VI სართულების გადახურვის ფილის მოდელი, ლიფტისა და კიბის უჯრედითა და ღიობებით, რომელიც შეიქმნა აფეთქების შედეგად.

გადახურვის ფილებში სავარაუდიდ გამოყენებულია 200-250 მარკის ბეტონი, ფილები არმირებულია მხოლოდ ქვედა ზონაში AIII კლასის d12 არმატურის დეროებით - ბიჯით 200მმ, ფილა კონტურზე თავისუფლადაა დაყრდნობილი, გადახურვის პანელები ერთმანეთთან დაკავშირებულია ჩასატანებელი დეტალების ურთიერთ შედეგებით, (შეერთების კვანძების დეტალური ნახაზები ვერ იქნა მოძიებული), ფილის სისქე 120მმ.

შენობა ეკრდნობა რკინა-ბეტონის მონოლითურ საძირკვლის ფილას h=400მმ, ფუძე-გრუნტად გამოყენებულია ღია ყავისფერი თიხოვანი გრუნტი, ძნელპლასტიური კონსისტენციის, კარბონატული და თაბაშირიანი, სრულად წყალგაჯერებული, თიხოვანი გრუნტის სიმძლავრე 5-6 მეტრია და შემოფენილია მაიკოპის წყების ძირითადი ქანით-ფიქალებრივი თიხებით. გეოლოგიური დასკვნის მიხედვით

საძირკველზე დეფორმაციის კვალი და სხვა დეფექტები არ შეიმჩნევა და დამაკმაყოფილებელ პირობებშია.

საქართველოს ტერტორიის სეისმიური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მიხედვით სამშენებლო მოედანი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმიური საშიშროების ზონაში. SK64 სკალის მიხედვით ( $A=0.17$ ). ვინაიდან შენობა აგებულია გასული საუკუნის მეორე ნახევარში მაშინ მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, ანგარიში შესრულდა 7 ბალიან სეისმიური საშიშროების გათვალისწინებით.

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს  $85 \text{ კგ/მ}^2$ , (15 წლიანი განმეორადობის პერიოდით), თოვლის ნორმატიული დატვირთვა  $50 \text{ კგ/მ}^2$ , (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

შენობის და მისი კონსტრუქციული ელემენტების როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება კომპიუტერულ მოდელში შესრულდა სტატიკურ და დინამიკურ (სეისმურ) ზემოქმედებაზე სერთიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის ” 2014"-ის გამოყენებით (შესყიდვის სალინცეზიო ნომერი 716016381) და შემდეგი დატვირთვების გათვალისწინებით:

**სტატიკური დატვირთვები:** საანგარიშო მოდელში წარმოდგენილია 3 დატვირთვის სახით.

1) **მუდმივი** - კონსტრუქციული ელემენტების საკუთარი წონები + იატაკის სენდვიჩის წონა.

2) **დროებითი სანგრძლივი** - შიდა ტიხების წონები.

3) **დროებითი ხანმოკლე:**

a) დროებითი სასარგებლო დატვირთვები 2.01.07-85 "

" ცხრილი 3 მიხედვით.

b) თოვლის დატვირთვა.

სეისმიური ზემოქმედება საანგარიშო მოდელში წარმოდგენილია 3 ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დატვირთვების სახით:

1) სეისმიური ზემოქმედება "X" დერძის გასწვრივ.

2) სეისმიური ზემოქმედება "Y" დერძის გასწვრივ.

3) სეისმიური ზემოქმედება ( $45^\circ$ ) "X Y" დერძის გასწვრივ.

კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში, შენობის მზიდ კონსტრუქციებში ძალგათა თანწყობისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი კომბინაციები;

a) ძირითადი თანწყობა:

1. მუდმივი + დრ ხანგრძლივი.

2. მუდმივი + დრ ხანმოკლე.

3. მუდმივი + 0.95 დრ ხანგრძლივი +0.9 დრ ხანმოკლე.

b) განსაკუთრებული თანწყობა.


0.9 მუდმივი + 0.8 დრ ხანგრძლივი + 0.5 დრ ხანმოკლე + ერთ-ერთი სეისმიური ზემოქმედება.

კომპიუტერული მოდელის შედეგისა და ანგარიშების წარმოებისას გამოყენებულ იქნა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმები /1,2,3, 15-19/ და ასევე სხვა დამხმარე სამეცნიერო ტექნიკური დანიშნულების ლიტერატურა /4-14/.


სამშენებლო და საპროექტო საქმიანობაში არსებულ სამუშაოთა მოცულობებისა და მათი რაოდენობრივი სტატისტიკის მიხედვით ოუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხუროთმოძღვრული მეგლებისა და შენობა-ნაგებობათა გამაგრება-გამლიერების სამუშაოების რიცხვის რაოდენობა განუხელდად მატულობს, როგორც ინდუსტრიალურად

განვითარებულ სახელმწიფოებში ასევე საქართველოშიც. აქედან გამომდინარე, სარემონტო, ადგენითი და გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების ზრდამ და ამავე დროს იმან, რომ ასეთი სამუშაოები ერთის მხერივ მოითხოვს არქიტექტორ-რესტავრატორებისა და კონსტრუქტორების განსაკუთრებულ ცოდნას, ხოლო მეორეს მხერივ კი სამუშაოთა წარმოება როგორც წესი დაკავშირებულია დიდ ხარჯებთან, დღის წესრიგში დადგა ახალი თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მათი შესაბამისი თანამედროვე სამშენებლო მასალების გამოყენების საკითხები, რომელთა განვითარებისა და ფართომასშტაბური გამოყენების (დანერგვის) ერთ-ერთ ასეთ თანამედროვე მიმართულებას წარმოადგენს პოლიმერული კომპოზიტიური მასალები.

ჩვენ მიერ შედარების მიზნით მოყვანილია მაგალითი, რომელშიც ილუსტრირებულია ქ. თბილისში არსებული და დაზიანებული გადახურვის კონსტრუქციების აღდგენა-რეაბილიტაციისა და გამაგრება გაძლიერების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიები და მასალები. ქვემოთ წარმოდგენილია გადახურვის კონსტრუქციების გამაგრება-გაძლიერების ტრადიციული ხერხი, რომლის მიხედვითაც გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების ჩატარება განხრახულია ტრადიციული მეთოდებით, სადაც რკინაბეტონის კონსტრუქციების გამაგრება-გაძლიერება ხორციელდება მათზე დამატებითი ლითონის ელემენტების მიერთებებით, მზიდ კონსტრუქციათა სამუშაო კვეთის გაზრდით და ასევე გეომეტრიული და საანგარიშო სქემის შეცვლის გზით. აქვე მოყვანილია იგივე გადახურვის კონსტრუქციების ახალი და თანამედროვე მეთოდებით მათი გამაგრება-გაძლიერების საპროექტო-საკონსტრუქტორო გადაწყვეტები:



სურ. 9. ტრადიციული მეთოდებით



სურ. 10. კომპოზიტიური პოლიმერული მასალებით

ტრადიციული მეთოდებით და თანამედროვე კომპოზიციური პოლიმერული მასალებით გამაგრება-გაძლიერების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ირკვევა შემდეგი:

- ტრადიციულ მეთოდებს, მიუხედავადი იმისა, რომ მათ ახასიათებთ მნიშვნელოვანი დადებითი თვისებები, ასევე, გააჩნიათ მთელი რიგი უარყოფითი მსარეები, რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ: კონსტრუქციის მაღალი კუთრი წონა (ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში 18 ტონა ლითონის პროფილის ელემენტები და ლითონის ფურცელი), მნიშვნელოვნად შრომატევადი სამუშაოები, მათი მონტაჟისა და მოწყობისათვის საჭირო საეციალური დანადგარები (შედუღება, ხეხვა, შედებვა და სხვა), პრაქტიკულად ხშირად შეძლებელია ან ძალიან რთულდება არასწორი ზედაპირების შეერთება მათი გამაგრება-გაძლიერების მიზნით, სამუშაოთა წარმოების დიდი დრო და სხვ.
- კონსტრუქციების კომპოზიციური პოლიმერული მასალებით გამაგრება-გაძლიერების შემთხვევაში მის განსაკუთრებულ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მას გააჩნია გაცილებით მაღალი სიმტკიცე გაჭიმვაზე, აქვს მცირე წონა, არ ეშინია აგრესიული გრემოსა და კოროზიის, შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერი გეომეტრიული ფორმის კონსტრუქციული ელემენტის გამაგრება-გაძლიერება და აშ.

ქვემოთ, სურათებზე 11, 12 და 13 მოცემულია ქ. თბილისში არსებული №1-ლი ღვინის ქარხნის ლითონის კონსტრუქციების არსებული მდგომარეობა. შენობა აშენებულია 1894წელს, რესი არქიტექტორის ალექსანდრე ოზეროვის მიერ. 2015წ ოფიციალურად შედგენილი დასკვნების მიხედვით, კონსტრუქციების მდგომარეობა საფრთხის შემცველია და მცირე სეისმური ზემოქმედების შემთხვევაშიც კი მოსალოდნელია სავალალო შედეგები. წინასწარი გათვლებისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე კი ტრადიციული მეთოდების გამოყენების ნაცვლად გაცილებით ეფექტური ხდება ნაგებობის გამაგრება-გაძლიერება თანამედროვე კომპოზიციური პოლიმერული მასალებით.



**სურათები:** 11, 12 და 13. ქ. თბილისში არსებული №1-ლი ღვინის ქარხნის სარდაფის გადახურვის კონსტრუქციები. სურათებზე ნათლად ჩანს კოროზირებული ლითონის ელემენტების მდგომარეობა (ძლიერ კოროზირებულია ლითონის ორგესებრი ელემენტები).

### 3. დასპანა

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი თბილისში არის



**სურათები:** 14, 15 და 16. ქ. სოფიაში არსებული მონუმენტალური სუროთმოძღვრების ძეგლები, რომელთა გამაგრება-გაძლიერება განხორციელდა თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით უკვე მრავალი წლის წინ და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს.

მრავალი ავარიული, მწვავე ავარიული და დაზიანებული შენობა-ნაგებობანი, რომელთა გამაგრება-გაძლიერება აუცილებელია, მათ შორის კი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია: ისტორიული მონუმენტალური და ხუროთმოძღვრული ძეგლები, საავადმყოფოები, სკოლები, საცხოვრებელი სახლები, თეატრები და სხვა. რომელთა ადდგენარეაბილიცია და გამაგრება-გაძლიერებისათვის მიზანშეწონილია, დანერგილ იქნას თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიები.

ფუძეუქუმშვად ქანებზე ავარიული შენობის დაფუძნება კი სხვადასხვა ტიპის სიმიჯებით, ფაქტობრივად გამორიცხავს მათ არათანაბარ ჯდენას, აუმჯობესებს შენობის დაფუძნების პირობებსა და სეისმომედეგობას, მნიშვნელოვნად ზრდის შენობის მდგრადობას, ასევე სხვა ზემოქმედებების მიმართ.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ინტენსიურად ინერგება ავარიულ შენობა-ნაგებობათა გამაგრება-გაძლიერების თანამედროვე ხერხები კომპოზიციური მასალებისა და სპეციალური წებოების გამოყენებით, რომელთა ათვისება და დანერგვა რამდენადმე შეფერხდა საქართველოში. დღეისათვის, შპს „პროგრესი“-ის ძალისხმევით უკვე დამუშავებულია რამდენიმე პროექტი, სადაც გამოყენებულია კომპოზიციური მასალები, რომლებიც შეთანხმებულია დამკვეთოთან და მისი განხორციელება მხოლოდ დროის ფაქტორია.

ჩვენ მიერ ჩატარებული ავარიული შენობა-ნაგებობების კომპიუტერული მოდელირების, სპეციალური გათვლებისა და მათი შემადგენელი კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ ზემოთ აღწერილი ავარიული შენობა-ნაგებობანი ექვემდებარებოდა გამაგრება-გაძლიერებას.

შენობა-ნაგებობებზე ავარიების, დაზიანებებისა და კატასტროფების შემცირება მიზანშეწონილია განხორციელდეს მათი გამაგრება-გაძლიერებისა და ამავე დროს სეისმომედეგობის ამაღლების გზით, მაგრამ, სეისმომედეგობის ამაღლების საჭიროება უნდა შეფასდეს არა მარტო ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, არამედ, მათი დეტალური ინსტრუმენტალური შესწავლის, გამაგრება-გაძლიერებას დაქვემდებარებული შენობებისა და მისი კონსტრუქციების კომპიუტერული მოდელისა და მათ გაანგარიშებათა შედეგების ანალიზის საფუძველზე.

ისეთ ინდუსტრიალურად განვითარებულ სახელმწიფოებში როგორებიცაა: იაპონია, ჩინეთი, ამერიკა და სხვა, ხორციელდება ინოვაციური სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების ფინანსირება სახელმწიფოს მხარდაჭერით, რის მწვავე დევიციებისაც დღეისათვის განიცდიან საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური დარგის წარმომადგენლები. ქვეყნის ეკონომიკა და მისი ინტელექტუალური პოტენციალი მნიშვნელოვნად დაკინების საშიშროების წინაშე დადგება, თუ უახლოეს დროში ვერ ნახავს ჯეროვან მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან.

## ლიტერატურა

1. II-23-81 (1990) . . . . .  
23. . . :  
( ) , 1990. - 93 .
2. 2.01.07-85. ( . . . . .  
). - :  
( ) , 1986. - 33 .
3. , . . / . . , . . . . - : , 1973. - 253 .
4. , . . . . : , 1978 - 347 . / . .
5. , . . / . . . . - : , 1988. - 298 .

6. 3325 , 04 5/43.  
/ „ „ . ( ) ; P 2004 3325 B ;  
. 18.04.2002 ; . 13.04.2004,  
7.-3 .
7. 1651 , E04B1/16. /  
. ( ” ) U 2011 1651 Y ; . 21.11.2007 ; . 10.02.2011,  
5.-4 .
8. Manual for the seismic design of steel and concrete buildings to Eurocode 8. 2004.
9. , . . / . . . , . . . , . . . , . . . , . . . , . . . , . . .  
— : , 2005. – 343 .
10. / . . . , . . . , . . . , . . . , . . . , . . . , . . . , . . .  
. . . . : , . . . , . . . , . . . , . . . , . . . , . . . , . . .  
11. 9.4. : / . . . , . . . , . . . , . . . , . . . , . . .  
, . . . . : « », 2008. – 280 .
12. . . , . . .  
, . . .  
«HILTON»  
, . . .  
81.  
. 2015. .72-79.
13. ევროკოდი 8: სეისმომედი კონსტრუქციების დაპროექტება. ნაწ. 3: შენობების მდგომარეობის შეფასება და რეკონსტრუქცია. ეტაპი 64. ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტი. 2004.
14. Чернявский В.Л., Хаютин Ю. Г., Аксельрод Е.З., Клевцов В.А., Фаткулин Н.В. Руководство по усилению железобетонных конструкций композитными материалами. М., 2006.
15. პ 01.05-08 „სამშენებლო კლიმატოლოგია“
16. პ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“
17. პ 03.01-09 „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“
18. პ 02.01-08 „შენობისა და ნაგებობის ფუძეები“
19. СНиП 2.02.03-85 Свайные фундаменты.

## გეტონი მოდიზინირებულ თაბაშირშემპრეზებზე

დ. გურგენიძე, ა. ჩიქვანი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77,  
0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** მიღებულია თაბაშირცემენტ-პუცოლანური შემკვრელი, რომელსაც აქვს  
დიდი სიმტკიცე და მაღალი (80...90%) წყალმედეგობა. ასევე  
დამუშავებულია კომპოზიციური თაბაშიროვანი შემკვრელი,  
პორტლანდცემენტის, აქტიური მინერალური კომპონენტის,  
სუპერპლასტიფიკატორის და მიკროკაშმიწა დანამატებით. ეს  
შემკვრელი 1,2...1,5-ჯერ მტკიცეა თაბაშირცემენტ-პუცოლანურ  
შემკვრელზე და კიდევ უფრო წყალმედეგია.

**საკვანძო სიტყვები:** მოდიზინირებული შემკვრელი, ანკიდრიდული ცემენტი,  
ექსტრიქ-თაბაშირი, კომპოზიციური შემკვრელი, ქოლოგიური,  
ჰიგიენური, კოროზიის ინკიბიტორი, ჰიდროფობიზაცია,  
ბაქტერიოციდული.

### 1. შესაბამისობა

მშენებლობაში გამოყენებული თაბაშირბეტონი მზადდება ჰაერული  
გამაგრების თაბაშიროვანი შემკვრელების საფუძველზე, როგორიცაა: სამშენებლო  
და მაღალი სიმტკიცის თაბაშირი, ანკიდრიდული ცემენტი, ანკიდრიდული  
შემკვრელი, ექსტრიქ-თაბაშირი, ბუნებრივი ანკიდრიდი.

თაბაშირბეტონის მახასიათებელია ჰიგიენურობა, შედარებით ნაკლები  
სიმკვრივე, მაღალი თბო- და ბენზინური ცეცხლმედეგობა, არქიტექტურული  
გამომსახულობა, მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

თაბაშიროვანი შემკვრელი არის ეკოლოგიურად სუფთა, მზადდება შედარებით  
მარტივი ენერგოდამზოგი ტექნოლოგიით და ფართოდ გამოიყენება მშენებლობაში.

### 2. ძირითადი ნაწილი

თაბაშირბეტონისათვის მსხვილი შემგვები შეირჩევა შემდეგი მაჩვენებლებით:  
მაქსიმალური სიმსხო და მარცვლოვანი შემადგენლობა; თიხოვანი და მტვროვანი  
ნაწილაკების, მავნე მინარევების შემცველობა; მარცვლების ფორმა; სიმტკიცე;  
სუსტი ქანების მარცვლების შემცველობა; პეტროგრაფიული შემადგენლობა და  
რადიაციულ-ჰიგიენური დახასიათება.

ბეტონის შედგენილობის შერჩევის დროს, ასევე უნდა გავითვალისწინო  
შეგვების სიმკვრივე, ფორიანობა, ცარიელობა და წყალშთანთქმა. შეგვების  
უდიდესი სიმსხო მითითებულია სტანდარტებში, ტექნიკურ პირობებში ან  
კონსტრუქციის სამუშაო ნახაზებში.

**წვრილი შემგვები** – ბუნებრივი ქვიშები და მთის ქანების ნამსხვრევის  
განაცერი, ასევე მათი ნარევი. ქვიშებს არჩევენ მარცვლოვანი შედგენილობის  
მიხედვით, თიხოვანი და მტვროვანი ნაწილაკების შემცველობის, პეტროგრაფიული  
შემადგენლობის და რადიაციულ-ჰიგიენური მახასიათებლებით.

მსუბუქი ბეტონის შემგვებები შეიძლება დავყოთ: კერამზიტის ხეჭში და  
ღორდი, აგლოპორიტის ხეჭში და ღორდი, შუნგიზიტის ხეჭში, პემზის ღორდი,  
კერამზიტის და შუნგიზიტის ქვიშა, აგლოპორიტის ქვიშა.

ბუნებრივი ფორმიანი შემვსებები მარცვლების ზომების მიხედვით იყოფიან ფრაქციებად, მმ: 5...10; 5...20; 5...40; 10...20; 20...40.

ღორდის ნაყარი სიმკვრივეა 300...1200, ქვიშის 500...1500 კგ/მ<sup>3</sup>.

თაბაშირბეტონის ორგანული შემვსებებია ხის გადამუშავების ნარჩენი და მცენარეული ნედლეული: მერქნის ნახერხი, ბურბუშელა (ფიბრა), ჩალა (ნაკეპი), ლაფანის ტკები, ლელქაშის ბოჭკო და ა.შ.

მერქნის შემვსების ნაყარი სიმკვრივე საპაერო-მშრალ მდგომარეობაში მერქნის ჯიშის, ნაწილაკების ზომისა და ფრაქციული შემადგენლობის მიხედვით იყოფება 150...250 კგ/მ<sup>3</sup> ფარგლებში. მერქნის ნახერხის ზომებია 2...5 მმ, ტენიანობა კი არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს.

ქიმიური დანამატები იყოფა:

- თაბაშირბეტონის ნარევის მარეგულირებლები (პლასტიფიკატორები, ჰაერჩამთრევები, შეკვრის ვადების მარეგულირებლები და სხვ);
- სიმტკიცის, კოროზიამედეგობის, ყინვამედეგობისა და სხვა თვისებების ასამაღლებლები (ჰაერჩამთრევები, ფოლადის კოროზის ინიციატორები და სხვ);
- თაბაშირბეტონისათვის სპეციალური თვისებების მიმნიჭებელი (პიდროვობიზაციური, ბაქტერიოციდური და სხვ.).

საჭირო სიმტკიცის თაბაშირბეტონის შედგენილობის გაანგარიშება ჩვეულებრივ მკვრივ შემვსებზე და გამოყენებული შემკვრელის მიხედვით შეიძლება შესრულდეს ფორმულებით:

- სამშენებლო თაბაშირის გამოყენების დროს

$$R_d = KA \left( \frac{\sigma / \gamma r - 0,5}{\sigma' / \gamma' - 0,5} \right);$$

$$\gamma / \sigma = \frac{A}{r [R_d / K (\sigma' / \gamma' - 5)] + 0,5 A},$$

$$\sigma = \frac{\gamma r [R_d / K (\sigma' / \gamma' - 5)] + 0,5 A}{A}.$$

მაღალი სიმტკიცის თაბაშირის გამოყენების დროს

$$R_d = KA \left( \frac{\sigma / \gamma - 0,5}{\sigma' / \gamma' - 0,5} \right);$$

$$\gamma / \sigma = \frac{A}{[R_d / K (\sigma' / \gamma' - 5)] + 0,5 A},$$

$$\sigma = \frac{\gamma [R_d / K (\sigma' / \gamma' - 5)] + 0,5 A}{A},$$

სადაც  $R_d$  – მუდმივ მასამდე გამომშრალი ნიმუშების კუმშვის სიმტკიცეა, მგპა;  $A$  – მასშტაბის კოეფიციენტი, დამოკიდებული ბეტონის სახეობაზე, მიიღება ცხრ. 1-ის მიხედვით;  $A$  – შემკვრელის აქტიურობა, მგპა;  $\gamma / \sigma$  და  $\sigma / \gamma$  – თაბაშირბეტონის ნარევის წყალთაბაშირის და თაბაშირწყლის ფარდობაა;  $r$  – თაბაშირის შემკვრელის დაფქვის სიწმინდის კოეფიციენტია, სამშენებლო თაბაშირისათვის იგი 1,3-ის ტოლია;  $\sigma' / \gamma'$  – თაბაშირის შემკვრელის ნორმალური სისქელის შებრუნებული სიდიდეა;  $\gamma$  – წყლის ხარჯი, ლ/მ<sup>3</sup>, მიიღება ცხრ. 1-ის მიხედვით.

*K* მასშტაბის კოეფიციენტი

ცხრილი 1

ნიმუში კუბიკები წიბოს ზომით, სმ	ბეტონის სახეობა	
	მძიმე	მსუბუქი
7,07	1,0	0,70
10	0,90	0,65
15	0,80	0,55
20	0,75	0,50

შენიშვნა: მერქნის ნახერხის გამოყენების დროს  $K = 0,50$ .

თაბაშირის ცომის აბსოლუტური მოცულობა ლიტრებში, განისაზღვრება ფორმულით

$$V_{\text{თ.გ.}} = (\omega \dots) + \frac{\gamma}{\rho},$$

სადაც  $\omega$  თაბაშირის ხარჯია თაბაშირბეტონის ნარევში,  $\text{კგ}/\text{მ}^3$ ; ... – თაბაშირის სიმკვრივე,  $\text{კგ}/\text{ლ}$ ;  $\gamma$  – წყლის ხარჯი,  $\text{ლ}/\text{მ}^3$  მიღლება ცხრ. 2-ის მიხედვით

შემცვების აბსოლუტური მოცულობა ლიტრებში, იანგარიშება ფორმულით

$$V_{\text{შემ.}} = 1000 - V_{\text{თ.გ.}}.$$

წყლის სამაგალითო ხარჯი,  $\text{კგ}/\text{მ}^3$ , თაბაშირბეტონის ნარევში ცხრილი 2

თაბაშიროვანი შემცვრელი	შემცვები		
	მკვრივი	ფორიანი	წმინდად დაფქშელი დანამატი
მაღალი სიმტკიცის თაბაშირი	250	320	300
სამშენებლო თაბაშირი	300	410	400

შენიშვნა: ხისტ ნარევში წყლის ხარჯი მცირდება 10...15%-ით; სხმულში – იზრდება 1..20%-ით.

ამის შემდეგ ვაღგენთ შეკვრის შემაყოვნებლის სახეობას და რაოდენობას, ვანგარიშობთ სასინჯი ნარევებისათვის საჭირო მასალების ხარჯს, ვამზადებთ და ვცდით ნიმუშებს. ვსაზღვრავთ და ვაზუსტებთ 1  $\text{მ}^3$  ბეტონისათვის საჭირო მასალების ხარჯს, შერჩეული და კორექტირებული საცდელი ნიმუშებისათვის. ამისათვის ვანგარიშობთ ბეტონის ნარევის ფაქტიურ მოცულობას ლიტრებში, საცდელ ნარევში:

$$V_{\text{შ}} = \sum m / \dots_{\text{ბ.ნ.რ.}},$$

სადაც  $\sum m$  – სასინჯ ნარევზე დახარჯული მასალების მასების ჯამია, კგ;

$\dots_{\text{ბ.ნ.რ.}}$  – ბეტონის ნარევის საშუალო სიმკვრივეა,  $\text{კგ}/\text{ლ}$ .

თითოეული კომპონენტის ხარჯი  $M_i$   $\text{კგ}/\text{მ}^3$ , იანგარიშება ფორმულით

$$M_i = \frac{m_i \cdot 1000}{V_{\text{შ}}} = \frac{m_i \dots_{\text{ბ.ნ.რ.}}}{\sum m} 1000,$$

სადაც  $m_i$  – ერთი ( $i$ -ური) კომპონენტის ხარჯია, კგ.

თაბაშიროვან შემცვრელებზე მიღებული ბეტონების და დუღაბების კუმშვის სიმტკიცეები მოცემულია ცხრ. 3-ში.

თაბაშიროვანი ბეტონების და დუღაბების სიმტკიცე ცხრილი 3

შემკვრელი	ბეტონის კუმშვის სიმტკიცე, მგპა			
	მძიმე	წვრილმარცვლოვანი და დუღაბი	მსუბუქი შემვსები	
			ფორმიანი	ორგანული
სამშენებლო თაბაშირი	4,5...8,0	$\frac{2,0...8,0}{0,5...2,5}$	3,0...9,0	2,5...4,0
მაღალი სიმტკიცის თაბაშირი	15,0...30,0	$\frac{3,0...15,0}{2,5...10,0}$	3,5...20,0	3,5...5,0
ანპიდრიდული	7,0...15,0	$\frac{2,0...12,5}{1,0...7,5}$	3,5...15,0	3,0...7,5
ექსტრიქ-თაბაშირი	4,5...8,0	$\frac{2,0...13,5}{1,0...10,0}$	—	—
წყალმედეგი შემკვრელი თაბაშიროვანი	9,0...35,0	$\frac{5,0...25,0}{2,5...15,0}$	5,0...22,0	3,5...9,5

შენიშვნა: დუღაბის სიმტკიცეები – მნიშვნელში.

### 3. დასპანა

დამუშავებულია თაბაშირცემენტ-კუცოლანური შემკვრელი, რომელიც მიიღება მასალების შერევით (მასითხ): ნახევარწყლიანი თაბაშირი (50...70), პორტლანდცემენტი (10...25) და აქტიური მინერალური დანამატი (გრეპელი, დიაზომიტი, ოპოკა და სხვ.) (10...25). შემკვრელი მიეკუთვნება პიდრავლიკურს და აქვს მაღალი (80...90%) წყალმედეგობა.

ასევე მიღებულია კომპოზიციური თაბაშიროვანი შემკვრელი, სადაც თაბაშირთან ერთად ჩართულია მცირე დანამატები: პორტლანდცემენტის აქტიური მინერალური კომპონენტი, სუბერპლასტიკატორი, მიკროკაუმიწა და სხვ. ეს შემკვრელი 1,2...1,5-ჯერ მტკიცეა თაბაშირცემენტ-კუცოლანურ შემკვრელზე და კიდევ უფრო წყალმედეგია.

თაბაშიროვან შემკვრელზე დამზადებული ბეტონები და დუღაბები გამოირჩევიან მაღალი მედეგობით დაბალი (0,2%) და მაღალი (3%) კონცენტრაციის სულფატურ ხსნარებში, ასევე გრუნტების მინერალიზებულ წყლებში.

### ლიტერატურა

1. ა. ჩიქოვანი. ბეტონის ტექნოლოგია. თბილისი. 2015. 358 გვ.
2. . . . . 2011. 380 .
3. . . . . , 2010. 424 .
4. . . . . 2007. 500 .
5. . . . . 2000. 530 .

## სანაკირო არეაში მოტივაციები ტალღაშემარბილებელი ნაგებობის მოწყობისას მოსალოდნელი შედებები

ა. ფრანგიშვილი, ზ. ციხელაშვილი, ნ. ჩხეიძე, ი. ქადარია, პ. გიორგაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქ. 77,0175, ობილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** რეკომენდებულია ინოვაციური ტიპის ეფექტური მოტივაციები  
ტალღაშემარბილებელი საინინირო პიდროტექნიკური ნაგებობის (ბმული  
კომპლექსი) დანერგვა-გამოყენება შევის სანაკირო-რეკრეაციული ზოლის  
მიმდებარე ტერიტორიების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის  
მიზნით, იმ ტერიტორიებზე, სადაც ინტენსიურად აღინიშნება სანაკირო-  
რეკრეაციული ზოლის (პლაზის) შეუქცევადი წარეცხვები. აღნიშნული  
ინოვაციის დანერგვა ასევე შესაძლებელია და ნავსადგურების რეკონსტრუქცია-განვითარების პროექტებში.

**საკვანძო სიტყვები:** მოტივაციები ტალღაშემარბილებელი საინინირო  
პიდროტექნიკური ნაგებობა, სანაკირო-რეკრეაციული ზოლი, ეკოლოგიური  
უსაფრთხოება, და ნავსადგურების რეკონსტრუქცია-განვითარების პროექტი.

### 1. შესავალი

დღევანდელი მდგომარეობით, შევის ზღვის შტორმული ტალღების არასასურველ  
ზემოქმედებას ექვემდებარება ბათუმის მიმდებარე ზღვის სანაკირო-რეკრეაციული ზოლი (ბულვარი, ახალი ბულვარი, ადლია-აეროპორტის ტერიტორია და საერთოდ საქართველოს შევის სანაკირო პერიმეტრი), თურქეთის ტერიტორიაზე „დერინერის“ მაღლივი კაშხლის აგებისა და მდ. ჭოროხის მყარი ნატანის გადაკეტვის შედეგად კატასტროფული წარეცხვები ემუქრება აჭარის შევის სანაკიროს, კატასტასტროფული მდგომარეობაა ჩაქვი-ქობულეთი-ურეკის მონაკვეთზე ტალღების ზემოქმედებით. ფუძის გრუნტის გამორეცხვებისა და დეფორმაციების შედეგად ინგრევა ფოთის ნავსადგურის დამცავი კედელი - ზღუდარი (მოლი) [3,4].

წარეცხვებს ექვემდებარება აგრეთვე „ბაქო-სუფსის“ ნავთობსადენის ტერმინალის მიმდებარე სანაკიროც. აღნიშნული გარემოებანი დაკავშირებულია მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ზარალთან.

ანალოგიურ მოვლენებთან გავაჩვენ საქმე არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ზღვების სანაკირო ზოლებში. აღნიშნულ კონტექსტში დასმული პრობლემის სამეცნიერო კვლევას - ახალი ტიპის მოტივაციები ტალღაშემარბილებელი პიდროტექნიკური ნაგებობის შემუშავებას, შესაბამისად, საპილოტე პროექტისთვის პიდროტექნიკური ნაგებობის ბმულის რეალურ გამოცდას ბათუმის მაგალითზე სანაკირო-რეკრეაციულ ზოლში განთავსების მიზნით, უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

### 2. ძირითადი ნაშილი

ინოვაციური პროექტის მიზანია, ადგილობრივ ან/და საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი მაღალტექნოლოგიური ინოვაციურ-კომერციული დირექტულების პროდუქტის შექმნა, ზღვების სანაკირო-რეკრეაციული ზოლებისათვის მოტივაციები

ნაპირ დამცავი, ეფექტური ახალი ტიპის ტალღაშემარბილებელი პიდროტექნიკური ნაგებობის კომპლექსის სახით.

უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი იწყება სამხრეთით, თურქეთის საზღვართან - სარფში და მთავრდება ჩრდილოეთი დესელიძეში, მდინარე ფსოუსთან (სიგრძე 312 კილომეტრი). შავი ზღვა პრაქტიკულად უტევს ხმელეთს საქართველოს სანაპიროს მთელ სიგრძეზე.

საქართველოს ნაპირებთან, სადაც ზღვის სიღრმეები შედარებით დიდია, შესაბამისად, ტალღებიც მაღალია. მაგალითად, ფოთთან ხშირად ფიქსირდება ტალღის სიმაღლე 3-4 მეტრამდე. დია ზღვაში 7-8 ბალი, ქარის დროს ტალღის საშუალო პარამეტრებია: სიჩქარე - 2,4-5 მეტრი /წამში, პერიოდი 6-7 წამი, ტალღის სიგრძე - 10-70 მეტრი, სიმაღლე 1,5-2,5 მეტრი. დიდი შტორმის დროს ტალღის სიმაღლე აღწევს 5-6 მეტრს, ხოლო სიგრძე 70-80 მეტრია. ამავე დროს 4-5 ბალის შემთხვევაში, თუ ტალღის პერიოდია 11 წამი, დარტყმის ძალა შეადგენს 5,7 ტონას 1 კვადრატულ მეტრზე [1].

წარმოდგენილი ინვაციური პროექტი განხორციელდება პიდროდინამიკური და ფიზიკური მოდელირების საფუძველზე დასაბუთებული ახალი ტიპის ტალღაშემარბილებელი პიდროტექნიკური ნაგებობების (და მათი ბმულების) მოდელების სერიული კვლევებით, სპეციალურ ლაბორატორიულ ტალღაგენერატორზე, შავი ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის მახასიათებელი პარამეტრების შესაბამისად მიღებული შედეგების გამოყენებით, რაც საპილოტე პროექტის შემუშავების შესაძლებლობას ქმნის.

აგრეთვე, დია ტიპის საზღვაო ნავსადგურების გამართულ მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნებისმიერი საზღვაო ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა, საგარეო-სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია, კულტურულ-ეკონომიკური კავშირურთიერთობების განვითარება და სხვ. დია ნავსადგურები და მათი აკვატორიები, წლის გარკვეულ პერიოდებში, როგორც წესი, განიცდიან ზღვის შტორმული ტალღების არასასურველ ზემოქმედებას, რაც აფერხებს საზღვაო ტრანსპორტის ნორმალურ ფუნქციონირებას. შტორმული ტალღები იწვევენ პორტების მიმდებარე სანაპირო ზოლების შეუქცევად წარეცხვას, შტორმის დროს საპორტო ქალაქების სანიაღვრე წყალარინების სისტემების ნორმალური ფუნქციონირება შეფერხებულია.


შემოთავაზებული ნაპირდამცავი ტალღაშემარბილებელი მოტივტივუმცურავი პიდროტექნიკური ნაგებობა განკუთვნილია ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლისა და დია ნავსადგურების შტორმული ტალღებისგან დაცვის პრობლემის გადასაჭრელად.

ამრიგად, ზღვის სანაპირო რეკრეაციული ზოლისა და დია ნავსადგურების შტორმული ტალღებისაგან დასაცავად კვლევის პრობლემა განისაზღვრა ეფექტური ახალი ტიპის მოტივტივუმცურავი ტალღაშემარბილებელ პიდროტექნიკურ ნაგებობათა ბმული კომპლექსის შემუშავებაში. [2,6].

შტორმული ტალღების მავნე ზემოქმედების უგულვებელსაყოფად, თანამედროვე მდგომარეობით, აწარმოებენ შერჩეული სანაპირო-რეკრეაციული ზოლების ეკოლოგიურ-დაცვით სამუშაოებს (შერჩევით სანაპირო ზოლებში ინერტული მასალის დაყრით, ნავსადგურის აკვატორიის პერიმეტრის შემოზღვდვა სხვადასხვა ტიპის ტრადიციული პიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობით და სხვ.), რაც ხშირ შემთხვევებში არაეფექტური და ძირადდირებულია, ამასთან, მოითხოვს რეგულარული სამუშაოების ჩატარებას წარეცხილი მოცულობის აღსადგენად [3,4].

ზემოთ აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად, როგორც ერთ-ერთი ვარიანტი, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინვაციური წინადაღება-ტექნოლოგიის, დანერგვას (საპილოტე

პროექტის სახით) უპირველესად ვგეგმავთ ბათუმის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის მიმდებარე ზღვის შელფში მოტივტივე ტალღაშემარბილებელი პიდროტექნიკური ნაგებობის ბმული კოპლექსის სახით (სურ.1)



სურ.1. ახალი ტიპის მოტივტივე ტალღაშემარბილებელი პიდროტექნიკური ნაგებობის კონსტრუქციის მოდელის გამოცდა

კონსტრუქციულად ზღვის შტორმული ტალღის ენერგიის ნაწილობრივ ჩამჯრობი შტორმშემარბილებელი ნაგებობის ბმული კომპლექსი პოლიმერული, მზის სხივებისა და მარილიანი წყლისადმი მედეგი მასალით იქნება დამზადებული. მისი თითოეული შემდგენი ნაგებობა-ელემენტის ნატურული ზომა გეგმაში – 6X9 მ-ია, ხოლო ერთიანი სიმაღლე - 6 მ. ისინი ერთმანეთთან 1,5-2 მეტრის ინტერვალით იქნება გადაბმული და მთლიან მოტივტივე პიდროტექნიკური ნაგებობის ბმულს წარმოქმნის. ნაგებობის ბმული ჯაჭვი კი ზღვის ნაპირიდან 30-150 მ დაცილებით არაუმეტეს 10 მეტრის სიღრმის შელფში განთავსდება (რაც დამოკიდებულია ზღვის შელფის ფსკერის პროფილზე) და იქ სპეციალური ბაგირით (ღუზებზე) ჩამაგრდება. ტალღის ენერგიის ჩამჯრობა ხდება ნაგებობა-მოწყობილობის წყალქვეშა და წყალზედა ნაწილში სპეციალური მექანიკური კონსტრუქციული სამკუთხა პრიზმული ელემენტების საშუალებით (სურ.1).

პროექტის ავტორები შემუშავებული ინოვაციური ტექნოლოგიის ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის წარეცხვისაგან დაცვის სხვა არსებულ მეთოდებთან შედარებისას მიუთითებენ მის ხანმედეგობაზე და ეკოლოგიურ-ეკონომიკურ უპირატესობებზე.

შემოთავაზებული ინოვაციური პროექტის ავტორები, სათანადო მოთხოვნა-ხელშეწყობის შემთხვევაში, უპირველესად ვგეგმავთ ბათუმის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის შელფში, შერჩევით მონაკვეთებზე (ადლია-ბულვარის მიმდებარე ტერიტორიები), ჩვენ მიერ შემუშავებული საპილოტო პროექტის ნატურაში გამოცდას და, შესაბამისად, ამ პროექტისათვის სათანადო ტექნიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებლების წარდგენას.

დია ნავსაღგურებისა და სანაპირო-რეკრეაციული ზოლების შტორმული ტალღებისაგან დაცვის არსებული ხერხებისგან (კაპიტალური დამცავი კედლების ამოცანა, ლითონის კონსტრუქციული ნაგებობების სისტემის და სხვ. შემომზღვდავი საშუალებების მოწყობა) განსხვავებით, შემოთავაზებული პროექტის განხორციელება განსაკუთრებით ეფექტური და რენტაბელური იქნება შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიკური

მაჩვენებლების გამო: ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობა, შტორმმედევობის მოთხოვნილი ეფექტი, თანამედროვე მსუბუქი არაკოროზიული მასალის გამოყენება და ნაგებობათა კომპლექსის მოწყობის შედარებითი ეკონომიურობა, ექსპლუატაციის საიმედობა და შეკეთების სიმარტივე, რეკრეაციული ზონების ხელშეუხებლობა, ნაგებობათა მონტაჟის მცირე დრო, ზღვაში სამუშაოების წარმოების მოხერხებულობა, ნაგებობათა ფასადის ესთეტიკურად მისაღები ფორმის შერჩევა-გაფორმება და სხვ.

შემოთავაზებული ინოვაციური პროექტის აღნიშნული პოზიტიური მასასიათებლების მიხედვით განხორციელება (შედარებით მცირე დანახარჯებით), შესაძლებელი იქნება როგორც სარეაბილიტაციო ან ახალმშენებარე ნავსაღებურის, ასევე სანაპირო-რეკრეაციული ზოლის პირობებში, რაც სათანადო ქმედუნარიანობასა და სიცოცხლისუნარიანობას შესძენს ამ ობიექტებზე ჩასატარებელ ეკოლოგიურ-პრევენციული დონისძიებების გატარებას. აამაღლებს საერთაშორისო დანიშნულების დია ნავსაღებურების სანაპირო-რეკრეაციული ზოლების მშენებლობის საიმედობას; ეფექტურს გახდის რეკრეაციული ზოლების ეკოლოგიური დაცვის რეკომენდაციების გატარებას (ნაპირწარეცხვებისგან დაცვა, შტორმის დროს სანიაღვრე კანალიზაციის შეუფერხებელი მუშაობა, დამსვენებელთა რეკრეაციულ-კომფორტული დონის ამაღლება და სხვ), რაც თანამედროვე მდგომარეობით ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის მიმდებარე ნებისმიერი დასახლებული ადგილისა და ქალაქებისათვის აქტუალურია.

ინოვაციური პროექტის განსახორციელებლად, პირველ რიგში, საჭირო იქნება საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების ეგიდით ამ პრობლემით დაინტერესებული ინვესტორების, კოლაბორატორების და სხვა საქმიანი პირების მოძიება და მათი ინფორმირება შემოთავაზებული საკითხის აქტუალობის, ინოვაციური პროექტის მაღალტექნოლოგიურობისა და კონკურენტული ტუნარიანობის შესახებ. აღნიშნული გარემოება გარკვეულ საფუძველს შექმნის საქართველოს შავი ზღვის სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში (და არა მარტო საქართველოს) არსებული ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად.

ინოვაციური პროექტის შემოქმედებით ავტორთა ჯგუფს რეკომენდებულად მიგვაჩნია, რომ ინოვაციური წინადაღების დანერგვას საერთაშორისო მასშტაბით კარგი პერსპექტივა აქვს - თავად წარმოდგენილი ინოვაციის სახის, პრობლემის გადაწყვეტის პრაქტიკული მნიშვნელობისა და მისი განხორციელების მისაღები დირქებულებიდან გამომდინარე. ვიდრე ამ ახალი ტიპის ტალღაშემარბილებელ პიდროტექნიკურ ნაგებობას მსოფლიო გამოიყენებს, უპრიანი იქნება მისი სიკეთით ჯერ საკუთარ ქვეყანაში ვისარგებლოთ. იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამისი სტუქტურები პირველ რიგში ბათუმის, ფოთისა და ურეკის საკურორტო ზონების პირობებში აღნიშნული ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვით დაინტერესდებიან.

### 3.დასპბნა

- 1.ავტორთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ნაგებობის მოწყობით სანაპირო-რეკრეაციული ზოლის ტერიტორიებზე მნიშვნელოვნად შემცირდება ადგილობრივი წარეცხვების მოცულობა ნატანის მიგრაციის გათვალისწინებით.
2. ტალღაშემარბილებელი ნაგებობის მოწყობა ხელს შეუწყობს სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა-განაშენებასა და მის ეკოლოგიურ დაცვას.

3.აღნიშნული დონისძიებების განხორციელება მიზანშეწონილია მისი ეფექტურობის, ხანძელები და საიმედო ექსპლუატაციისა და ეკონომიკური მაჩვენებლების გამო დღემდე არსებულ სხვა ტიპის ნაპირდამცავ ნაგებობებთან შედარებით.

### ლიტერატურა

1. Сборник. Черное море, под редакции А. Вилканова. Гидрометеоиздат. М. 1983.
2. . . . . ,
- “ ”, 1997, 264 .
3. ზ. ციხელაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჩხეიძე და სხვ.საქართველოს პატენტი გამოგონებაზე 5600
4. ა. ფრანგიშვილი, ზ. ციხელაშვილი, ი. ქადარია, ნ. ჩხეიძე, პ. გიორგაძე. სანაპირო-რეკრეაციული ზოლის ნაპირდამცავი მოტივტივე შტორმშემარბილებელი პიდროტექნიკური ნაგებობა. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ 4(39), თბილისი, 2015, გვ. 15-20.
5. თ. გველესიანი. „წყლის ტალღების გენერაციასთან დაკავშირებული ცდების მართვა“, პიდროინინიერია 1-2 (9-10), თბილისი, 2010 წ.
6. gvelesiani T.Dynamic action of impulse waves on a wave dampaner.Energyonline (3),2010 /www.Energyonline.ge/(ქართულად-იმპულსური ტალღების დინამიკური ზემოქმედება ტალღის დემფერზე).

ქალაქებისა და დასახლებული კაგილების ჩამდინარე-  
საყოვაცხოვრებო ტყელების მექანიკური და გიოლობიური  
გაფრენის შესაძლო პრიცეპული სემის შესახებ

## ഡി. റണ്ടുമൂളാചലൻ, 6. നൈറ്റുവിനു

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, გოსტავას ქ.№77)

რეზიუმებანხილულია ქალაქებისა და დასახლებული ადგილების ჩამდინარე-საყოფაცხოვრებო წყლების მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდის შესაძლო პრინციპული სქემა, გამომდინარე ჩამდინარე წყლების საწყისი დაბინძურებისა და კონცენტრაციისაგან. კომპლექსში მექანიკურ გაწმენდასთან ერთად შემოთავაზებულია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების ბიოფილტრისა და მეორადი სალექარის გამოყენება შესაბამის სადეზინვექციო კვანძთან ერთად, რომელიც ხასიათდება გაწმენდის მაღალი ეფექტურობითა (89%) და ნაკლები ენერგოდანახარჯებით.

**საკვანძო სიტყვები:** ჩამდინარე-საყოფაცხოვებო წყლები, მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდის პრინციპები სქემა.

## 1. შესაგალი

ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში ჩამდინარე-საყოფაცხოვრებო წყლები მიიღება საცხოვრებელი, ადმინისტრაციული, კომუნალური და აგრეთვე სამრეწველო საწარმოების საყოფაცხოვრებო შენობებიდან. წყალარინების (კანალიზაციის) სისტემის დანიშნულებაა - შენობა-ნაგებობების სანიტარული მოწყობილობებიდან მიიღოს ჩამდინარე წყლები და ოვითდენითი (უდაწნეო) გარე ქსელით გაიყვანოს დასახლებული ადგილის გარეთ გასაწმენდათ. შემდეგ ეს წყლები გააუვნებლოს გამწმენდ სადგურში ნორმატივების შესაბამისად ზღვრულად დასაშენები კონცენტრაციის ზარგლებში და ისე ჩაუშვას წყალსაჩუქრში [1].

ქვემოთ განხილულია ქალაქების და დასახლებული ადგილების ჩამდინარე-ფერალური წყლების თავისებურებაზე შემადგენლობის მიხედვით და შესაბამისად მქანიკური და ბილოგიური გაწმენდის გამოყენების მეთოდების შესახებ.

## 2. မောက်တွင်ရှိခဲ့သူများ

როგორც ცნობილია [2] ჩამდინარე საყოფაცხოვრებო წყლები შედგება მინერალური და ორგანული წარმოშობის მინარევებისაგან. როგორც პირველი, ისე მეორე იმყოფება გაუხსნელ, გახსნილ და კოლოიდურ მდგომარეობაში. გაუხსნელი მინარევების ნაწილს, რომელთა დაკავება ხდება ქალალდის ფილტრის ანალიზის დროს, უწოდებენ შეწონილ ნივთიერებებს. ამათგან ყველაზე დიდ სანიტარულ საფრთხეს ორგანული წარმოშობის მინარევები წარმოადგენს.

ჩამდინარე - საყოფაცხოვრებო წყლებში ორგანული წარმოშობის შეწონილ ნივთიერებათა შემცველობა საშუალოდ შეადგენს 100-300 მგ/ლ. ორგანული მინარევების შემცველობა, რომლებიც გახსნილ მდგომარეობაშია, ფასდება უანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილებისა (ჟბმ) და უანგბადის ქიმიური მოთხოვნილების (ჟქმ) მაჩვენებლების მიხედვით. საყოფაცხოვრებო ჩამდინარე ზეკალურ წყლებში აღინიშნება ჟბმ=100-400 მგ/ლ, ხოლო ჟქმ=150-600 მგ/ლ ფარგლებში, და ისინი შეიძლება შევასდეს, როგორც უაღრესად დაბინძურებული [2].

ნორმატივების მიხედვით ცნობილია, რომ ჩამდინარე წყლები (როგორც საყოფაცხოვრებო, ისე ზედაპირული) წყალსატევში ჩაშვებამდე აუცილებელად უნდა გაიწმინდოს ამა თუ იმ დამაბინძურებელი ნივთიერებების მაქსიმალურად დასაშვები კონცენტრაციის ფარგლებში. ამასთან გაწმენდილი ჩამდინარე წყლების კონტროლს ახორციელებს და ამტკიცებს სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგური.

ნებისმიერი დასახლებული პუნქტის გამწმენდი სადგურებისთვის დადგენილია ჩამდინარე წყლების ხარისხის კონტროლის ნორმატივები წყალსატევებში ჩაშვებამდე ამასთან ქალაქის ან დასახლებული ადგილების ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები იღებენ საყოფაცხოვრებო-ფეკალურ წყლებს დამაბინძურებელ ნივთიერებათა გარკვეული კონცენტრაციით, რომელთა გასაუკნებლად საჭირო იქნება ჩამდინარე წყლების ეფექტური გაწმენდის პრინციპები სქემის შემუშავება სათანადო მოწყობილობა-ნაგებობები კომლექტაციით.

ქალაქის და დასახლებული ადგილების ჩამდინარე წყლები ფორმრდება იქ განთავსებული ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლებისა და სხვა სახის ჩანადენისაგან, რომელთა შემადგენლობა და დაბინძურება როგორც აღვნიშნეთ მკვეთრად ცვალებადობს. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლებს მიეკუთვნება ფორმირებული ჩამდინარე წყლები საცხოვრებელი ბინებიდან, საავადმყოფოებიდან, სკოლებიდან, სასტუმროებიდან და სხვა ადგილებიდან, სადაც ცხოვრობს და მოღვაწეობს ხალხი, წყალი სამრეცხაოებიდან, აბანოებიდან, სასადილოებიდან და სხვა კომუნალური დაწესებულებებიდან. თითოეული ადამიანისაგან დღე-დამეში ქალაქის წყალარინების სისტემაში (კანალიზაციაში) მუდმივად საშუალოდ ჩაედინება სიბინძურის მუდმივი რაოდენობა (გრამებში):

შეწონილი ნივთიერებები . . . . .	65;
გაღიავებული სითხის ქბძს . . . . .	35;
გაღიავებული სითხის ქბძმ <sub>20</sub> . . . . .	40;
ამონიუმის მარილების აზოგი, N . . . . .	8;
ფოსფატები, P <sub>2</sub> O <sub>5</sub> . . . . .	1,7;
ქლორიდები, Cl . . . . .	9.

აღსანიშვნავია, რომ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო სახის ჩამდინარე წყლები სამრეწველო მინარევების გარეშე დღეს პრაქტიკულად არ არსებობს. გამონაკლისს შეადგენენ ზოგიერთი საკურორტო დაბის ჩამდინარე წყლები, მაგრამ მასაც უერთდება ავტოფარეგებიდან მიღებული წყლები, რომლებიც შეიცავენ ნაკონდპროდუქტებს და სხვა სახის სიბინძურეს, რაც ტიპიურად დამახასიათებელია საწარმოო ჩამდინარე წყლებისათვის.

საყოფაცხოვრებო წყლების, და აქედან გამომდინარე, ქალაქის ჩამდინარე წყლების თავისებურება იმაშია, რომ ისინი შეიცავენ მრავალ მიკროორგანიზმს, მათ შორის, პათოგენურ ბაქტერიებს, ნაწლავური ინფექციების გამომწვევებს. ბაქტერიები წარმოადგენენ საყოფაცხოვრებო -ჩამდინარე წყლების ორგანულ ნივთიერებათა მნიშვნელოვან ნაწილს. 1 მლ ჩამდინარე სითხეში მიღლიონობით და ათობით მიღლიონი ბაქტერიაა. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ასევე შეიცავენ დიდი რაოდენობით ჰელმინთების კვერცხებს.

მრავალი მონაცემი ცხადყოფს, რომ უხევში დისპერსული ნივთიერებებით დაბინძურების საერთო მასიდან 35,4% შეადგენენ, კოლოიდები - 14,3%, ხსნადი ნივთიერებები - 50,3%. ჩამდინარე წყლები შეიცავენ ორგანული ნივთიერებების 53,7%, მინერალურის - 46,3%. მინერულია, რომ საყოფაცხოვრებო-ჩამდინარე წყლებში ორგანული ნივთიერებები შეადგენენ 58%, ხოლო მინერალური - 42% [2].

ქალაქის და დასახლებული ადგილების ტიპის ჩამდინარე წყლების გაწმენდა წარმოადგენს სხვადასხვა მეოთხების ერთობლიობას, რომლებიც თანამიმდევრულად ასუფთავებენ წყალს მსხვილი მინარევებისგან (ქადაღდისგან, ქსოვილის და სამზარეულო ნარჩენებისგან და სხვ.), მძიმე მინარევებისაგან (ქიშის, წილის), კოლოიდურ და სხვად ორგანულ დამაბინძურებისაგან და გაუსნებოვნებენ მას პათოგენური მიკროფლორისგან.

დაბინძურება, რომლისგან წყალი თანამიმდევრულად იწმინდება, გროვდება სქელი სუსპენზიის (ჩამდინარე წყლების ნალექის) სახით და ასევე ექვემდებარება გადამუშავებას, რომლის მიზანია ნალექის გაუსხებოვნება სანიტარული და ეპიდემიოლოგიური კუთხით. სპეციალური გადამუშავების შემდეგ ნალექის გამოყენება შეიძლება სოფლის მეურნეობაში სასუქის სახით, ან შეიძლება მოხდეს მისი უტილიზაცია სხვა ნებისმიერი საშუალებით. ყველაზე მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს განეიტრალებული ნალექის გამოყენება სოფლის მეურნეობაში - ეს უზრუნველყოფს ბუნებაში ნივთიერებათა შეკრული მიმოქცევის ციკლს, რითაც ბიოსფეროში ნარჩენდება საერთო ბალანსი.

ჩამდინარე წყლების გაწმენდ ნაგებობათა მთელი კომპლექსი შეიძლება ხუთ ჯგუფად დაიყოს:

- 1) მექანიკური გაწმენდა;
- 2) ბიოლოგიური გაწმენდა;
- 3) წყლის დამატებით გაწმენდა;
- 4) წყლის დეზინფექცია;
- 5) ნალექის დამუშავება.

ქალაქის და დასახლებული ადგილების ჩამდინარე წყლები შეიცავენ დიდი ოდენობით უხსნადი და ნაკლებად სხვადი ნივთიერებების ნაწილაკებს, რომელთა სიდიდე აღემატება 0,1 მკმ, ისინი წყალთან ერთად ქმნიან დისპერსულ სისტემებს - სუსპენზიას და ემულსიებს. ასეთი სისტემები კინეტიკურად არასტაბილურია და გარკვეულ პირობებში შეიძლება განადგურდეს - ნალექად გამოეყოს ან წყლის ზედაპირზე ამოტივტივდეს.

მექანიკური გაწმენდა ნიშნავს ჩამდინარე წყლებიდან არსებული გაუსხელი უხეშდისპერსული მინარევების გამოყოფას, რომლებსაც მინერალური და ორგანული ბუნება გააჩნიათ. ამისათვის იყენებენ შემდეგ მეოთხებს:

- **დაწურვას** - განსაკუთრებით მსხვილი დაბინძურების და ნაწილობრივ შეწონილ ნივთიერებათა დაკავებას ცხაურებსა და საცრებზე;
- **დალექას** - გამდინარე წყლებიდან შეწონილი ნივთიერებების გამოყოფას ქვიშადამჭერზე სიმძიმის ძალის ზემოქმედებით (მინერალური მინარევების გამოსაყოფად), სალექარში (უფრო წვრილი დალექილი და ამოტივტივებული მინარევების შესაჩერებლად), ასევე, ნავთობსაჭერებით, ცხიმის- და ფისდამჭერებით. ამ მეოთხის ნაირსახეობას წარმოადგენს ცენტრიდანული დალექა, რომელიც გამოიყენება პიდროციკლონებსა და ცენტრიფუგებში;

- **ფილტრაციას** - ძალიან წვრილი სუსპენზიის დაკავებას შეწონილ მდგომარეობაში ბადისებრ და მარცვლოვან ფილტრებში;

სამრეწველო ჩამდინარე წყლების არათანაბარი წარმოქმნის შემთხვევაში გამწმენდ ნაგებობებზე მიწოდებამდე მათ ასაშუალებენ კონცენტრაციის მიხედვით სხვადასხვა კონსტრუქციის გამასაშუალებელში.

დალექვის მეთოდი ნალექის დუღილთან ერთად გამოიყენება კომბინირებულ ნაგებობებში მცირე რაოდენობის ჩამდინარე წყლების გასაწმენდად - სეპტიკებში, ორსართულიან სალექარში და გამლიავებელ დამლპობებში. ამჟამად, მექანიკური გაწმენდა, როგორც დამოუკიდებელი მეთოდი, იშვიათად გამოიყენება. ასეთი შესაძლებლობა არსებობს, თუ მხოლოდ მექანიკური გაწმენდის გამოყენებისას, წყალსატევში ჩაშეების პირობებიდან გამომდინარე, ხერხდება წყლის საჭირო ხარისხის უზრუნველყოფა (სამრეწველო ჩამდინარე წყლებისათვის - ხელახლა დაბრუნება ტექნოლოგიურ პროცესში).

ძირითადად, მექანიკური გაწმენდა გამოიყენება როგორც წინასწარი ეტაპი ბიოლოგიური გამწმენდის წინ ან როგორც ჩამდინარე წყლის დამატებითი წმენდა.

ბიოლოგიური გაწმენდის პროცესი ეყრდნობა მიკროორგანიზმების არსებობის უნარს საკვებად გამოიყენონ ჩამდინარე წყლებში გახსნილი ორგანული ნივთიერებები. ორგანული ნივთიერებების ნაწილი გარდაიქმნება წყალში, ნახშირის დიოქსიდში, ნიტრიტ- და სულფატ-იონებში, ნაწილი კი მიდის ბიომასის შესაქმნელად.

ბიოლოგიური გამწმენდი საშუალებები პირობითად შეიძლება დაიყოს 2 ტიპად:

- გაწმენდით, იმ პირობებში, რომლებიც ბუნებრივობაზე ახლოს;
- გაწმენდით, ხელოვნურად შექმნილ პირობებში.

პირველ ტიპს მიეკუთვნება ფილტრაციის და სარწყავი მინდვრები (მიწის ნაკვეთები, რომელშიც გაწმენდა მიმდინარეობს ფილტრაციის ხარჯზე გრუნტის ფენის მეშვეობით), ასევე ბიოლოგიური ტბორები (არაღრმა წყალსატევები, სადაც მიმდინარეობს გაწმენდა, ეყრდნობა წყალსატევების თვითგაწმენდას).

მეორე ტიპს შეადგენებ ისეთი ნაგებობები, როგორებიცაა ბიოფილტრები და აეროტენკები. აღნიშნულ ნაშრომში განიხილება ბიოლოგიური ფილტრები. ბიოფილტრი წარმოადგენს რეზერვუარს გამფილტრავი მასალით, რომლის ზედაპირი დაფარულია ბიოლოგიური აპერიტ (მიკროორგანიზმების კოლონია, რომელსაც შეუძლია ჩამდინარე წყლებიდან ორგანული ნივთიერებების სორბირება და დაუანგვა).

ბიოლოგიური გაწმენდა წარმოადგენს ქალაქის და დასახლებული ადგილების ჩამდინარე წყლების დამუშავების ძირითად მეთოდს. ამასთან არსებობს ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გაწმენდის აერობული და ანაერობული მეთოდი. აერობული წმენდის დროს ხდება მიკროორგანიზმების კულტივირება აქტიურ ლამსა და ბიოაკტივობა.

ბიოაკტივით დროს ბიოფილტრის შემაგრებელზე და აქვს ლორწოვანი წარმონაქმნის ფორმა, რომლის სისქეა 1-2 მმ. ბიოაკტივის სახეობრივი შემადგენლობა უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე აქტიური ლამის. ბიოაკტივი შედგება ბაქტერიების, სოკოების, საფუარის, მწერების მატლების, ჭიების და სხვა ორგანიზმებისაგან.

ბიოლოგიური გაწმენდის ტექნოლოგიურ სქემაში იყენებენ აგრეთვე მეორად სალექარს, რომელიც განთავსებულია ბიოლოგიური გამწმენდი სადგურის შემდეგ ხელოვნურად შექმნილ პირობებში (აეროტენკები, ბიოფილტრები, საციურკულაციო უანგვითი არხები, ბიოტენკები და სხვ.) და ემსახურება აქტიური ლამის ან მკვდარი ბიოაკტივის გამოყოფას გაწმენდილი ჩამდინარე წყლიდან.

მეორად სალექარში გაწმენდის (გაღიავების) ეფექტურობა განსაზღვრავს წყლის გაწმენდის საერთო ეფექტს და ბიოლოგიური გაწმენდის გამწმენდი ნაგებობების მოედნის კომპაქტურობა და მარტივი კონსტრუქცია. უარყოფითი მხარეებია - დიდი სიღრმე და ანაერობული პროცესების განვითარება დალექილ აქტიურ ლამშიაგრეთვე

ადნიშნული სალექარის უარყოფითი მხარეა საფხევი მექანიზმების როგორი ექსპლუატაცია.

არსებობს რადიალური სალექარის მოდიფიკაციები, რომელშიც გამოიყენება დაბალგრადიენტური შერევის პრინციპი და გაუმჯობესებული ლამის შემწოვი, რაც საშუალებას აძლევს შეწონილ ნივთიერებათა შემცველობის შემცირებას გაღიავებულ წყალში ბიოაპკის კონცენტრაციის გაზრდას.

ჩამდინარე წყლების დამუშავების ბოლო ეტაპზე ხდება წყლის ქლორით ან ქლორის შემცველი რეაგენტებით გაუსწებოვნება - დეზინფექცია - წყლიდან პათოგენური და სხვა მიკროორგანიზმების და ვირუსების მოცილება. ქლორაგენტებად შეიძლება გამოყენებული იქნას ძირითადად თხევადი ქლორი, ქლორის კირი, პიპოქლორიდები, ქლორის დიოქსიდი. ქლორის წყალში ხსნადობა დამოუკიდებელია ტემპერატურასა და წნევაზე. ატმოსფერული წნევის და ტემპერატურის დროს 140ჩ დროს 1 ლიტრში იხსნება დაახლოებით 3 ლიტრი გაზისებრი ქლორი (9,65 გრ). ქლორისებურ მჟავას გააჩნია დიდი ბაქტერიციდული ეფექტი, რის გამოც ქლორი მჟავე გარემოში უფრო ეფექტურია, ვიდრე ტუტები.

### 3. დასპენა

განხილულია ქალაქებისა და დასახლებული ადგილების ჩამდინარე-საყოფაცხოვრებო წყლების მექანიკური და ბიოლოგიური გაწმენდის შესაძლო პრინციპული სქემა, გამომდინარე ჩამდინარე წყლების საწყისი დაბინძურებისა და კონცენტრაციისაგან. კომპლექსში მექანიკურ გაწმენდასთან ერთად შემოთავაზებულია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების ბიოფილტრისა და მეორადი სალექარის გამოყენება შესაბამის სადეზინფექციო კვანძთან ერთად, რომელიც ხასიათდება გაწმენდის მაღალი ეფექტურობითა (89%) და ნაკლები ენერგოდანახარჯებით.

### ლიტერატურა

1. 6. ნაცვლიშვილი, ლ. კლიმიაშვილი, მ. ნაცვლიშვილი, დ. გურგენიძე. წყალმომარაგებისა და წყალარინების საფუძვლები. ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009, 379 გვ.
2. . . , . . . . . , 1987, 319 .

ვერდოს გრუნტის ზღვრული დაძაბულ-დეფორმირებული  
მდგრადმარეობის ცვლილება სამთო სამუშაოების შესრულების

პროცესი

ტ. კვიციანი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, გ.  
ქოსტავას ქ№77)

**რეზიუმე:** განხილულია სამთო სამუშაოების შესრულებისას ფერდოების მდგრადობის ამოცანის ამოხსნა ზღვრული დაძაბული მდგრადმარეობის მეთოდით, როგორც ფერდოს მასივი შეიცავს შესრულებულ ზედაპირებს  $K'K$  და ' $K$ ' მასასიათებლებით. ამოცანის გადასაწყვეტად დადგენილია აუცილებლობის პირობა, რომ გრუნტის სუსტ კონტაქტის წერტილებში ერთდროულად კმაყოფილდებოდეს ჩვეულბრივი და საეციალური ზღვრული წონასწორობის პირობები. ამასთან  $\tau = f(K, \dots, K, \dots, t)$  ფუნქციონალური დამოკიდებულება განსაზღვრულია ანალიზურულად. ამოცანის გადასაწყვეტად დადგენილია სასაზღვრო პირობები და მიღებულია დამოკიდებულობები, რომლებიც მართებულია არა მარტო ზღვრული დაძაბული მდგრადმარეობისთვის, არამედ ზღვრული წონასწორობის პირობისთვისაც.

**საკვანძო სიტყვები:** ფერდო, გრუნტი, ზღვრული დაძაბულობა.

## 1. შესაბამის


ბუნებრივ მდგრადმარეობაში მთის ქანების მასივები განიცდიან მუდმივი და ძალიან რთული ბუნებრივი ფაქტორების ზემოქმედებას. ძლიერი მოვლენები, როგორიცაა მიწისძვრები და აფეთქებები, მკვეთრად აჩქარებენ მასივში ქანების თვისებების ცვლილებას. ფერდოებზე გზების

გაყვანის და სხვა გათხრითი სამუშაოების შესრულებისას ირლევა ქანებში დამყარებული ბუნებრივი რეჟიმი, იცვლება დაძაბულობის ველი, წარმოიქმნება ღრუები, ქანების გაშიშვლებული ზედაპირები, ჩქარდება ქანების გამოფიტვის პროცესი. წარმოიქმნება ფერდოს მდგრადობის დაკარგვის საშიშროება. ამიტომ გრუნტის მასივების მდგრადობის ანალიზს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მიწის ნაგებობების (ნაყარების, დრმა ქვაბულების, ჯებირების, მიწის კაშხლების და სხვა მსგავსი ნაგებობების) პროექტირების დროს.

გრუნტის ზღვრული დაძაბული მდგრადმარეობის ზოგადი თეორიის კერძო ამოცანას წარმოადგენს ფერდოს გრუნტის მასივის მდგრადობა. ზღვრული წონასწორობის ძირითადი პირობას ფერდოს მასივის ნებისმიერ სიბრტყეზე აქვს შემდეგი სახე [1;3]:

$$\tau = \{(\tau_n)_n\},$$

სადაც და  $n$  მხები და ნორმალური ძაბვებია მოცემულ სიბრტყეზე.



ნახ. 1. მთის ქანების ძვრაზე წინააღმდეგობის გრაფიკი

ეს დამოკიდებულება მთის ნებისმიერი ქანებისთვის ხასითდება მონოტონური მრუდით ABC (ნახ. 1), რომელიც ძაბვების მოცემულ საზღვრებში შეიძლება შეიცვალოს BC წრფით:

$$\ddot{\tau} = K + f \dot{\tau}_n, \quad (1)$$

სადაც, K არის შეჭიდულობა, გამოსახული იგივე ერთეულებში,  $\dot{\tau}$  და  $\dot{\tau}_n$ ; f - ძაბვების მოცემულ ინტერვალზე შიგა ხახუნის კოეფიციენტის საშუალო სიდიდე (ანგარიშში, მიღებულია  $t\tau\dot{\tau}=f$ ), [1].

განვიხილოთ შემთხვევა, როცა ფხვიერი გარემოს ყველა წერტილი იმყოფება ზღვრულ დაძაბულ მდგომარეობაში, რომლის დროსაც მისი შიგა საზღვარი წარმოადგენს დაცურების ზედაპირს.


ფხვიერი გარემოს ზღვრული წონასწორობის ასეთი ამოცანების გადაწყვეტისას არსებობს ორი დაძაბულობა: ჩვევლებრივი და საეციალური - ერთი დაკავშირებულია ვ. ფელენიუსის, კ. ტერცაგის, ნ. მ. გარსევანოვის, ნ. ა. ციტოვიჩის, ლ. ნ. ბერნაციკის და სახვათა სახელებთან, რომლებიც იკვლევდნენ მასივში დაცურების ზედაპირზე ზღვრული წონასწორობის პირობებს თანდათანობით (მიმდევრობით) მიახლოვების მეთოდით, ხოლო მეორე დაკავშირებულია ვ. პენკინის, ლ. პრანდტლის, ფ. კეტერის, ვ. ვ. სოკოლოვსკის, ბ. ი. ნოვორცევის, ც. ც. გოლუშკევიჩის და სხვათა სახელებთან, რომლებიც იკვლევდნენ ფხვიერი გარემოს ზღვრული წონასწორობის პირობებს, როცა მოცემული ზღვრული პირობები ქმნიან არეს, დაფარულს დაცურების ზედაპირის ბადით, რომლის ყოველი წერტილი აკმაყოფილებს ზღვრული დაძაბულობის მდგომარეობის (1) პირობას. მკვლევარების უმრავლესობა ფერდოს მასივს განიხილავს, როგორც ერთგვაროვანს და იზოტროპულს, მხოლოდ ლ. ნ. ბერნიცკი და ვ. ვ. სოკოლოვსკი ითვალისწინებდნენ ანგარიშში მასივში შესუსტებულ ზედაპირების არსებობას, რომელთა სიმტკიცის მახასიათებლები და K' გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ძვრის წინაღობის მახასიათებლი და K სიდიდეები [1;2;4;6;7].

არსებული (1) ზღვრული წონასწორობის პირობისაგან განსხვავებით, იმ შემთხვევაში, როცა ფერდოს გრუნტის განსახილვები წერტილში კმაყოფილდება პირობები:

$$\begin{aligned} \ddot{\tau} &= K' + t g \dots \dot{\tau}_n \\ \ddot{\tau} &< K + t g \dots \dot{\tau}_n \end{aligned} \quad (2)$$

ρ მაშინ მას სპეციალური ზღვრულ წონასწორობის პირობას უწოდებენ [1]. აქ  $n$  და განსაზღვრავენ სიბრტყეებზე ძაბვების განაწილებას და მთავარი ძაბვების მიმართულებას. თუ  $n$ -ის და -ს მნიშვნელობებს ჩავსვამთ ზღვრული წონასწორობის (1) პირობაში, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ სიბრტყეების ორიენტაციის მიმმართველი კუთხეების ცვლილების დროს იცვლება მთავარი ძაბვების სიდიდეებიც, რომლის დროსაც კმაყოფილდება ზღვრული წონასწორობის პირობა. თუ ვ-ს დავტოვებთ უცვლელად, მაშინ სიბრტყეების დახრის კუთხეების ცვლილებისას  $1$  ხან იზრდება ხან კლებულობა. ბუნებრივია, რომ მასივში ზღვრული წონასწორობის მდგომარეობას სწრაფად მიაღწევს ყველაზე სუსტი სიბრტყე, სადაც  $1$ -ის სიდიდე მინიმალურია. ამის ჩვენება ყველაზე ადგილია გრაფიკულად მორის წრეების საშუალებით [3;6].

მე-2 ხახაზე BC წრფითა და აბსცისთა დერმით შემოსაზღვრულია მთის მოცემული ქანებისთვის შესაძლო ძაბვების არე, რომლის ზედა საზღვარი განსაზღვრავს ზღვრულ ძაბვას და რომლითაც განისაზღვრება მთის ქანების ძვრის წინაღობის მახასიათებლი და K სიდიდეები.



ნახ.2. ძაბვების ზღვრული წრე

თუ თანდათანობით გავზრდი 1-ს ანუ შევამცირებ 3-ს, ძაბვების დიდი წრე შეეხება  $BC$  წრფეს რომელიდაც  $M$  წერტილში, რომელიც ამ შემთხვევაში გვიჩვენებს სიბრტყის ზღვრულ მდგომარეობას, ეს სიბრტყე 2-is მიმართულების პარალელურია და დახრილია 1-ის მიმართ  $\nu = \frac{f}{4} - \frac{\varepsilon}{2}$  კუთხით. თუ ვცვლით 2-ის სიდიდეს ჯდან 1- ამდე საზღვრებში, მაშინ წრფის წრეშირთან შეხების მდებარეობა არ შეიცვლება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სანამ უზრუნველყოფილია,  $\tau_3 < \tau_2 < \tau_1$  ან  $\tau_3 < \tau_2 \leq \tau_1$  პირობა, 2-ის სიდიდე არ მოახდენს გავლენას ზღვრულ წონასწორობის მდგომარეობაზე.

მე-2 ნახაზზე გამოყენებული აღნიშვნებით  $M$  სიბრტყის ზღვრული დაძაბული მდგომარეობის პირობით, შეიძლება შევადგინოთ მთავარ ძაბვებისა და სიმტკიცის მახასიათებლებს შორის შემდეგი დამოკიდებულება:

$$\tau_1 = 2K \operatorname{ctg}(45^\circ - \frac{\varepsilon}{2}) + \tau_3 \operatorname{ctg}^2(45^\circ - \frac{\varepsilon}{2}) \cdot \quad (3)$$

თუ  $\varepsilon = 0$ , მაშინ

$$\tau_1 = \tau_0 = 2K \operatorname{ctg}(45^\circ - \frac{\varepsilon}{2}) \cdot \quad (4)$$

ეს გვიჩვენებს წინააღმდეგობას ერთლერდა კუმშგაზე მთის ქანების ნიმუშების რღვევისას, რაც გამოწვეულია ძვრის ძალებით სიბრტყეებზე, რომელებიც დახრილი არიან ნიმუშის ღერძთან  $\varepsilon$  კუთხით.

## 2. ძირითადი ნაშილი

თუ მთის მასივის ბლოკში, რომელიც იმყოფება მოცულობით დაძაბულ მდგომარეობაში, არსებობს შესუსტებული სიბრტყეები (სიბრტყეები  $K'$  <  $K$  და  $' <$  მახასიათებლებით), მაშინ მთავარი ძაბვების მიმართულების მიმართ ამ სიბრტყეების ორიენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ადგილი პქონდეს ზღვრული წონასწორობის შემდეგ სამ შემთხვევას:

1. ერთდროულად კმაყოფილდება ჩვეულებრივი და სპეციალური ზღვრული წონასწორობის პირობა:

$$\left. \begin{aligned} \tau &= K + \operatorname{tg} \dots \tau_n \\ \tau_t &= K' + \operatorname{tg} \dots ' \tau_{n+t} \end{aligned} \right\} \quad (5)$$

როგორც მე-3 ნახაზიდან ჩანს, მოცემული ძაბვების ტენზორის შემთხვევაში ძაბვებს  $N$ ,  $M$  და  $L$ , სიბრტყეებზე ექნებათ ზღვრული მნიშვნელობები, ამასთან  $M$

სიბრტყე, რომელიც იმყოფება ზღვრულ წონასწორობაში, σ₁-თან დახრილი იქნება კუთხით:

$$r = v = \frac{f}{4} - \frac{\dots}{2} \quad (6)$$

ხოლო M და L სიბრტყეები შესაბამისად დახრილია კუთხეებით:

$$r_1 = \frac{1}{2} \left\{ \arcsin \left[ \frac{\sin \dots'}{\sin \dots} \left( 1 - \frac{K \operatorname{ctg} \dots' - K' \operatorname{tg} \dots'}{K \operatorname{tg} \dots + \frac{1}{2}(\dagger_1 + \dagger_3)} \right) \right] - \dots' \right\}; \quad (7)$$

$$r_2 = \frac{f}{2} - \frac{1}{2} \left\{ \arcsin \left[ \frac{\sin \dots'}{\sin \dots} \left( 1 - \frac{K \operatorname{ctg} \dots' - K' \operatorname{tg} \dots'}{K \operatorname{tg} \dots + \frac{1}{2}(\dagger_1 + \dagger_3)} \right) \right] + \dots' \right\}. \quad (8)$$


2. დაკმაყოფილებულია მხოლოდ სპეციალური ზღვრული წონასწორობის პირობა  
 $\begin{cases} \dagger < K + \operatorname{tg} \dots' \dagger_n \\ \dagger_1 = K' + \operatorname{tg} \dots' \dagger_m \end{cases}$  (9)

როდესაც შესუსტებული სიბრტყეები 1-ის მიმართულებასთან აღგენებ  $r_1 < r < r_2$  კუთხეს (ნახ.3), ძაბვების უდიდესი წრე არ ეხება წრფეს' და K' მახასიათებლებით. თუ ზღვრული წონასწორობის (1) პირობაში ჩაგვსვამთ 2-ის პარალელურად მიმართული სიბრტყეზე ჯამური მხები და ნორმალური ძაბვების შემდეგ მნიშვნელობებს:


$$\dagger_n = \dagger_1 \sin^2 r + \dagger_3 \cos^2 r; \quad \ddagger = \frac{1}{2} (\dagger_1 - \dagger_3) \sin 2r.$$

მაშინ მთავარ ძაბვებსა და ძვრის წინაღობის მახასიათებლებს შორის დამოკიდებულება ჩაიწერება შემდეგი სახით

$$\dagger_1 = \frac{\dagger_3 (\operatorname{tg} \dots' \cos^2 r + \frac{1}{2} \sin 2r) + K'}{\operatorname{tg} \dots' \sin^2 r + \frac{1}{2} \sin 2r}. \quad (10)$$



სურ.3. ძაბვების ზღვრული წრე და სიბრტყეების ორიენტაცია, რომლებიც იმყოფებიან ჩვეულებრივი და სპეციალურ ზღვრულ წონასწორობის პირობებში



სურ.4. მთის ქანების ბლოკი და ზღვრული სიბრტყეების ორიენტაცია მასში

3. კმაყოფილდება მხოლოდ ჩვეულებრივი ზღვრული წონასწორობის პირობა:

$$\begin{cases} \ddagger = K + \operatorname{tg} \dots' \dagger_n \\ \dagger_1 < K' + \operatorname{tg} \dots' \dagger_m \end{cases}, \quad (11)$$

მოცემული ძაბვების ტენზორის შემთხვევაში შესუსტებული ზედაპირები შეადგენერა 1-თან კუთხეს  $\gamma_2 > \gamma_1$  (იხ.ნახ.3,4).


ზღვრული დაძაბული მდგომარეობის მეოთვით შეიძლება ამოვხსნათ ფერდოების მდგრადობის რიგი ამოცანები, რომლებიც შეიცავენ შესუსტებულ ზედაპირებს **K'K** და მასასიათებლებით.

ამისთვის აუცილებელია, რომ სუსტ კონტაქტის წერტილებში ერთდროულად კმაყოფილდებოდეს ჩვეულბრივი და სპეციალური ზღვრული წონასწორობის პირობა:

$$\ddot{\tau} = \dot{\tau}_n \operatorname{tg} \dots + K \quad \text{ან} \quad \ddot{\tau} = (\dot{\tau}_n + H) \operatorname{tg} \dots, \quad (12)$$

$$\ddot{\tau}_{nt} = \dot{\tau}_t \operatorname{tg} \dots + K' \quad \text{ან} \quad \ddot{\tau}_{nt} = (\dot{\tau}_n + H') \operatorname{tg} \dots \quad (13)$$

გრაფიკულად ეს პირობა წარმოდგენილია მე-5 ნახაზზე.



ნახ. 5. დაცურების წირის სქემა სამთო სამუშაოების პროცესში  
 ფერდოების ფუძის გამობურცვის არსებობის დროს  
 $MN$  დაცურების ზედაპირი გადაკვეთს სუსტ კონტაქტს და  $M$  წერტილში გააჩნია ძაბვა,  
 რომელიც ძაბვების გრაფიკზე ხასიათდება  $M_A$  წერტილით (ნახ. 5, ბ). იმისათვის, რომ  
 ამ წერტილში ერთდროულად კმაყოფილდებოდეს სპეციალური ზღვრული  
 წონასწორობის პირობა, რომელიც ძაბვების გრაფიკზე ხასიათდება  $M_B$  წერტილით,  
 აუცილებელია, რომ  $M_A$  და  $M_B$  სიბრტყეებს შორის კუთხე ძაბვების გრაფიკზე  
 გამოსახულ თან ტოლი იყოს.

ახლა განვსაზღვროთ ანალიზურულად  $\ddot{\tau} = f(K, \dots, K, \dots, \dot{\tau})$  ფუნქციონალური  
 დამოკიდებულება. ამისათვის მხები და ნორმალური ძაბვების განსაზღვრისათვის იმ  
 სიბრტყეებზე, რომლებიც 1 მიმართულებასთან დახრილი არიან კუთხით; შევცვალოთ  
 მათში ფ-ა სხვაობა -თი (ნახ.6). ვისარგებლოთ [3,4] შრომებში მოყვანილი შემდეგი  
 ფორმულებით:

$$\left. \begin{aligned} \dot{\tau}_n &= \dot{\tau}(1 - \sin \dots \cdot \cos 2S) - H \\ \dot{\tau}_m &= \dot{\tau} \sin \dots \cdot \sin 2S \end{aligned} \right\} \quad (14)$$

ჩავსვათ (14)-დან  $m$ -ის და  $n$ -ის მნიშვნელობები (13)-ში, მივიღებთ:

$$\sin(2S + \dots) = \frac{\sin \dots}{\sin \dots} (1 - \frac{H - H'}{\dot{\tau}}). \quad (15)$$

როგორც 5,ბ ნახაზიდან ჩანს, სპეციალური ზღვრული წონასწორობის დროს  
 სუსტ კონტაქტებში მაქსიმალურ დაძაბულ მდგომარეობას შეიძლება ადგილი პქონდეს  
 მაშინ, როცა  $n$ -ის მიმართულებასა და სუსტ კონტაქტებს შორის კუთხე მეტია  $\epsilon = \pi/4 - \rho/2$ -ზე, ხოლო მინიმალური დაძაბული მდგომარეობა, როცა ეს კუთხე  $-\theta$  ნაკლებია.  
 მინიმალური დაძაბული მდგომარეობა ძაბვების გრაფიკზე ხასიათდება  $M_c$  წერტილით

(ნახ.5,δ). ამიტომ მაქსიმალური დაძაბული მდგომარეობის დროს კუთხე  $(2 + \delta)$  მეტი იქნება  $/2-\theta$  და ამ შემთხვევაში (15) გამოსახულება შემდეგ სახეს მიიღებს:

$$2\dot{S} + \dots' = f - \arcsin\left[\frac{\sin \dots'}{\sin \dots}\left(1 - \frac{H - H'}{\tan \dots}\right)\right]. \quad (16)$$


მე-5 და მე-6 ნახაზებიდან ჩანს, რომ  $\dots = -$  და საბოლოოდ მივიღებთ:

$$\dots' = \frac{f}{4} + \frac{1}{2}(\dots - \dots') - \frac{1}{2}\arcsin\left[\frac{\sin \dots'}{\sin \dots}\left(1 - \frac{H - H'}{\tan \dots}\right)\right]. \quad (17)$$

მინიმალური დაძაბული მდგომარეობის დროს კუთხე  $\theta$ , რომელიც სპეციალურ და ჩვეულებრივ დაძაბულ მდგომარეობაში მყოფ სიბრტყეებს შორის იმყოფება, განისაზღვრება ფორმულით:

$$\dots' = \frac{f}{4} + \frac{1}{2}(\dots - \dots') - \frac{1}{2}\arcsin\left[\frac{\sin \dots'}{\sin \dots}\left(1 - \frac{H - H'}{\tan \dots}\right)\right]. \quad (18)$$

(17) და (18) განტოლებების შედარებით ადვილად დავრწმუნდებით, რომ ძაბვების ნებისმიერ მნიშვნელობისათვის ადგილი ექნება შემდეგ ტოლობას:  $\dots' = \dots - \dots'$ .



ნახ.6. ჩვეულებრივი და სპეციალურ დაძაბულ მდგომარეობაში მყოფ სიბრტყეებს შორის კუთხის განისაზღვრა.

ნახ.7. კონტაქტური ფენების სპეციალური დაძაბული მდგომარეობაში მყოფი ამოზნექილი ქანობის დაცურების ზედაპირის ბადვები.

(17) დამოკიდებულების განხილვისას შეიძლება დავადგინოთ, რომ -ს გაზრდით ზეუდებები მცირდება, ხოლო ჩაზნექილ პროფილის ფერდოებში ზედაპირიდან დაშორებისას ეს კუთხე ერთდორულად იზრდება  $\sigma$ -ს ზრდასთან ერთად. აქედან გამოდინარეობს, რომ ჩაზნექილ ქანობში სპეციალური ზღვრული წონასწორობის მდგომარეობა შეუძლებელია.

ამოზნექილ პროფილის ფერდოებში 1-ის მიმართულებასა და შესუსტებულ სიბრტყეებს შორის კუთხე (პორიზონტალური ან დახრილი) ფერდოს ზედაპირიდან დაშორებისას მცირდება და ამიტომ ეს ფერდოები შესუსტებული ზედაპირების არსებობის შემთხვევაში შეიძლება ვიანგარიშოთ ზღვრული დაძაბულ მდგომარეობის მეოთხით.

მე-7 ნახაზზე გამოსახულია ფენოვანი ქანებით შემდგარი ამოზნექილი პროფილის ფერდოს დაცურების ზედაპირის ბადვები, რომელთა ფენების კონტაქტებთან  $K' < K$  და  $\rho' < \rho$ .

ამოზნექილი პროფილის ქანობის გაანგარიშების დროს, როცა სამთო სამუშაოების შესრულების გამო არსებობს შესუსტებული ზედაპირები, სასაზღვრო პირობას წარმოადგენს (17)-თან ერთად შემდეგი ტოლობები:

$$\{ = \frac{f}{2}; \quad \dagger = \dagger_0 = \frac{\dagger_0 + H}{1 + \sin \dots} = \frac{H}{1 - \sin \dots} = \frac{\operatorname{ctg} \dots}{1 - \sin \dots} \quad (19)$$

(19) ტოლობები გარემოს ზღვრულ დაძაბულობის ზედაპირზე, ხოლო (17)-შესუსტებულ ზედაპირზე.

მე-7 ნახაზზე მოყვანილ მაგალითზე - სუსტ კონტაქტებში დაძაბული მდგომარეობა მაქსიმალურია. სიბრტყეებზე, რომლებიც იმყოფებიან სპეციალურ ზღვრულ წონასწორობაში, მაქსიმალური დაძაბული მდგომარეობა შეიმჩნევა იმ შემთხვევებში, როცა ციცაბოდ დაშვებული სუსტი ზედაპირები გადაკვეთენ აქტიური წნევის პრიზმას და მაშინ, როცა შესუსტებული ზედაპირები გადაკვეთენ ამობურცვილ პრიზმას.

### 3. დასპენა

(17) და (18) ფორმულები მართებულია არა მარტო ზღვრული დაძაბული მდგომარობისთვის, არამედ ზღვრული წონასწორობის პირობისთვისაც; ამ ფორმულებით შეიძლება ვისარგებლოთ ძალიან სუსტი ფენოვანი ქანებისაგან შემდგარ ფერდოებზე ზედაპირების აგებისას.

### ლიტერატურა

1. Арсентьев А.И. Букин И.Ю. Мироненко В.А. Устойчивость бортов и осушение карьеров. М., Недра. 1992, 164 с.
2. Хуан Я.Х. Устойчивость земляных откосов. М., Стойиздат. 1998, 236 с.
3. Фисенко Г.А. Устойчивость бортов карьеров и откосов. М.: Наука, 1985. – 380 с.
4. Соколовский В.В. Статика сипучей среды. М.: Физматгиз, 1960. – 366 с.
5. Kvitsiani T.A. Natural factors promoting the occurrence of snow avalanches'. GEN, No. 3, Tbilisi, 2000. I: 15-20.
6. ინტერნეტსაიტების მონაცემები.
7. კვიციანი ტ. ფერდოს მდგრადობა და ზვავისებრი ნაკადები. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2000. 140 გვ.

## ნაბვის დასაწყავი სადგურები ბარემოს მინიმალური დაჭურებიანებით

რ. იმედაძე, ლ. ბერიძე, თ. მალრაძე  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას № 77,0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ხტატია მოიცავს ამ საკითხის გადაწყვეტისათვის უცხო ქვეყნების გამოცდილებას: კერძოდ განხილულია ასეთი სადგურების მუშაობის პრინციპი და კონსტრუქციული შემადგენლობა. მოცემულია ამ საკითხის გადაწყვეტის აქტუალურობა ჩვენი ქვეყნისათვის, ისე რეკომენდაციებიც, ასევე აღნიშნულია ნაგავსაწვავ სადგურებში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები და მათი კონსტრუქციული თავისებურებები.


**საკვანძო სიტყვები:** სარეცხელა, ნარჩენები, ნაწილაკები, პლასმასები, ღუმელი, კერტილიატორი.

### 1. შესავალი

დღევანდელ დღეს საქართველოს უმეტეს დასახლებულ პუნქტებში მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების დაწვით განადგურება, რაც აჭრებიანებს გარემოს ორგორუ კვამლით, წვის ნარჩენებით, მაგნე აირებით ისე კვამლში შემავალი წვის ნაწილაკებით, ეს პრობლემა დგას არა მარტო ჩვენი ქვეყნის წინაშე, არამედ უმეტეს ქვეყნებში. ნაგვის და ნარჩენების დაწვა მიმდინარეობს ლიად მიწის ზედაპირზე და წვის პროდუქტები ქარის საშუალებით ვრცელდება დიდ ტერიტორიაზე, რაც კიდევ უფრო აბინძურებს ჰაერს, განსაკუთრებით ქალაქებთან ახლოს და იწვევს სხვადასხვა სახის დაავადებებს. ამ საკითხის მოგვარებას მსოფლიოს ქვეყნებში სხვადასხვა მეთოდით ებრძვიან. ერთ-ერთია ნაგვის და ნარჩენების დაწვა სპეციალურ სადგურებში, რომელთაც დიდი გავრცელება ჰპოვა აშშ-ის მცირე ზომის ქალაქებში დაახლოებით  $20 \div 30$  ათასი მცხოვრებლებით. მათი გამოცდილების გაზიარება და გადმოდება ჩვენი ქვეყნისათვის მეტად სასარგებლო და ხელსაყრელია.

### 2. ძირითადი ნაწილი

ნაგვის და ნარჩენების დასაწვავ სადგურებში ღუმელების აშენების დროს აუცილებელად უნდა იქნას გათვალისწინებული ისეთი დანადგარების გამოყენება, რომლებიც დაიცავენ ჰაერს დაჭუყიანებისაგან. ამერიკაში ამ მიზნით იყენებენ ნაგვისსაწვავ დანადგარებს, რომლებიც დამზადებულია პლასტმასისიგან, რომელთა გამოყენებამაც მინიმუმადე დაიყვანა კოროზიის საშიშროება და ატმოსფეროში ჭუჭის გაფრქვევა. ასეთი დანადგარის წარმადობა არის 10 ტ/დღე დამეში. სარეცხელების სისტემა ასეთ დანადგარებში გათვლილია 30 მ<sup>3</sup>/წმ გაზის ხარჯით და 4 მ<sup>3</sup>/წმ წყლის ორთქლზე ტემპერატურით 845°C. გამავალი აირი შედის სარეცხელაში (ნახ. 1), რომლშიც დამონტაჟებულია ორი გამაგრილებელი და ორი ავარიული გამაფრქვეველები.



ნახ. 1

წყლის საიმედო და შეუწყვეტელი მიწოდებისათვის საწიროა რამოდენიმე წყარო ნაგვისაწვავ სადგურაში. ტემპერატურა უნდა იყოს  $80^{\circ}\text{C}$ . გახურებული აირი გადადის ტენის მომშირებელში, რომლის სიმაღლე უნდა იყოს 10 მ და დიამეტრი 3 მ. წყალი ტენისმომშორებლიდან გადადის ცირკულიაციურ ტუმბოებში. აირის გაწოვა სუპარატორიდან ხდება გენტილიატორებით 20 მ<sup>3</sup>/წმ-ში სიმძლავრით 20 მ სიმაღლის საკამლე მილში ( $77^{\circ}\text{C}$ ). მილი ნაგვისდამწველ სადგურის სახურავის ზემოთ აღმართული უნდა იყოს 4 მ-ზე.

საერთაშორისო ნორმების მიხედვით მყარი ნაწილაკების შემცველობა აირში უნდა იყოს 0,004%, მოხმარებული ჰაერის 50%-ზე გადაანგარიშებისას.

ამერიკაში ნაგივსაწვავ სადგურზე დაკვირვების შედეგად, როცა გაზის ნიმუშების აღება ხდებოდა საკვამლე მილის ოთხი უბნიდან, გაირკვა, რომ მყარი ნაწილაკების შემცველობა გაზში აღმოჩნდა გაცილებით ნაკლები, მასთან შედარებით, რასაც ნორმები ითვალისწინებდა. ღუმელის შიგნით წვის ტემპერატურის რეგულირება, საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მნიშვნელოვანი რაოდენობით აზოტის ჟანგის წარმოშობა. საქალქო ნაგავში გოგირდის შემცველობა ისედაც მცირეა და აქედან გამდინარე შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ აირი გარეცხილი სარეცხელში არ შეიცავს  $\text{SO}_2$ -ის შესამჩნევ რაოდენობას.

#### ნაწილაკების ჰაერში გაფრქვევის ექსპერიმენტის ცხრილი

ცდის №	გატყორცნილი აირის პარამეტრები			ნაწილაკების შემცველობა აირში %-ში წონის მიხედვით ჰაერის მოსალოდნებლი 50% სიჭარბის შემთხვევაში
	სიჩქარე მ/წმ	ხარჯი მ <sup>3</sup> /წმ	საშუალო ტემპერატურა °C	
1	10,4	19	78,2	0,00761
2	10,3	18,7	79,2	0,00612
3	10,8	19,7	75,5	0,00611
4	10,2	18,4	18,4	0,00710

არმირებული პლასტმასების გამოყენება კოროზიის პრობლემების  
გადასაწყვეტად

ასეთი სადგურების დანადგარებში გამოიყენება არმირებული შუშის ბოჭკოები პოლიეთილენის პლასტიკატებით. ამ პლასტიკატების სამუშაო რეჟიმი ტემპერატურის მიმართ დიდი არ არის, ამიტომ სარეცხელა სადაც შედის აირი 845°C-ით მზდდება გუმირებული ფოლადით და დაფარული მეავეგამძლე აგურით. საკვამლე მიღი, ტენის მომშირებელი და წყალსადენის მიღები დამზადებულია შუშის არმირებული პოლიეთილენის ფისის მიღებით. აირების გარეცხვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს კოროზიულობის გააქტიურების გარემო. გამთბარი აირი შეიცავს სულფატებს, ქლორიდებს, სულფატებს და სხვა. რამდენადაც დანადგარი მუდმივად არ მუშაობს, გაცივების დროს ხდება ჰაერის შეწოვა, ძლიერდება აგრესიული ნივთიერებების კონდენსაცია. ამის გარდა ნაგავთან ერთად იწვება დიდი რაოდენობის პლასტმასის მასა რომლებიც წვის დროს დიდი რაოდენობით გამოყოფენ მარილმჟავას და სხვა ქლორიდებს. ამიტომ უკან დაბრუნებულ წყალს ახასიათებს მეავერი რეაქცია. ანალიზებით დადგენილია რომ მისი სიდიდე PH=3, რაც ნორმაზე მცირეა.

იმ ტიპის ნაგავსარეცხ სადგურებში სადაც გამოყენებულია უჯანგავი ფოლადი, მალე კოროზირდებოდა. სამუშაოს პირობების შესწავლის შემდეგ, დამპროექტებლები მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ დანადგარები უნდა გაკეთდეს პლასტიკებით. მათი გამოყენების უპირატესობას ამაგრებს შემდეგი მონაცემები:

1. პლასტიკატებს ახასიათებს კოროზიამედეგობა და დიდი ხნის გამძლეობა;
2. პლასტიკები უფრო იაფია უჯანგავ ფოლადტან შედარებით და გაცილებით იაფია ტიტანთან და სხვა შენაერთებთან;
3. პლასტიკები მსუბუქია, რაც საყრდენი კონსტრუქციების გამარტივების საშუალებას იძლევა;
4. მიმდინარე რემონტების შემცირება გარეთა მიპორკეთებებში შესაძლებელია პლასტიკების გამოყენების დროს რამდენადაც ისისნი კარგად მუშაობენ ატმოსფერულ ზემოქმედებებზე.

დღეისათვის უველაზე კარგად მიჩნეულია ამერიკელი ნაგვის საწვავი სადგურები. ინჟინრების მიერ შექმნილ სადგურებში კოროზირებული აქტივობებისა და ნაგვის არაერთგვაროვნების გათვალისწინებით შერჩეული იქნა “ატლას-382” პლასტიკატები, რომლებიც უველაზე მატად გაამართლა და ბევრი ქვეყანა ამ ნაგვის საწვავ სადგურებს იყენებს. კარგი იქნება თუ ჩვენი ქვეყანაც ასე მოიქცევა.

### 3. დასპანა

ჩვენს ქვეყანაში დასახლებულ პუნქტებში, ერთ-ერთი პრობლემა გახდავთ ნაგვის და სხვა ნარჩენებისაგან განთავისუფლება. ამ საკითხის გადასაწყვეტად შესაძლებელია გამოყენებული იქნას საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. ამ საკითხის გადაწყვეტაში განსაკუთრებით წარმატებულია აშშ, რომელთა გამოცდილება მცირე და საშუალო დასახლებულ პუნქტებისათვის (30000) მცხოვრებლამდე, სასურველი იქნება და ამ საქმისათვის ნაგვის დასაწვავი სადგურების შეძენა გაცილებით იაფი დაუჯდა ქვეყანას ვიდრე ახლის შექმნა.

### ლიტერატურა

1. ი. ბეიკას – ფირმა “ე შარფ ენდ ბეიკას”. ინჟინერ-კონსულტანტები – “ნაგვის წვის სადგურები”. 1998 წ.

რპინაბეტონის გადასული პარასული შენობები და მათი  
სისმომძღვანი განვითარების არსებული პრობლემები

დ. გურგენიძე, ლ. კახიანი, მ. სულაძე  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77,  
0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** წინამდებარე სტატიაში გადმოცემულია შენობების პროექტებისა და  
მშენებლობის პროცესების სემური რეგიონებისათვის, გაანგარიშების  
მეთოდების სრულყოფისათვის კვლევების მიმართულებები და ამოცანები.

**საკვანძო სიტყვები:** სეისმომძღვანი, სიხისტე, დეფორმაცია, შენობის  
ნერგა, დინამიური მახასიათებლები გაანგარიშების მეთოდი, მზიდუნარიანობა.

## 1. შესაბამისობა

მიწისძრვა ეს არის სტიქიური უბედურება, რომელიც თავს ატყდება დედამიწის  
მრავალ რეგიონს და სულ რამდენიმე წამში ანადგურებს შენობა-ნაგებობებს,  
ზღვაში იწვევს გიგანტური სიდიდის ტალღებს, ხმელეთზე მეწყერებს, მოებში  
კლდოვანი ქანების ჩამონგრევას, მდინარეების კალაპოტის შეცვლას, არსებული  
ტბების განადგურებასა და ახლის წარმოქმნას, დიდ მატერიალურ ზარალს,  
ადამიანთა მსხვერლს.

საქართველოს ტერიტორია აქტიურ სეისმურ რეგიონში, კერძოდ, ხმელთაშუა  
ზღვის აკვატორიუმში მდებარეობს, სადაც მიწისძვრებს რეგულარული ხასიათი  
აქვს და ხშირად დამაგნიტული ძალისაა. მე-20 საუკუნეში მიწისძვრაში  
იმსხვერპლა 530 000 ადამიანი მხოლოდ ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის  
რეგიონში. გარდა ამისა, (ნახ. 1) აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა საკუთრებასა  
და ეკონომიკას. მკვლევარები ცდილობდნენ და დღესაც აგრძელებენ კვლევებს  
ახალი სეისმომძღვანი შენობების შესაქმნელად




ნახ. 1. მიწისძვრის მედეგი.

## 2. ძირითადი ნაწილი

უკანასკნელი 40 წლის მანძილზე მიწისძვრების უკეთესად შესწავლა და ამ ხნის განმავლობაში დაგროვებულმა გამოცდილებამ განაპირობა ახალი გაუმჯობესებული სეისმური ნორმების შექმნა, რომელიც დამყარებულია გაანგარიშების დინამიურ მეთოდებზე, ეფუძნება სეისმური აჩქარების სპექტრულ მრუდებს და სწორედ შერჩეული შენობის დინამიურ მახასიათებლებს, როგორიცაა საკუთარი რხევის პერიოდი, ფორმა და რხევის დეკრემენტი, დინამიურობის კოეფიციენტი; გარდა ამისა, შენობა-ნაგებობათა საანგარიშო სქემა, სიხისტო მასების განაწილება, გრუნტის აჩქარება და სხვა. [ 1 ]

შეიქმნა გაანგარიშების მრავალი მეთოდი, შენობა-ნაგებობების ახალი სქემები, რომლებიც უზრუნველყოფენ შენობების უსაფრთხო ექსპლოატაციას. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გახლავთ კარკასული სქემა, რომელიც სასიათდება მრავალფეროვნებით.



ნახ.2. კარკასული შენობების კონსტრუქციული გადაწყვეტის სახეები

მაღლივი კარკასული შენობები წარმოადგენს რთულ სივრცით სისტემას, რომელიც შედგება ბრტყელი ვერტიკალური ცალკეული ელემენტებისაგან – ჩარჩოებისაგან, დიაფრაგმებისაგან, შეკრული ელემენტებისაგან – ბირთვისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ჰორიზონტალური ელემენტებით, გადახურვებით. შენობის მთელი სისტემა ეყრდნობა დრეკად ფუძეს, რომელიც განიცდის ჰორიზონტალური და ვერტიკალური დატგირთვების ზემოქმედებას. სეისმომედევნობის თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა: გ. ჰაუზმერმა, ი. გოლდენბლატმა, ი. კარაჩინსკიმ, კ. ზავრიევმა, გ. ქარცივაძემ, შ. ნაფეტვარიძემ, ს. მედვედევმა, ა. ნაზაროვმა, ს. პოლიაკოვმა და სხვებმა.

ბოლო წლებში დიდი ყურადღება მიექცა სეისმური ძალების გამოთვლას რეალური აქსელოგრამების გამოყენებით; შეიქმნა გაანგარიშების ახალი მეთოდები, როგორიცაა “პუშოვერის” მეთოდი და სხვა.

მსოფლიოს სეისმურად აქტიური რეგიონებისთვის დამუშავებულ იქნა სამშენებლო ნორმები და წესები, სეისმომედევნი შენობების გასაანგარიშებლად.

დამანგრეველი მიწისძვრების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მიწისძვრისგან დაინგრა არა მარტო ადრე აშენებული შენობები, რომლებიც სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით არ იყო გაანგარიშებული, არამედ ახლად აგებული შენობები. ნგრევის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა მათი საანგარიშო მოდელის მზიდი რკინაბეტონის სვეტების რეალური მუშაობა, სეისმური ზემოქმედებისას კონსტრუქციის ფაქტიური დეფორმაციების თავისუბურების გამოვლენა, მათი გათვალისწინება გაანგარიშებისა და დაგეგმარების დროს. შენობათა რკინაბეტონის კონსტრუქციების დეფორმირებაზე [3] ყველაზე დიდ გავლენას დატვირთვის ნიშანცვლადი ზემოქმედება, მასალათა მექანიკური მახასიათებლების ცვლილებები ახდენს, რაც თავის მხრივ ცვლის ბზარწამოქმნის და ზღვრული მდგომარეობის ხასიათს, რომელსაც მივყავართ ელემენტების სიხისტის კლებამდე და საანგარიშო სქემის ცვლილებამდე.

მიუხედავად აღნიშნული პრობლემისადმი დიდი ინტერესისა და კვლევათა მნიშვნელოვანი რაოდენობისა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის სეისმომედეგი მშენებლობის ცენტრებშია მოყვანილი, პრობლემა მაინც არ არის საკმარისად შესწავლილი. ამიტომ, კვლევები ამ მიმართულებით წარმოადგენს სეისმომედეგი მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის მეტად აქტუალურ პრობლემას, რომელიც ითვალისწინებს ძლიერი მიწისძვრის პირობებში რკინაბეტონის შენობების და კონსტრუქციების ქცევის გაანგარიშების რიცხვითი მოდელირების გამოყენებით, [2] დეფორმაციული მოდელების საფუძველზე, სადაც შესწავლილი იქნება რღვევამდე შენობათა დეფორმაციის ყველა სტადია და უზრუნველყოფილი იქნება შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების საექსპლოატაციო საიმედოობა.

### 3. დასპანა

პრინციპები, რომელზედაც აგებულია საანგარიშო მოდელები და კონსტრუქციული სქემები არასრულად ასახავს იმ პროცესების რეალურ ფიზიკურ სურათს, სადაც ვითარდება როგორც ფუძე გრუნტში, ასევე თვითონ შენობაში ინტენსიური სეისმური ზემოქმედებისას. საჭიროა კვლევების გაგრძელება ახალი გაანგარიშების მეთოდების სრულყოფა, რათა სეისმომედეგი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და შენობის პროექტირება დამყარებული იქნას მათ რეალურ ქცევაზე ძლიერი მიწისძვრის დროს.

### ლიტერატურა

1. Я. М. Аизенберг и другие – Сейсмостойкие многоэтажные здания с железобетонным каркасом = издательство АСВ, москва, 2012 стр. 279
2. В.А. Алмазов – проектирование железобетонных конструкций по ЕВРО нормам – издательство АСВ, москва, 2007 стр. 216
3. ჯ. ესაიაშვილი, ლ. კახიანი, გ. სულავა - რკინაბეტონის კონსტრუქციების პლასტიკურ სტადიაში მუშაობის შეფასება - სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №2 (17) 2010 თბილისი გვ. 5.
4. სამშენებლო ნორმები და წესები - „სეისმომედეგი მშენებლობა (პნ 01.01.09) თბილისი, 2009. გვ 166

თანამედროვე სარაჩოების გამოყენების მრავალმხრივი  
შესაძლებლობები  
ი. ქვარაია, ა. ჭიროსმანიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175;  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია, ლითონის თანამედროვე ხარაბოების გამოყენების მრავალმხრივი შესაძლებლობები სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების დროს. მათი სიმტკიცე და უნივერსალურობა, მნიშვნელოვნად ამარტივებს გამაგრების და მონტაჟის სამუშაოებს.

**საკვანძო სიტყვები:** ლითონი, ხარაბო, საყრდენი, გადახურვა, მონტაჟი, ბეტონი, ყალიბი, რემონტი, რეკონსტრუქცია.

## 1. შესავალი

სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს, ხარაბოების ტიპის შერჩევა ხდება სამუშაოთა შესრულების მირითადი ამოცანებიდან (მშენებლობა, რემონტი, რესტავრაცია, გამაგრება და სხვა) და პარამეტრებიდან (შენობის სიმაღლე, მისი კონფიგურაცია, დატვირთვები ხარაბოს 1 კგმ<sup>2</sup>-ზე და ა.შ.), გამომდინარე. ყველა კერძო შემთხვევა ტექნიკურ-ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და ფინანსურ დასაბუთებას მოითხოვს, რადგანაც ხარაბოების ლირებულების ხვედრითი წილი ხშირად მოელი სამუშაოების ლირებულების 3-5% შეადგენს და საკმაოდ მნიშვნელოვან თანხებთან არის დაკავშირებული. სწორად შერჩეული ხარაბები, როგორც წესი ძალიან ამარტივებენ სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესების წარმოებას ობიექტზე და საგრძნობლად აჩქარებენ სამუშაოთა შესრულების ვადებს. ადრე ძირითადად ხის ხარაბები გამოიყენებოდა, რომელთა აგება დიდ მატერიალურ და შრომით დანახარჯებს მოითხოვდა, შეუძლებელი იყო მათი მრავალჯერადი გამოყენება და საიმედოდ დამონტაჟება. ამჟამად სამშენებლო პრაქტიკაში, ფართოდ გამოიყენება ლითონის სხვადასხვა ტიპის ხარაბები.

## 2. ძირითადი ნაშილი

უკანასკნელ წლებში, დიდი ობიექტების მშენებლობის დროს განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება მილოვანი ლითონის ჩარჩოვანი ხარაბები, რომლებმაც თავისი სიმტკიცითი მახასიათებლებიდან გამომდინარე ძალოვანი ხარაბოების სახელი დაიმკვიდრეს. ისინი გამოირჩევიან სიმსუბუქით, მონტაჟის სიმარტივით. ხრახნიანი საყრდენი და დამამთავრებელი სპეციალური ელემენტების საშუალებით ადვილად ხდება ხარაბების სისტორის და მათზე დაყრდნობილი საყალიბე სისტემების ან კონსტრუქციული ელემენტების პორიზონტალურობის გასწორება და შენარჩუნება. მათი გამოყენება წარმატებით ხდება მყარი სივრცითი კარკასების ასაგებად, საყრდენების, კონსტრუქციების დროებითი გაძლიერების მოსაწყობად და ა.შ.. ეს ბევრი პრობლემის მარტივად და სწრაფად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა მშენებლობაზე, რომელთა ერთი ნაწილი წარმოდგენილია ქვემოთ.

ძალოვანი ხარაჩოები, განსაკუთრებით დიდ გამოყენებას პოულობს ძველი შენობების სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების დროს. მზიდი კონსტრუქციების დროებითი გამაგრების მიზნით სპეციალური საყრდენებისა და გაძლიერების ელემენტების დამონტაჟების ნაცვლად საკმარისია ხარაჩოს სივრცითი კარკასის აგება, რომელზეც ხდება ვერტიკალური დატვირთვების გადაწილება (ნახ.1).

სწრაფად და ზუსტად ხდება რკინაბეტონის ნებისმიერი სირთულის სართულშუა გადახურვების საყალიბე სისტემის აგება დიდ ფართზე (ნახ.2).

უკიდურესად გამარტივებულია მონოლითური დიდმალიანი რკინაბეტონის კონსტრუქციების, მაგალითად ეპლესია-მონასტრების გუმბათ-თაღოვანი ელემენტების მოწყობა, როდესაც სამუშაოების წარმოების პროცესში ვერტიკალური დატვირთვა მთლიანად ხარაჩოებზე გადადის (ნახ.3).

გარდა ზემოთაღნიშნულისა, ძალოვანი ხარაჩოები დიდი წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დროებითი მზიდი სივრცითი კარკასების ასაგებად და ნებისმიერ დონეზე სამუშაო ადგილების მოსაწყობად. მათი მონტაჟის შემდეგ იქმნება მყარი კარკასული ნაგებობა, რომელზეც ადვილია ასასვლელი კიბეების და მრავალდონიანი გადასვლელების მოწყობა (ნახ.4).




ნახ.1. ძალოვანი ხარაჩოების გამოყენება გადახურვის ელემენტების საყრდენად



ნახ.2. სართულშუა გადახურვის ფილის საყალიბე სისტემის მოწყობა დიდ ფართზე



ნახ.3. გუმბათ-თაღოვანი კონსტრუქციების აგება ძალოვანი ხარაჩოებით



ნახ.4. ძალოვან ხარაჩოებზე კიბეების და გადასასვლელების მოწყობა

### 3. დასპეციალურობები

1. დიოთონის ძალოვანი ხარაჩოების მოხმარების პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე აშკარაა მათი მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობები, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ტექნოლოგიური პროცესების წარმოებას ნებისმიერი სირთულის შენობების აგების, სარემონტო და სარესტავრაციო სამუშაოების შესრულების დროს. ასეთი ხარაჩოებით ადვილად ხდება მძლავრი სივრცითი კარგასული სისტემის შექმნა და მათი დროებით საყრდენებად გამოყენება.

### ლიტერატურა

1. ი. ქვარაია, გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების წარმოება უკიდურესად შეზღუდულ პირობებში მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. 2016. 100გვ.

შენობათა ფასადის კედლებში კარ-ფანჯრის ბლოკების ჩამაზრების  
საკითხისათვის

შ. ბაქანიძე, ლ. ზამბახიძე, გ. შალიტაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175 თბილისი,  
კოსტავას 77)

**რეზიუმე:** განხილულია შენობათა ფასადის კედლების ღიობებში კარ-ფანჯრის ბლოკების ჩამაგრების საკითხი. რიცხვითი მაგალითის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ მათზე ქარის საანგარიშო დატვირთვის განსაზღვრისას შენობის აღგიღმდებარეობის ტიპის და სიმაღლის გათვალისწინების გარდა, საჭიროა სამაგრის დიუბელების შემოწმება არა მხოლოდ ჭრაზე, არამედ ღუნგაზეც. **საკვანძო სიტყვები:** ქარის დაწევა, კარ-ფანჯრის ბლოკები, სამაგრის დიუბელები, შემოწმება ჭრაზე, შემოწმება ღუნგაზე.

## 1. შესაბამისობა


როგორც ცნობილია, შენობის ფასადის კედლის ღიობებში კარ-ფანჯრის ბლოკებს ამაგრებენ პლასტმასის დიუბელებში ჩახრახნილი ფოლადის სჭვალებით. სშირად მათი დიამეტრისა და რაოდენობის შერჩევისას არ ითვალისწინებენ კარ-ფანჯრის ბლოკზე ქარის დაწევის საანგარიშო მნიშვნელობის ცვლილებას შენობის აღგიღმდებარეობის ტიპისა და სიმაღლის მიხედვით.

გარდა ამისა, არ ხდება სამაგრის დიუბელების შემოწმება ჭრაზე (როცა ბლოკი მჭიდროდაა განთავსებული ღიობებში) და ღუნგაზე (როცა ბლოკისა და ღიობის ფერდობებს შორის არის დრეჩო).

წინამდებარე სტატიაში, რიცხვითი მაგალითის საფუძველზე, ნაჩვენებია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია.

## 2. ძორითადი ნაშილი

თბილისის ერთ-ერთ მშენებლობაზე, 30 მეტრის სიმაღლის რეკონსტრუირებად შენობაში ჩააყენეს მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკები ზომებით: 260X200 სმ მაშინ, როცა ღიობის ზომები იყო 270X210 სმ, რის გამოც ფანჯრის ოთხივე მხარეს გაჩნდა ღრეჩოები სიგანით 5 სმ. (ფოტო 1, ნახ. 1).




ფოტო 1


ბლოკის დოობებში ჩასამაგრებლად გამოიყენეს პლასტმასის დიუბელებში ჩახრახნილი ფოლადის სჭვალები დიამეტრით 4 მმ, რომლებიც განთავსებული იყო ნახ. 1-ის მიხედვით: 4-4-გვერდებზე და 2-ჩარჩოს ზედა გვერდზე. (ქვედა გვერდის ჩაუმაგრებელობის მიზეზად დაასახელეს მომავალში ამ ადგილზე ფანჯრის რაფის მონტაჟი).

შევამოწმოთ ჩამაგრების საკმარისობა.

ა)



1-1



ნახ.1 ა. ფანჯრის ბლოკი, საერთო ხედი; ბ. კვეთი 1-1

ქარის დატვირთვა ფასადის 1 ზ<sup>2</sup>-ზე (ნორმატიული დატვირთვა 85 კგ/ზ<sup>2</sup>, შენობის ადგილმდებარეობის ტიპი B, სიმაღლე – 30 მ-მდე, სიმაღლის მიხედვით ქარის დატოლის გამათვალისწინებელი კოეფიციენტი – 1,1, დაქარული მიმართულებისათვის):

$$W=85 \cdot 0,8 \cdot 1,1 = 74,8 \text{ კგ/ზ}^2$$

ქარის დატოლა ფანჯარაზე (2,0X2,6 ზ):

$$W=74,8 \cdot 2 \cdot 2,6 = 388,96 \approx 389 \text{ კგ}$$

სჭვალების რაოდენობა - 10 ცალი.

ერთ სჭვალზე მოსული დატვირთვა – სჭვალებზე თანაბრად გადანაწილების შემთხვევაშიც კი (სინამდვილეში, ცხადია, იქნება სხვადასხვა):

$$N=389/10=38,9 \text{ ბბ}$$

სჭვალის შემოწმება ჭრაზე ( $\Phi=4$  ბბ)

$$S = \frac{\pi D^2}{4} = \frac{3,14 \cdot 0,4^2}{4} = 0,126 \approx 0,13 \text{ სმ}^2$$

$$\sigma = 38,9 : 0,13 = 299 \text{ კგ/სმ}^2 < R = 1300 \text{ კგ/სმ}^2$$

ე.ო. პირობა ჭრაზე დაკმაყოფილებულია.

სჭვალის შემოწმება ღუნგაზე: (ნახ. 1 პვეთი 1-1)

სჭვალში აღძრული მღუნავი მომენტი

$$M=38,9 \cdot 0,05=1,95 \text{ კგ\cdotმ}$$

$$W_{\text{საჭ.}} = \frac{M}{R} = \frac{195}{2100} = 0,093 \text{ სმ}^3$$

სჭვალის ფაქტიური წინაღობის მომენტი:

$$W = \frac{\pi d^3}{32} = \frac{3,14 \cdot 0,4^3}{32} = 0,006 \text{ სმ}^3 << W_{\text{საჭ.}} = 0,093 \text{ სმ}^3$$

ე.ო. პირობა ღუნგაზე დაკმაყოფილებული არ არის.

სჭვალის საჭირო დიამეტრი

$$0,003 = \frac{3,14 \cdot d^3}{32}; \quad d^3 = 0,95 \text{ სმ}^3; \quad d = 0,98 \approx 1 \text{ სმ}$$

### 3. დასპანა

შენობის ფასადის კედლების დიობებში კარ-ფანჯრის ბლოკების ჩამაგრებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შენობის ადგილმდებარეობის ტიპი და ქარის დაწესების ზრდა სიმაღლის მიხედვით. გარდა ამისა, სამაგრი დიუბელები შემოწმებული უნდა იყოს არა მხოლოდ ჭრაზე, არამედ ღუნგაზეც.

### ლიტერატურა

1. 2.01.07.-85 . , 1987, . 35

ახალი თაობის გეტონები მშრალ ფინანსურულოვან-ფინანსურულოვან  
შემგვებებზე

ა. ნადირამა, ა. პანკავა

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175;  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია საერთო სამშენებლო ცემენტოვანი ბეტონების განვითარების ეტაპები და ამ ეტაპების შესაბამისად ბეტონის შედგენილობების სრულყოფის საკითხები. დასმულია პრობლემები ახალი თაობის მაღალი სიმტკიცის ბეტონების მიღების შესაძლებლობებზე პიპერპლასტიფიკატორების და აქტიური მინერალური დანამატების საფუძველზე. შესწავლილია კომპლექსური ორგანულ-მინერალური დანამატებიანი მაღალი სიმტკიცის და განსაკუთრებით მაღალი სიმტკიცის ფხვნილოვანი ბეტონის მიღების შესაძლებლობები და ტექნიკური თვისებები. შესწავლილია ამ ბეტონების გამაგრების და სიმტკიცის მატების მექანიზმი და ფხვნილ-მაჩქარებლების მოქმედების კინეტიკა დორდოვან ბეტონებში.

**საკვანძო სიტყვები:** წვრილმარცვლოვანი, ფხვნილოვანი, შემკვრელი.

## 1. შესავალი

ბოლო 60 წლის განმავლობაში საერთო-სამშენებლო დანიშნულების ცემენტოვანმა ბეტონებმა გაიარეს თავისი განვითარების სამი ეტაპი. პირველი ეტაპი დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში და გაგრძელდა 1970 წლამდე. მათ უწოდებენ ძველი თაობის ბეტონებს. თავის შედგენილობაში ისინი შეიცავდნენ ოთხ ძირითად კომპონენტს: ცემენტს, ქვიშას, ლორდს და წყალს. ქიმიური დანამატები ძირითადად გამოიყენებოდა სპეციალური დანიშნულების ბეტონებში, როგორიცაა პუცოლანური, თბომედეგი მინერალური დანამატებით, ასევე ბეტონებში გამამკვრივებელი, ყინვამედეგი, გამაგრების დამაჩქარებელი და შემნელებელი დანამატებით და სხვა. ძლიერი პლასტიფიკატორების გამოყენება ბეტონებში დაიწყო 1969 წლიდან [1].

## 2. ძირიალი ნაწილი

ბუნებრივი ფხვიერი, ფოროვანი და წყალმოონგნილებადი პუცოლანები გამოიყენებოდა პიდროტექნიკურ ბეტონებში. თუმცა მიკროკაუმიწა უკვე ცნობილი იყო, მაგრამ მაღალი დისპერსიულობის და ძლიერი პლასტიფიკატორების უქონლობის გამო მან ვერ პოვდა პრაქტიკაში გამოყენება. 1930 წლიდან პლასტიფიკატორად ძირითადად იყენებენ წარმოების ნარჩენებს: სულფიტო-საფუარის დურდოს, გაორთქლილ საფუარის, სულფიტო-სპირტოვან ბარდას; ლიგნოსულფონატებს – ტექნიკურ ლიგნოსულფონატებს, მოდიფიცირებულ ტექნიკურ ლიგნოსულფონატებს და სხვა.

მეორე გარდამავალი ეტაპი – პირველი თაობის ეფექტური სუპერპლასტიფიკატორების გამოყენების პერიოდია. დაიწყო 1970 წლიდან. აյ ძველი თაობის ბეტონების რეცეპტურა, მოდიფიცირებულია ნაფტალინის და მელამინის ფუძეზე დამზადებული სუპერპლასტიფიკატორით. ასეთი პლასტიფიკატორების წარმოება დღესაც მიმდინარეობს, რის შედეგადაც გარდამავალი პერიოდის პლასტიფიცირებული ბეტონების წარმოების მოცულობა საქართველოში უახლოვდება 100%-იან ზღვრებს. სამწუხაროდ არ მოიპოვება ძველი თაობის

სუპერპლასტიფიკატორის გარეშე ბეტონების წარმოების სტატისტიკური მონაცემები. ჩვენი შეფასებით საქართველოს უმეტეს რაიონებში დღესაც იწარმოება სპ-ს გარეშე ბეტონები. სამწუხაროდ ზოგიერთი მწარმოებლები უყურადღებოდ ტოვებენ ბეტონის რეცეპტურაში მნიშვნელოვან რევოლუციურ გარდაქმნებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საშენი მასლებისა და ნაკეთობების კათედრაზე ტ.მ.დ. პროფ. ა. ნადირაძისა და სხვების მიერ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიური წარმოების ნარჩენების ბაზაზე, საქართველოში პირველად ადგილობრივ მასალებზე დამზადდა შედარებით იაფფასიანი, ამავე დროს საკმაოდ ეფექტური სუპერტლასტიფიკატორი -1 (ს.მ. 1503240, მოსკოვი 1989 წ.).

ეს დანამატი მკვეთრად ზრდის ბეტონის ნარევის ძვრადობას, მაგალითად სსბ და სდბ მაპლასტიფიცირებელი დანამატების გამოყენებისას ნარევის ძვრადობა იზრდება 2-3-ჯერ, ე.ი. 0-2 სმ კონუსის ჩაჯდომიდან 7-8 სმ-მდე, ხოლო სუპერტპატიფიკატორების გამოყენებისასა დენადობა იზრდება 1-ჯერ, ე.ი. 0-2 სმ-დან 20-22 სმ-მდე, ცემენტისა და წყლის ხარჯის ცვლილების გარეშე.

გარდა ამისა სპ იძლევა საშუალებას დავზოგოთ ცემენტისხარჯი 15-25%, ხოლო თუ არ არის საჭირო ცემენტის ეკონომია, შესაძლებელია ბეტონის სიმტკიცის ზრდა 15-20%-ით. ამასთან ერთად იგი ამცირებს ვიბროდამუშავების მაქსიმალურ ტემპერატურას 90°C-დან 60°C-მდე, ზრდის წყალუერნადობას, ყინვაგამძლეობას და ნაკეთობების სახიანი ზედაპირის ხარისხს.

1990 წელი - მეორე თაობის ეფექტური სპ-ის ერის დასაწყისია კარბოქსილატების საფუძველზე, ნაცვლად ნაფტალინისა. მაგრამ ქვიშოვან და ღორღოვან ბეტონების რეცეპტურაში, შედგენილობაში და სტრუქტურაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კარდინალური ცვლილებები მოახდინა 1995 წელს პუცოლანების, მიკროკაუმიწის, მუვენაცრების და ქვის ფქვილის შემოსვლამ [2]. ამ პერიოდში საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში ბეტონი მრავალკომპონენტიანია, შეიცავს 6-7 კომპონენტს: მიკროკაუმიწას და დისპერსიულ მავსებლებს - კვარცოვან (მიკროკვარცი) და ქვის ფქვილს (ბაზალტი, გრანიტი, კირქვა და სხვა). საქართველოში ახალი თაობის ბეტონები დღესდღეობით არ იწარმოება.

ფხვნილოვანი აქტივაცია მეორე გარდამავალ პერიოდში და მესამე პერიოდის დასაწყისში არ გამოიყენებოდა. მაგრამ ამან ვერ მოახდინა სუპერპლასტიფიკატორებით პლასტიფიცირებული ბეტონის ნარევის რეოლოგიის კარდინალური ცვლილება. მისი ძირითადი დანიშნულება იყო გარდამავალი თაობის ბეტონებში ცემენტის ხარჯის შემცირება აქტიური წვრილმარცვლოვანი მავსებლის ხარჯზე. ის ითვალისწინებს წმინდა დისპერსიული მავსებლების შეყვანას ცემენტში 10-40%-ის რაოდენობით. ამ დროს მყარდება სიმტკიცის მაქსიმუმი მავსებლის შემცველობის მოცულობით ფუნქციაში.

მესამე პერიოდი ითვალისწინებს მაღალი სიმტკიცის და განსაკუთრებით მაღალი სიმტკიცის ბეტონების მიღებას - გარდამავალი თაობის ბეტონებში მნიშვნელოვანი რაოდენობით დისპერსიული ფხვნილისებური მავსებლის, აუცილებელი რაოდენობის მიკროკაუმიწის და წვრილმარცვლოვანი ქვიშის (ფრაქციით 0.1-0.5 0.16-0.63 მმ) დამატებით, რომელსაც უწოდებენ ფხვნილად-აქტივიზირებულ ბეტონებს.

წვრილმარცვლოვანი და ღორღოვანი ბეტონების ფხვნილოვანი აქტივაცია შეიძლება განხორციელდეს მზა მშრალ ცემენტ-დისპერსიული ნარევის საფუძველზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები ბეტონის ტექნიკაში აღინიშნა განსაკუთრებით მაღალი სიმტკიცის (150-200 მპა) ბეტონების დანერგვით [3-4]. ასეთი ბეტონების დასამზადებლად გამოიყენება არა ზემადალი მარკის სუპერცემენტები, არამედ ტრადიციული ცემენტები მარკით 500-550 (კლასით 42.5-52.5). თვითგანდვრადი და

თვითგამკვრივებადი ბეტონის ნარევის რეოლოგიური თვისებები ყველაზე უფრო სრულყოფილად ჩანს წვრილდისპერსიულ მინერალ-ცემენტ-წყლის სისტემებში ბოლო თაობის პიპერპლასტიფიკატორებით (პპ). მინერალ-ცემენტოვან დისპერსიაში რეაქციულად-აქტიური პუცოლანური დანამატების – მიკროკაუმიწის, მაღალდისპერსიული მეტაკარბონის – დამატება ხელს უწყობს ბეტონში „ბალასტურ“ პიდროლიზური  $\text{Ca}(\text{OH})_2$  – პორტლანდიტის შეკავშირებას დამატებით მაცემენტირებელ ნივთიერებად. ეს კი ახდენს სიმტკიცის გაზრდას და ბეტონის ყველა ფიზიკურ-ტექნიკური თვისებების კარდინალური გაუმჯობესებას. უწინარეს ყოვლისა ეს ეხება ფხვნილოვან ბეტონებსაც (ფბ), რომელიც დამზადებულია წვრილმარცვლოვან-ფხვნილოვანი მშრალი ნარევისაგან. ასეთი ნარევები შეიცავს 50–60% ფხვნილოვან (ცემენტი, დაფქული მთის ქანი, ოქსის წანატაცი ნაცრები და წილები, მიკროკაუმიწა) და 40–50% წვრილმარცვლოვან (კვარცოვანი ქვიშა ფრაქციით 0.1–0.6 მმ) – კომპონენტებს.

მშრალი წვრილმარცვლოვან-ფხვნილ-ბეტონის ნარევის დასამზადებლად გამოყენებული იქნა: ცემენტი კასპის ქარხნიდან; დაფქვილი ქვიშა (ქდ) ხვედრითი ზედაპირით 1400–4000 სმ<sup>2</sup>/გრ საჩხერის ადგილმდებარების; წვრილმარცვლოვანი ქვიშა ფრაქციით 0.16–0.63 მმ (ქწ); მიკროკაუმიწა გრანულირებული ნოვოკუზნეცკის ფეროშენადნობთა ქარხნიდან და პიპერპლასტიფიკატორი პოლიკარბოქსილატოვან ფუძეზე. ამ ბეტონების კომპონენტების ერთმანეთში შერევა ხდებოდა მიქსერულ შემრევში წინასწარ დოზირებულ წყალში 5–6 წუთის განმავლობაში. ნარევის ჩამოსხმა დანიშნულების შესაბამისად მოხდა ყალიბებში ზომით 40x40x160 მმ, 100x100x100 მმ, 70x70x280 მმ.

გამოცდის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 1.

#### ცხრილი 1

შედგენილობის №			1	2	3	4	5	6	7	
ბეტონის ნარევის შედგენილობა	მშრალი ფხვნილოვანი ბეტონის ნარევის	ც	722	738	497	391	480	480	320	
		ქდ	332	380	374	293	260	260	235	
		მკ	79	73.2	–	39	52	–	22.2	
		ქწ	1046	1042	400	547	485	480	351	
ჰპ, % ცემენტის წონიდან			0.9	0.9	0.9	0.9	0.75	0.75	0.9	
$\bar{x}/\sigma$ ( $\bar{x}/\text{მკ}$ )			0.3	0.23	0.31	0.39	0.33	0.32	0.376	
			(0.1)	(0.08)	(0.06)	(0.07)	(0.06)	(0.06)	(0.048)	
ბეტონის ნარევის მოცულობითი მასა, კგ/მ <sup>3</sup>			2376	2285	2365	2425	2505	2530	2534	
სიმტკიცე კუმშვაზე			52	–	52	–	55,6	45,0	66	

მშრალი ნარევის რეცეპტურა შეიძლება იცვლებოდეს და შეიცავდეს არა 5, არამედ 4 კომპონენტს: ცემენტი, დაფქული ქვიშა, მიკროკაუმიწა და სუპერპლასტიფიკატორი. ამ შემთხვევაში ის შეესაბამება ევრაზიის სტანდარტს 3108–2003. ამ სტანდარტით შემკვრელი შეესაბამება ცემენტს, რომელშიც კლინკერის შემცველობა არ აღემატება 35%-ს. ასეთ ცემენტებს არ აწარმოებს საქართველოს არცერთი ცემენტის ქარხანა, თუმცა უკვე 10 წელზე მეტია რაც მოქმედებს სტანდარტის შესაბამისად ხდება ამჟამად ქალაქ

ქუთაისში გ.წ. „ახალი ცემენტის“ წარმოება თბოელექტროსადგურის წანატაც ნაცრებზე და წილებზე და მინერალ სპონგოლითზე მათი ქიმიური აქტივაციით.

### 3. დასპპა

1. მშრალი წვრილმარცვლოვანი-ფხვნილოვანი ნარევის გამოყენება ყველა სახის ახალი თაობის ბეტონების მისაღებად რეაქციული-ფხვნილისებური, ფხვნილ-აქტივიზირებული ქვიშოვანი და ფხვნილ-აქტივიზირებული დორდოვანი შესაძლებლობას იძლევა ავამაღლოთ ბეტონის სიმტკიცე 120–160 მპ-მდე, ხოლო ბოჭკობეტონების 160–240 მპ-მდე და შევამციროთ ცემენტის ხვედრითი ხარჯი. ეს განაპირობებს მშენებლობაში და ბეტონის წარმოების თანმხლებ დარგებში მნიშვნელოვან ეკონომიას;
2. ზოგიერთი სპეციალისტების შეშფოთება ბეტონზე, რომელიც დაკავშირებულია ბეტონის ხანგრძლივი ექსპლოატაციის დროს სიმტკიცის კარგვაზე, ითვლება უსაფუძლოდ. ახალი თაობის ბეტონები არ აქვეითებენ სიმტკიცეს ხანგრძლივი გამაგრებისას და არ შემცირდება მათი სიმტკიცე დროში;
3. ახალი თაობის ბეტონების წარმოებისათვის ცემენტის ქარხნებმა უნდა აითვისონ კომპოზიციური ცემენტების დამზადება ევრაზიული სტანდარტის 3108–2003-ის შესაბამისად. მსხვილ სამშენებლო კომბინატებს, ბეტონის და რკინაბეტონის ქარხნებს შეუძლიათ გადავიდნენ ახალი თაობის ბეტონების წარმოებაზე, თუკი აითვისებენ თავიანთ საწარმოებში მშრალი რეაქციულ-ფხვნილოვანი ნარევების დამზადებას.

### ლიტერატურა

1. ა. ნადირაძე “საშენი მასალები და ნაკეთობები”. თბილისი 2014 წ. გვ. 97;
2. Kleingelhofer P. Noue Betouverflissiger auf Basis Polycarboxylat // Proc. 13. Ybasil. Weimar. 1997. Bd. 1. Pp. 491-495.
3. Калашников В. И., Иванов И. А. О структурно-реологическом состоянии предельно разжиженных высококонцентрированных дисперсных систем // Труды IV Национальной конференции по механике и технологии композиционных материалов. София: БАН, 1985. С. 127-130.
4. Richard P., Cheurezy M. Composition of Reactive Powder Concrete. Scientific Division Bougies // Cement and Concrete Research. 1995. Vol. 25. №7. Pp. 1501-1511.
5. კანკავა ვ.ა. დაბალი წყალმოოხვილების ცემენტების წარმოება ქვანახშირის სამთოგამდიდრების ნარჩენების ბაზაზე სუპერპლასტიფიკატორის C-3-ის გამოყენებით // ქუთაისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები, 2000. 3-7 გვ.

ქარის ძრავების სახეობები  
ა. ახვლედიანი, ა. გოგოლაძე, გ. ახვლედიანი.

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** ქვე-ს (ქარის ელექტრო დანადგარი) ზომების და მათი კოშკების გამაღლების წყალობით, ქარის მაღალი პოტენციალის მქონე ადგილებში, მათი ნომინალური სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი შეადგენებ 24-25%, ხოლო 2018-2020 წლებისთვის იგეგმება მისი მნიშვნელობის მიღწევა 28%-დან მანამედროვე ქვე უმაღლეს ეფექტიანობას აღწევენ მრავალაგრეგატიან ქვე-ს შემაღვენდობაში მათი ოპტიმალური განთავსების პირობებში (ქარის მიმართულებისა და ადგილის ტოპოგრაფიის გათვალისწინებით).

**საკვანძო სიტყვები:** ქარის ელექტრო დანადგარი, ფრთიანი ძრავები, კარუსელური ძრავები, ორთოგონალური ძრავები.

## 1. შესაბამისობა

ქარი ყველგან უბერავს – ხელეთზე და ზღვაზე. ადამიანი თავიდან ვერ მიხვდა, რომ ჰაერის მასების გადაძვილება დაკავშირებული იყო ტემპერატურის არათანაბარ ცვლილებასთან და დედამიწის ბრუნვასთან, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი ჩვენი წინაპრებისთვის გამოყენებინათ ქარი ზღვაონსობისთვის. მატერიკის სიღრმეში არ არის ქარის მუდმივი მიმართულება, რადგან ხელეთის სხვადასხვა ნაწილები წლის სხვადასხვა პერიოდში თბება განსხვავებულად, შესაძლებელია ვილაპარაკოთ მხოლოდ ქარის სეზონურ დომინანტურ მიმართულებებზე. ამას გარდა, სხვადასხვა სიმაღლეზე ქარი იქცევა განსხვავებულად, ხოლო 50 მ სიმაღლემდე დამახასიათებელია ცვლადი ნაკადები.

## 2. ძირითადი ნაწილი

ჰაერის ნაკადების საშუალო წლიური სიჩქარეები ასმეტრიან სიმაღლეზე აღემატება 7 მ/წ. თუ კი გახვალთ 100 მეტრიან სიმაღლეზე, გამოიყენებოთ რა ბუნებრივ ამაღლებას, მაშინ ყველგან შეიძლება ქარის ეფექტიანი აგრეგატის დაყენება.

ქარის ყველა ძრავის მოქმედების პრინციპი ერთია. ქარის ზემოქმედებით ბრუნავს ქარის ფრთიანი ბორბალი, გადაცემების სისტემის მეშვეობით გადასცემს რა საბრუნავ მომენტს გენერატორის დერქს, რომელიც გამოიმუშავებს ელექტროენერგიას, ასევე წყლის სატუმბს ან ელექტროგენერატორს. რაც უფრო მეტია ქარის ბორბლის დიამეტრი, ჰაერის მით უფრო დიდ ნაკადს მოიცავს და აგრეგატი უფრო მეტ ენერგიას გამოიმუშავებს.

აქ პრინციპული სიმარტივე იძლევა განსაკუთრებულ გასაქანს საკონსტრუქტორო შემოქმედებისთვის, მაგრამ მხოლოდ გამოუცდელ მზერას ეწვენება ქარის აგრეგატი მარტივ კონსტრუქციად.

ქარის ძრავების ტრადიციული გაერთმოთლიანება – ბრუნვის ჰირიზონტალური დერძით – კარგი გადაწყვეტაა მცირე ზომის და სიმძლავრის მქონე აგრეგატებისთვის. როდესაც ფრთების სიგანე გაიზარდა, მაშინ ასეთი გაერთმოთლიანება გახდა არაეფექტიანი, იმიტომ რომ განსხვავებულ სიმაღლეებზე

ქარი უბერავს სხვადასხვა მხარეს. ამ შემთხვევაში არა მხოლოდ შეუძლებელია აგრეგატის ქარის მიმართულებით ოპტიმალურად ორიენტირება, არამედ იქმნება ფრთების დაშლის საშიშროებაც.


ამას გარდა, მსხვილი დანაღვარის ფრთების ბოლოები, მოძრაობები რა დიდი სიჩქარით, ქმნიან ხმაურს. თუმცა, მთავარი წინაღობა ქარის ენერგიის გამოყენების გზაზე მაინც ეპონომიკურია – აგრეგატის სიმძლავრე მცირება, ხოლო ხარჯები მის ექსპლუატაციაზე – მნიშვნელოვანი. შედეგად ენერგიის თვითდირებულება არ აძლევს საშუალებას პორიზონტალური დერძის მქონე ქარის ძრავებს გაუწიონ რეალური კონკურენცია ენერგიის ტრადიციულ წყაროებს.

ფირმა „ბოინგის“ (აშშ) ქარის ფრთიანი ძრავების ფრთების სიგრძე არ აღემატება 60 მეტრს, რაც ტრადიციული გაერთმთლიანებისას იძლევა 7 მგბტ სიმძლავრის ქარის აგრეგატების შექმნის საშუალებას. ამჟამად, მათგან უველაზე დიდი – ფინანსურად ორჯერ „სუსტია“. ქარის ენერგეტიკაში მხოლოდ მასობრივი მშენებლობის დროს შეიძლება დაგეყრდნოთ იმას, რომ კილოვატ-საათის ფასი შემცირდება ათ ცენტრალური.

#### ქარის ძრავების სახეობები:

- ქარის ძრავების სახეობების უმეტესობა ცნობილია ისეთი დროიდან, რომისტორიას არც კი ახსოვს მათი გამომგონებლების სახელები. ქარისაგრეგატების ძირითადი სახეობები გამოსახულია (ნახ. 1).
- ისინი იყოვა ორ ჯგუფად;
- ქარის ძრავები ბრუნვის პორიზონტალური დერძით (ფრთიანი) (2...5);
- ქარის ძრავები ბრუნვის ვერტიკალური დერძით (კარუსელური);
- ფრთიანი (1) და ორთოგონალური (6).

ფრთიანი ქარის ძრავების სახეობები გამოირჩევიან მხოლოდ ფრთების რაოდენობით.



ნახ.1 ქარის ძრავების სახეობები

**ფრთიანი ძრავები.** ფრთიანი ქარის ძრავებისთვის, რომელთა ყველაზე დიდი ეფექტიანობა მიიღწევა პარის ნაკადის პერპენდიკულარულად მოქმედების დროს ფრთების ბრუნვის ზედაპირისკენ, აუცილებელია ბრუნვის დერძის ავტომატური მობრუნების მოწყობილობა. ამ მიზნით გამოიყენება ფრთასტაბილიზატორი. კარუსელური ქარის ძრავებს გააჩნიათ ის უპირატესობა, რომ საკუთარი მდგომარეობის შეუცვლელად შეუძლიათ იმუშაონ ქარის ნებისმიერი მიმართულების შემთხვევაში.

ფრთიანი ქარის ძრავებს ქარის ენერგიის გამოყენების კოეფიციენტი (იხ. ნახ.1) უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე კარუსელურს. ამავდროულად, კარუსელურს აქვს უფრო დიდი ბრუნვის მომენტი. ეს უკანასკნელი მაქსიმალურია კარუსელური ფრთიანი აგრეგატებისთვის ქარის ნულოვანი ფარდობითი სიჩქარის დროს.

ფრთიანი ქარის აგრეგატების გავრცელება აიხსნება მათი ბრუნვის სიჩქარის ოდენობით. მათ შეუძლიათ მულტიპლიკატორის გარეშე უშუალოდ მიუერთდნენ ელექტროდენის გენერატორს. ფრთიანი ქარის ძრავების ბრუნვის სიჩქარე უკუპროპორციულია ფრთების რაოდენობის, ამიტომ სამზე მეტი ფრთის მქონე აგრეგატი პრაქტიკულად არ გამოიყენება.

**კარუსელური ძრავები.** კარუსელურ დანაღვარებს აეროდინამიკაში განსხვავება აძლევს უპირატესობას ტრადიციული ქარის ძრავებთან შედარებით. ქარის სიჩქარის მატების დროს ისინი სწრაფად ზრდიან წევის ძალას, რის შემდეგაც ბრუნვის სიჩქარე სტაბილიზირდება. კარუსელური ქარის ძრავები ნელსვლიანებია, და ეს იძლევა მარტივი ელექტრო სქემების გამოყენების საშუალებას, მაგალითად, ასინქრონულ გენერატორთან ერთად, ქარის შემთხვევით დაბერვის შემთხვევაში ავარიის მოხდენის გარეშე. ნელსვლიანობას გააჩნია ერთი შემზღვდავი მოთხოვნა - დაბალ ბრუნზე მოუშავე მრავალპოლუსიანი გენერატორის გამოყენება. ასეთ გენერატორები არ არის ფართოდ გავრცელებულები, ხოლო მულტიპლიკატორების გამოყენება (მულტიპლიკატორი [ლათ. ულტიპლიკატორ - გამამრავლებელი] - რომელიც ზრდის რედუქტორს) არაეფექტიანია ამ უკანასკნელთა დაბალი მარგი ქმედების კოეფიციენტის გამო.

კარუსელური კონსტრუქციის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი უპირატესობა გახდა მისი უნარი დამატებითი ძალისხმევის გარეშე თვალყური ადევნოს თუ „საიდან უბერავს ქარი“, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქარის ცვალებადი ნაკადებისას. ასეთი ტიპის ქარის ძრავებს აგებენ აშშ-ში, იაპონიაში, ინგლისში, გერმანიაში, კანადაში.

კარუსელური ფრთიანი ქარის ძრავები ყველაზე მარტივია ექსპლუატაციის დროს. მისი კონსტრუქცია უზრუნველყოფს მაქსიმალურ მომენტს ქარის ძრავის გაშვების დროს და ბრუნვის მაქსიმალური სიჩქარის ავტომატურ თვითრეგულირებას მუშაობის პროცესში. დატვირთვის ზრდასთან ერთად მცირდება ბრუნვის სიჩქარე და სრულ გაჩერებამდე იზრდება ბრუნვითი მომენტი.

**ორთოგონალური ძრავები.** სპეციალისტების ვარაუდით, ორთოგონალური ქარის აგრეგატები პერსპექტიულია დიდი ენერგეტიკისათვის. ამჟამად, ქარის

ორთოგონალური კონსტრუქციების მომხრევების წინაშე განსაზღვრული სირთულეებია, კერძოდ მათში გაშვების პროცესი. ორთოგონალურ მოწყობილობებში გამოიყენება ფრთის იგივე პროფილი, რაც ქვებგერით თვითმფრინავებში (იხ. ნახ. 1, 6).

მანამ, სანამ „დაეყრდნობოდეს“ ფრთის ამწევ ძალას, თვითმფრინავმა უნდა გააკეთოს გარბენი. ასევეა საქმე ორთოგონალურ მოწყობილობასთან დაკავშირებით. თავიდან მასთან უნდა მივიდეს ენერგია - რათა დაატრიალოს და მიიყვანოს განსაზღვრულ აეროდინამიკურ პარამეტრებამდე, ხოლო შემდგომ თვითონ გადავა ძრავის რეჟიმიდან გენერატორის რეჟიმზე.

სიმძლავრის შერჩევა იწყება დაახლოებით ქარის 5 მ/წ სიჩქარის დროს, ხოლო ნომინალური სიმძლავრე მიიღწევა 14...16 მ/წ სიჩქარის შემთხვევაში.

ქარის დანადგარების წინასწარი გათვლები ითვალისწინებენ მათ გამოყენებას 50 კვტ-დან 20000 კვტ-მდე დიაპაზონში. 2000 კვტ სიმძლავრის რეალისტურ მოწყობილობაში იმ რგოლის დიამეტრი, რომელზეც მოძრაობენ ფრთები, შეადგენს დაახლოებით 80 მეტრს.

დიდი სიმძლავრის მქონე ქარის ძრავს დიდი ზომები აქვს. თუმცა შეიძლება შემოვიფარგლოთ მცირედით - რიცხვით და არა ზომით. დავურთავთ რა თითოეულ გენერატორს ცალკე გარდამქნელს, შეიძლება შევაჯამოთ გამომავალი სიმძლავრე, რომელსაც გამოიმუშავებენ გენერატორები. ამ შემთხვევაში იზრდება ქარის დანადგარების საიმედობა და გამძლეობა.

### 3. დასპანა

რეალურად მომუშავე ქარის აგრეგატებმა გამოავლინეს რიგი უარყოფითი, ასევე დადებითი თვისებები. მაგალითად, ქარის გენერატორების გავრცელებამ შეიძლება შეაფერხოს ტელეგადაცემების მიღება და შექმნას ძლიერი ხმოვანი რხევები. ქარის ძრავებს შეუძლიათ არა მარტო ენერგიის გამომუშავება, არამედ ენერგიის დაუსარჯავად ბრუნვის მეშვეობით ყურადღების მიპყრობა რეკლამისთვის. ყველაზე მარტივი - ერთ ფრთიანი კარუსელური ქარის ძრავა წარმოადგენს მართეულებულ ფირფიტას გადაღუნული ბოლოებით. კედელზე დამაგრებული იგი იწყებს ბრუნვას უმნიშვნელო ქარის დროსაც. ფრთების დიდ ფართობზე კარუსელურ სამოთხოების ფრთიან ქარის ძრავს შეუძლია აბრუნოს სარეკლამო პლაკატები და მცირე ზომის გენერატორი. აკუმულატორში დაგროვილ ელექტროენერგიას შეუძლია გაანათოს დამით რეკლამიანი ფრთები, ხოლო უქარო ამინდში ასევე აბრუნოს ისინი.

### ლიტერატურა

1. ა. ვ. ახვლედიანი, ა. შ. გოგოლაძე, გ. ა. ახვლედიანი. „( ) ( ), „).  
სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №4(35). 2014წ. ქ. თბილისი. გვ. 32-39
2. ა. ვ. ახვლედიანი, ა. შ. გოგოლაძე, გ. ა. ახვლედიანი. „თანამედროვე ქარის ენერგეტიკის ტექნოლოგიური დონე“. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №4(35). 2014წ. ქ. თბილისი. გვ. 129-131

## რპინაპეტონის ჩარჩოგანი პარპასის გაანგარიშება სეისმომძღვანი ცხრილების დახმარებით

ლ. ავალიშვილი, ზ. კავლელაშვილი, მ. თავაძე, ხ. გორჯოლაძე  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0715  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომი წარმოადგენს რკინაბეტონის ჩარჩოგანი კარჯასის სეისმომძღვობის თეორიულ გამოკვლევას თავისუფლების ორხარისხიანი დინამიკური საანგარიშო სქემის მიხედვით. კომპიუტერული გაანგარიშებისათვის გამოყენებულია სპეციალური საინირო პროცერამა „ლირა“. მიღებულია დინამიკური პარამეტრები - საკუთარი რხევის  $T_1$  და  $T_2$  პერიოდები, დინამიკურობის 1 და 2 კოეფიციენტები კარჯასის ელემენტების გეომეტრიული პარამეტრებისა და რეალურად შესაძლო დატვირთვების გარიებით. ჩატარებულია მირითადი დინამიკური პარამეტრის - პერიოდის ფაქტორული ანალიზი; შეფასებულია დიფერენცირებულად და რაოდენობრივად (პროცენტულად) პერიოდზე მოქმედ ფაქტორთა ზეგავლენა. ცხრილების სახით მიღებული შედეგი დააჩქარებს გაანგარიშებას და შეამსუბუქებს დამპროცესებლის შრომას, რაშიც გამოიხატება ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება.

**საკვანძო სიტყვები:** სეისმომძღვობა, დინამიკური სქემა, პერიოდი, ჩარჩო, კონსტრუქცია, კარჯასი, მიწისძვრა.

### 1. შესავალი


საქართველო სეისმურად აქტიური რესპუბლიკაა. მის ტერიტორიაზე ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე მნიშვნელო მიწისძვრების გეოგრაფია გაფართოვდა, რაც სეისმური საშიშროების რისკს ზრდის, ამიტომ ჩვენი ქვეყნისათვის სეისმომედეგი მშენებლობა სასიცოცხლო მნიშვნელობის აქტუალური პრობლემაა. შეუძლებელია ამ სტიქიური უბედურების პროგნოზირება, მაგრამ ჩვენს ხელთაა მისი დამანგრეველი შედეგების მინიმუმადე დაყვანა. ამისათვის საჭიროა სეისმომედეგი კონსტრუქციების სრულყოფა, დინამიკური საანგარიშო მოდელების დაზუსტება, მიწისძვრების ინსტრუმენტული ჩანაწერების ინუნირული ანალიზი, სპეციფიკური დინამიკური გაანგარიშების დახვეწა, სეისმოიზოლაციის ფართოდ დანერგვა, ახალი მეცნიერული კვლევების საფუძველზე ნორმატიული დოკუმენტაციის კორექტირება და ა.შ. სამშენებლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სეისმური ნორმატივების დაცვით აგებულ რკინაბეტონის კარკასული კონსტრუქციის შენობებს მაღალი სეისმომედეგობა ახასიათებთ.

### 2. მირითადი ნაწილი

წარმოდგენილი თეორიული კვლევის მთავარი ობიექტია რკინაბეტონის ერთსართულიანი ხიდურამწიანი კარკასული შენობა, რომლის დინამიკური საანგარიშო მოდელი თავისუფლების ორი ხარისხის მქონე რხევადი სისტემაა. აღნიშნული კლასის შენობებს მიეკუთვნება სამრეწველო შენობათა უმრავლესობა, რომელთა ნაწილი ამჟამად აღსადგენია და მისი რეკონსტრუქცია მოითხოვს სპეციალურ დინამიკურ გაანგარიშებებს. გარდა ამისა, აღნიშნული დინამიკური მოდელით იანგარიშება საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებიც : საბავშვო

ბადები, სკოლები, საგამოფენო და სპორტული დარბაზები, სავაჭრო და სარეაბილიტაციო ცენტრები და ა. შ.

კარგასი შედგება რკინაბეტონის სწორკუთხა კვეთის სვეტებისა და რკინაბეტონის სეგმენტური წამწებისგან (იხ. ნახ.1); ამავე ნახაზზე მოცემულია ჩარჩოვანი კარგასის დინამიკური ორმასიანი საანგარიშო სქემა.



ნახ. 1 გამოსაკვლევი შენობის განივი ჭრილი და დინამიკური საანგარიშო სქემა

კომპიუტერზე გასაანგარიშებლად მომზადდა შემდეგი საწყისი მონაცემები: შენობის მაღები - 18მ; 24მ; 30მ; სვეტების ბიჯი - 6მ; 12მ; სვეტების სიმაღლე - 8,4მ; 9,6მ; 10,8მ; თოვლის დატვირთვა - 0,5ნ/მ<sup>2</sup>; 1,3ნ/მ<sup>2</sup>; 1,5 კნ/მ<sup>2</sup>; ამწის ტვირთამწეობა - 5ტქ; 10ტქ; 15 ტქ; 20 ტქ; 30ტქ; ბეტონის კლასი - B15; B20; B25; B30.

კომპიუტერული გაანგარიშება ჩატარდა საინჟინრო პროგრამის „ლირა“-ს გამოყენებით ორმასიანი რხევადი სისტემის საფუძველზე კარგასის ელემენტების გეომეტრიული პარამეტრებისა და რეალურად შესაძლო დატვირთვების ვარირებით. მიღებულია ჩარჩოვანი კარგასის დინამიკური პარამეტრები: საკუთარი რხევის I ტონის T<sub>1</sub> და II ტონის T<sub>2</sub> პერიოდები, დინამიკურობის β<sub>1</sub> და β<sub>2</sub> კოეფიციენტები. პერიოდის სიდიდე იცვლება ზღვრებში T<sub>1</sub>=(1,184÷2,528) წმ; T<sub>2</sub>=(0,224÷0,27) წმ; შესაბამისი დინამიკურობის კოეფიციენტები - β<sub>1</sub>=0,4÷0,93; β<sub>2</sub>=3,52 ÷ 5,35 (იხ.ცხრ. 1)

მიზანდასახულობის შესაბამისად ჩატარებულ იქნა ძირითადი დინამიკური პარამეტრის - პერიოდის ფაქტორული ანალიზი, ანუ პერიოდზე მოქმედ ფაქტორთა ზეგავლენა შეფასდა დიფერენცირებულად და რაოდენობრივად. ანალიზმა გამოავლინა: პერიოდზე (I ტონი) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მაღის ცვლილება: 18 მ-დან 30მ-დე მაღის გაზრდისას პერიოდი T<sub>1</sub> იზრდება საშუალოდ 30%-ით, T<sub>2</sub> - 16% -ით; ასევე სვეტის სიმაღლის გაზრდით 8,4მ-დან 10,8მ-დე T<sub>1</sub> იზრდება 28,2%-ით, T<sub>2</sub> - 14,3% -ით; ბეტონის კლასის ამაღლება B15-დან B30-დე პერიოდს ამცირებს 17%-ით; თოვლისა და ამზის დატვირთვების ცვალებადობა ზემოთ აღნიშნულ ზღვრებში პერიოდს პრაქტიკულად არ ცვლის


ცხრილი 1

ზემოქმედების სახე	სიდიდე	ბიჯი θ	პერიოდები				დინამიკური კოეფიციენტი	
			T <sub>1</sub>	Δ%	T <sub>2</sub>	Δ%	β <sub>1</sub>	β <sub>2</sub>
1	2	3	4	5	6	7	8	9
განივი ჩარჩოს მაღი	12 θ	6	1.304	32.4	0.255	18.27	0.84	4.3
	18 θ		1.444		0.262		0.7	4.19
	24 θ		1.76		0.285		0.68	3.97
	30 θ		1.948		0.312		0.57	3.52
	12 θ	12	1.595	37.22	0.264	4.76	0.7	4.15
	18 θ		1.840		0.261		0.55	4.14
	24 θ		2.528		0.273		0.44	4.01
სვეტის სიმაღლე	8.4 θ	6	1.184	27.4	0.226	16.91	0.93	4.85
	9.6 θ		1.407		0.231		0.79	4.55
	10.8 θ		1.628		0.272		0.68	4.05
	8.4 θ	12	1.333	29	0.205	20.5	0.84	5.35
	9.6 θ		1.932		0.209		0.71	4.96
	10.8 θ		1.88		0.258		0.67	4.26
თოვლის დატვირთვა	0.5 კბ/θ <sup>2</sup>	6	1.408	5.4	0.262	0.763	0.78	4.19
	0.64 კბ/θ <sup>2</sup>		1.422		0.263		0.72	4.21
	1.0 კბ/θ <sup>2</sup>		1.428		0.262		0.76	4.21
	1.5 კბ/θ <sup>2</sup>		1.45		0.262		0.74	4.19
	0.5 კბ/θ <sup>2</sup>	12	1.83	6.52	0.258	0.769	0.6	4.29
	0.64 კბ/θ <sup>2</sup>		1.844		0.263		0.6	4.21
	1 კბ/θ <sup>2</sup>		1.898		0.264		0.58	4.21
	1.5 კბ/θ <sup>2</sup>		1.930		0.263		0.57	4.21
ამწის დატვირთვა	5 ტ	6	1.390	1.1	0.26	13.79	0.78	4.4
	10 ტ		1.398		0.262		0.78	4.21
	15 ტ		1.400		0.272		0.78	4.07
	20 ტ		1.402		0.284		0.78	3.94
	30 ტ		1.405		0.293		0.78	3.8
	5 ტ	12	1.826	1.14	0.252	15.71	0.60	4.39
	10 ტ		1.83		0.258		0.60	4.29
	15 ტ		1.836		0.268		0.60	4.09
	20 ტ		1.84		0.272		0.60	4.05
	30 ტ		1.847		0.299		0.60	3.67
ბეტონის კლასი	B-15	6	1.483	10.1	0.262	13.74	0.74	4.19
	B-20		1.356		0.248		0.8	4.43
	B-25		1.34		0.236		0.82	4.72
	B-30		1.328		0.226		0.83	4.85
	B-15	12	1.846	16.03	0.26	18.07	0.6	4.22
	B-20		1.712		0.242		0.65	4.54
	B-25		1.605		0.224		0.68	4.9
	B-30		1.556		0.213		0.71	5.15


შევნიშნავთ, რომ ჩატარებულ კვლევას აქვს წინასწარი საორიენტაციო ხასიათი. სამაგისტრო შრომის ფარგლებში დაგეგმილია დარჩენილი ყველა შესაძლო ვარიანტების გაანგარიშება სეისმური ძალვების დადგენით, რაც რადიკალურად შეამცირებს დაპროექტების დროს ცხრილის შედეგების გამოყენების ხარჯზე; ეს მნიშვნელოვნად აამაღლებს შრომის პრაქტიკულ დირექტულებას.

ქვემოთ ნახავთ მოცემულია რამდენიმე დამახასიათებელი გრაფიკი


ა)  $T_1 = f(L)$ :



ბ)  $T_1 = f(H_{b3})$ :



გ)  $T_1 = f(B^-)$ :



ნახ. 2 ფუნქციონალური დამოკიდებულების დიაგრამები

ა)  $T_1 = f(L)$ ; ბ)  $T_1 = f(H_{b3})$ ; გ)  $T_1 = f(B^-)$ ;

### 3. დასკვნა

რკინაბეტონის ჩარჩოვანი კარკასის თეორიული გამოკვლევის შედეგად მიღებული დინამიკური პარამეტრების ცხრილით სარგებლობა მნიშვნელოვნად შეამოკლებს სეისმომედეგობაზე შენობის გასაანგარიშებელ დროს.

ძირითადი დინამიკური პარამეტრის - თავისუფალი რხევის პერიოდის ფაქტორულმა ანალიზმა გამოავლინა: შენობის მაღის გაზრდა 18მ- დან 30მ- მდე იწვევს ძირითადი (I ტონის) პერიოდის გაზრდას საშუალოდ 30%-ით, ხოლო II ტონისას - 16%-ით; სვეტის სიმაღლის ზრდა 8,4მ-დან 10,8მ-მდე იწვევს  $T_1$ -ის ზრდას 28,2%-ით,  $T_2$ -ის ზრდას - 14,3 %-ით; ბეტონის კლასის ამაღლება B-15-დან B-30- მდე პერიოდს ამცირებს საშუალოდ 17%-ით; თოვლისა და ამწის დატვირთვების ცვალებადობა რეალურ დიაპაზონში რხევის პერიოდს პრაქტიკულად არ ცვლის.

### ლიტერატურა

1. საქართველოს სამშენებლო ნორმები და წესები - ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები; პწ.03.01.07, თბილისი 2007 წ.
2. სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პწ.01.01.09), თბილისი, 2009 წ.
3. ლ. ავალიშვილი, ლ. ბალანჩივაძე, მეთოდური მითითებები რკინაბეტონის ერთსართულიანი კარკასული შენობის გასაანგარიშებლად სეისმურ ზემოქმედებაზე, თბილისი, სტუს გამოცემლობა, 2016 წ.

## ქსელურ-ცენტრული ორგანიზაცია (NWC)

ა. ხატელაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას № 77,0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების და  
ოპერაციების წარმოების ფორმები ხერხები და საშუალებები. მხოლოდ შე  
ტექნოლოგიურ პროცესთან ერთად ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ  
გამოიწვია მიწისზედა და საპარტო-კოსმოსური სივრცის ერთობლივი  
გამოყენების აუცილებლობა საბრძოლო მოქმედებებისას.

**საკვანძო სიტყვები:** საინფორმაციო ქსელი, მართვის ხისტრაფე,  
თვითსინქრონიზაცია.

### 1. შესაგადი

საომარი მოქმედების თეატრში საბრძოლო მოქმედებების წარმოების ქსელურ-ცენტრული ომის კონცეფცია გულისხმობს დროული და ხარისხიანი ინფორმაციული წარმოების შედეგად საბრძოლო სიძლიერის ზრდას, რის შედეგადაც მიიღწევა ძალების და საშუალებების მართვის პროცესების დაჩქარება, ოპერაციის ტემპის გაზრდა, მოწინააღმდეგის გამანადგურებელი ძალის ეფექტური ჩახშობა, საქუთარი ძალების სიცოცხლისუნარიანობის, მობილურობის გაზრდა და საბრძოლო მოქნედებების თვითსინქრონიზაცია.

გლობალური და რეგიონალური ინფორმაციულ-დარტყმითი, ინფორმაციულ-  
მმართველობითი და დაზევრვის სისტემები ქმნის მიწისზედა და საპარტო-  
კოსმოსური სივრცის ერთობლივი გამოყენების რეალურ შესაძლებლობას. ეს  
სისტემები დაფუძნებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების, მართვის სისტემების  
და შეიარაღების თანამედროვე მიღწევებზე და ამავდროულად მიწისზედა, საპარტო  
და კოსმოსური ძალები და საშუალებები ინტეგრირებული არიან ერთიან საომარ  
მოქმედებათა სფეროში. იქმნება რეალური პირობები საბრძოლო მოქმედებების  
ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პრინციპისათვის.

### 2. ძირითადი ნაწილი

ქსელურ-ცენტრული ომი იძლევა საშუალებას ჩვენი ძალებით განვავითაროთ  
მართვის სისტრაფე;

ქსელურ-ცენტრული ომი საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ჯარების  
ორგანიზება ქვემოდან ზემოთ პრინციპით ან თვითსინქრონიზაციით.

მართვის სისტრაფე შედგება სამი ნაწილისგან: ჯარები მოიპოვებენ საინფორმაციო  
უპირატესობას უკეთესი ინფორმირების ხარჯზე ან საბრძოლო მოქმედებების  
მიმდინარეობის უკეთესი გაგებით და არა ზერელე მონაცემებით. ტექნოლოგიურად  
ამისათვის საჭიროა გაუმჯობესებული გადამცემები, სწრაფი და ძლიერი ქსელი,  
ტექნიკური გამოსახულებით, ასევე საქმარისად კარგი შესაძლებლობები  
მოდელირებისა და იმიტაციისათვის; ჯარები, რომლებიც მოქმედებენ სწრაფად,  
ზუსტად და გაშლილად, აღწევენ მასირებულ ეფექტს; შედეგად მოწინააღმდეგის  
მოქმედების მიმართულება ხდება წინასწარ ცნობილი. ეს ანგრევს მოწინააღმდეგის  
სტრატეგიას და იმედია ეს მას შეაჩერებს მოქმედებების დაწყებამდე. ქსელურ-  
ცენტრული ომის სიმძლავრის ერთ-ერთი ელემენტი არის პოტენციალი, რომელიც,

შეზღუდვების გათვალისწინებით ახდენს რაოდენობრივ, ტექნოლოგიურ და პოზიციური ნაკლოვანებების კომპენსაციას.

ქსელურ-ცენტრული ომი იღებს ძალას მძლავრი ქსელური, კარგად ინფორმირებული, მაგრამ გეოგრაფიულად გაშლილი ძალებიდან. საკვანძო ელემენტებს წარმოადგენს საინფორმაციო ქსელის მაღალი წარმადობა, ყველა შესაბამის საინფორმაციო წყაროსთან წვდომა, იარაღის მოქმედების რადიუსი და მანევრირება რეაქციის სიზუსტითა და სისწრაფით, დამატებული მართვისა და კონტროლის პროცესები საჭირო რესურსების მაღალი სისწრაფის ავტომატიზირებული გადანაწილების და ინტეგრირებული გადამცემი ქსელის ჩათვლით, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული მართვისა და კონტროლის მიმართულებებსა და პროცესებთან. ქსელური-ცენტრული ომი გამოყენებულია ყველა დონის საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას და ხელს უწყობს სტრატეგიის ტაქტიკისა და ოპერაციის ინტეგრაციას. იგი გამჭირვალეა ამოცანის, ზომისა და ჯარების შემადგენლობისათვის, ასევე გეოგრაფიულადაც.

მართვის სისწრაფე არის პროცესი, რომლის დროსაც საინფორმაციო უპირატესობის პოზიცია ხდება კონტრენტული უპირატესობა.

თვითსინქრონიზაცია არის კარგად ინფორმირებული ჯარების შესაძლებლობა განახორციელონ თრგანიზება და კომპლექსური საბრძოლო მოქმედებების სინქრონიზება „ქვემოდან ზემოთ“.

საინფორმაციო უპირატესობა ქსელურ, გაფანტულ შემტევ ძალასთან შერწყმით შექმნის კარგად გათვლილ და ზუსტი მოქმედებების შესაძლებლობას ადრეულ ეტაპზე, რაც მიგვიყვანს ძალიან სწრაფ ცვალებად ტემპამდე. ეს არის რასაც ჩვენ ვუწოდებს მართვის სისწრაფეს და ეს არის ის რასაც ვუწოდებთ ქსელურ-ცენტრულ ომს.

ქსელურ-ცენტრული ომი მიმართულია საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით საინფორმაციო უპირატესობის გადასაყვანად კონკურენტულ გეოგრაფიულად გაფანტული ძალების შორის არსებული საიმედო ქსელის გამოყენებით.

ომის ახალი ფორმა, მისი თეორიტიკოსის თანახმად, დაფუძნებულია ოთხ პრინციპზე:

1. მყარი ძალები, აწყობილი ქსელის და დახვეწილი საინფორმაციო განაწილების პრინციპით;
2. ინფორმაციის განაწილება და ურთიერთქმედება აუმჯობესებს ინფორმაციის ხარისხს და საერთო ვითარების ფლობას;
3. საერთო ვითარების ფლობა აუმჯობესებს თვითსინქრონიზაციას;
4. ხოლო ეს თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამაღლებს მისის ეფექტურობას.

ქსელურ-ცენტრული კონცეფციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ჯარები რომლებიც მოქმედებენ ამ პრინციპით, საბრძოლო გარემოში ეფექტების გაუმჯობესებული სინქრონიზაციის გამოყენებით შეძლებენ ქონდეთ გაზრდილი საბრძოლო სიძლიერე და მიაღწევენ სწრაფ მართვას, ასევე ამაღლებენ საკუთარ სიცოცხლისუნარიანობას და მოქნილობას.

ქსელურ-ცენტრული ომის მიზანია გარდაქმნას სამხედრო სტრუქტურა ისეთ კონფიგურაციაში, რომელიც ომს გახდის მეტად ეფექტურს: ომი იქნება უფრო სწრაფი (მოქმედებები განვითარდება მაღალი ტემპში); ძალების შემაღლებლობა იქნება უფრო კონცენტრირებული; სიკვდიალიანობის კოეფიციენტი შემცირდება, ამავდროულად შემცირდება იარაღის გამოყენების საჭიროება; ექნებათ შესაძლებლობა წინასწარ გათვალონ (რეაქტიულ მოქმედებებთან შედარებით), ასევე მოახდინონ ახალი

ტექნოლოგიების ინტეგრირება ქსელში ინფორმაციის საწარმოებლად და მომავალ ოპონენტზე უპირატესობის მოსაპოვებლად.

ქსელურ-ცენტრული გარემოს შექმნის სიძნელე შედგება ორი ნაწილისგან. პირველი არის ცოდნის მართვა - ეს არის აღმოჩენის, ამორჩევის, ორგანიზების, გაფილტვრის, გაცვლის, განვითარების და სოციალურ გარემოში ინფორმაციის გამოყენების სისტემატიკური პროცესი;

მეორე მნიშვნელოვანი ელემენტი არის ტექნიკური კავშირი და შიდაოპერირება, რომლებიც ქსელური კავშირის ორი ძირითადი მოთხოვნაა.

ამიტომაც აუცილებელია მოხდეს საჭირო ინფორმაციის გადაცემა დაცული კავშირით - არა მხოლოდ „მართვისა და კონტროლის“ სისტემის ელემენტებისათვის, არამედ გაერთიანებული ძალების მომხმარებელთათვისაც, რომლებიც იმყოფებიან ტაქტიკურ პოზიციებზე. დაზვერვის, თვალთვალის და რეკოგნისცირების პლატფორმა, რომელიც წარმოადგენს „სენსორს“, ასევე შეიარაღების სისტემებიც ჩართული უნდა იყვნენ ქსელში“.

საინფორმაციო გარემო განისაზღვრება იქ სადაც „ინფორმაცია არსებობს“. მას აქვს ორმაგი მახასიათებელი და შედგება თავად ინფორმაციისა და შუამავლისგან, რომლისგანაც ჩვენ ვაგროვებთ, ვამუშავებთ და ვავრცელებთ ინფორმაციას. საინფორმაციო გარემოს მახასიათებლები მოიცავს ინფორმაციის ხარისხს (სრული, ზუსტი, დროული, აქტუალური და თანმიმდევრული), გავრცელებას (დიაპაზონი, გადაცემის პროცესი და უწყვეტობა), ასევე ურთიერთქმედებას (ინფორმაციის გაცვლა ან ნაკადი).

ფიზიკური გარემო, ეს არის გარემო, სადაც შეიარაღებული ძალები გადაადგილდებიან დროსა და სივრცეში. იგი მოიცავს ხმელეთს, ზღვას, ჰაერსა და კოსმოსს, რადგანაც მათში ფიზიკურად განლაგებულია სამხედრო პლატფორმები და მათში გადიან კომინუკაციის ქსელები, რომლებიც ამ პლატფორმებს აკავშირებენ. სოციალური გარემო განისაზღვრება სპეციფიური ენითა და სიმბოლური კავშირით ადამიანებს შორის. ეს არის სფერო, სადაც ხორციელდება ინდივიდების ურთიერთქმედება, რომლებიც არიან არაფორმალური ცოდნის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ...

შემეცნებითი გარემო, როგორიცაა - განათლება, გამოცდილება, საზოგადოებრივი აზრი და ვითარების გაცნობიერება, სადაც ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებებს და ის უშუალოდ დაკავშირებულია ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და განვითარების დონესთან. ქსელურ-ცენტრული ომის კონცეფციის გამოყენება მკვეთრად აუმჯობესებს ჯარების შესაძლებლობას სწრაფად, წარმატებულად და ეფექტურად გამოიყენოს ყველა ხელთარსებული საშუალებები დასმული ამოცანების შესასრულებლად.

ქსელურ-ცენტრული ომი აძლევს შეიარაღებულ ძალებს სწრაფად ცვლად გარემოში ადაპტირების საშუალებას. ქსელურ-ცენტრული ომის ძირითადი მახასიათებლები შესაძლებელია აღწერილი იქნეს ინტეგრირებული ჰიპოთეზების ფართო კრებულით, რომლებიც შესაძლებელია გამოიცადოს საბრძოლო ცდების დროს.

პირველი კლასის ჰიპოთეზებს მიეკუთვნება ურთიერთობები, დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლასთან და საერთო ინფორმირებულობის გაზრდასთან. ჰიპოთეზის მეორე კლასი მოიცავს საერთო ინფორმირებულობისა და სინქრონიზაციის კავშირს, მაგალითად საერთო ინფორმირებულობის დონისა და სინქრონიზაციაში თანამშრომლობის ეფექტი.

ჰიპოთეზის მესამე კლასი გულისხმობს კავშირს სინქრონიზაციასა და მისით ეფექტურობას შორის.

ამისათვის საჭიროა გავიგოთ:

1. კონკრეტული პირობები, რომლის დროსაც საერთო ინფორმაციის პიპოთება - საერთო ინფორმირებულობა არის სიმართლე;
2. გადამცემი ფუნქციის ფორმა ინფორმაციის გაცვლასა და საერთო ინფორმირებულობას შორის;
3. ცვლილებები, რომლების ზეგავლენას ახდენენ ამ ურთიერთობაზე (როგორცაც ინფორმაციის გაცვლის ფორმა, ინფორმაციის ხარისხი, მონაწილეებს შორის ცოდნის განაწილების დონე);
4. დაბრკოლებები, როგორიცაა საინფორმაციო გადატვირთვა, რაც არ აძლევს საშუალებას ინფორმაციის გაცვლა გავიდეს საერთო ინფორმირებულობის დონეზე;
5. მიღებობი ამ დაბრკოლებების გადასალახად.

ქსელურ-ცენტრული ომი - ორიენტირებულია საინფორმაციო უპირატესობის მისაღწევად, არის კონცეფცია სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად, რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებული ძალების საბრძოლო ძალის დაჯგუფების გაზრდას საინფორმაციო ქსელის შექმნის ხარჯზე, რომელიც აკაგშირებს გადამცემებს (მონაცემების წყაროს), გადაწყვეტილების მიმღებ და აღმასრულებელ პირებს, რაც იძლევა საშუალებას მონაწილეებამდე დაყვანილ იქნეს ინფორმაცია ვითარების შესახებ, აჩქარებს ძალებისა და საშუალებების მართვის პროცესს, ასევე ამაღლებს ოპერაციის ტემოს, მოწინააღმდეგ ძალების დამარცხების ეფექტურობას, საკუთარი ძალების სიცოცხლის უნარიანობასა და საბრძოლო მოქმედებების თვითსინქრონიზაციის დონეს.

### 3. დასპვნა

საინფორმაციო-ტექნოლოგიური კომპლექსის არსებობა უზრუნველყოფს ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებას, დროის რეალურ მაშტაბში, ინფორმაციის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სქემით საიმედო და მოწინააღმდეგისთვის მიუწვდომელ გადაცემას, ერთიან ინფორმაციულ სივრცეში მართვის სისტემებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებას და მოწინააღმდეგისაგან დაცულად მის შემსრულებლამდე დაყვანას; მინიმუმამდე დაყვანის ციკლს - „აღმოჩენა-გარჩევა-დამიზნება-განადგურება“ შესრულების დროის ხანგრძლივობას, საინფორმაციო კომუტაციური უკუკავშირით დადასტურებას დავალების შესრულების შესახებ, რაც ზრდის შეიარაღებული ძალების მაღალეფების მართვის უზრუნველყოფას.

### ლიტერატურა

1. . « » // 5 (25), 2005.
2. [ ] URL: <http://www.strana-oz.ru/?numid=26&article=1133> (04.09.2010).
3. URL: <http://www.geopolitica.ru/News/5126/> (26.02.2011).  
[ ] URL:<http://www.fondsk.ru/news/2010/10/15> (I).

## შედგენილი ცილინდრული ბარსის არასტაციონალური დეფორმაციის საკითხისათვის

თ. ბაციკაძე, ნ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77,  
0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომში განიხილება ორფენიანი ცილინდრული გარსი, რომლის გარე ფენა ემორჩილება ჰერცის კანონს, ხოლო შიგა ფენის მასალა ვერ ეწინააღმდეგება ძვრის დეფორმაციას. აქედან გამომდინარე დეფორმაციებს არასტაციონალური ხასიათი აქვთ. ოსტოგრადებულის პრინციპზე დაყრდნობით [1] მიღებულია ძირითად განტოლებათა სისტემა რომლის ამოხსისათვის გამოყენებულია სასრულ სხვაობათა რიცხვითი ინტეგრების მეთოდი.

**საკვანძო სიტყვები:** დენადობის ზღვარი, ფენა, ძაბვა, ძაბვების დევიატორი, დეფორმაცია, გადაადგილებები, პლასტიკური დენადობა, ხფერული დენადობის ზედაპირი, ძალები.

### 1. შესაბამისობა

განიხილება ორფენიანი ცილინდრული გარსი, რომლის შიგა ზედაპირი წარმოადგენს დრეპალ-პლასტიკური თვისებების მქონე ლითონს, ხოლო გარე ფენა იზოტროპულ დრეპალ მასალას, რომელიც ხასიათდება მცირე წინააღმდეგობით განივი ძვრისადმი. აქედან გამომდინარე, გარე ფენის, მასში დენადობის ზღვრის ტოლი ძაბვების განვითარებისას, ეკარგება უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს გარე დატვირთვას და ამის შედეგად გარსის მუშაობაში მხოლოდ ინერციულად მონაწილეობს.

### 2. ძირითადი ნაშილი

გარსის გაანგარიშების დაწყებამდე მივიჩნიოთ, რომ მისი შიგა ფენა ექვემდებარება კირპხოფის პიპოთეზას და გარე ფენის ნორმალი შუალედ სიბრტყესთან აღენს  $\varphi$  კუთხეს. ფენების საკონტაქტო ზედაპირზე შესაძლებელია არსებობდეს ძაბვების წყვეტა.

დამოუკიდებელ პარამეტრებად ავირჩიოთ: ფენებისათვის საერთო ნორმალური გადაადგილება –  $w$ , შუა ზედაპირის წერტილების გრძივი და მხები გადაადგილება  $v_0$ ,  $u_0$  და კუთხე  $\varphi$ , რომელიც ელემენტის გარე ფენის დახრას განსაზღვრავს.

შიგა და გარე ფენების შეხების ზედაპირზე გადაადგილებათა უწყვეტობის პირობების გამოყენებით მივიღებთ გარე ფენის შუა ზედაპირის წერტილების მხებ და გრძივ გადაადგილებებს

$$\left. \begin{aligned} u_1 &= u_0 + \frac{\delta_0}{2L} \cdot \frac{\partial w}{\partial x} + \frac{\delta_1}{2\delta^\Sigma} \cdot \varphi_x, \\ v_1 &= v_0 + \frac{\delta_0}{2L} \cdot \frac{\partial w}{\partial y} + \frac{\delta_1}{2\delta^\Sigma} \cdot \varphi_y. \end{aligned} \right\} \quad (1)$$

აქ  $\delta_0$  – შიგა ფენის სისქა,  $\delta_1$  – გარე ფენის სისქა,  $x$  და  $y$  წერტილის კოორდინატებია,  $L$  – გრძივი და წრიული კოორდინატები;  $w$  – ფენებისათვის საერთო ნორმალური გადაადგილება გარსის საერთო სისქესთან ფარდობაში,  $\delta^\Sigma = \delta_0 + \delta_1$ ;

$u_0, v_0, u_1, v_1$  შეალებდ სიბრტყეზე მდებარე წერტილების გადაადგილებებია - შესაბამისად გრძივი და მხები მიმართულებით.

გადაადგილებათა აღნიშნულ განაწილებას გარსის სისქის მიხედვით დეფორმაციათა ცვლილების შემდეგი ფორმა შეესაბამება:

$$\left. \begin{aligned} \sigma_{xx}^0 &= \left( \varepsilon_{xx}^0 - \frac{\delta_1}{L} \cdot z_0 \frac{\partial^2 w}{\partial x^2} \right), \\ \varepsilon_{xx}^0 &= \frac{\partial u_0}{\partial x} + \frac{\delta^\Sigma}{2L} \left( \frac{\partial w}{\partial x} \right)^2 : \quad (x \rightleftharpoons y), \\ e'_{xx} &= \frac{\delta^\Sigma}{L} \left[ \varepsilon_{xx}^0 + \frac{\delta_0}{zL} \cdot \frac{\partial^2 w}{\partial x^2} - \frac{\delta_1}{\delta^\Sigma} \left( z_1 - \frac{1}{2} \right) \frac{\partial \varphi_x}{\partial x} \right], \\ e'_{xz} &= \frac{\delta^\Sigma}{L} \left( \frac{\partial w}{\partial x} - \frac{L}{\delta^\Sigma} \varphi_x \right), \\ \varepsilon_{xy}^0 &= \frac{\delta^\Sigma}{L} \left( \varepsilon_{xy}^0 - 2 \frac{\delta_0}{L} \cdot z \frac{\partial^2 w}{\partial x \partial y} \right), \\ \varepsilon_{xy}^0 &= \frac{\partial u_0}{\partial y} + \frac{\partial v_0}{\partial x} + \frac{\delta^\Sigma}{L} \cdot \frac{\partial w}{\partial x} \cdot \frac{\partial w}{\partial y}, \\ e'_{xy} &= \frac{\delta^\Sigma}{L} \left[ \varepsilon_{xy}^0 + \frac{\delta_0}{L} \cdot \frac{\partial^2 w}{\partial x \partial y} - \frac{\delta_1}{\delta^\Sigma} \left( z_1 - \frac{1}{2} \right) \left( \frac{\partial \varphi_x}{\partial y} + \frac{\partial \varphi_y}{\partial x} \right) \cdot \right] \end{aligned} \right\} \quad (2)$$

სადაც  $z_0$  და  $z_1$  შიგა და გარე ფენების წერტილების დაშორებაა მათ შესაბამის შეალებულ სიბრტყეებამდე ნორმალის მიმართულებით.

გარსის გარე ფენაში ძაბვები და დეფორმაციები ერთმანეთთან ჰუკის კანონით არიან დაკავშირებული

$$\left. \begin{aligned} \sigma'_x &= \frac{E_1}{1-v_1^2} \cdot \frac{\delta^\Sigma}{L} (e'_{xx} + v_1 \cdot e'_{xy}): \quad (x \rightleftharpoons y), \\ \sigma'_{xz} &= \frac{E_1}{2(1+v_1)} \cdot \frac{\delta^\Sigma}{L} e'_{xz}, \\ \sigma'_{xy} &= \frac{E_1}{2(1+v_1)} \cdot \frac{\delta^\Sigma}{L} e'_{xy}. \end{aligned} \right\} \quad (3)$$

$E_1$  და  $v_1$  დრეკადობის მოდული და პუასონის კოეფიციენტია.

ძაბვებსა და დეფორმაციებს შორის კავშირი შიდა დრეკად-პლასტიკური ფენისათვის პლასტიკურობის თეორიის დიფერენციალური განტოლებებით დგინდება. საჭიროა ჯამური დეფორმაცია წარმოვადგინოთ შემდეგი ჯამის სახით:

$$\varepsilon_{ij}^\Sigma = \varepsilon_{ij}^p + \varepsilon_{ij}^e$$

მასალის პლასტიკური დენადობა აღიწერება  $\Phi$  სფერული დენადობის ზედაპირზე აქტიური ძაბვების დევიატორის შენახვის გზით.  $\Phi$  არის სფერო ძაბვათა დევიატორის სივრცეში, რომლის ცენტრის კოორდინატები განისაზღვრება შიგა ძაბვების -  $R_{ij}$  სიდიდით

$$\Phi = S_x^2 + S_y^2 - S_x S_y + 3S_{xy}^2 - (\tan \theta)^2; \quad (4)$$

$$\text{სადაც } S_x = \sigma_x - \frac{1}{3}\sigma - R_x; \quad R_x = \frac{2}{3}g(2\varepsilon_{xx}^p + \varepsilon_{yy}^p); \quad (x \rightleftharpoons y)$$

$$\sigma = \sigma_x + \sigma_y S_{xy} = \sigma_{xy} - R_{xy}; \quad R_{xy} = \frac{1}{3}g\varepsilon_{xy}^p.$$

აქ  $g$  - განმტკიცების პარამეტრია  $\sigma_\infty^0$  - შიგა ფენის დენადობის ზღვარი.

პლასტიკური დეფორმაციების ნაზრდები აქტიურ ძაბვათა დევიატორის კომპონენტებთან შემდეგნაირად არიან დაკავშირებული

$$\left. \begin{aligned} v_{xx}^p &= \{ (2S_x - S_y) : (x \rightleftharpoons y); v_{xx}^p = 3 \} \cdot S_{xy}; \\ \} > 0, \text{ როცა } \Phi > 0 \text{ და } \} = 0, \text{ როცა } \Phi < 0 \end{aligned} \right\} \quad (5)$$

სრული პლასტიკური დეფორმაციები წარმოდგებიან შემდეგი ჯამის სახით

$$\varepsilon_{ij}^p = \sum_{n=0}^N \varepsilon_{ij}^p(n)$$

შესაბამისი ძაბვები გამოივლება ცნობილი ფორმულებით [2], ხოლო მათი საშუალებით მოიძებნება შიგა ძალები და მომენტები:

$$\left. \begin{aligned} \bar{N}_x^k &= \frac{E_k \delta_k}{1-\nu_k^2} \cdot \frac{\delta^\Sigma}{L} \int_{-\frac{1}{2}}^{\frac{1}{2}} \sigma_x^k \cdot dz, \\ \bar{M}_x^k &= \frac{E_k \delta_k^2}{1-\nu_k^2} \cdot \frac{\delta^\Sigma}{L} \int_{-\frac{1}{2}}^{\frac{1}{2}} z \cdot \sigma_x^k \cdot dz, \\ \bar{Q}_x^0 &= \frac{\delta^\Sigma}{L} \left( \frac{\partial \bar{M}_x^0}{\partial x} + \frac{\partial \bar{M}_{xy}^0}{\partial y} \right), \\ \bar{Q}_x^1 &= \frac{5}{6} \cdot \frac{E_1 \delta_1}{1-\nu_1^2} \cdot \frac{\delta^\Sigma}{L} \int_{-\frac{1}{2}}^{\frac{1}{2}} \sigma_{xz}^1 \cdot dz, \end{aligned} \right\} (x \rightleftharpoons y), k = 0,1 \quad (6)$$

$$\left. \begin{aligned} \bar{N}_{xy}^x &= \frac{E_k \delta_k}{2(1+\nu_k)} \cdot \frac{\delta^\Sigma}{L} \int_{-\frac{1}{2}}^{\frac{1}{2}} \sigma_{xy}^k \cdot dz; \\ \bar{M}_{xy}^k &= \frac{E_k \delta_k^2}{2(1+\nu_k)} \cdot \frac{\delta^\Sigma}{L} \int_{-\frac{1}{2}}^{\frac{1}{2}} z \cdot \sigma_{xy}^k \cdot dz, \end{aligned} \right\} \quad (7)$$

$$\dagger_{ij}^1 = \dagger_{ij}^1 \cdot H(\dagger_{\text{დ}}^1 - \dagger_{\text{ვ}}^1); H(z) = \begin{cases} 1, & z > 0; \\ 0, & z \leq 0. \end{cases}$$

აქ  $\dagger_{\text{დ}}^1$ - გარე ფენის ძაბვათა ინტენსივობაა.

გადაადგილებათა ნაზრდი, ისევე როგორც სასაზღვრო პირობები მოიძებნება პამილტონ-ოსტოგრადსკის პრინციპიდან გამომდინარე

$$\left. \begin{aligned} \frac{\partial^2 w}{\partial t^2} &= \frac{\partial \bar{Q}_x^1}{\partial x} + \frac{\partial \bar{Q}_y^1}{\partial y} + \frac{L}{R} \bar{N}_y^\Sigma + \\ \frac{\delta^\Sigma}{L} \left[ \frac{\partial^2 \bar{M}_x^0}{\partial x^2} + 2 \frac{\partial^2 \bar{M}_{xy}^0}{\partial y^2} + \frac{\partial^2 \bar{M}_y^0}{\partial x^2} - \frac{\delta_0}{2\delta^\Sigma} \left( \frac{\partial^2 \bar{N}_x^1}{\partial x^2} + \frac{\partial^2 \bar{N}_{xy}^1}{\partial x \partial y} + \frac{\partial^2 \bar{N}_y^1}{\partial y^2} \right) \right] + \\ \frac{\delta^\Sigma}{L} \left[ \frac{\partial}{\partial x} \left( \bar{N}_x^\Sigma \frac{\partial w}{\partial x} + \bar{N}_{xy}^\Sigma \frac{\partial w}{\partial y} \right) + \frac{\partial}{\partial y} \left( \bar{N}_y^\Sigma \frac{\partial w}{\partial y} + \bar{N}_{xy}^\Sigma \frac{\partial w}{\partial x} \right) \right] + \frac{p_z L^2}{Q \cdot \delta^\Sigma}; \\ \frac{\partial^2 u_0}{\partial t^2} &= \frac{\partial \bar{N}_x^\Sigma}{\partial x} + \frac{\partial \bar{N}_{xy}^\Sigma}{\partial y} - \frac{\delta^\Sigma}{L} \cdot \frac{\partial}{\partial x} \left( Q_x^\Sigma \cdot \frac{\partial w}{\partial x} \right) + \frac{p_x L}{Q}; \\ \frac{\partial^2 v_0}{\partial t^2} &= \frac{\partial \bar{N}_y^\Sigma}{\partial y} + \frac{\partial \bar{N}_{xy}^\Sigma}{\partial x} - \frac{\delta^\Sigma}{L} \cdot \frac{\partial}{\partial y} \left( Q_y^\Sigma \cdot \frac{\partial w}{\partial y} \right) + \frac{p_y L}{Q}; \\ A \cdot \frac{\delta_1}{\delta^\Sigma} \cdot \frac{\partial^2 \psi}{\partial t^2} &= - \frac{\delta^\Sigma}{\delta_1} \left( \frac{\partial \bar{M}_x^1}{\partial y} + \frac{\partial \bar{M}_{xy}^1}{\partial x} \right) + \frac{L}{\delta_1} \bar{Q}_y^1 + \frac{1}{2} \left( \frac{\partial \bar{N}_x^1}{\partial y} + \frac{\partial w \bar{N}_{xy}^1}{\partial x} \right); \end{aligned} \right\} \quad (8)$$

სადაც  $A = \frac{1}{3} \cdot \frac{\rho_1 \delta_1}{\rho_0 + \rho_1}$ , აქ  $\rho_0$  და  $\rho_1$  – შიგა და გარე ფენების სიმკვრივეა;

$\bar{N}_j^k$ ,  $\bar{M}_j^k$ ,  $\bar{Q}_j^k$  – უგანზომილებო ძალები და მომენტებია, რომლებიც შეესაბამებიან შემდეგ სიდიდეებს:

$$\left. \begin{aligned} Q &= \left( \frac{E_0 \delta_0}{1-\nu_0^2} + \frac{E_1 \delta_1}{1-\nu_1^2} \right) \frac{\delta^\Sigma}{\delta_1} \varphi \delta^\Sigma; & N_y^\Sigma &= \bar{N}_i^0 + \bar{N}_j^1; \\ \bar{Q}_y^\Sigma &= \bar{Q}_i^0 + \bar{Q}_j^1; & \bar{M}_y^\Sigma &= \bar{M}_i^0 + \bar{M}_j^1; & t &= \frac{C}{L} \cdot \tau, & C &= \sqrt{\frac{\frac{E_0 \delta_0}{1-\nu_0^2} + \frac{E_1 \delta_1}{1-\nu_1^2}}{\rho_0 \delta_0 + \rho_1 \delta_1}}. \end{aligned} \right\} \quad (9)$$

$p_x$ ,  $p_y$ ,  $p_z$ -ზედაპირული დატვირთვების მდგრელებია.

საწყის პირობებს ექნებათ შემდეგი სახე:

როცა  $t=0$   $u = \dot{u} = v = \dot{v} = 0$ ;  $w = 0$ ;  $\dot{w} = w(x, y)$ ;

განივი და განგენციალური მიმართულებით

$$\text{როცა } x = 0,1; w = \frac{\partial w}{\partial x} = \frac{\partial w}{\partial y} = v^k = 0; k = 0,1;$$

$$\left. \begin{aligned} m_0 \ddot{u}_0^0 &= N_x^2(t, 0, y); m_1 \ddot{u}_1^0 = -N_x^2(t, 0, y); \\ m_0 &= \frac{M_0}{2\pi m^{\Sigma} \cdot L \cdot R}; \quad m_1 = \frac{M_1}{2\pi m^{\Sigma} \cdot L \cdot R}; \\ m^x &= \rho_0 \delta_0 + \rho_1 \delta_1 \\ u_0^0(t, 0, y) &= u_0^1(t, 0, y); \quad u_1^0(t, 0, y) = u_1^1(t, 0, y); \\ \varphi_x(t, 0, y) &= \varphi_y(t, 0, y) = \varphi_x(t, 1, y) = \varphi_y(t, 1, y) = 0. \end{aligned} \right\} \quad (10)$$

თუ დატვირთვა  $y = 0$  სიბრტყის სიმეტრიულია, სიმეტრიის ხაზზე დამატებითი პირობები წარმოიქმნება. ეს პირობებია

$$y = 0; \frac{\pi R_0}{L} \varphi: \frac{\partial w}{\partial y} = \frac{\partial^3 w}{\partial y^3} = \frac{\partial u^k}{\partial y} = v^k = \varphi_y = \varphi_x = 0.$$

ამგვარად აგებული განტოლებათა სისტემა ამოიხსნება რიცხვითი ინტეგრების საშუალებით, სასრულო სხვაობათა მეთოდის დახმარებით.

### 3. დასპეციალური მეთოდები

აგებულია ორფენიანი ცილინდრის მზიდუნარიანობის საანგარიშო განტოლებათა სისტემა, როცა ცილინდრის შიგა ფენა ლითონისაა, დრეგად-პლასტიკური თვისებებით, გარე ფენის მასალა ძვრას ვერ ეწინააღმდეგება და ამიტომ დეფორმაციებს არასტაციონარული ხასიათი აქვთ.

მიწნებულია, რომ გარე ფენა ემორჩილება პუქის კანონს. შიგა ფენისათვის დამოკიდებულება ძაბვებსა და დეფორმაციებს შორის პლასტიკურობის თეორიის დიფერენციალური განტოლებებით დგინდება. დენადობის ზედაპირად სფეროა ძაბვებით ძაბვათა დევიატორის სივრცეში და აღიწერება აქტიური ძაბვების დევიატორის შენახვის გზით.

ოსტოგრადსკი-პამილტონის პრინციპზე დაყრდნობით მიღებული, გააადგილებათა განმსაზღვრელი განტოლებათა სისტემა ისსხნება სასრულ სხვაობათა რიცხვითი ინტეგრების მეთოდით.

### ლიტერატურა

1. . . . . 1973 . 3.
2. Leech I.W. Numerical calculation technique for long elastic-plastic transient deformation of thin shell // AJAA, 1968, #12.
3. თ. ბაციკაძე, ნ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე. შედგენილი ცილინდრის პლასტიკური დეფორმაციები. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №3(10). 2008 წ. თბილისი.
4. თ. ბაციკაძე, ნ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე. სქელკედლიანი, დრუგანიანი ცილინდრული გარსის მზიდუნარიანობა გარე და შიგა დაწნევის მოქმედებისას. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №4(19). 2010 წ. თბილისი.
5. თ. ბაციკაძე, ნ. მურდულია, ჯ. ნიუარაძე. სქელკედლიანი ცილინდრული გარსების არადრეკადი დეფორმაციები მუდმივი ტემპერატურული გრადიენტის და წნევის პირობებში. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №2(5). 2007 წ. თბილისი.

სიგრცეში მოცემული ამოზნექილი მრავალკუთხილის მიმართ  
 წერტილის მდებარეობის დადგენა, თუ წერტილი და  
 მრავალკუთხილი ურთ სიბრტყეზე მდებარეობს

ი. მასპინძელიშვილი, ი. ქადარია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას № 77, 0175, თბილისი,  
 საქართველო)

**რეზიუმე:** დადგენილია სიგრცეში მოცემული ამოზნექილი მრავალკუთხილის  
 მიმართ წერტილის მდებარეობის პირობები. კერძოდ, რა პირობები უნდა  
 სრულდებოდეს, მდებარეობდეს მრავალკუთხილის არეში, ან მის გარეთ, თუ  
 წერტილი და მრავალკუთხილი ურთ სიბრტყეზე მდებარეობს.

შემოთავაზებული მეთოდი, შეიძლება გამოყენებულ იქნას გეოდეზიის,  
 მხატველობითი გეომეტრიის და სამშენებლო მექანიკის პრაქტიკული ამოცანების  
 ამოხსნაში.

**საკვანძო სიტყვები:** ამოზნექილი მრავალკუთხილი, მრავალკუთხილის არე,  
 ნახვარსიბრტყე, მონაკვეთი, წერტილი, წრფის განტოლება.

## 1. შესაბამისობა

სტუდენტთა მომზადების დონე ძირითადად განპირობებულია სასწავლო-  
 მეთოდური სახელმძღვანელოების ხარისხით. მხატველობითი და ანალიზური  
 გეომეტრიის სწავლებაში მნიშვნელოვანია ისეთი ამოცანების დასმა და გადაწყვეტა,  
 რომელთა შესწავლაც სტუდენტებს გამოუმუშავებს ლოგიკურ აზროვნებას,  
 აუმაღლებს საგნისადმი ინტერესს და განუვითარებს დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-  
 ჩვევებს.


## 2. ძირითადი ნაშილი

ზოგადი ამოცანა. ამოზნექილი მრავალკუთხილის წვეროებია წერტილები:  
 $A_1(x_1; y_1; z_1), A_2(x_2; y_2; z_2), \dots, A_n(x_n; y_n; z_n)$ . ამავე სიბრტყეზე მოცემულია წერტილი  
 $B_0(x_0; y_0; z_0)$ .

დავადგინოთ პირობები, როდესაც  $B_0(x_0; y_0; z_0)$  წერტილი მდებარეობს  
 მრავალკუთხილის არეში; თუ მრავალკუთხილის გარეთაა, დავადგინოთ ნახვარსიბრტყე,  
 რომელშიც  $B_0(x_0; y_0; z_0)$  წერტილია.

ამოხსნა. განვიხილოთ მრავალკუთხილი  $A_1A_2A_3A_4A_5$ . შევადგინოთ წრფის  
 განტოლება, რომელიც გადის  $B_0(x_0; y_0; z_0)$  წერტილზე და მრავალკუთხილის რომელიმე  
 წვეროზე, ვთქვათ  $A_1(x_1; y_1; z_1)$ -ზე (ნახ. 1),

$$\frac{x - x_0}{x_1 - x_0} = \frac{y - y_0}{y_1 - y_0} = \frac{z - z_0}{z_1 - z_0}. \quad (L_1)$$



ვიპოვოთ ( $L_1$ ) წრფის გადაკვეთის წერტილი მრავალგუთხედის რომელიმე გვერდის შემცველ წრფესთან, მაგალითად  $A_2(x_2; y_2; z_2)$  და  $A_3(x_3; y_3; z_3)$  წვეროებზე გამავალ წრფესთან, რომლის განტოლებაა


$$\frac{x - x_2}{x_3 - x_2} = \frac{y - y_2}{y_3 - y_2} = \frac{z - z_2}{z_3 - z_2}. \quad (L_2)$$

გადაკვეთის წერტილი იქნება

$$\begin{cases} \frac{x - x_0}{x_1 - x_0} = \frac{y - y_0}{y_1 - y_0} = \frac{z - z_0}{z_1 - z_0}, \\ \frac{x - x_2}{x_3 - x_2} = \frac{y - y_2}{y_3 - y_2} = \frac{z - z_2}{z_3 - z_2} \end{cases}$$

განტოლებათა სისტემის ამონასნი. ვთქვათ, ეს წერტილია  $C(x'_1; y'_1; z'_1); B_0(x_0; y_0; z_0)$  წერტილი, რომ მდებარეობდეს მრავალგუთხედის არეში უნდა შესრულდეს შემდეგი პირობები: 1.  $C(x'_1; y'_1; z'_1)$  წერტილი უნდა ეკუთვნოდეს  $A_2 A_3$  გვერდს, ე. ი.  $|A_2 A_3| = |A_2 C| + |C A_3|$ ; 2.  $B_0(x_0; y_0; z_0)$  წერტილი უნდა ეკუთვნოდეს  $A_1 C$  მონაკვეთს, ე. ი.  $|A_1 C| = |A_1 B| + |B C|$ .

თუ არ სრულდება პირველი პირობა, მაშინ ვიპოვოთ ( $L_1$ ) წრფის გადაკვეთის წერტილს  $A_3(x_3; y_3; z_3)$  და  $A_4(x_4; y_4; z_4)$  წვეროებზე გამავალ წრფესთან. შევამოწმებთ ეს გადაკვეთის წერტილი ეკუთვნის თუ არა  $A_3 A_4$  გვერდს და ა. შ. სხვა შემთხვევაში  $B_0(x_0; y_0; z_0)$  წერტილი იქნება მრავალგუთხედის გარეთ, რომელიმე ნახევარსიბრტყეში, (ნახ. 2).




ნახ. 2

**ამოცანა 1.** ამონექტილი ოთხკუთხედის წვეროებია წერტილები:  $A_1\left(4;1;\frac{1}{3}\right)$ ,  $A_2(2;1;1)$ ,

$A_3(4;0;-1)$ ,  $A_4\left(\frac{9}{2};\frac{1}{2};-\frac{1}{2}\right)$ . ამავე სიბრტყეში მოცემულია წერტილი  $B\left(\frac{15}{4};\frac{3}{4};\frac{1}{12}\right)$ .

დავადგინოთ,  $B$  წერტილი ოთხკუთხედის არეში მდებარეობს თუ გარეთ; თუ არ მდებარეობს, დავადგინოთ ნახევარსიბრტყე, რომელშიც  $B$  წერტილი იქნება, (ნახ. 3).  
 ამოხსნა.



ნახ. 3

შევადგინოთ წრფის განტოლება, რომელიც გადის  $B\left(\frac{15}{4}; \frac{3}{4}; \frac{1}{12}\right)$  წერტილზე და  
 ოთხურთხედის რომელიმე წვეროზე, კოქათ  $A_2(2;1;1)$ -ზე,

$$\frac{x-2}{\frac{7}{4}} = \frac{y-1}{\frac{-1}{4}} = \frac{z-1}{\frac{-11}{12}}. \quad (L_1)$$

ვიპოვოთ  $(L_1)$  წრფის გადაკვეთის წერტილი  $A_3(4;0;-1)$  და  $A_4\left(\frac{9}{2}; \frac{1}{2}; \frac{-1}{2}\right)$   
 წვეროებზე გამავალ წრფესთან, რომლის განტოლებაა

$$\frac{x-4}{\frac{1}{2}} = \frac{y}{\frac{1}{2}} = \frac{z+1}{\frac{1}{2}}. \quad (L_2)$$

$$\begin{cases} x = \frac{7}{4}t + 2, \quad y = \frac{-t}{4} + 1, \quad z = \frac{-11}{12}t + 1, \\ \frac{x-4}{\frac{1}{2}} = \frac{y}{\frac{1}{2}}, \quad \frac{z+1}{\frac{1}{2}}. \end{cases}$$

$$t = \frac{3}{2}, \quad x = \frac{37}{8}, \quad y = \frac{5}{8}, \quad z = \frac{-3}{8}. \quad \text{შევამოწმოთ, } C_1\left(\frac{37}{8}; \frac{5}{8}; \frac{-3}{8}\right) \text{ წერტილი ეპუთვნის თუ}$$

არა  $A_3A_4$  გვერდს; ე.ო.  $|A_3A_4| = \frac{\sqrt{3}}{2}$ ,  $|A_3C_1| = \frac{5}{8}\sqrt{3}$ ,  $|C_1A_4| = \frac{\sqrt{3}}{8}$ . მაშასადამე,

$|A_3A_4| \neq |A_3C_1| + |C_1A_4|$ , ამიტომ  $C_1$  წერტილი არ ეპუთვნის  $A_3A_4$  გვერდს. ვიპოვოთ  
 $(L_1)$  წრფის გადაკვეთის წერტილი  $A_1\left(4;1;\frac{1}{3}\right)$  და  $A_4\left(\frac{9}{2}; \frac{1}{2}; \frac{-1}{2}\right)$  წვეროებზე გამავალ  
 წრფესთან, რომლის განტოლებაა

$$\frac{x-4}{-\frac{1}{2}} = \frac{y-1}{\frac{1}{2}} = \frac{z-\frac{1}{3}}{\frac{5}{6}}. \quad (L_3)$$

$$\begin{cases} x = \frac{7}{4}t + 2, \quad y = \frac{-t}{4} + 1, \quad z = \frac{-11}{12}t + 1, \\ \frac{x-4}{-\frac{1}{2}} = \frac{y-1}{\frac{1}{2}}, \quad \frac{z-\frac{1}{3}}{\frac{5}{6}}. \end{cases}$$

$$t = \frac{4}{3}, \quad x = \frac{13}{3}, \quad y = \frac{2}{3}, \quad z = \frac{-2}{9}. \quad \text{შევამოწმოთ, } C_2\left(\frac{13}{3}; \frac{2}{3}; \frac{-2}{9}\right) \text{ წერტილი ეპუთვნის თუ}$$

არა  $A_1A_4$  გვერდს; ე.ო.  $|A_1A_4| = \frac{\sqrt{43}}{6}$ ,  $|A_1C_2| = \frac{\sqrt{43}}{9}$ ,  $|C_2A_4| = \frac{\sqrt{43}}{18}$ . მაშასადამე,


$|A_1A_4| = |A_1C_2| + |C_2A_4|$  და  $C_2$  წერტილი ეპუთვნის  $A_1A_4$  გვერდს.  $|A_2C_2| = \frac{\sqrt{571}}{9}$ ,

$|A_2B| = \frac{\sqrt{571}}{12}$ ,  $|BC_2| = \frac{\sqrt{571}}{36}$ ; ე.ო.  $|A_2C_2| = |A_2B| + |BC_2|$ , ამიტომ  $B$  წერტილი  
 ოთხურთხედის არეში მდებარეობს.

ამოცანა 2. ამოზნექილი ოთხკუთხედის წვეროებია წერტილები:  $A_1(0;3;-5)$ ,  $A_2(1;2;-1)$ ,  $A_3(0;2;0)$ ,  $A_4\left(\frac{-2}{3};\frac{7}{3};-1\right)$ . ამავე სიბრტყეზე მოცემულია წერტილი  $B\left(\frac{5}{4};\frac{3}{2};\frac{5}{4}\right)$ .

დავადგინოთ,  $B$  წერტილი ოთხკუთხედის არეში მდებარეობს თუ გარეთ; თუ არ მდებარეობს, დავადგინოთ ნახევარსიბრტყე, რომელშიც  $B$  წერტილი იქნება, (ნახ. 4).

ამოხსნა.



ნახ. 4

შევადგინოთ წრფის განტოლება, რომელიც გადის  $B\left(\frac{5}{4};\frac{3}{2};\frac{5}{4}\right)$  წერტილზე და ოთხკუთხედის რომელიმე წვეროზე, კოქვათ  $A_4\left(\frac{-2}{3};\frac{7}{3};-1\right)$ -ზე,

$$\frac{x+\frac{2}{3}}{\frac{23}{12}} = \frac{y-\frac{7}{3}}{\frac{-5}{6}} = \frac{z+1}{\frac{9}{4}}. \quad (L_1)$$

ვიპოვოთ  $(L_1)$  წრფის გადაკვეთის წერტილი  $A_1(0;3;-5)$  და  $A_2(1;2;-1)$  წვეროებზე გამავალ წრფესთან, რომლის განტოლებაა

$$\frac{x}{1} = \frac{y-3}{-1} = \frac{z+5}{4}. \quad (L_2)$$

$$\begin{cases} x = t, \quad y = -t + 3, \quad z = 4t - 5, \\ \frac{x+\frac{2}{3}}{\frac{23}{12}} = \frac{y-\frac{7}{3}}{\frac{-5}{6}} = \frac{z+1}{\frac{9}{4}}. \end{cases}$$

$t = \frac{22}{13}$ ,  $x = \frac{22}{13}$ ,  $y = \frac{17}{13}$ ,  $z = \frac{23}{13}$ . შევამოწმოთ,  $C_1\left(\frac{22}{13}; \frac{17}{13}; \frac{23}{13}\right)$  წერტილი ეპუთვნის ოფარა  $A_1A_2$  გვერდს; ე. ი.  $|A_1A_2| = 3\sqrt{2}$ ,  $|A_1C_1| = \frac{66}{13}\sqrt{2}$ ,  $|C_1A_2| = \frac{27}{13}\sqrt{2}$ ; მაშასადამე,  $|A_1A_2| \neq |A_1C_1| + |C_1A_2|$ , ამიტომ  $C_1$  წერტილი არ ეპუთვნის  $A_1A_2$  გვერდს.

ვიპოვოთ  $(L_1)$  წრფის გადაკვეთის წერტილი  $A_1(1;2;-1)$  და  $A_3(0;2;0)$  წვეროებზე გამავალ წრფესთან, რომლის განტოლებაა

$$\frac{x-1}{-1} = \frac{y-2}{0} = \frac{z+1}{1}. \quad (L_3)$$

$$\begin{cases} x = -t+1, y = 2, z = t-1, \\ \frac{x+\frac{2}{3}}{\frac{23}{12}} = \frac{y-\frac{7}{3}}{-\frac{5}{6}} = \frac{z+1}{\frac{9}{4}}. \end{cases}$$

$t = \frac{9}{10}$ ,  $x = \frac{1}{10}$ ,  $y = 2$ ,  $z = \frac{-1}{10}$ . შევამოწმოთ,  $C_2\left(\frac{1}{10}; 2; \frac{-1}{10}\right)$  წერტილი ეპუთვნის ოფარა  $A_2A_3$  გვერდს; ე. ი.  $|A_2A_3| = |A_2C_2| + |C_2A_3|$ , ამიტომ  $C_2$  წერტილი ეპუთვნის  $A_2A_3$  გვერდს.  $|C_2A_4| = \frac{\sqrt{1358}}{30}$ ,

$|C_2B| = \frac{\sqrt{1358}}{20}$ ,  $|BA_4| = \frac{\sqrt{1358}}{12}$ ; ე. ი.  $|C_2A_4| \neq |C_2B| + |BA_4|$  და  $B$  წერტილი ოთხკუთხედის არეში არ მდებარეობს.  $|C_1C_2| = \frac{9}{130}\sqrt{1358}$ ,  $|C_1B| = \frac{\sqrt{1358}}{52}$ ,  $|BC_2| = \frac{\sqrt{1358}}{20}$ ; რადგანაც  $|C_1C_2| = |C_1B| + |BC_2|$ , ამიტომ  $B$  წერტილი მდებარეობს  $C_1C_2$  მონაკვეთზე.

### 3. დასპენა

სივრცეში დადგენილია ერთსა და იმავე სიბრტყეზე მოცემული ამოზნექილი მრავალკუთხედის და წერტილის ურთიერთმდებარეობის განმსაზღვრელი პირობები, რომლებიც შემოწმებულია პრაქტიკული ამოცანების ამოხსნით.

### ლიტერატურა

1. . . . ., 1980, 336 .
2. . . . ., 1980, 174 .

## გამჭიმავი ცენტრიდანული ძალების გაცლენა დისპის გუთხურ სიჩქარესა და დატვირთვის ინტენსივობაზე

დ. ჯანყარაშვილი, დ, ტაბატაძე, პ. იაშვილი, ლ. ქრისტესიაშვილი  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას № 77,0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** დრეკადი რგოლური, ხისტად ჩამაგრებული დისკის ღუნვა  
ცენტრიდანულ ძალთა გელ ში დაიყვანება ორ ცვლადი კოეფიციენტების მქონე  
დიფერიანცული განტოლების ამოხსნაზე. ამ ორი დიფერენციალური  
განტოლების ნაცვლად იხსნება მათი ექვივალენტური ვოლტერის ტიპის  
ინტეგრალური განტოლება, რიცხვითი მეთოდით, შემოთავაზებული მ.შ.  
მიქელაძის მიერ.

**საკვანძო სიტყვები:** დრეკადი რგოლური დისკი, ღუნვა, დიფერიანცული  
განტოლება, ვოლტერის ტიპის ინტეგრალური განტოლება, რიცხვითი მეთოდი.

### 1. შესავალი

ბრუნავი რგოლური დისკები ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ტექნიკაში,  
ავიაციის მშენებლობაში, გემთ მშენებლობაში და სხვა. მათი მუშაობის შესწავლა  
დრეკად და არადრეკად სტადიაში არის აქტუალური ამოცანა თანამედროვე  
სამშენებლო მექანიკის.

ძირითადი სირთულე ბრუნავი დისკების გაანგარიშების არის გადამწყვეტი  
განტოლებათა სისტემის ინტეგრირება. როგორც ცნობილია ასეთი ამონასნები ზუსტი  
ფორმით მიღებულია მხოლოდ ზოგიერთი კერძო ამოცანებისთვის. პრაქტიკული  
ამოცანებისთვის საჭიროა მოახლოებითი რიცხვითი მეთოდების გამოყება. ზემოთ  
მოყვანილი ამოცანის ამოხსნისთვის გამოყენებულია ერთ-ერთი რიცხვითი მეთოდი  
შემოთავაზებული მ. შ. მიქელაძის მიერ.

დრეკადი რგოლური თავისუფლად დაყრდნობილი დისკის ღუნვა ცენტრიდანულ  
ძალთა გელ ში დაიყვანება ორ ცვლად კოეფიციენტების მქონე დიფერენციალური  
განტოლების ამოხსნაზე. ამ ორი დიფ განტოლების ნაცვლად იხსნება მათი  
ექვივალენტური მეორე გვარის ვოლტერის ტიპის ინტეგრალური განტოლება სისტემა,  
რიცხვითი მეთოდით, შემოთავაზებული მ. შ. მიქელაძის მიერ.

რიცხვითი ექსპერიმენტის საფუძველზე დადგინდა, რომ ზღვრული  
დამოკიდებულება დისკის კუთხეურ სიჩქარეს და დატვირთვის ინტენსიობას შორის  
დრეკად სტადიაში, გამჭიმავი ცენტრიდანული ძლების გათვალისწინებით და მის  
გარეშე არის 2,32%-ის ფარგლებში.

### 2. პირითადი ნაშილი

დავამყაროთ კავშირი დისკის ზღვრულ კუთხეურ სიჩქარესა და დერძულ  
ძალებს შორის. ვთქვათ მუდმივი სისქის მქონე შიდა კონტურით თავისუფლად  
დაყრდნობილი დისკზე მოქმედებს დერძული თანაბრად განაწილებული დატვირთვა  
ინტენსიობით - კ.

დისკის ღუნვის დიფერენციალურ განტოლებას ცენტრიდანულ ძალების გელ ში  
აქვს შემდეგი სახე:

$$\varphi''(r) + \left[ \frac{1}{r} \frac{d \ln D_H(r)}{dr} \right] \varphi'(r) + \left[ \frac{\gamma d \ln D_H(r)}{r dr} \right]$$

$$\frac{1}{r^2} - \frac{T_r(r)}{D_H(r)}] \varphi(r) = \frac{Q_r}{D_H(r)}$$

$$D_H(r) = \frac{Eh^3(r)\pi}{12(1-\nu^2)}, \quad b \leq r \leq a,$$
(1)

სადაც  $T_r(r)$ - რადიალური ძალა, რომელიც არაა დამოკიდებული დისკის ღუნგაზე და გამოითვლება შემდეგი დიფერენციალური განტოლებიდან:

$$X_1(r)T'_r(r) + X_2(r)T_r(r) = f(r) \quad (2)$$

$$b \leq r \leq a$$

$$\text{აქ } X_1(r) = \frac{3}{r} - \frac{d \ln D_H(r)}{dr}, \quad X_2(r) = \frac{(1-\nu)d \ln D_H}{r dr}, \quad f(r) = -\frac{(3+\nu)\gamma \omega^2 h(r)}{g}, \quad D_H(r) = \frac{Eh(r)}{1-\nu^2}.$$

სადაც  $\varphi(r)$  - არის  $r$  - რდიუსის დისკის ცილინდრული კვეთის მობრუნების კუთხე;  $D_H(r)$  - ცილინდრული სიხისტე გაჭიმვისას,  $\nu$  - პუსონის კოეფიციენტი,  $E$  - დრეკადობის მოდული,  $\nu$  - მასალის მოცულობითი წონა,  $\omega$  - ბრუნვითი სიჩქარე,  $g$  - თავისუფლად ვარდნილი სხეულის აჩქარება,  $Q_r$  - გადამჭრელი ძალა  $Q_r = -\frac{1}{r} \int q r dr + \frac{c}{r}$

$C$  - ინტეგრების მუდმივა, რომელიც განისაზღვრება სასაზღვრო პირობებიდან,  $a$  და  $b$  - დისკის შიდა და გარე კონტურების რადიუსებია.

ამრიგად დისკის ღუნვის ამოცანა დაიყვანება (1) და (2) დიფერენციალური განტოლების ამოხსნაზე. მომავალში გაანგარიშებისთვის ვისარგებლოო უგანზომილებო კოორდინატებით  $\rho = \frac{r}{a}$ , სადაც  $\beta \leq \rho \leq 1$ . ახალი ცვლადის შეტანით შემდეგი ფორმულით:

$$N(\rho) = T_r(\rho) \exp 0.5 \int_{\beta}^{\rho} X_1(\rho) d\rho = \sqrt{\frac{\rho^3 h(\beta)}{\beta^3 h(\rho)}} T_r(\rho) \quad (3)$$

განტოლება (2) დაიყვანება შემდეგ სახეზე:

$$N'(\rho) - I_1(\rho)N(\rho) = F_1(\rho) \quad (4)$$

$$\text{სადაც } I_1(\rho) = \frac{0.75}{\rho^2} \frac{(0.5+\nu)h'(\rho)}{\rho h(\rho)} + 0.75 \left[ \frac{h'(\rho)}{h(\rho)} \right]^2 - 0.5 \frac{h''(\rho)}{h(\rho)}$$

$$F_1(\rho) = -\frac{(3+\nu)\gamma \omega^2 a^2}{g} \sqrt{\frac{h(\beta)h(\rho)\rho^3}{\beta^3}} \quad (5)$$

ტეოლორის ფორმულის გამოყენებით:

$$N(\rho) = N(\beta) + (\zeta - \beta)N'(\beta) + \int_{\beta}^{\rho} (\rho - x) N''(x) dx \quad (6)$$

(6)-ის (4)-ში ჩასმით, მივიღებთ:

$$N''(\rho) = F_1(\rho) + I_1(\rho)[N(\beta) + (\zeta - \beta)N'(\beta) + \int_{\beta}^{\rho} (\rho - x) N''(x) dx] \quad (7)$$

ეს უკანასკნელი არის ვოლტერას ტიპის მეორე რიგის ინტეგრალური განტოლება, რომელიც წარმოვადგინოთ შემდეგი ჯამის სახით:

$$N''(\rho) = \zeta_1(\rho) + \eta_1(\rho)N(\beta) + \xi_1(\rho)N'(\beta) \quad (8)$$

$\zeta_1(\rho)$ ,  $\eta_1(\rho)$  და  $\xi_1(\rho)$  განისაზღვრება შემდეგი ინტეგრალური ტოლობით:

$$\zeta_1(\rho) = F_1(\rho) + I_1(\rho) \int_{\beta}^{\rho} (\rho - x) \zeta_1(x) dx,$$

$$\eta_1(\rho) = I_1(\rho)[1 + \int_{\beta}^{\rho} (\rho - x) \eta_1(x) dx], \quad (9)$$

$$\xi_1(\rho) = I_1(\rho)[(\rho - \beta) + \int_{\beta}^{\rho} (\rho - x) \xi_1(x)]$$

(1) ინტეგრალური განტოლება, დაიყვანება შემდეგ სახეზე:

$$\vartheta''(\rho) - I_2(\rho)\vartheta(\rho) = F_2(\rho) \quad (10)$$

$$\beta \leq \rho \leq 1,$$

$$\text{სადაც } I_2(\rho) = \frac{0.75}{\rho^2} + \frac{1.5(1-2\nu)h'(\rho)}{\rho h(\rho)} + 0.75 \left[ \frac{h'(\rho)}{h(\rho)} \right]^2 + 1.5 \frac{h''(\rho) + 12(1-\nu^2)\rho^2}{E h^3(\rho)} T_r(\rho), \\ F_1(\rho) = \frac{12(1-\nu^2)a^2}{E} \sqrt{\frac{\rho}{h(\beta)h(\rho)}} Q_r \quad (11)$$

შემოვიდოთ ახალი ცვლადი:

$$Q(\rho) = \varphi_r(\rho) \exp 0.5 \int_{\beta}^{\rho} \left[ \frac{1}{\rho} + \frac{d \ln D_h(\rho)}{d\rho} \right] d\rho = \sqrt{\frac{\rho h^3(\rho)}{\beta h^3(\beta)}} \varphi(\rho) \quad (12)$$

ტეილორის ფორმულის თანახმად

$$\vartheta(\rho) = \vartheta(\beta) + (\rho - \beta)\vartheta'(\beta) + \int_{\beta}^{\rho} (\rho - x)\vartheta''(x)dx \quad (13)$$

(12)-ი ჩავსვავთ (1)-ში მივიღებთ გოლტერის ტიპის მეორე რიგის ინტეგრალურ განტოლებას:

$$\vartheta''(\rho) = F_2(\rho) + I_2(\rho) \left[ \vartheta(\beta) + (\rho - \beta)\vartheta'(\beta) + \int_{\beta}^{\rho} (\rho - x)\vartheta''(x)dx \right] \quad (14)$$

მისი ამონასწინი ვეძებოთ შემდეგი ფორმით:

$$\vartheta''(\rho) = \zeta_2(\rho) + \eta_2(\rho)\vartheta(\beta) + \xi_2(\rho)\vartheta'(\beta) \quad (15)$$

$$\text{სადაც } \zeta_2(\rho) = F_2(\rho) + \int_{\beta}^{\rho} (\rho - x)\zeta_2(x)dx,$$

$$\eta_2(\rho) = I_2(\rho) \left[ 1 + \int_{\beta}^{\rho} (\rho - x)\eta_2(x)dx \right], \quad (16)$$

$$\xi_2(\rho) = I_2(\rho) \left[ (\rho - \beta) + \int_{\beta}^{\rho} (\rho - x)\xi_2(x)dx \right]$$

ამრიგად (7) და (14) ცვლიან (13) და (1) განტოლებებს.

ამ განტოლებების ამონება უმჯობესია რიცხვითი მეთოდით შემოთავაზებული გ.ვ. მიქელაძის მიერ რეკურენტული ფორმით.

განტოლებები (8) და (15) შევცვალოთ სასრული ჯამით:

$$\zeta_j(\rho_k) = F_j(\rho_k) + \Delta^2 I_j(\rho_k) \left[ \frac{k}{2} \zeta_j(\rho_0) + (k-1) \zeta_j(\rho_1) + (k-2) \zeta_j(\rho_2) + \dots + \zeta_j(\rho_{k-1}) \right],$$

$$\eta_j(\rho_k) = I_j(\rho_k) \left\{ 1 + \Delta^2 \left[ \frac{k}{2} \eta_j(\rho_0) + (k-1) \eta_j(\rho_1) + (k-2) \eta_j(\rho_2) + \dots + \eta_j(\rho_{k-1}) \right] \right\},$$

$$\xi_j(\rho_k) = I_j(\rho_k) \left\{ k\Delta + \Delta^2 \left[ \frac{k}{2} \xi_j(\rho_0) + (k-1) \xi_j(\rho_1) + (k-2) \xi_j(\rho_2) + \dots + \xi_j(\rho_{k-1}) \right] \right\}.$$

(17) დამოკიდებულებები მიიღება ინტეგრების ტრაპეციის ფორმულის გამოყენებით,  $\Delta$  და  $k$  არის შესაბამისი ბიჯი და დაყოფის ნომერი.  $N(\rho)$  და  $(\rho)$  გამოითვლება ფორმულებით:

$$N(\rho_k) = \frac{1}{I_j(\rho_k)} [\xi_1(\rho_k) + \eta_1(\rho_k)N(\beta) + \xi_1(\rho_k)N(\beta)' - F_1(\rho_k)], \quad (18)$$

$$\vartheta(\rho_k) = \frac{1}{I_2(\rho_k)} [\xi_2(\rho_k) + \eta_2(\rho_k) \vartheta(\beta) + \xi_2(\rho_k) \vartheta'(\beta) - F_2(\rho_k)], \quad (19)$$

მათ წარმოებულებს აქვთ შემდეგი სახე:

$$N'(\rho_k) = N'(\beta) + \int_{\beta}^{\rho} N''(x)dx,$$

$$\vartheta'(\rho_k) = \vartheta'(\beta) + \int_{\beta}^{\rho} \vartheta''(x)dx,$$

ინტეგრალს, თუ შევცვლით სასრული ჯამით ტრაპეციის ფორმულის გამოყენებით, მივითებთ:

$$N'(\rho_k) = \left[ \frac{1}{2} \zeta_1(\rho_0) + \zeta_1(\rho_1) + \dots + \zeta_1(\rho_{k-1}) + \frac{1}{2} \zeta_1(\rho_k) \right] + \Delta \left[ \frac{1}{2} \eta_1(\rho_0) + \eta_1(\rho_1) + \dots + \eta_1(\rho_{k-1}) + \frac{1}{2} \eta_1(\rho_k) \right] N(\rho) + \{1 + \Delta [\frac{1}{2} \xi_1(\rho_0) + \xi_1(\rho_1) + \dots + \xi_1(\rho_{k-1}) + \frac{1}{2} \xi_1(\rho_k)]\} N'(\rho), \quad (20)$$

$$\vartheta'(\rho_k) = [\frac{1}{2}\zeta_2(\rho_0) + \zeta_2(\rho_1) + \dots + \zeta_2(\rho_{k-1}) + \frac{1}{2}\zeta_2(\rho_k)] + \Delta[\frac{1}{2}\eta_2(\rho_0) + \eta_2(\rho_1) + \dots + \eta_2(\rho_{k-1}) + \frac{1}{2}\eta_2(\rho_k)]\vartheta(\rho) + \{1 + \Delta[\frac{1}{2}\xi_2(\rho_0) + \xi_2(\rho_1) + \dots + \xi_2(\rho_{k-1}) + \frac{1}{2}\xi_2(\rho_k)]\}\vartheta'(\beta) \quad (21)$$

(7) და (13) ინტეგრალური განტოლებების ამოხსნა შეიცავს უცნობ პარამეტრს  $N(\rho)$  და  $(\beta)$ -ს და მათ წარმოებულებს  $\rho=\beta$  ( $r=b$ ) წერტილში. მათ საპოვნელად გამოიყენება სასაზღვრო პირობები.

ამრიგად ზემოთ აღწერილი მეთოდი გვაძლევს საშუალებას ვიპოვოთ საერთო ამონასნი.

დავამყროთ დამოკიდებულება დისკზე მდებული დატვირთვის ინტენსივობას და დისკის კუთხეურ სიჩქარეს შორის. დისკის ღერძი მიმართულია ( $z$ ) ღერძის გასწვრივ ვერტიკალურად ზემოთ, ხოლო განაწილებულლი დატვირთვა მოდებულია დისკის ზედა ნაწილში  $z=h/2$

სასაზღვრო პირობებს, როცა დისკი ხისტად არის ჩამაგრებული შიდა კონტურით აქვს შემდეგი სახე:

$$U(\rho) = 0, \text{ როცა } \rho = \beta,$$

$$T_r(1) = 0, \text{ როცა } \rho = 1.$$

სადაც  $U(\rho)$  რადიალური გადაადგილებაა.

ძალები რადიალური და რგოლის მიმართულებით გამოითვლება ფორმულით:

$$T_r(\rho) = \frac{D_p(\rho)}{a}[u'(\rho) + \frac{v}{\rho}u(\rho)],$$

$$T_\theta(\rho) = \frac{D_p(\rho)}{a}[vu'(\rho) + \frac{1}{\rho}u(\rho)], \quad (22)$$

წონასწორობის განტოლება:

$$\rho T_r'(\rho) + T_r(\rho) - T_\theta(\rho) + \frac{\gamma a^2 \omega^2 h(\rho)}{g} \rho^2 = 0$$

სასაზღვრო პირობები ახალი ცვლადისთვის იქნება

$$N(\beta) = 0, \text{ როცა } \rho = \beta,$$

$$N(1) = 0, \text{ როცა } \rho = 1. \quad (23)$$

რადიალური ძაბვები არ არის დამოკიდებული ღუნვით დეფორმაციაზე. ისინი გამოითვლება ბრუნვითი დისკის ამოცანიდან ფორმულით:

$$T_r(\rho) = \sqrt{\frac{\beta^3 D_p(\rho)}{\rho^3 D_p(\beta)}} N(\beta),$$

$$T_\theta(\rho) = \sqrt{\frac{\beta^3 D_p(\rho)}{\rho^3 D_p(\beta)}} \left\{ \rho N'(\rho) + 0.5 \left[ \frac{\rho D_p'(\rho)}{D_p(\beta)} - 1 \right] N(\rho) \right\} + \frac{\gamma a^2 \omega^2 \beta^2}{g} \quad (24)$$

(7) ინტეგრალური განტოლების ამოხსნის  $N(\rho)$ ,  $N'(\rho)$  და  $N''(\rho)$  მნიშვნელობები სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით გამოითვლება პარამეტრის სიზუსტით. ეს უკანასკნელი შევა (23) ფორმულებში.

ზღვრული კუთხეური სიჩქარე, რომელსაც შეესაბამება პირველი პლასტიკური დეფორმაცია შიდა წრიულ კონტურზე = , გამოითვლება დენადობის პირობიდან:

$$\sigma_r^2 - \sigma_r \sigma_\theta + \sigma_\theta^2 = \sigma_t \quad (25)$$

სადაც  $\sigma_r$  და  $\sigma_\theta$ - რადიალური და რგოლური ნორმალური ძაბვებია, ხოლო  $\sigma_t$ - მასალის დენადობის ზღვარის სიდიდე გაჭიმვის დროს.  $\sigma_r$  და  $\sigma_\theta$  დისკის შიდა კონტურზე გამოითვლება ფორმულით:

$$\sigma_r(\beta) = \frac{N(\beta)}{h(\beta)},$$

$$\sigma_\theta(\beta) = \beta \frac{N'(\beta)}{h(\beta)} + 0.5 \left[ \frac{\beta D_p'(\beta)}{D_p(\beta)} - 1 \right] \frac{N(\beta)}{h(\beta)} + \frac{ya^2\omega^2\beta^2}{g} \quad (26)$$

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც დისკი შიდა კონსტურით ხისტად არის ჩამაგრებული, დატვირთვის ინტენსივობით  $q$ , დისკის კუთხური სიჩქარე მოცემულია  $0 \leq \omega \leq \omega_{\text{აღ}}$  საზღვრებში, (14) განტოლების ამოხსნისათვის სასაზღვრო პირობას აქვს სახე:

$$\varphi(\beta) = 0, \text{როცა } \rho = \beta,$$

$$M_r(1) = 0, \text{როცა } \rho = 1.$$

გამოვიყენოთ მდუნავი მომენტის გამოხატვლები  $M_r$  და  $M_\theta$

$$M_r(\rho) = \frac{D_p(\rho)}{a} [\varphi'(\rho) + \frac{v}{\rho} \varphi(\rho)],$$

$$M_\theta(\rho) = \frac{D_p(\rho)}{a} [v\varphi'(\rho) + \frac{1}{\rho} \varphi(\rho)],$$

აგრეთვე

$$\varphi_r(\rho) = \sqrt{\frac{\beta D_p(\beta)}{\rho D_p(\rho)}} \vartheta(\rho),$$

$$\varphi'(\rho) = \sqrt{\frac{\beta D_p(\beta)}{\rho D_p(\rho)}} \left\{ \vartheta'(\rho) - 0.5 \vartheta(\rho) \left[ \frac{D_p'(\beta)}{D_p(\beta)} + \frac{1}{\rho} \right] \right\}$$

სასაზღვრო პირობები:

$$\vartheta(\beta) = 0, \text{როცა } \rho = \beta$$

$$\vartheta'(\beta) = \vartheta(1) \left[ \frac{0.5 D_p'(1)}{D_p(1)} + \frac{1}{2} - v \right], \text{როცა } \rho = 1 \quad (27)$$

ახალი ცვლადების მიმართ მომენტები გამოითვლება ფორმულებით:

$$M_r(\rho) = \sqrt{\frac{\beta D_p(\beta) D_p(\rho)}{a^2 \rho}} \left\{ \vartheta'(\beta) - \vartheta(\beta) \left[ \frac{0.5 D_p'(\rho)}{D_p(\rho)} + \frac{0.5 - v}{\rho} \right] \right\},$$

$$M_\theta(\rho) = \sqrt{\frac{\beta D_p(\beta) D_p(\rho)}{a^2 \rho}} \left\{ v \vartheta'(\beta) - \vartheta(\rho) \left[ \frac{0.5 v D_p'(\rho)}{D_p(\rho)} - \frac{1 - 0.5 v}{\rho} \right] \right\}.$$

განაწილებული დატვირთვის ინტენსივობა  $q$  მაქსიმალურ მნიშვნელობას დებულობს, როცა დისკი გაჩერებულია. მის მნიშვნელობას გამოვთვლით პლასტიკურობის საწყისი პირობიდან  $\rho = \beta$ ,  $\sigma_r(\beta)$  და  $\sigma_\theta(\beta)$  გამოითვლება ფორმულებით:

$$\sigma_r(\beta) = \frac{\epsilon D_p(\beta)}{ah^2(\beta)} \left\{ \vartheta'(\beta) - \vartheta(\beta) \left[ \frac{0.5 D_p'(\rho)}{D_p(\rho)} + \frac{0.5 - v}{\rho} \right] \right\},$$

$$\sigma_\theta(\beta) = \frac{\epsilon D_p(\beta)}{ah^2(\beta)} \left\{ v \vartheta'(\beta) - \vartheta(\rho) \left[ \frac{0.5 v D_p'(\rho)}{D_p(\rho)} - \frac{1 - 0.5 v}{\rho} \right] \right\}. \quad (28)$$

განვიხილოთ რიცხვითი მაგალითი: დისკი  $h(\rho) = h_0 = \text{const}$ ;  $\beta = \frac{b}{a} = 0.2$ ,  $\frac{h_0}{a} = 0.1$ ,  $h_0 = 5 \text{ სმ}$ ,  $\gamma = 0.00785 \text{ კგ/სმ}^3$ ,  $v = 0.3$ ,  $a = -0.6$ ,  $E = 2.1 \cdot 10^{-6} \text{ კგ/სმ}^2$ ,  $\sigma_j = 2500 \text{ კგ/სმ}^2$ ,  $q = \text{const}$ .

რადიალური და რგოლური ძალები გამოითვლება ფორმულით:

$$T_r(\rho) = -\frac{ya^2\omega^2 n_0}{8g} [(3+v)\rho^2 - (1+v) \frac{\beta^{4+\frac{3+v}{1-v}}}{\beta^{2+\frac{1-v}{1-v}}} - \frac{3+v-(1+v)\beta^2}{\beta^{2+\frac{1+v}{1-v}}} \left( \frac{\beta}{\rho} \right)^2],$$

$$T_\theta(\rho) = -\frac{ya^2\omega^2 n_0}{8g} [(1+3v)\rho^2 - (1+v) \frac{\beta^{4+\frac{3+v}{1-v}}}{\beta^{2+\frac{1-v}{1-v}}} - \frac{3+v-(1-v)\beta^2}{\beta^{2+\frac{1+v}{1-v}}} \left( \frac{\beta}{\rho} \right)^2].$$

მოცემული სიდიდეების ჩასმის შემდგომ:

$$T_r(\rho) = 125.03185 \cdot 10^{-4} \left[ 3.231518 + 1.712048 \left( \frac{0.2}{\rho} \right)^2 - 3.3\rho^2 \right] \omega^2,$$

$$T_\theta(\rho) = 125.03185 \cdot 10^{-4} \left[ 3.231518 - 1.712048 \left( \frac{0.2}{\rho} \right)^2 - 1.9\rho^2 \right] \omega^2.$$

დისკის შიდა კონტურზე ძაბვები ტოლია:

$$\sigma_r(0.2) = \frac{T_r(0.2)}{h_0} = 120.31980 \cdot 10^{-4} \omega^2$$

$$\sigma_\theta(0.2) = \frac{T_\theta(0.2)}{h_0} = 36.09554 \cdot 10^{-4} \cdot \omega^2 \quad (29)$$

რადაგან  $\sigma_\theta(0.2) = \nu \sigma_r(0.2)$ ,

დენადობის პირობა ამ შემთხვევაში მიიღებს სახეს:

$$\sigma_r(0.2)\sqrt{1-\nu+\nu^2} = \sigma_t \quad (30)$$

ზღვრული კუთხური სიჩქარე, რომელიც შეესაბამება პირველ პლასტიკურ დეფორმაციებს შიდა კონტურზე ( $\rho=0.2$ ) გამოითვლება დენადობის პირობიდან (30)-ის (29)-ში ჩასმით:

$$\sqrt{0.79 \cdot 120.31980 \cdot 10^{-4} \omega^2} = 2500$$

$$\text{აქედან } \omega_{\text{თ}} = \sqrt{\frac{2500}{120.31980 \cdot 10^{-4} \sqrt{0.79}}} = 483.50 \text{ 1/წ}\text{d}.$$

დისკის ღუნვა ცენტრიდანულ ძალვების ველში.

რადგან ცენტრიდანული ძალვები ასრულებენ განტვირთვით ზემოქმედებას მღუნავ მომენტზე, ამიტომ მაქსიმალური მნიშვნელობა დატვირთვის ინტენსივობის იქნება დისკის უძრაობის შემთხვევაში. მღუნავი მომენტი რადიალურ და რგოლის მიმართულებით ტოლია:

$$M_r(\rho) = \frac{qa^2}{16} \left[ (3 + \nu) \rho^2 + \frac{(1+\nu)(1-\beta^4-4\beta^2 \ln \frac{\beta}{\rho} \frac{1+\nu}{1-\nu} 4 \ln \rho)}{\beta^2 + \frac{1+\nu}{1-\nu}} - \frac{4(1+\nu) \ln \beta - (1+\nu) \beta^2 - (1-\nu) \left( \frac{\beta}{\rho} \right)^2 - 4}{\beta^2 + \frac{1+\nu}{1-\nu}} \left( \frac{\beta}{\rho} \right)^2 - 4 \right],$$

$$M_\theta(\rho) = \frac{qa^2}{16} \left[ (1 + 3\nu) \rho^2 + \frac{(1+\nu)(1-\beta^4-4\beta^2 \ln \frac{\beta}{\rho} \frac{1+\nu}{1-\nu} 4 \ln \rho)}{\beta^2 + \frac{1+\nu}{1-\nu}} + \frac{4(1+\nu) \ln \beta - (1+\nu) \beta^2 - (1-\nu) \left( \frac{\beta}{\rho} \right)^2 - 4\nu}{\beta^2 + \frac{1+\nu}{1-\nu}} \left( \frac{\beta}{\rho} \right)^2 - 4\nu \right].$$

დისკის შიდა კონტურზე (როცა  $\rho=0.2$ ,  $z=0.5h_0$ ) ძაბვები დებულობენ შემდეგ მნიშვნელობებს:

$$\sigma_r(0.2) = \frac{\epsilon M_r(0.2)}{h_0^2} = 368.12432 q,$$

$$\sigma_\theta(0.2) = \frac{\epsilon M_\theta(0.2)}{h_0^2} = \nu \sigma_r(0.2). \quad (31)$$

რადგან  $\sigma_\theta(0.2) = \nu \sigma_r(0.2)$ , დენადობის პირობა ტოლი იქნება (30)-ის. ფუნქციები  $I_2(\rho)$  და  $F_2(\rho)$  დებულობენ შემდეგ სახეს:

$$I_2(\rho) = \frac{0.75}{\rho^2},$$

$$F_2(\rho) = -\frac{1-\rho^2}{\sqrt{\rho}} P, \quad P = 1.118034 \frac{qa^3}{D_p}$$

სასაზღვრო პირობებს აქვთ შემდეგი სახე:

$$\vartheta(0.2) = 0, \text{როცა } \rho = \beta = 0.2,$$

$$\vartheta(1.0) = 0, \text{როცა } \rho = 1.0 \quad (32)$$

ძაბვები შიდა კონტურზე ტოლია:

$$\sigma_r(0.2) = \frac{\epsilon D_p}{ah_0^2} \vartheta'(0.2), \quad \sigma_\theta(0.2) = \frac{\epsilon D_p}{ah_0^2} \nu \vartheta'(0.2) \quad (33)$$

(32) პირობების თანახმად:

$$-0.912942\rho + 1.672947\vartheta'(0.2) = 0.2[-0.456922\rho + 1.056490\vartheta'(0.2)]$$

$$\text{აქედან } \vartheta'(0.2) = 0.562076\rho = 0.628420 \frac{qa^3}{D_p}$$

ძაბვა შიდა კონტურზე, roca  $\rho = 0.2, z = \frac{h_0}{2}$  ტოლია:

$$\sigma_r(0.2) = \frac{\epsilon D_p}{ah_0^2} 0.628420 \frac{qa^3}{D_p} = 377.052q,$$

$$\sigma_\theta(0.2) = \frac{\epsilon D_p}{ah_0^2} 0.3 \cdot 0.628420 \frac{qa^3}{D_p} = 113.116q \quad (34)$$

თუ შევადარებთ (34) და (33) გამოსახულებებს ძაბვებს შორის სხვაობა არის 2.42%.

დატვირთვის ინტენსიონის ზღვრული მნიშვნელობა, რომელსაც შეესაბამება პლასტიკური დეფორმაცია დისკის შიდა კონტურზე (როცა  $\rho=2, z=0.5h_0$ ), განისაზღვრება დენადობის პირობიდან:  $377.052\sqrt{0.79}q = 2500$

საიდანაც  $q_{\text{და}} = 7.460 \text{ კგ/სმ}^2$ .

ზემოთ მოყვანილი მეთოდით გამოთვლილია დამოკიდებულება კუთხურ სიჩქარესა და ზღვრულ დატვირთვის ინტენსიონის შორის.

### 3. დასპგნა

- დისკის ღუნვის ამოცანა ცენტრიდანულ ძალთა ველში დაიყვანება ორი ცვლად კოეფიციენტებიან დიფერენცილაური განტოლების ამოხსნაზე. ამ ორი დიფერენცილაური განტოლების ნაცვლად იხსნება მათი ექვივალენტური ვოლტერის ტიპის ინტეგრალური განტოლება რიცხვითი მეთოდით, შემოთავაზებული მ.შ. მიქელაძის მიერ.
- რიცხვითი ექსპერიმენტის საფუძველზე დადგინდა, რომ ზღვრული დამოკიდებულება დისკის კუთხურ სიჩქარეს და დატვირთვის ინტენსიონის შორის დრეკად სტადიაში, გამჭიმავი ცენტრიდანული ძლების გათვალისწინებით და მის გარეშე არის 2,32%-ის ფარგლებში.

### ლიტერატურა

- Микеладзе М.Ш. Численное решение систем дифференциальных уравнений. Приложение метода к расчету вращающей оболочкию Прикладная математика и механика. т.XVII, В., 3, 1953 г. 295.გვ

## გეტონის შემპავრივების ცენტრიზაციის მეთოდი

დ. ბაქრაძე, თ. ამყოლაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას № 77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ბეტონის დაყალიბების და ცენტრიზაცირების მეთოდი გამოიყენება  
რაციონალური და ეფექტური მიღისებრი ფორმის ხიმიჯების,  
ელექტროგადამცემი და განათების ბოძების და სხვა კონსტრუქციების  
დამზადების დროს. მიღებისა და მიღოვანი კონსტრუქციების ცენტრიდანულ  
დაყალიბებას ახორციელებენ დაზა-ცენტრიზაციაში, რომელშიც ცილინდრული  
ყალიბი ბეტონის ნარევთან ერთად ბრუნავს საჭირო სიჩქარით.  
ახლადჩაწყობილი ბეტონის ხარისხის მირთად მაჩვენებლად ითვლება  
შემკვრელების ხარისხი რომელიც რიცხობრივად ტოლია შემკვრივებული  
ბეტონის ნარევის, ბეტონის “თეორიული” სიმკვრივესთან.  
**საკვანძო სიტყვები:** ცენტრიზაცია, შემკვრივება, განმრევება, ერთგვაროვნება,  
ცენტრიდანული, ბრუნვის რიცხვი, კუთხური სიჩქარე.

### 1. შესავალი

ბეტონის სიმტკიცე დიდადაა დამოკიდებული შემკვრივების ხარისხზე.  
საჭიროა ბეტონის ნარევის ისეთი კონსისტენცია, რომ შეიძლებოდეს მისი  
ადგილად და განმრევების გარეშე გადატანა, ჩაწყობა და შემკვრივება.

შემკვრივების აუცილებლობა ნათელი ხდება თუ შევისწავლით  
დამოკიდებულებას შემკვრივების ხარისხსა და ბეტონის სიმტკიცეს შორის.  
ფორების არსებობა მკვეთრად ამცირებს ბეტონის სიმტკიცეს: 5% ფორს შეუძლია  
სიმტკიცე შეამციროს 30%-ით, 2% კი 10%-ზე მეტად. თითოეული ნაკეთობის  
შემკვრივების დრო დამოკიდებულია მის მოცულობაზე, ბეტონის ნარევის  
მახასიათებლებზე და შემკვრივების სახეობაზე. როგორც წესი, შემკვრივების დრო  
საწარმოო პირობებში დგინდება ექსპერიმენტულად.

### 2. ძორითადი ნაწილი

მიღისებრი ნაკეთობის ცენტრიდანული დაყალიბების დროს ბეტონის ნარევის  
განაწილება და შემკვრივება წარმოებს ცენტრიდანული ძალების  $N$  ზემოქმედებით,  
ყალიბში ჩარი ბრუნვით, რომელთა სიდიდე მისი კომპონენტების  $m$  მასის  
პროპორციულია:


$$N = r \cdot S^2 \cdot m$$

სადაც  $r$  – ბრუნვის რადიუსი;  $S$  – კუთხური სიჩქარე;  $m$  – კომპონენტების  
მასა.

ამასთან ერთად ნარევის თითოეული კომპონენტი სიმძიმის  $mg$  ძალის  
ზემოქმედებაშია. ამ ძალების ტოლქმედი –  $P$  ბრუნვის ნებისმიერ წერტილში  
შეიძლება განისაზღვროს ფორმულით

$$P = m\sqrt{(r\omega^2)^2 + g^2 - 2r\omega^2 g \cos \alpha}$$

ყალიბის ყველაზე ქვედა წერტილში, როდესაც  $\cos \alpha = -1$ , ტოლქმედი  $P_J$  ტოლია:  $P_J = m(r\dot{S}^2 + g)$  და აღწევს მაქსიმუმს.



ნახ. 1. ნარევის კომპონენტებზე მომქმედი ძალის სქემა დაყალიბების დროს

ყალიბის ყველაზე ზედა წერტილში, როდესაც ( $\cos \alpha = 1$ ) ტოლქმედი  $P_B$  ტოლია:

$$P_B = m(r\dot{S}^2 - g)$$

ამგარად, იმისათვის, რომ შემკვრივება ცენტრიფუგირებისას ეფექტური იყოს, საჭიროა, რომ ცენტრიდანული ძალები სიმძიმის ძალებზე ნაკლები არ უნდა იყოს

$$r\dot{S}^2 > g$$

ბეტონის ნარევის საიმედო შემკვრივებისათვის აუცილებელია, რომ

$$r\dot{S}^2 = 4g$$


პრაქტიკაში საშუალო დიამეტრის მილისებრი კონსტრუქციისათვის ყალიბის ბრუნვის საწყისი რიცხვი მიიღება  $60\dots 150$  ბრ/წთ; ამასთან, რაც მეტია დიამეტრი მით ნაკლებია ბრუნვათა რიცხვი. შემკვრივების სტადიაში ყალიბის ბრუნვათა რიცხვს ზრდიან  $400\dots 900$  ბრ/წთ-მდე და მეტად. ამ დროს ცენტრიფუგაში დაწევა ბეტონის ნარევზე თანდათან იზრდება  $0,0175$ -დან  $0,065$  მგპა-მდე; გიროსკოპულ ცენტრიფუგაში იგი აღწევს  $0,145$  მგპა.

ბეტონის ნარევის ცენტრიდანული შემკვრივების დროს არსებობს მისი განშრევების ტენდენცია. ეს აისხება იმით, რომ შემვსების მარცვლების მასა მეტია წყლის, ცემენტის მარცვლების და მინერალური დანამატების მასაზე. აქედან გამომდინარე შედარებით მსხვილ ნაწილაკებზე მომქმედი ცენტრიდანული ძალების მნიშვნელობა მეტია მცირე ნაწილაკებზე მომქმედ ძალებთან შედარებით. შედეგად, მსხვილი შემავსებელი ეპრის ყალიბის კედელს, ხოლო წყალი მყარი ფაზის დისპერსული ნაწილაკებით იწურება და გროვდება შლამის სახით ფორმირებული ნაკეთობის შიგა ზედაპირზე. გამოწურული წყლის რაოდენობამ, ცენტრიფუგირების რეჟიმის, ნარევის შემადგენლობისა და მახასიათებლების მიხედვით შეიძლება მიაღწიოს  $25\dots 30\%$ -ს, ადუღაბების წყლის რაოდენობასთან შედარებით. ეს კი რასაკვირველია ზრდის ბეტონის სიმკვრივეს ნაკეთობის გარე შრეებში.

მთლიანობაში ბეტონის სტრუქტურა ელემენტის კვეთში არათანაბარია – ძალიან მკვრივ გარე შრეებთან ერთად გვაქვს შინაგანი შრეების ფორმვანი სტრუქტურა. ამის თავიდან აცილებისა და ნარევის განშრევების შემცირებისათვის ზღუდავენ შემვსების უდიდეს სიმსხოს ( $15\dots 20$  მმ), ირჩევენ საკმაოდ ბლანტ და პლასტიკურ ნარევებს, ხოლო თუ მილისებრ ნაკეთობაში აუცილებელია განსაკუთრებით მკვრივი და წყალგაუმტარი ბეტონის მიღება, მაშინ ნაკეთობის დაყალიბება ხდება ეტაპობრივად რამოდენიმე

შრედ (ორიდან ოთხამდე), შიგა ზედაპირიდან შლამის მოშორებით, დაყალიბების თითოეული ეტაპის შემდეგ.

მიღებისა და მიღოვანი კონსტრუქციების ცენტრიდანულ დაყალიბებას ახორციელებენ დაზგა-ცენტრიფუგაში, რომელშიც ცილინდრული ყალიბი ბეტონის ნარევთან ერთად ბრუნვას საჭირო სიჩქარით, ყალიბის დამაგრების ხერხისა და მისი ბრუნვაში მოყვანის მიხედვით ანსევავებენ ცენტრიფუგების სამ ტიპს (ნახ.2)



ნახ. 2. ცენტრიფუგების სქემა: ერთრიგა გორგოლაჭოვანი ცენტრიფუგა: 1-ამძრავი გორგოლაჭი; 2-დამცავი წანგალი; 3-ყალიბი; 4-დამჭერი გორგოლაჭები;  
ა) ღერძული ცენტრიფუგა: 1-ძრავი; 2-ვეგი რედუქტორით; 3-ყალიბის დამჭერი ტორსული პლანშაიბები; 4-ყალიბი; 5-ვეგი გაქანების ძრავით;  
ბ) ღვედური გიროსკოპიული ცენტრიფუგა: 1-ამძრავის გადაღობვა; 2-წამყვანი ლილვი; 3-მიმყოლი ლილვი; 4-ღვედები; 5-დამცავი გარსაცმი; 6-დამჭერი გორგოლაჭები; 7-ყალიბი

ცენტრიფუგის ტიპების მოკლე დახასიათება ასეთია:

- ა) ღერძული, რომელშიც ყალიბი მტკიცედ მაგრდება ტორსების მხრიდან პლანშაიბებით ორ ვეგს შორის, რომლებიც ცენტრალურად არიან დასმული მბრუნავ შპინდელებზე;
- ბ) თავისუფალ-ლილვებიანი, რომელშიც ყალიბი თავისუფლად თავსდება თავისი არტახებით საგორავებით და ბრუნვით მოძრაობაში მოდის ამძრავი საგორავებით ხახუნის ძალის გავლენით;
- გ) ღვედებიანი გიროსკოპიული ტიპი, რომელშიც ყალიბი თავისუფლად კიდია ღვედებზე და ბრუნვით მოძრაობაში მოდის ქსოვილჯალამბარა ღვედებისა და ყალიბის რებორდებს შორის აღძრული ხახუნის ძალის გავლენით.

ღერძული და ლილვაკებიანი ცენტრიფუგები შეიძლება იყოს ერთ ან მრავალბუდიანი, რაც საშუალებას იძლევა ერთდროულად დაყალიბებული იქნას რამოდენიმე ნაკეთობა.

ცენტრიდანული დაყალიბებისათვის იყენებენ დაუშლელ და დაშლად ყალიბებს. დაშლადი ყალიბი შედგება ორი ნახევარყალიბისაგან, რომლებიც აწყობის დროს მაგრდება ერთმანეთობან ხრახნებით.

ცენტრიფუგაზე ნაკეთობის დაყალიბების პროცესი სხვადასხვა ოპერაციებისაგან შედგება. სამუშაო პოსტებზე ახორციელებენ ყალიბების მომზადების, აწყობის, არმატურის კარგასის დაყენებისა და გამაგრების სამუშაოებს, ხოლო სადაწნეო მილსადენებისა და დაძაბული არმატურით სხვა ნაკეთობების დამზადების დროს

ხსენებული არმატურის დაჭიმვის სამუშაოებს აწარმოებენ საბჯენებზე ყალიბების ტორსულ რგოლებზე დამაგრებით. ამის შემდეგ ბეტონის ნარევს აწყობენ ყალიბში დარისებრი, შენეკის ტიპისა და სხვა სახის მკვებავებით, რომლებიც საშუალებას იძლევიან მიაწოდონ ბეტონის ნარევი მბრუნავ ყალიბში შედარებით თანაბარი განაწილებით. თუ ეს შეუძლებელია, დახურული ტორსების ან ყალიბის მნიშვნელოვანი სიგრძისა და მცირე დიამეტრის გამო, ნარევს აწვდიან ბუნკერის ტიპის მკვებავით და ქვედა ნახევარყალიბში. ამის შემდეგ ყალიბს აწყობენ და ათავსებენ ცენტრიფუგაზე და ბეტონის ნარევს თანაბრად ანაწილებენ ყალიბის კედლებზე ბრუნვის მცირე სისტირით, რომელსაც შემდგომ ზრდიან ბეტონის ნარევის სრულ შემკვრივებამდე, ცენტრიფუგირების რეჟიმის მკაცრი შესაბამისობით. ნაკეთობის დაყალიბების პროცესის დამთავრების შემდეგ ცენტრიფუგის ბრუნვის სიჩქარეს თანდათან ამცირებენ მის სრულ გაჩერებამდე. ყალიბში გამოწურული წყლის არსებობის შემთხვევაში მას გადმოღვრიან. ყალიბს ხსნიან ცენტრიფუგიდან და გადააქვთ თბური დამუშავების კამერაში.

### 3. დასპპნა

ახლადჩაწყობილი ბეტონის ხარისხის ძირითად მაჩვენებლად ითვლება შემკვრივების ხარისხი, რომელიც რაოდენობრივად განისაზღვრება შემკვრივების კოეფიციენტით და რიცხობრივად ტოლია შემკვრივებული ბეტონის ნარევის ფარდობისა ბეტონის „ოეორიულ“ სიმკვრივესთან. კოეფიციენტის სიღიდეა 0,93-დან, ხისტი ნარევებისათვის 0,98-მდე და მეტი პლასტიკურისათვის. თეორიული მოცულობის განსაზღვრის დაუდგენლობა ართულებს მაჩვენებლის გამოყენებას. შეუმკვრივებელ ბეტონში სიცარიელის მოცულობა (ის შეესტულია ჰაერით), მცირდება ძვრადობის მატებით, ამიტომ შეუმკვრივებელი ნარევის მოცულობამ შეიძლება არსებითად გადააჭარბოს შემკვრივებულის ე.ი. ახლადჩაწყობილი ბეტონის მოცულობას (ცხრ.1).

### ნარევის მოცულობის ცვლილება შემკვრივებისას

### ცხრილი 1.

ბეტონის ნარევი	ნარევის შეფარდებითი მოცულობა			
	ხისტი	ძერადი	დიდი ძერადობის	თვითშემკვრივებადი
შემკვრივებამდე	1,6-მდე	1,3-მდე	1,07-მდე	დახლოებით 1,0
შემკვრივების შემდეგ				1,0

ამასთან დაკავშირებით ევროპულ ნორმებში EN 206-1, ბეტონის ნარევის კლასები რეგლამენტირებულია შემკვრივების ხარისხის მიხედვით:

- C 0 – შემკვრივების მაჩვენებელი მეტია 1,46-ზე;
- C 1 – მაჩვენებლით 1,26...1,45;
- C 2 – მაჩვენებლით 1,11...1,25;
- C 3 – მაჩვენებლით 1,04...1,10.

მაგრამ ეს მაჩვენებელიც მოუხერხებელია პრაქტიკული გამოყენებისათვის, რადგან იგი შემკვრივების ხარისხს კი არ ახასიათებს, არამედ აჩვენებს ნარევის მოცულობის შეფარდებას შეუმკვრივებელ და შემკვრივებულ მდგომარეობაში.

### ლიტერატურა

1. ა. ჩიქოვანი. ბეტონის ტექნიკოლოგია. თბილისი. 2015. 358 გვ.
2. Г. В. Несветаев. Бетоны. Ростов-на Дону. 2011. 380с.
3. Ю. М. Баженов. Технология бетона. Москва 2006. 500с.
4. А. А. Алимов, В. В. Воронин. Бетоноведение. Москва 2010. 424с.
5. EN. 206-1. Concrete. Part 1: Specification, performance, production and conformity

## გეტონის ტექნიკური ნორმები, ეპროექტთან შესაბამისობაში

ლ. კლიმიაშვილი, დ. გურგენიძე, ა. ჩიქოვანი  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77,  
0175, თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში მოყვანილია ძირითადი ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება ჩვენს ქვეყანაში და ევროპის ქვეყნებში, ბეჭონის ხარისხის კონტროლისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ბეჭონი, სტანდარტი, სამშენებლო ნორმა, კლასიფიკაცია, კლასი, ცემენტის ტიპი, მასშტაბი.

### 1. შესაბამისობა

საქართველოში მშენებლობის ბუმია, თითქმის ყველაფერი შენდება ბეჭონით და რკინაბეტონით. სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერ კიდევ მოუგვარებელი-დაუზუსტებელია სახელმწიფო სტანდარტი მშენებლობაში, ზოგჯერ ვსარგებლობთ ძველი, საბჭოთა კავშირში მიღებული, ზოგჯერ კიდევ ახალი რესული სტანდარტით. ბევრი ინვესტორი ითხოვს ბეჭონის სამუშაოები ჩატარდეს ევროპული ნორმების შესაბამისად. სტატიაში მოყვანილია ძირითადი ცნობები ევროპულ სამშენებლო ნორმებზე, ბეჭონისადმი წაყენებულ ტექნიკურ მოთხოვნებზე. მათი გამოცდის მეთოდებზე, იმ ძირითადი ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი და აღნიშვნები, რომელიც გამოიყენება ევროპის გაერთიანების (ES) ქვეყნების მიერ. მიგვაჩნია, რომ იგი სასარგებლო იქნება ქართული მშენებელ-ტექნიკური პერსონალისათვის.

### 2. ძირითადი ნაშილი

ბეჭონის კლასიფიკაცია და ტექნიკური მოთხოვნები, რომელიც გამოიყენება, როგორც მონოლითური მშენებლობისათვის, ასევე შენობის და ნაგებობის ასაწყობი კონსტრუქციებისა და ელემენტებისათვის მოცემულია ევროპულ სტანდარტში „EN 206-1 ბეჭონები“.

EN 206-1-ის თანახმად ბეჭონების კლასიფიკაცია ტარდება ექსპლუატაციური გარემოს აგრესიულობის, სიმკვრივის და სიმტკიცის მაჩვენებლების მიხედვით.

ექსპლუატაციური გარემოს კლასები: ექსპლუატაციის პროცესში ბეჭონი განიცდის ქიმიურ, ფიზიკურ და მექანიკურ ზემოქმედებას. გარემოს აგრესიულობა ფასდება კლასებით, რომელიც თავის მხრივ იყოფა ინდექსებად (ცხრ.).

სხვადასხვა ინდექსის, მაგრამ ერთი კლასის აგრესიული გარემოს ერთდროული მოქმედებისას მიიღება მოთხოვნები, რომელიც მიეკუთვნება უფრო მაღალი აგრესიულობის გარემოს.

#### ექსპლუატაციის გარემო

ცხრილი 1

ინდექსი	ექსპლუატაციის გარემო	გამოყენების მაგალითები
1	2	3
1. გარემო აგრესიულობის გარეშე		
X0	უარმატურო და ჩასატანებელი დეტალები ბეჭონისათვის: ყველა გარემო გარდა გაყინვა-გალხობის ზემოქმედებისა, ან ქიმიური აგრესიისა. რეინაბეტონისათვის: ძალიან მშრალი	მშრალი ნაგებობის შიგნით
2. კოროზია კარბონიზაციის შედეგად		
XC1	მუდმივად მშრალი ან მუდმივად ტენიანი ექსპლუატაციის გარემო	დაბალი ტენიანობის შიგა შენობაში. მუდმივად წყალში მყოფი ბეჭონი

**სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“**  
**SCIENTIFIC-TECHNICAL JOURNAL “BUILDING”**

**№3(42), 2016**

« »

XC2	ტენიანი, ზოგჯერ მშრალი	ბეტონის ზედაპირი განიცდის ხანგრძლივ დატენიანებას, საძირკვლების უმეტესობა
XC3	ზომიერად ტენიანი (ტენიანი ნაგებობა, ტენიანი კლიმატი)	ბეტონი ზომიერი ტენიანობის მქონე შენობაში. ბეტონი ღია ჰაერზე, მაგრამ წვიმისაგან დაცული
XC4	მონაცვლეობითი დატენიანება და	ბეტონის ზედაპირს პერიოდულად აქვს კონტაქტი წყალთან

**3. ქლორიდებით გამოწვეული კოროზია (ზღვის წყლის გარდა)**

როცა ბეტონი ფოლადის არმატურით ან ჩასატანებელი დეტალებით განიცდის ქლორიდების ზემოქმედებას, მათ შორის ყინვის საწინააღმდეგო მარილებით, აგრესიული გარემო კლასიფიცირდება შემდეგი მაჩვენებლებით:

XD1	ზომიერი ტენიანობა	ბეტონი განიცდის იმ აეროზოლის ზემოქმედებას, რომელსაც შეიცავს ქლორიდები
XD2	ტენიანი, ზოგჯერ მშრალი	საცურაო აუზი. ბეტონი განიცდის ისეთი სამრეწველო წყლების მოქმედებას, რომელიც შეიცავს ქლორიდებს
XD3	მონაცვლეობითი დასველება და	გზების, ტროტუარების, ხიდების საფარი გამოშრობა

**4. ზღვის წყლით გამოწვეული კოროზია**

როდესაც ბეტონი ფოლადის არმატურით ან ჩასატანებელი დეტალებით განიცდის ზღვის წყლის ან ზღვის წყლის აეროზოლის მოქმედებას, აგრესიული გარემო კლასიფიცირდება შემდეგი მაჩვენებლებით:

XS1	მარილების მოქმედება, მაგრამ ზღვის წყალთან კონტაქტის გარეშე	სანაპირო ნაგებობები
XS2	მუდმივად იმყოფება წყალში	საზღვაო ნაგებობის საძირკვლები
XS3	მოქცვის ზონა, ტალღების, მარილიანი შეეფების მოქმედება	საზღვაო ნაგებობის ნაწილი, წყლის ცვალებად ზონაში

**შენიშვნა:** ზღვის წყლის კლასიფიკაცია ქიმიური აგრესიის მიხედვით მიიღება გეოგრაფიული რეგიონის სამშენებლო ნორმებით

**5. კოროზია, გამოწვეული ცვალებადი გაყინვით და გალხობით**

ცვალებადი გაყინვისა და გალხობის აგრესიული გარემო კლასიფიცირდება შემდეგი ნიშნებით:

XF1	ზომიერი წყალგაჯერება ანტიშემომყინვის გარეშე	შენობის და ნაგებობის ვერტიკალური ზედაპირები წვიმის და ყინვის მოქმედებისას.
XF2	ზომიერი წყალგაჯერება ანტიშემომყინვის გამოყენებით	სატრანსპორტო საშუალებების ვერტიკალური ზედაპირები
XF3	ძლიერი წყალგაჯერება ანტიშემომყინვის გარეშე	გზების და სხვა ნაგებობის პორზონტალური ზედაპირები წვიმის და ყინვის მოქმედებისას
XF4	ძლიერი წყალგაჯერება (მათ შორის ზღვის წყლით) ანტიშემომყინვის გამოყენებით	გზების და ხიდების, გარე კიბის საფარებების და სხვა პორზონტალური ზედაპირები. საზღვაო ნაგებობის ცვლადი დონის ზონა, ყინვის მოქმედებისას.

**6. ქიმიური აგრესია**

ნიადაგის და გრუნტის წყლების ქიმიური აგენტების მოქმედებისას, კოროზიული გარემო კლასიფიცირდება შემდეგი ნიშნებით

XA1	აგრესიული აგენტების უმნიშვნელო მოქმედება	-
XA2	იგივე, ზომიერი	-
XA3	იგივე, ძლიერი	-

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“  
 SCIENTIFIC-TECHNICAL JOURNAL “BUILDING” №3(42), 2016

« »

ბეტონების კლასიფიკაცია სიმკვრივის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 2.  
 ბეტონების კლასიფიკაცია სიმკვრივის მიხედვით ცხრილი 2

ბეტონის სახეობა	აღნიშვნა	სიმკვრივე მშრალ მდგომარეობაში, კგ/მ <sup>3</sup>
მძიმე	C	2000...2600
განსაკუთრებით მძიმე	HC	2600-ზე მეტი
მსუბუქი	LC	800...2000

მსუბუქი ბეტონისათვის სიმკვრივის კლასი დგინდება დამატებით (ცხრ. 3), იგივე შეიძლება მოცემული იქნეს, როგორც საპროექტო მახასიათებელი შედგენილობის გაანგარიშებისას.

მსუბუქი ბეტონის კლასი სიმკვრივის მიხედვით ცხრილი 3

კლასი სიმკვრივის მიხედვით	LC 1,0	LC 1,2	LC 1,4	LC 1,6	LC 1,8	LC 2,0
სიმკვრივე, კგ/მ <sup>3</sup>	800...1000	1000...1200	1200...1400	1400...1600	1600...1800	1800...2000

ბეტონის კლასიფიკაცია სიმტკიცის მიხედვით.

სიმტკიცის მიხედვით მძიმე, განსაკუთრებით მძიმე (ზემდიმე) და მსუბუქი ბეტონი იყოფა კლასებად ცხრ. 4, 5.

ცხრილი 4

მძიმე და ზემდიმე ბეტონის  
სიმტკიცის კლასები

ბეტონის კლასი	სიმტკიცე, მგპა	
	ცილინდრი	კუბი
C 8/10	8	10
C 12/15	12	15
C 16/20	16	20
C 20/25	20	25
C 25/30	25	30
C 30/37	30	37
C 35/45	35	45
C 40/50	40	50
C 45/55	45	55
C 50/60	50	60
C 55/67	55	67
C 60/75	60	75
C 70/85	70	85
C 80/95	80	95
C 90/105	90	105
C 100/115	100	115

ცხრილი 5

მსუბუქი ბეტონის სიმტკიცის  
კლასები

ბეტონის კლასი	სიმტკიცე, მგპა	
	ცილინდრი	კუბი
LC 8/9	8	9
LC 12/13	12	13
LC 16/18	16	18
LC 20/22	20	22
LC 25/28	25	28
LC 30/33	30	33
LC 35/38	35	38
LC 40/44	40	44
LC 45/50	45	50
LC 50/55	50	55
LC 55/60	55	60
LC 60/66	60	66
LC 70/77	70	77
LC 80/88	80	88

შენიშვნა: სტანდარტულ ცილინდრს აქვს 150 მმ დიამეტრი და 300 მმ სიმაღლე, კუბს – წიბოს ზომა 150 მმ.

შეიძლება სხვა ზომების კუბის (*a*) და ცილინდრის ( $d \times h$ ) გამოყენებაც მასშტაბური – გადამყვანი კოეფიციენტის გათვალისწინებით (ცხრ. 6).

მოთხოვნები ბეტონის შედგენილობისადმი.

ბეტონის შედგენილობის მასალები არ უნდა შეიცავდეს მავნე მინარევებს იმ რაოდენობით, რომ გამოიწვის ბეტონის ხანძღევობის შემცირება და არმატურის კოროზია.

### ცხრილი 6

#### მასშტაბური კოეფიციენტის მნიშვნელობა

ნიმუშის ზომები, მმ	<i>a</i> კოეფიციენტის მნიშვნელობა ყველა სახეობის ბეტონისათვის, გარდა უჯრედოვანისა
კუბი ( <i>a</i> )	
70	0,85
100	0,95
150	1,00
200	1,05
300	1,10
ცილინდრი ( $d \times h$ )	
100×200	1,16
150×300	1,20
200×400	1,24
300×600	1,28

ცემენტებისადმი წაყენებული მოთხოვნები EN 197-1 ნორმების შესაბამისად წარმოდგენილია ცხრილში 7.

შემცვებებისადმი წაყენებული სტანდარტის EN 1262 შესაბამისი მოთხოვნებია: პეტროგრაფიულ და გრანულონეტრულ შემადგენლობაზე, ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებზე, ფირფიტოვნებაზე, ყინვამედეგობაზე, ცვეთამედეგობაზე და მტვროვანი მინარევების შემცველობაზე.

შემცვების მარცვლების მაქსიმალური ზომა ინიშნება კონსტრუქციის მინიმალური ზომებიდან გამომდინარე და რომ უზრუნველყოფილი იქნეს დამცავი შრის საჭირო სისქე. გაუცრელი შემცვები ან ქვიშა-ხრეშის ნარევი შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ C12/13 და ნაკლები კლასის ბეტონებში. შემცვების გამოცდა ტარდება EN 933-1 - EN 933-10 ნორმების შესაბამისად.

წყლის ხარისხი და რაოდენობა უნდა აკმაყოფილებდეს EN 1008 სტანდარტს.

ქიმიური დანამატები უნდა შეესაბამებიდეს EN 934-2 სტანდარტს.

დაიშვება ორი ტიპის მინერალური დანამატი: ინერტული (ტიპი I) და აქტიური (ტიპი II). მინერალური დანამატი არ უნდა შეიცავდეს მავნე მინარევებს, იმ რაოდენობით, რომ გამოიწვიოს გავლენა ბეტონის ხანძღევობაზე ან მოახდინოს არმატურის კოროზია.

ბეტონში მაქსიმალური რაოდენობით დასაშვები ქლორიდების შემცველობა, გამოსახული ქლორიდ-იონების პროცენტებში, ცემენტის მასის მიმართ, არ უნდა აჭარბებდეს ცხრ. 8-ში მოყვანილ მნიშვნელობას.

მოთხოვნები ჩვეულებრივი ცემენტების შემადგენლობისადმი, EN 197-1-ის თანახმად  
ცხრილი 7

ძირითადი განკვეთი	ჩვეულებრივი ცემენტების ტიპები. 27 პროდუქტის აღნაშვნა	შემადგენლობა (მასითი პროცენტული შემცველობა)											
		ძირითადი შემადგენლობა											
		კლინიკური	გარემოს წილი	ტენისი განვითარების მდგრადი მაჩვენებელი	პუცოლანი	წანატაცნობა	კირქვი	კირქვი	გარემოს განვითარების მდგრადი მაჩვენებელი	კირქვი	არამირადი დამატებითი შედგენილობა		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
CEN I	პორტლანდ ცემენტი	CEM I	95-100	—	—	—	—	—	—	—	—	—	0-5
CEM II	წილაპორტლანდ ცემენტი	CEM II/A-S	80-94	6-20	—	—	—	—	—	—	—	—	0-5
		CEM II/B-S	65-79	21-35	—	—	—	—	—	—	—	—	0-5
	პორტლანდ ცემენტი კაუმიწა მტვრის დანამატით	CEM II/A	80-94	—	6-10	—	—	—	—	—	—	—	0-5
		CEM II/A-P	80-94	—	—	6-20	—	—	—	—	—	—	0-5
		CEM II/B-P	65-79	—	—	21-35	—	—	—	—	—	—	0-5
		CEM II/A-Q	80-94	—	—	—	6-20	—	—	—	—	—	0-5
		CEM II/B-Q	65-79	—	—	—	21-35	—	—	—	—	—	0-5
	პორტლანდ ცემენტი წანატაცნობა-შირის დანამატით	CEM II/A-V	80-94	—	—	—	—	6-20	—	—	—	—	—
		CEM II/B-V	65-79	—	—	—	—	21-35	—	—	—	—	—
		CEM II/A-W	80-95	—	—	—	—	—	6-20	—	—	—	—
		CEM II/B-W	65-79	—	—	—	—	—	21-35	—	—	—	—
	პორტლანდ ცემენტი გამზიწარის თაბა-შირის დანამატით	CEM II/A-T	80-94	—	—	—	—	—	—	6-20	—	—	—
		CEM II/B-T	65-79	—	—	—	—	—	—	21-35	—	—	—
	პორტლანდ ცემენტი კირქვის დანამატით	CEM II/A-L	80-94	—	—	—	—	—	—	—	6-20	—	—
		CEM II/B-L	65-79	—	—	—	—	—	—	—	21-35	—	—
		CEM II/A-LL	80-94	—	—	—	—	—	—	—	—	6-20	—
		CEM II/B-LL	65-79	—	—	—	—	—	—	—	—	21-35	—
	კომპოზიცი ური პორტლანდ ცემენტი	CEM II/A-M	80-94	6-20	—	—	—	—	—	—	—	—	—
		CEM II/B-M	65-79	21-35	—	—	—	—	—	—	—	—	—
CEM III	წილაპორტლანდ ცემენტი	CEM III/A	35-64	36-65	—	—	—	—	—	—	—	—	—
		CEM III/B	20-34	66-80	—	—	—	—	—	—	—	—	—
		CEM III/C	5-19	81-95	—	—	—	—	—	—	—	—	—
CEM IV	პუცოლანური ცემენტი	CEM IV/A	65-89	—	—	11-35				—	—	0-5	
		CEM IV/B	45-64	—	—	36-55				—	—	—	
CEM V	კომპოზიცი ური ცემენტი	CEM V/A	40-60	18-30	—				18-30		—	—	
		CEM V/B	20-38	31-50	—				31-50		—	—	

ბეტონში ქლორიდების ზღვრული დასაშები რაოდენობა ცხრილი 8

ბეტონი	ქლორიდების შემცველობის მიხედვით	Cl- %, ცემენტის მასის
ნორმირებული ბეტონი	C/1	1,0
რკინაბეტონი	C/03	0,3
წინასწარდაბული	C/04	0,4
რკინაბეტონი	C/01	0,1
	C/02	0,2

მოთხოვნები ბეტონის ნარევზე და ბეტონზე ექსპლუატაციის გარემოზე  
დამოკიდებულებით მოცემულია ცხრილში 9.

### 3. დასპეციალური მოთხოვნები

მოყვანილია ძირითადი ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენება ჩვენს ქვეყანაში და ევროპის ქვეყნებში ბეტონის ხარისხის კონტროლისათვის. გამოადგებათ დოქტორანტებს, რომლებიც სწავლობენ სამშენებლო ნორმებს და სტანდარტებს, ასევე ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრებს და მაგისტრანტებს, რომლებსაც სურთ აიმაღლონ ცოდნა ევროპული ნორმატიული სამშენებლო დოკუმენტაციის სფეროში.

მოთხოვნები ბეტონის ნარევზე და ბეტონზე ექსპლუატაციის გარემოზე  
დამოკიდებულებით\* ცხრილი 9

მასაზე დამოკიდებული დოკუმენტები	კარბონიზაცია	ექსპლუატაციის გარემოს კლასები																
		ქლორიდული კოროზია						სხვა ქლორიდული ზემოქმედება						გაყინვა-გადასახლება				
		ზღვის წყალი	ქლორიდული ზემოქმედება	ქლორიდული კოროზია	გაყინვა-გადასახლება	ქიმიური კოროზია												
ინდექსი	XO	XC1	XC2	XC3	XC4	XS1	XS2	XS3	XD1	XD2	XD3	XF1	XF2	XF3	XF4	XA1	XA2	XA3
მაქსიმალური დონობა ლიტ/მ³	-	0,65	0,6	0,55	0,5	0,5	0,45	0,45	0,55	0,5	0,45	0,55	0,55	0,5	0,45	0,55	0,5	-
სიმტკიცე დონობა ლიტ/მ³	12/15	20/25	25/30	30/37	35/45	30/37	30/37	35/45	30/37	25/30	30/37	25/30	30/37	30/37	30/37	30/37	30/37	35/45
ცემენტის მინიმუმი სიმძლავა, %	-	260	280	280	300	300	320	340	300	300	320	300	300	320	340	300	320	360
მინიმუმი კაერჩათ რეცა, %	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	4,0	4,0	4,0	-	-	-	
სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	შემცირები EN 12620 აუცილებელი ენვამედეგობის	სულფატომჟდევი ცემენტი		

შენიშვნები:

\* მოთხოვნები მოცემულია CEM I კლასის ცემენტისათვის

\*\* მძიმე ბეტონის სიმტკიცის კლასები მოცემული ცხრილ 4-ში.

### ლიტერატურა

1. . . . . , 2013.
2. . . . . , 2010.
3. I.S. Continho. NP EN 12390 – Ensaios do betao endurecido // MC2, 2004.
4. Design and Control of Concrete Mixtures // Portland Cement association, 14 Edition, 2004.
5. Concrete tests 5-694 // Concrete Manual, September 1, 2003.

## რეზისტიუმებისა და კოლიმარბიტუმების რეოლოგიური თვისებები

თ. პაპუაშვილი, ვ. ჯდამაია, მ. სულამანიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ახალი მეთოდი, რომლის  
მეშვეობითაც განისაზღვრება ბიტუმინერალური ნარევის, როგორც  
კომპლექსური შემკვრელის რეოლოგიური თვისებები - კერძოდ: ძრის სიმტკიცე  
და მისი დამოკიდებულება ტემპერატურაზე  $-36^{\circ}\text{C}$  და  $+180^{\circ}\text{C}$  მდე დიაპაზონში;  
კრობადობის უნარი; დარბილების დაწყების, დენადობისა და გამყიფების  
ტემპერატურა; შემკვრელის მუშაობის უნარიანობის და მისი პლასტიკურობის  
ინტენსივობის. წარმოდგენილი მეთოდი გამოყენებულია ხარისხის შედარებითი  
შეფასებისთვის შემდეგი პოლიმერბიტუმოვანი შემკვრელების შემთხვევაში: ПБВ-  
40, alfabit-60, alfabit -90 და რეზინობიტუმების შემკვრელთაოვის - БИТРЭК და  
SRMB. ამავდროულად შესწავლილია ხელებული მასალების სახესხვაობა  
ყინვამედეგობისა და თბომედეგობის მიხედვით, ჩატარებულია მათი  
რაოდენობრივი შეფასება.

**საკვანძო სიტყვები:** გამინება, გამყიფება, დენადობა, აღგეზია, კოჟეზია,  
პლასტიკურობა, კორელაცია.

### 1. შესავალი

ბიტუმინერალური მასალებით მომზადებულ ნარევებში შემკვრელი  
მასალების მთავარი ფუნქციონალური თვისებებია ძვრის სიმტკიცე და  
შეჭიდულობა ინერტულ მასალებთან, რადგან ამ თვისებებზეა დამოკიდებული  
ასფალტბეტონის ბზარმედეგობა, ყინვამედეგობა და თბომედეგობა, რომლებიც  
არსებითად უზრუნველყოფენ გახანგრძლივებულ საექსპლუატაციო ვადებს.  
ჩამოთვლილი თვისებების შეფასების სტაციონალურ მეთოდებს წარმოადგენებ: რელი  
და ბურთულა, პენეტრაცია, დუქტილობა შრომატევადია და ხანგრძლივი,  
ამასთან არ არის პირდაპირი ინფორმაციის მატარებელი. ამდენად მეტად  
აქტუალურია შემკვრელი მასალების სიმტკიცის თვისებების შეფასების მიზნით  
ობიექტური ექსპრეს მეთოდის დამუშავება.

### 2. ძირითადი ნაწილი

წარმოდგენილ ნაშრომში შემუშავებულია ახალი მეთოდი, რომელიც  
განსაზღვრავს ბიტუმის შემკვრელთა კომპლექსის რეოლოგიურ თვისებებს,  
როგორიცაა: ძვრის სიმტკიცე და მისი დამოკიდებულება ტემპერატურაზე  $-36^{\circ}\text{C}$  და  $+180^{\circ}\text{C}$  მდე დიაპაზონში, კრობადობის უნარი (აღგეზია ქვის მასალებთან), დარბილების  
დაწყების, დენადობის და გამყიფების ტემპერატურა, შემკვრელის მუშაობის  
უნარიანობის (პლასტიკურობის) ინტენსივობის. მეთოდი გამოყენებულია ხარისხის  
შედარებითი შეფასებისთვის შემდეგი პოლიმერბიტუმოვანი შემკვრელების  
შემთხვევაში - ПБВ-40, Альфабит-60, Альфабит-90 და რეზინობიტუმების შემკვრელთაოვის  
- БИТРЭК და SRMB. დადგენილია შესწავლილი მასალების სახესხვაობა  
ყინვამედეგობისა და თბომედეგობის მიხედვით და ჩატარებულია მათი რაოდენობრივი  
შეფასება.

ძვრის სიმტკიცე და შეჭიდულობა ქვის მასალებთან (კრობადობა) წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ოვისებას შემკვრელი მასალისა, რადგან მასზეა დამოკიდებული ასფალბეტონების ხანძედეგობა, ბზარმედეგობა, ყინვა და თბომედეგობა. ამ თვისებების შეფასების მეთოდთა უმეტესობა (პენეტრაცია, დუქტილობა) წარმოადგენს ირიბ, მცირე ინფორმაციის მატარებელს, მასალათა სიმტკიცის თვისებების მიმართ, ამასთან ეს მეთოდები შრომატევადია და ხანგრძლივი. ამიტომ აქტუალურია ამოცანა, რათა დავამუშაოთ ექსპრესული ობიექტური მეთოდები შემკვრელ მასალათა სიმტკიცის თვისებების დასაღენად. ქვემოთ მოცემულია ამ ამოცანის გაღწყვეტის წინაპირობა.

პირველ ეტაპზე განისაზღვრება ნიმუშების ძვრის სიმტკიცის დამოკიდებულება ტემპერატურაზე  $-36^{\circ}\text{C}$  დან დარბილების (დენადობის) ტემპერატურამდე ხელსაწყოზე „Термоскан-М1“ (ნახ.1). მიღებული ძვრის მრუდებიდან საშუალება გვეძლევა ამოვკრიბოთ მასალის ხარისხის რეოლოგიური მაჩვენებლები, მაგალითად: სტრუქტურული გადასვლების მახასიათებელი ტემპერატურები და ძვრის სიმტკიცის მაჩვენებლები ამ ტემპერატურაზე.

ძვრის სიმტკიცე - ეს არის ძვრის დაძაბულობის მაქსიმალური მნიშვნელობა, ძვრის დროს ან ნიმუშის მოწყვეტის დაძაბულობის მნიშვნელობა გაცხელებული ან გაციებული ზედაპირიდან, რომელიც გამოსახულია მპა-ზი. მოცემულ ნაშრომში ქვესადებად გამოიყენება პელტიეს ელემენტის კერამიკული ზედაპირი, რაც იმიტირებას უკეთებს მჟავე ბუნების ქვის მასალას.


მეორე ეტაპზე ხდება სტიკერის შევსება დიამეტრით 8 მმ და სიღრმით 2 მმ ნიმუშის მასით 7-8 მგ. ქვესადების ტემპერატურა იზრდება ნიმუშის დენადობის ტემპერატურამდე და მჭიდროდ ხდება სტიკერის მიკვრა ზედაპირთან ნიმუშის ზედმეტი ნარჩენის გამოდევნით. შემდეგ ხელსაწყო გრილდება საჭირო ტემპერატურამდე.

მოცემულ ტემპერატურაზე ნიმუშებზე გამოიყენება წანაცვლებითი დატვირთვა და დინამომეტრის სკალაზე აღინიშნება მისი მაქსიმალური მნიშვნელობანი კილოგრამებში. შემდეგ იანგარიშება ძვრის დაძაბულობა (ძვრის სიმტკიცე). დინამომეტრის ჩვენება მრავლდება კოეფიციენტზე  $K=0,2$  მპა/კგ. კოეფიციენტი  $K=0,2$  შეესაბამება 8 მმ-იანი ნიმუშის ზედაპირთან კონტაქტის ანაბეჭდის (ლაქა) დიამეტრს.

გაზომვის ცდომილების შეფასება ხდება სტანდარტული გადახრით საშუალო მონაცემებიდან 5-6 რაოდენობით გამეორების შემთხვევაში. მეთოდის ფარდობითი ცდომილება არ აღემატება 6%.

ძვრის სიმტკიცე განისაზღვრება ოთახის ტემპერატურაზე დაბალ არეალში დინამომეტრის დახმარებით, როცა ნიმუშზე ხდება ძვრის მზარდი ძალისხმევა ფიქსირებულ ტემპერატურაზე. მაღალი ტემპერატურის არეალში დარბილების ტემპერატურის განსაზღვრის დროს გამოიყენება მდორე გათბობის მეთოდი ( $10^{\circ}\text{C}$  / $7^{\circ}\text{C}$  შემთხვევაში). მოცემული მცირე დატვირთვის დროს ნიმუშზე  $-10, 40$  და  $90\text{გ}$ , როდესაც ლაქის კონტაქტის დიამეტრი 8 მმ-ია, ძვრის დაძაბულობა შესაბამისად შეადგენს 0,002, 0,008 და 0,018 მპა-ს.

პირველ ნახაზზე მოყვანილი მრუდები ასახავენ ნიმუშის ძვრის სიმტკიცის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე საძიებო ინტერვალში ძვრის დაწყებიდან  $T_s = -32^{\circ}\text{C}$  მდე. როგორც სურათიდან ჩანს ძვრის სიმტკიცე მდორედ იზრდება ტემპერატურის კლების მიხედვით, 0,002 მპა მნიშვნელობიდან ძვრის დაწყების ტემპერატურაზე  $T_s = 56$  და  $63^{\circ}\text{C}$  და  $2,8$  მპა  $-15^{\circ}\text{C}$ .



ნახ.1. БИТРЭК და SRMB ძვრის სიმტკიცის მრუდები

შეიძლება ავდნიშნოთ შემდეგი დამახასიათებელი წერტილები (ტემპერატურის) რეალოგიური მრუდის: (1)  $T_s$  - ძვრის (დარბილების) დაწყება მოცემულ მცირე დატვირთვაზე; (2)  $T_g$  - გამინების დაწყება, როგორც მრუდის გავეთრი აღმასვლა თავდაპირველი დამრეცი მონაკვეთის შემდეგ; (3)  $T_{fr}$  - გამინების პროცესის დამთავრება მრუდის მაღალ წერტილზე; (4)  $T_{br}$  - მინის გადასვლა მყიფე მდგომარეობაში, როგორც დაწყება მრუდის გავეთრი ვარდნისა ქვემოთ (კვრობადობის დაქვეითება)  $-20$  -  $(-30)$  °C ინტერვალში. შესაბამისად მრუდი მოიცავს შემდეგ დამახასიათებელ მონაკვეთებს:  $T_s$ - $T_g$ , რაც პასუხობს ნიმუშის სიბლანტის მატებას, (იმყოფება გელის მდგომარეობაში)  $T_g$ - $T_{fr}$  შეესაბამება ნიმუშის გამინების პროცესს.  $T_{fr}$ - $T_{br}$  - შეესაბამება ნიმუშის გამყიფებას ადგეზიის (კრობადობის) მკვეთრი ვარდნით იმ დროს, როცა სიმყიფის ტემპერატურა  $T_{br}=T_{xp}$ .

მრუდის მაქსიმალურ წერტილზე  $T_{fr}$ -ს დროს შეიმჩნევა კოპეზიიდან ადგეზიაზე გადასვლა.  $T_{fr}$ -მდე ძვრა ხდება მასალის შიდა ფენებში,  $T_{fr}$ -ის შემდეგ  $k_i$  - „ადგეზია-ქვესადგამის“ ზღვარზე.  $T_{fr}$  ტემპერატურაზე და უფრო დაბლა ნიმუში წყდება ზედაპირიდან ისე, რომ კვალს არ ტოვებს.  $T_{fr}$ -მდე ნიმუში მხოლოდ იძვრის (ცოცავს) ზედაპირზე და ტოვებს კვალს.

$T_{fr}$  ტემპერატურაზე გამინების ინტერვალის ბოლოს ნიმუში ხდება მსხვრევადი - გაღუნვისას ტყედება და არ იღუნება, ტოვებს ნიუარისებულ ამოტებილობას. ამიტომ მოცემულ ტემპერატურას ჩვენ ავდნიშნავთ, როგორც მსხვრევადობის ტემპერატურას (ინგლისურად fracture, აქედან  $T_{fr}$ ). ძვრის ძალა მრუდის ამ წერტილზე აღწევს მაქსიმუმს და შემდგომში არ იცვლება ტემპერატურის მკვეთრ დაცემამდე (სიმყიფის ტემპერატურა)  $T_{br}$  (brittle-მყიფე). რამდენადაც  $T_{fr}$  წერტილში იწყება ნიმუშის ადგეზიური მოწყვეტა ზედაპირიდან, მოწყვეტის მაქსიმალური ძალვა ამ წერტილზე შეიძლება მივიღოთ შემკვრელის ქვის მასალასთან ადგეზიის რაოდენობრივ ზომად.

ტემპერატურის დაწევით მოლეკულური ჯაჭვის მობილობის დაქვეითებით იზრდება ჯაჭვებს შორის კონტაქტების რიცხვი, ე.ი. სიბლანტე (კოპეზია). ამასთან გამორიცხული არა ქვესადგამიდან კავშირის ნაწილის გადასვლა მასალის შიგნით. კოპეზის და ადგეზიის გათანაბრების მომენტში ხდება ადგეზივის ამოვარდნა ქვესადგამიდან  $T_{fr}$  და ძვრის დაძაბულობაზე  $P_{fr}$  ( $P_{fr}=P_{xp}=\text{წებვადობა}$ ) გადასვლა შესაბამის ტემპერატურაზე.

ნახ.1-დან ჩანს, რომ ნიმუშის დაძვრა 10გ დატვირთვაზე იწყება  $63^{\circ}\text{C}$ -ზე (БИТРЭК) და  $56^{\circ}\text{C}$ -ზე (SRMB), შემდეგ СП-ნელი იზრდება  $T_g=10^{\circ}\text{C}$ -მდე და სწრაფად მატულობს ამ მონაკვეთზე  $T_g - T_{fr}=10-(-8)=18^{\circ}\text{C}$  (БИТРЭК) და  $10-(-14)=24^{\circ}\text{C}$  (SRMB).

გამინების არეალი SRMB  $6^{\circ}\text{C}$ -ზე უფრო სანგრძლივია გამინების მეორე მონაკვეთის სარჯზე.  $-8-(-14)$   $^{\circ}\text{C}$ , რამაც შეიძლება მიგვანიშნოს ელასტიფიცირებად დანამატზე SRMB-ში. БИТРЭК-ში ასევე შეიმჩნევა ორი მონაკვეთი, სადაც მეორე  $2-(-8)^{\circ}\text{C}$  უფრო სუსტადაა გამოხატული ვიდრე SRMB-ში, რადგან მასში ნაკლებად არის ელასტიკური კომპონენტები.

სიმყიფის ტემპერატურა БИТРЭК-ში აღწევს  $-20^{\circ}\text{C}$  და SRMB-ში  $-28^{\circ}\text{C}$ , რაც ამ უკანასკნელში გამოწვეულია ელასტიკური კომპონენტების დიდი შემცველობით. ამასთან კრობადობა БИТРЭК-ში რამდენადმე მცირეა SRMB-სთან შედარებით, შესაბამისად  $-2,8$  და 3 მპა.

ამრიგად SRMB უფრო ელასტიკურია და კრობადი დაბალ ტემპერატურაზე ვიდრე БИТРЭК (უფრო ყინვამედევი).


თუ ვიმსჯელებთ მიღებული მონაცემებით  $T_{br}$ , სიმყიფის ტემპერატურის განსაზღვრის რეოლოგიური მეთოდი კარგად უნდა იყოს კორელირებული ფრასის მეთოდთან. ამასთან უნდა ავდნიშნოთ, რომ  $T_{cr}-s$  მნიშვნელობა ძლიერ არის დამოკიდებული ბიტუმის გამოსაცდელი აფკის სისქესთან. აფკის სისქის ზრდასთან ერთად იზრდება  $T_{cr}-s$  მნიშვნელობაც. ოდონდ იზრდება მსხვრევადობის რეოლოგიურ ტემპერატურამდე.

აღსანიშნავია ბიტუმის ფიზიკური მდგომარეობის არსებითი განსხვავება მსხვრევადობის და სიმყიფის ტემპერატურებზე. პირველ შემთხვევაში ნიმუში ინარჩუნებს მნიშვნელოვან კრობადობას და სიმტკიცეს, დაბალი ტემპერატურების ინტერვალში. მეორე შემთხვევაში ნიმუში კარგავს ადგეზიას ქვის მასალასთან, იფშვნება და შორდება ღორღს უკვე მცირე დატვირთვის დროსაც ასფალტბეტონზე. ეს პროცესი მკვეთრად აჩქარდება, დაწყებული კრიტიკული დაბალი ტემპერატურიდან ექსპლუატაციის ზღვრულად დასაშვებ ტემპერატურამდე ანუ სიმყიფის ტემპერატურამდე  $T_{br}$ .

ზემოთ განხილული იყო შემკვრელის ე.წ. „ქცევა“ დაბალ ( $\text{ზამთრის}$ ) ტემპერატურაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია შემკვრელის თვისების შესაფასებლად ნიმუშის გამოცდა მაღალ ( $\text{ზაფხულის}$ ) ტემპერატურაზე. მასალის მაღალტემპერატურული თვისებების შედარებითი შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას შეთავსებული (ურთიერთ დადებული) ძვრის მრუდების მეთოდი მცირე ძვრის დატვირთვების ზონაში (ნახ.2).

ნახ.2-დან ჩანს, რომ დაძვრა БИТРЭК-ში იწყება  $T_s=63^{\circ}\text{C}$ , SRMB-ში კი  $T_s=56^{\circ}\text{C}$ . ნიმუშთა მთლიანი გათხევადება ხდება დენადობის ტემპერატურაზე  $T_f=82$  და  $68^{\circ}\text{C}$ . შესაბამისად, თბომედეგობა БИТРЭК-ში არსებითად მაღალია SRMB-თან შედარებით.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დენადობის ტემპერატურა  $T_f$ , განსაზღვრულია მცირე წანაცვლებითი დატვირთვებით 2 კპა, სადაც  $1-2^{\circ}\text{C}$ -მდე სიზუსტით ემთხვევა დარბილების ტემპერატურას, რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება დარბილების - ე.წ. „რგოლი და ბურთულა“-ს მეთოდით.




ნახ.2. БИТРЭК და SRMB შემკვრელების ძვრის მრუდები

როგორც მე-2 ნახაზიდან ჩანს ძვრის დაწყების და დენადობის ტემპერატურა БИТРЭК-ში შესამჩნევად მაღალია SRMB-სთან შედარებით ე.ი. БИТРЭК უფრო თბომედეგია და უფრო გამოსაღებია გზების მშენებლობისთვის ცხელ კლიმატურ პირობებში (ნაკლებად ცივ რეგიონებში). ყინვამედეგი SRMB უკეთესია გამოვიყენოთ იმ რეგიონებში, სადაც ცივი კლიმატია, მაგრამ მხოლოდ  $-28^{\circ}\text{C}$ -მდე (უკიდურესად დასაშვები დაბალი ტემპერატურა ექსპლუატაციისათვის). БИТРЭК-თვის ეს მაჩვენებელი შეადგენს  $-20^{\circ}\text{C}$ .


სურათის სრულყოფის მიზნით გამოკვლეული იქნა პოლიმერბიტუმების შემკვრელები მარკით alfabit-60, alfabit-90 და ПБВ-40, რომლებიც დამზადებული იყო სხვადასხვა რეცეპტით (ნახ. 3 და ნახ. 4).

რეოლოგიური მრუდები მე-3 ნახაზზე შეიძლება გამოდგეს პოლიმერული დანამატების შემკვრელის ხარისხზე გავლენის რაოდენობრივი შეფასებისთვის. ასეთი დანამატების შეყვანის მიზანს წარმოადგენს გამინების და სიმყიფის ტემპერატურის დაწევა (ყინვამედეგობის გაზრდა) და დარბილების ტემპერატურის გაზრდა - მაღალ ტემპერატურაზე ექსპლუატაციის დროს ძვრის სიმტკიცის მატება. ანუ შემკვრელის მუშაობის უნარის ინტერვალის გაფართოება.



ნახ.3. ძვრის სიმტკიცის მრუდები შემკვრელებისათვის  
alfabit-60, alfabit-90 და BNД-60/90

მე-3 ნახაზიდან ჩანს, რომ საწყისი არამოდიფიცირებული ნიმუში - ბიტუმი БНД-60/90-ს გააჩნია მტვრევადობის მაღალი ტემპერატურა  $T_{fr} = -2^{\circ}\text{C}$  და სიმყიფის  $T_{br} = -10^{\circ}\text{C}$ . ბიტუმის СБС-ით პოლიმერით მოდიფიკაციამ მოვცა მასალის მტვრევადობის და სიმყიფის ტემპერატურების მნიშვნელოვანი შემცირების საშუალება. აგრეთვე ადგეზიური სიმტკიცის გაზრდა 2,3 მპა-მდე ბНД-60/90-თვის ხოლო 2,8-3 მპა-მდე მოდიფიცირებული ნიმუშებისათვის. ამასთან alfabit-60-ის ობომედეგობა რამდენადმე გაიზარდა  $T_s = 52^{\circ}\text{C}$  და  $T_f = 64^{\circ}\text{C}$ , ბНД-60/90-თვის  $T_s = 51^{\circ}\text{C}$  და  $T_f = 60^{\circ}\text{C}$ .



ნახ.4. ძვრის სიმტკიცის მრუდები შემკვრელებისათვის  
 ПБВ-40, ПБВ-40 №4 და ПБВ-40 М7

ამრიგად რეოლოგიური მონაცემები გვიჩვნებენ პოლიმერული დანამატების მაღალ ეფექტურობას შემკვრელის ძვრისადმი მდგრადობისა და კრობადობის (ადგეზია ქვის მასალებთან) ამაღლების კუთხით, რაც მთლიანობაში განაპირობებს ბიტუმმინარალური ნარევების საექსპლუატაციო ვადების გაზრდას.

როცა ვადარებო alfabit-ების 60 და 90 ძვრის სიმტკიცის მრუდებს, შეიძლება ითქვას, რომ alfabit-60 ძვრამედეგობით მთლიანად აღემატება alfabit-90-ს, ანუ მისი ხარისხი თბომედეგობის მხრივ მაღალია. ყინვამედეგობის კუთხით alfabit-90 რამდენადმე აღემატება  $-60$  მტვრევადობის ტემპერატურის მაჩვენებლით ( $-12^{\circ}\text{C}$ ) და კრობადობით (3მპა). სიმყიფის ტემპერატურა ორივე შემკვრელს პრაქტიკულად ერთნაირი აქვთ ( $-28^{\circ}\text{C}$ ).

### 3. დასპანა

БИТРЭК-ისა და SRMB-ის ძვრის სიმტკიცის მრუდები ასახავენ ნიმუშის ძვრის სიმტკიცის დამოკიდებულებას ტემპერატურაზე ძვრის დაწყებიდან  $T_s = 32^{\circ}\text{C}$ -მდე. ძვრის სიმტკიცე მდორედ იზრდება ტემპერატურის კლების მიხედვით 0,002 მპა-დან 2,8-3,0 მპა-მდე.

გრაფიკული მრუდი მოიცავს  $T_s$ - $T_g$  მონაკვეთს, რომელიც პასუხობს სიბლანტის მატებას,  $T_g$ -  $T_{fr}$  მონაკვეთი შეესაბამება ნიმუშის გამინების პროცესს და  $T_{fr}$ -  $T_{br}$  მონაკვეთი შეესაბამება ნიმუშის გამყიფებას ადგეზიის მკვეთრი ვარდნით.

გრაფიკული მრუდის მაქსიმალურ წერტილზე  $T_{fr}$  შეიმჩნევა კოპეზიიდან ადგეზიაზე გადასვლა, ხოლო მასზე დაბალი ტემპერატურის დროს ნიმუში წყდება ზედაპირიდან ისე, რომ კვალს არ ტოვებს.  $T_{fr}$  ტემპერატურაზე გამინების ინტერვალის

მრუდის ნიმუში ხდება მსხვრევადი და ამ ტემპერატურას ვუწოდებთ მსხვრევადობის ტემპერატურას. ძერის ძალა ამ წერტილზე აღწევს მაქსიმალურს და შემდგომში არ იცვლება ტემპერატურის მკვეთრად დაცვემამდე. ნიმუშის ადგეზოური მოწყვეტის მაქსიმალური ძალვა ამ წერტილზე შეიძლება მივიღოთ ადგეზიის რაოდენობრივ ზომად.

გამინების არეალი SRMB 6°C-ზე უფრო ხანგრძლივია გამინების მეორე მონაკვეთის სარჯზე 8-14 °C-ზე, ხოლო სიმყიფის ტემპერატურა БИТРЭК-ში აღწევს 20 °C-ზე და SRMB-ში კი 28 °C-ზე. ამრიგად SRMB უფრო ელასტიკურია და კრობადი დაბალ ტემპერატურაზე ვიდრე БИТРЭК.

მასალის მაღალტემპერატურული თვისებების შედარებითი შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას შეთავსებული ძვრის მრუდების მეთოდი მცირე ძვრის დატვირთვების ზონაში.

დამუშავებულია პორტატული ადგეზიომეტრი და მის საფუძველზე ექსპრეს მეთოდი, შემკვრელების რეოლოგიური თვისებების მაჩვენებლების განსაზღვრისათვის, რომელიც საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს შემკვრელის მუშაობის უნარი ასფალტებონის შემაღლებლებაში.

### ლიტერატურა

1. Шишкин Ю.Л. Экспресс-оценка сдвиговой прочности битумных вяжущих с помошью прибора <<Термоскан-М1>> // Автомобильные дороги. 2012. №8. С. 79-82.
2. т. პატუაშვილი, ასფალტობეტონის რეოლოგიის ზოგიერთი საკითხი. სტუ-ს შრომები 3(396), თბილისი, 1993წ.

## სქელკედლიანი ცილინდრის განზარიშება რთული დეფორმაციის პირობებში

რ. გორგობიანი, ვ. სოხაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი,  
კოსტავას 77)

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია ღრუბანიანი წრიული კვეთის სქელკედლიანი ცილინდრი, რომელიც დამზადებულია უკუმშვადი იზოტროპული მასალისაგან. იგი განიცდის ერთდერდა გაჭიმვას ცილინდრის ღერძის გასწვრივ, განივ ძვრას, რომელიც მხოლოდ ცილინდრის ღერძამდე მანძილზე დამოკიდებული, გრეხას, რომლის დროსაც გრეხის კუთხე პროპორციულია დეფორმაციამდებული ცილინდრის ერთ-ერთ ზედაპირამდე მანძილისა. მიღებული გამოსახულებების გამოყენებით შესაძლებელია სქელკედლიანი ცილინდრების გაანგარიშება რთული სახის დეფორმაციის შემთხვევაში.

**საკვანძო სიტყვები:** სქელკედლიანი ცილინდრი, დეფორმაციები, გრეხა, ძვრა.

### 1. შესავალი

სქელკედლიან ცილინდრებს ფართო გამოყენება აქვს როგორც მშენებლობაში, ისე მანქანათმშენებლობაში. ისინი გამოიყენება პიდროგენერატორების საძირკვლებად, რეაქტორების დამცავებად, მასალების საცავებად და სხვა.

ჩავატაროთ გაანგარიშება უკუმშვადი, იზოტროპული მასალისაგან დამზადებული წრიული კვეთის სქელკედლიანი ცილინდრისათვის, რთული დეფორმაციის შემთხვევისათვის.

### 2. პირითადი ნაწილი

ჩავთვალოთ, რომ ღრუბანიანი წრიული კვეთის სქელკედლიანი ცილინდრი დამზადებულია უკუმშვადი იზოტროპული მასალისაგან. მასალის ქცევა აისახება სამ მუდმივიანი სარისხოვანი დრეგადი პოტენციალის საშუალებით. ცილინდრის სიგრძე დეფორმაციამდე იყოს  $2l_0$ . შიგა და გარე რადიუსები შესაბამისად  $r_1^0$  და  $r_2^0$ . შემოვიტანოთ უგანზომილებო კოორდინატები  $a = r^0/r_1^0$  და  $b = r/r_1^0$  სადაც  $r^0$  და  $r$  - რადიალური კოორდინატებია დეფორმაციამდე და დეფორმაციის შემდეგ. ცილინდრის შიდა არადეფორმირებულ ზედაპირს შეესაბამება უგანზომილებო კოორდინატი  $a_1 = 1$  ხოლო გარე ზედაპირს შეესაბამება  $a_2 = r_2^0/r_1^0 = s$  აქ  $s$ -ი

განსაზღვრავს ცილინდრის ფარდობით სქელკედლიანობას.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ცილინდრი განიცდის შემდეგი სახის რთულ დეფორმაციას:

- 1) ერთდერდა გაჭიმვას  $\lambda$  სიდიდით ცილინდრის ღერძის გასწვრივ
- 2) ცილინდრის კედლების გაბერვა ან შევიწროება, რომლის დროსაც მისი სიგრძე მუდმივი რჩება. ხოლო შიგა და გარე რადიუსები იცვლებიან შემდეგ სიდიდეებამდე  $b_1 = Q_1 a_1$  და  $b_2 = Q_2 a_2$

- 3) დერძული ძვრა, რომლის დროსაც ყოველი წერტილი გადაადგილდება  $W$  სიდიდით. ეს სიდიდე დამოკიდებულია მხოლოდ ცილინდრის დერძამდე მანძილზე.
- 4) განივი ძვრა, რომლის დროსაც ყოველი წერტილი გადაადგილდება დერძის ირგვლივ  $\alpha$  - კუთხით, რომელიც აგრეთვე მხოლოდ დერძამდე მანძილზე არის დამოკიდებული.
- 5) ცილინდრის გრეხა, რომლის დროსაც დაგრეხის კუთხე  $\psi_z$  პროპორციულია დეფორმაციამდელი ცილინდრის ერთ-ერთ ზედაპირამდე მანძილისა.
- ზემოთთქმულიდან გამომდინარე ზოგადი დეფორმაციის ასახვა ცილინდრულ კოორდინატებში მოხდება შემდეგნაირად

$$b = aQ(a); \quad \theta = \theta^0 + \alpha(a) + \psi z^0; \quad z = \lambda z^0 + W(a) \quad (1)$$

სადაც  $z = x_3/r_1^0$ ;  $z^0 = x_3^0/r_1^0$  - უგანზომილებო კოორდინატებია, ხოლო  $Q, W, \alpha$  საძიებელი ფუნქციებია,  $\lambda$  და  $\psi$  მუდმივებია.

უკუმშვადობის პირობა განსაზღვრავს ფუნქციის სახეს

$$Q^2 = c_1 \alpha^{-2} + \lambda^{-1}(c_1 - \text{const}) \quad (2)$$

შემოვიტანოთ კოშის ძაბვათა ტენზორის ფიზიკური კომპონენტები

$$\sigma_{ij} = \sigma \sqrt{g_{ii}^0 g_{jj}^0} \quad (3)$$

ამ განტოლებაში  $g_{ii}^0$  მეტრიკული ტენზორის კომპონენტებია დეფორმაციამდე. აღნიშნულის გათვალისწინებით უკუმშვადი იზოტროპული მასალის შემთხვევაში მივიღეთ

$$\begin{aligned} \sigma_{11} &= 2 \left[ \frac{\partial \varphi}{\partial I_c} + \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} (\lambda^2 + Q^2 + \psi^2 a^2 Q^2) \right] + P \cdot \lambda^2 \cdot Q^2; \\ \sigma_{22} &= 2 \left[ \frac{\partial \varphi}{\partial I_c} + \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} (\lambda^2 + \lambda^{-2} Q^{-2} + a^2 Q^2 (\psi^2 + \alpha^2)) + W^2 \right] + \\ &\quad + P(Q^{-2} + \lambda^{-2} a^2 \psi^2 + a^2 Q^2 (\lambda \alpha^I - \psi W^I)^2); \\ \sigma_{33} &= 2 \left[ \frac{\partial \varphi}{\partial I_c} + \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} (Q^2 + \lambda^{-2} Q^{-2} + (a \cdot Q \cdot \partial^I)^2) + W^{I2} \right] + \end{aligned}$$

$$+ P(\lambda^{-2} + Q^2 \cdot W^{I2});$$

$$\sigma_{12} = -2 \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} a Q^2 \alpha^I - P \cdot \lambda \cdot a \cdot Q^2 (\lambda \alpha^I - \varphi \cdot W^I); \quad (4)$$

$$\sigma_{13} = -2 \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} (\lambda \cdot W^I + \psi \cdot a^2 \cdot Q^2 \cdot \alpha^I) - P \cdot \lambda \cdot Q^2 \cdot W^I;$$

$$\sigma_{23} = -2 \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} Q^2 a^2 \psi - P[\varphi \cdot \lambda^{-2} \cdot a + a \cdot Q^2 \cdot W^I (\psi \cdot W^I - \lambda \cdot \alpha^I)]$$

სადაც  $\varphi = \varphi(I_c; \Pi_c)$  - დრეკადი პოტენციალია და დამოკიდებულია კოშის დეფორმაციათა ინგარისნებზე.

მე-(4)-ე გამოსახულებების ჩასმის შემდეგ წონასწორობის ერთგვაროვან განტოლებებში მივალთ ორი ალგებრული განტოლების სისტემამდე, რომლებიც ზოგად შემთხვევაში არა წრფივი ბუნების არიან

$$\frac{\partial \varphi}{\partial W^I} = \frac{\mu \cdot c_2}{a}; \quad \frac{\partial \varphi}{\partial V^I} = \frac{\mu \cdot c_3}{a}; \quad (5)$$

სადაც  $\mu$  - ძვრის მოდულია;  $c_2$  და  $c_3$  მუდმივებია.

$$\frac{\partial \varphi}{\partial W^I} = 2 \left[ W^I \cdot \frac{\partial \varphi}{\partial I_c} + (W^I \cdot Q^2 + \psi \cdot a^2 \cdot Q^2 (\psi W^I - \lambda \cdot \alpha^I) \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c}) \right]$$

$$\frac{\partial \varphi}{\partial V^I} = 2 \left[ \alpha^I \cdot \frac{\partial \varphi}{\partial I_c} + \lambda (\lambda \alpha^I - \psi \cdot W^I) \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} \right] a^2 \cdot Q^2$$

დერძული ძალა  $F_3^{(1)}$  და მომენტი  $M_3^{(1)}$  დერძის მიმართ შედარებზე გამოისახებიან შემდეგნაირად  $i = 1,2$

$$F_3^{(1)} = (-1)^l \cdot 4\pi \cdot c_2 \cdot \mu^0 \cdot r_1^0 \cdot l; \quad M_3^{(1)} = (-1)^l \cdot 4\pi \cdot c_3 \cdot \mu^0 \cdot r_2^0 \cdot l; \quad (6)$$

$c_2$  და  $c_3$  მუდმივები დაკავშირებულები არიან როგორც ამ გამოსახულებიდან ჩანს  $F_3^{(1)}$  ძალებთან და  $M_3^{(1)}$  მომენტთან.

$$\begin{aligned} P(a) = -q_1 - 2\lambda^{-2} \left( Q^{-2} \frac{\partial \varphi}{\partial I_c} + (1 + \psi^2 a^2 + \lambda^2 \cdot Q^{-2}) \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} \right) + \\ + 2\lambda^{-1} \int_1^a \left[ \left( 1 - \lambda^{-2} \cdot Q^{-4} + a^2 (\alpha^I + \psi^2) \right) + \right. \\ \left. + \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} (\lambda^2 Q^{-4} + W^I)^2 + a^2 (\psi \cdot W^I - \lambda \alpha^I)^2 \right] \frac{\partial a}{a} \end{aligned} \quad (7)$$

აქ  $q_1$ - გამოსახავს ცილინდრის შიგა ზედაპირზე მოდებულ თანაბრად განაწილებულ წნევას. დერძული ძალა და მგრეხავი მომენტი, რომლებიც ცილინდრის განივ კვეთზე არიან მოდებული გამოითვლებიან შემდეგი ფორმულებით:

$$\begin{aligned} F_3^{(2)} &= 2\pi \cdot r_2^0 \int_1^s \left( \frac{\partial \varphi}{\partial \lambda} + \lambda^{-1} \cdot P \right) a \cdot da; \\ M_3^{(2)} &= 2\pi \cdot r_2^0 \int_1^s \frac{\partial \varphi}{\partial \psi} a \cdot da \end{aligned} \quad (8)$$

ამ ტოლობებში

$$\begin{aligned} \frac{\partial \varphi}{\partial \lambda} &= 2 \left\{ \lambda \frac{\partial \varphi}{\partial I_c} + [\lambda \cdot Q^2 + \lambda^{-1} \cdot Q^{-2} + a^2 \cdot Q^2 \cdot V^I (\lambda \alpha^I - \psi \cdot W^I)] \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} \right\} \\ \frac{\partial \varphi}{\partial \psi} &= 2a^2 \cdot Q^2 \left\{ \psi \frac{\partial \varphi}{\partial I_c} + [\psi \cdot \lambda^{-2} \cdot Q^{-2} + W^I (\psi W^I - \lambda \alpha^I)] \frac{\partial \varphi}{\partial \Pi_c} \right\} \end{aligned}$$

მიღებული გამოსახულებების გამოყენებით შესაძლებელია ამოცანათა მთელი კლასის განხილვა. ეს ეხება როგორც იზიტროპულ, ასევე ანიზოტროპული მასალისაგან დამზადებულ სქელკედლიან ცილინდრებს რთული სახის დეფორმაციის პირობებში გაანგარიშების შემთხვევაში.

### 3. დასპეციალური

მიღებული გამოსახულებებით შესაძლებელია როგორც იზიტროპული, ასევე ანიზოტროპული მასალისაგან დამზადებული სქელკედლიანი ცილინდრების განვითარების შემთხვევაში.

### ლიტერატურა

1. Green A.E. Theoretical Elastisity.Oxford: Glarendon – press. p. 184
2. თ. ბაციკაძე, ნ.მურდულია, ჯ.ნიუარაძე. “სქელკედლიანი დრუტანიანი ცილინდრული გარსის მზიდუნარიანობა გარე და შიგა დაწნევის მოქმედებისას. სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა” № 4(19) 2010წ. ობილისი
3. თ. ბაციკაძე, ნ.მურდულია, ჯ.ნიუარაძე “მთელ ზედაპირზე დატვირთული ორთოტროპული ცილინდრის დაბატულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევა” სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი “მშენებლობა” №4(27) 2012 წ.

## სასურველი პროექტისა და ბგერის მაღალი იზოლაციის ხარისხის მიზანის შესაძლებლობები

მ. ჯავახიშვილი, ჭ. სამხარაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 77, 0175 თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია ადამიანური ხმაურის ხემოქმედების უარყოფითი ასპექტები და შეფასებულია სასურველი აკუსტიკისა და ბგერის მაღალი იზოლაციის შექმნის შესაძლებლობები.

**საკვანძო სიტყვები:** ხმაური, აკუსტიკა, აკუსტიკური მასალები.

### 1. შესავალი

ხმაური ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მეტად არასასიამოვნო თანამგზავრია. ჩვენი სახლი, ოფისი, უნივერსიტეტი, სკოლა, სავაჭრო ცენტრი თუ სხვადასხვა დანიშნულების შენობები, სადაც შეიძლება ყოველდღიურად გვიწევდეს გარკვეული დროით ყოფნა, სავსეა სხვადასხვა ტიპის არასასიამოვნო ხმებით, ეს შეიძლება იყოს კარის, ლიფტის, ონკანის, მაცივრის, სარეცხი მანქანის, კონდიციონერის, სავენტილაციო სისტემის, ქუჩიდან მანქანების ხმაური თუ მრავალი სხვა.

დადგენილია რომ, თეორიულადაც კი არამართებულია იმის დაშვება, გვქონდეს მოლოდინი იმისა, რომ თქვენი მეზობელი მოიქცევა განსაკუთრებით ფრთხილად და იმოქმედებს ჩუმად, თუ თქვენსა და თქვენი მეზობლის სახლს შორის არის არასაკმარისი ბგერაიზოლაცია.

როდესაც თქვენ არ მოგწონ შენობის ან სივრცის დიზაინი, შესაძლოა დახუჭოთ თვალები, თუმცა თუ თქვენ არ მოგწონ ხმაური, შეუძლებელია „დახუჭოთ“ ყურები.

### 2. ძირითადი ნაწილი

ალბათ, ძალიან ხშირად გვსმენია ორი ერთმანეთის მსგავსი ტერმინი: ხმა და ხმაური, რომელებიც თითქოს ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ სინამდვილეში თავისი მნიშვნელობითა და ზემოქმედების ხარისხით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ხმა ეს არის ფიზიკური მოვლენა, რომელიც გამოწვეულია გარემოში არსებული ნაწილაკების მოძრაობის რხევით. ხმის რხევებს აქვს განსაზღვრული ამპლიტუდა და სიხშირე. ადამიანს კი აქვს შესაძლებლობა აღიქვას ხმები განსხვავებული ამპლიტუდით. ზოგადად ადამიანის ყურით აღქმული სიხშირეები განლაგებულია 20-20000ჰც სიხშირის დიაპაზონში.

ხმისგან განსხვავებით, რომელსაც ახასიათებს უწყვეტი და რეგულარული ვიბრაციები, ხმაური არის ნებისმიერი არასასურველი ბგერა ან სხვადასხვა სიხშირისა და ინტენსივობის ბგერების უწესრიგო ქაოტური ნარევი, რომელიც, სხვა თანაბარ პირობებში, ხელს უშლის სასარგებლო ბგერითი სიგნალის (მუსიკის, საუბრის) აღქმას და იწვევს ადამიანის ორგანიზმზე არასასურველ, გამაღიზიანებელ მოქმედებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ხმაურად შესაძლოა ჩაითვალოს უსიამოვნო ხმა, რომელიც იწვევს ჩვენს შეწუხებას.

ადამიანის სმენის ქვედა ზღვარი არის დაახლოებით 5 დბ. ჩვეულებრივ საუბრის ხმა არის დაახლოებით 65 დეციბელი. საშუალოდ 35-60 დბ დიაპაზონში ხმაურის ზემოქმედება ადამიანზე მეტად ინდივიდუალურია, 70-90 დბ ხმაურის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად კი ხდება ნერვული სისტემის დაავადებების წარმოქმნა, ხოლო

როდესაც ხმაური 100დბ-ზე მეტია ამან შეიძლება ადამიანის დაყრუებაც კი გამოიწვიოს. 150 დბ ხმამ კი შესაძლოა გამოიწვიოს სმენის მომენტალური დაზიანება.

ხმაურის ადამიანზე ზემოქმედების დონის მიხედვით შესაძლოა მოვახდინოთ მისი კლასიფიკაციი შემდეგ დონეებად:

I დონე, ეს არის ხმაურის ისეთი სიდიდე, რომელიც არ იწვევს ადამიანზე პირდაპირ ან ირიბ უარყოფით მოქმედებას, არ აქვეითებს მის მუშაობის უნარს, არ მოქმედებს უარყოფითად მის თვითგრძნობასა და განწყობაზე, არ იწვევს ხმაურის მიმართ მგრძნობიარე სისტემის ფუნქციური სისტემის არსებით ცვლილებას.

II დონე, უარყოფითი გავლენა ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე

III დონე-მნიშვნელოვანი/საგრძნობი უარყოფითი ზეგავლენა ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე

ხმაურის ადამიანზე ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია შემდეგ მთელ რიგ პარამეტრებზე:

- ხანგრძლივობა
- განმეორებადობა

სიხშირე (მაღალ და დაბალ სიხშირეებზე ხმაური გაცილებით შემაწუხებელია ვიდრე საშუალო სიხშირის ხმაური)

დროის მონაკვეთი (დამის განმავლობაში ხმაური გაცილებით შემაწუხებელია ვიდრე სხვა დროის მონაკვეთებში)

ზოგადად ინდიკიდუალის მგრძნობელობა ხმაურის მიმართ დადგენილია, რომ მოსახლეობის 30% ხასიათდება ხმაურისადმი მომატებული მგრძნობელობით, 60% ნორმალური მგრძნობელობით, ხოლო 10% დაბალი მგრძნობელობით.

ბევრი ადამიანი შეიძლება ფიქრობდეს რომ ბევრის ნორმალურ გავრცელებასა და ბევრი აზოლაციაზე შესაძლოა ვიფიქროთ მხოლოდ ოთატრების, საკონცერტო დარბაზების, ხმის ჩამწერი სტუდიების და სხვა მსგავსი ტიპის ნაგებობების მშენებლობისას, რაც გარკვეულწილად სიმართლეა, რადგან სწორედ ასეთი ტიპის დაწესებულებებში ისე უნდა იყოს ხმები დაბალანსებული რომ თითოეულ მსმენელამდე ხმა მიღიოდეს იმ ტონით და ტემპით როგორც ისმის სცენაზე, თუმცა ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას უგულებელყოფილ იქნას ბევრის იზოლაციი და მისი სასურველი განაწილება, რადგან როდესაც ხმაურის დონე მეტია ვიდრე დასაშვები ნორმა, და გვაქვს ხმაურის ხანგრძლივი და ინტენსიური ზემოქმედება ჩვენს ორგანიზმზე შესაძლოა ამან გამოიწვიოს მთელი რიგი უარყოფითი შედეგები:

- დაძაბულობა, ყურადღების ფუნქციის დაქვეითება
- ძილის რეჟიმის დარღვევა
- მდელვარება/ნერვოზი/გაღიზიანებადობა
- სტრესულ სიგნალებზე ფიზიოლოგიური რეაქციების შეცვლა
- შრომისუნარიანობის/პროდუქტიულობის შემცირება/გადაღლილობა
- სმენის ორგანოს დაფის აპენის დაზიანება ან სმენის პრობლემები, სმენის ფუნქციის დაზიანება, სმენითი მგრძნობელობისა და სმენის დროებითი ან მუდმივი დაკარგვა
- სისხლის წნევის მომატება
- ფსიქოლოგიური ტრავმები
- ფსიქიკური და სომატური ჯანმრთელობის დარღვევა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ხმაური ზოგადად კი არ მოქმედებს კონკრეტულად ერთ რაიმეზე (მაგალითად სმენის დაქვეითება), არამედ იწვევს მთლიანად ჩვენს ორგანიზმი უარყოფით ცვლილებებს. იგი პირველ რიგში მოქმედებს თავის ტვინის სტრუქტურაზე. ხმაურის მოქმედების შედეგად ცვლილებები ყველაზე ადრე ცლინდება ნერვულ სისტემაში: აღინიშნება თავის ტკივილი, პერიოდული ხასიათის თავბრუ, მეხსიერების დაქვეითება, მომატებული მოქანცვა, ემოციური არამდგრადობა, ძილის რეაქციის დარღვევა, ტკივილი გულ-მკერდის არეში და სხვა. ხმაურის მოქმედების შედეგად ცვლილებები გულ-სისხლძარღვთა სისტემაში ძირითადად კარდიალური და ჰიპერტენზიული ტიპის ნეიროცირკულარული დისტონიის სინდრომის სახით ცლინდება. ხმაურის მომატება იწვევს აგრეთვე ორგანიზმის იმუნოლოგიური აქტივობის, საერთო რეზისტენტობის დაქვეითებას, რაც ავადობის დონის ზრდით ცლინდება.


მას შემდეგ რაც დეტალურად აღვწერეთ ხმაურისგან გამოწვეული არასასურველი ნეგატიურ ასპექტები, ალბათ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი ადამიანიც კი დარწმუნდებოდა იმაში, თუ რაოდენ აუცილებელია და მკაცრად რეკომენდირებულია ჩვენს შენობებში, ოთახებში თუ სამუშაო სივრცეებში სასიამოვნო აკუსტიკური გარემოს შექმნა. იმისათვის რომ შევქმნათ სასურველი აკუსტიკური გარემო, მივიღოთ მაღალი ბეჭრის იზოლაციის ხარისხი და ჩვენი მდგომარეობა არ იყოს ფოტოზე მოცემული სიტუაციების მსგავსი:



აუცილებელია კიფიქროთ ჩვენი შენობების მოწყობისას გამოვიყენოთ აკუსტიკური მასალები, რადგან სწორედ ასეთი ტიპის მასალები არიან განკუთვნილნი შენობაში ხმის ტალღების გავრცელების სასიათის დადებითად შეცვლისა და ბგერაიზოლაციისთვის.

სასურველი და ზომიერი აკუსტიკური გარემოს მიღწევა არ არის მარტივი და მნიშვნელოვანია კომპლექსური მიღობის გამოყენება.


თანამედროვე სამშენებლო პროექტების მეტად პოპულარული მეთოდია შეკიდული აკუსტიკური ჭერის მოწყობა, სადაც ჭერისთვის გათვალისწინებული აკუსტიკური ფილტების მონტაჟი ხდება სპეციალურ ლითონის კარკასზე, გარდა იმისა, რომ საშუალებას გვაძლევს მიღიღოთ შედარებით პარგი აკუსტიკური გარემო, ამავდროულად გვაქვს საშუალება მოვახდინოთ შეკიდული ჭერის მიღმა ჰაერსატარების, კაბელების, კაბელ-არხების, მიღგაყვანილობების, ჭერში შესმული განათებების, გათბობა-კონდიცირება-ვენტილაციის შიდა დანადგარებისა და სხვა ძირითადი საინჟინრო სისტემების ნაწილების მონტაჟი.



აკუსტიკური შეკიდული ჭერის გარდა ჩვენი სივრცის მოსაწყობად შესაძლოა გამოყენებული იქნას კედლის აკუსტიკური დეკორატიული პანელები, როლებიც ევროპასა და ამერიკაში საკმაოდ პოპულარული გადაწყვეტაა, რომელთა ხმის შთანთქმის კოეფიციენტი მერყეობს 0.70–0.95-ის ფარგლებში.




მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სივრცე შეიძლება აღჭურვილი იყოს ძალიან ძვირადლირებული აკუსტიკური ჭერით თუ აკუსტიკური კედლის პანელებით, არსებობს საკმაოდ დიდი ალბათობა იმისა, რომ მაინც ვერ მივიღოთ დაგეგმილი აკუსტიკის დონე, რადგან სივრცის მოწყობისთვის გარდა იმისა რომ უნდა გამოვიყენოთ ბერის შთანთქმელი მასალები, საჭიროა მთელი რიგი გადაწყვეტები შევიმუშაოთ, რათა თავიდან ავიცილოთ სტრუქტურული ხმაური, რასაც ნამდვილად ვერ „შევაჩერებთ“ მხოლოდ ბერის შთანთქმელი მასალების გამოყენებით. ერთ-ერთი შესაძლო ტექნიკური გადაწყვეტაა ე. წ. მცურავი იატაკის (ლოატინგ ჰცრეედ) მოწყობა, რომლის მთავარი პრინციპი მდგომარეობს იმაში რომ იატაკის შემადგენელ კონსტრუქციასა და შენობის კონსტრუქციას შორის არსებობს გამყოფი მასალა, რაც საშუალებას არ აძლევს ხმაურს, გავრცელდეს ერთი სივრციდან მეორეში. მარტივად რომ წარმოვიდგინოთ თუ პირდაპირ რკინაბეტონის ფილაზე მოვაწყობთ იატაკის მოჭიმვას და შემდეგ მოვაპირეოთ მას, აღმოჩენდება რომ მივიღებთ ერთიან სტრუქტურას, რაც ყოველგვარი წყვეტის გარეშე გაატარებს ერთ ადგილას დარტყმით წარმოქმნილ ხმას და მისი გავრცელებისთვის ფაქტიურად ბარიერი არ იარსებებს. მაგრამ თუ ჩვენ მოვახდეთ მცურავი იატაკის პრინციპის უზრუნველყოფას, მაშინ ერთის მხრივ კონსტრუქცია აღარ იქნება ერთიანი, და მეორეს მხრივ ბერისასაიზოდაციო მასალის გამოყენებით ჩვენ მივაღწევთ იმას რომ დარტყმით წარმოქმნილი ხმაურის შთანთქმა მოხდება და ამავდროულად არც ქვედა სართულზე მყოფს შეაწებებს ხმაური.



თუმცა ჩვენი მიზანი მხოლოდ ამით ვერ იქნება მიღწეული, რადგან თუ მოჭიმვაში არ მოხდება გარკვეული წყვეტები, რაც ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომა მშენებლობაში, მაშინ ერთ სივრცეში წარმოქმნილი სტრუქტურული ხმაური ძალიან მარტივად გავრცელდება მეორეში.

მნიშვნელოვანია ასევე კედლების ბერძნება იზოლაციის საკითხიც, რადგან ბგერის დიდი ნაწილის გავრცელება სათავსოში სწორედ კედლების/ტიხოების მეშვეობით ხდება. ტრადიციული მეთოდებისგან განსხვავებით, როდესაც ხდებოდა ბლოკის კედლის მონტაჟი და შემდეგ ლესვა, შეგვიძლია გამოვიყენოთ გაცილებით უკეთესი მეთოდი, კერძოდ თაბაშირმუქაოს ფილებით მოპირკეთება, როდესაც თაბაშირმუქაოს ფილასა და მთავარ კონსტრუქციას შორის არის ბგერა საიზოლაციო მასალა გამოყენებული.



მრავალშრიანი სტრუქტურა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ხმის შემცირება გაცილებით ეფექტურად, ვიდრე ამას შევძლებდით ერთშრიანი სტრუქტურის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ პედლების შეერთება ტიხართან და ჰერის შეერთება ტიხართან/პედლებთან.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც იატაკის ასევე ტიხეობის მოწყობისას მეტად მნიშვნელოვანია უურადღება მიეცეს იმას რომ დამონტაჟებული იქნას ხმის საიზოლაციო ლენტი შეერთების ადგილებში, რაც უზრუნველყოფს კონსტრუქციულ წყვეტას და საშუალებას აღარ აძლევს ხმას გავრცელდეს და მოედოს სხვა ზედაპირებს.

3.ლასკვნა

თანამედროვე მსოფლიოს სამშენებლო ინდუსტრიის პირობებში, როდესაც მიღიონობით დოლარის ინგენირება ხდება და ვითარდება ახალ-ახალი დახვეწილი აკუსტიკური სამშენებლო მასალები, ხმაურის კონტროლის წარმატებული გადაწყვეტის მნიშვნელოვანი შემადგენელი კომპონენტი არის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი

სურვილი, რომ უზრუნველყოთ ხმაურის კონტროლი. ამიტომ ყველაზე ეფექტური და რაციონალური გზაა, რომ შენობის მოწყობისას ყურადღება გავამახვილოთ დაკორატიული იერსახის მქონე აკუსტიკური მასალების გამოყენებაზე. საბოლოო ჯამში კი, აკუსტიკურ-დაკორატიული მასალების გამოყენებით ჩვენ მივიღებთ სიტუაციას, როდესაც ჩვენი ორივე მიზანი, ლამაზი დიზაინი და სასურველი აკუსტიკა, მიღწეული იქნება.

არ აქვს მნიშვნელობა თუ რომელ ქვეყანაში ხდება მოქმედება, ყოველთვის როდესაც საქმე გვაქს არასაკმარის ბგერაიზოლაციასთან და არასასურველ აკუსტიკასთან, მაშინ შედეგი არის ერთი და იგივე. ასევე, საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ ვართ ინვესტორი, სამშენებლო კომპანია, დეველოპერი, არქიტექტორი, დამსაქმებელი თუ სხვა, ყოველთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია რომ თავიდანვე ვიფიქროთ არა მხოლოდ იმაზე, რომ გვქონდეს გამორჩეული ინოვაციური და კარგი დახვეწილი დიზაინის შენობა, არამედ ამავდროულად ვიფიქროთ იმაზე თუ როგორ უზრუნველყოთ შენობის შიგნით სივრცეების ისეთი აკუსტიკურად დაბალანსებული გარემოს შექმნა, რაც მაქსიმალურად სასიამოვნო იქნება იქ მყოფი, მცხოვრები თუ უბრალოდ დასაქმებული ადამიანებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში, ჰკვიანი ინვესტორსაც კი, რომელიც ფიქრობს გრძელვადიან პერსაექტივაზე, აშკარად გაუჭირდება პროდუქტების (ობიექტი) გაყიდვა, ან შედარებით ნაკლებ ფასად მოუწევს მისი რეალიზაცია, რამეთუ გარკვეული დროის შემდეგ ბინის მფლობელები აუცილებლად შეწუხდებიან მეზობელი კედლიდან შემოსული ხმაურის გამო და შესაბამისად მიმართავენ ინვესტორებს, შედეგად მათი რეპუტაცია აშკარად შემცირდება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უბრალოდ დამსაქმებელი ხართ და არანაირი კავშირში არ ხართ შენობის ფლობასთან, თქვენი დასაქმებული ადამიანების შრომის ნაყოფიერების შემცირების გამო თქვენ აშკარად ვერ ნახავთ იმ მოგებას, რომელიც დაგეგმეთ.

## ლიტერატურა

1. Carl Hopkins, Sound Insulation, Butterworth-Heinemann, 2007, 622p
2. Tor Erik Vigran, Building Acoustics, Taylor & Francis, Jul 31, 2008, 364p
3. Heinrich Kuttruff, Room Acoustics, 4th Edition, CRC Press, Aug 3, 2000, 368p
4. Michael Möser, Engineering Acoustics, Springer Science & Business Media, Sep 1, 2009, 536p
5. Malcom j. Crocker, Noise and Vibration Control, John Wiley & Sons, Inc, 2007, 1570p

რპინაბეჭონის ფრიულ ზედაპირზე მაღალი ღიობების მოწყობის  
ტექნიკური გადაწყვეტა

0. შვარაია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ.კოსტავას ქ.№77, 0175;  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია, რკინაბეჭონის წრიულ ზედაპირზე მაღალი  
ღიობების მოწყობის ტექნიკური პროცესი, რომელიც წარმატებით  
შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა მხგავსი სამუშაოების  
შესრულების დროს.

**საკვანძო სიტყვები:** ყალიბი, ბეტონი, რკინაბეჭონი, არმატურა, ღიობი  
დაბეჭონება, მონტაჟი, დემონტაჟი, სარკმელი.

1. შესავალი

წრიული ზრდაპირის მქონე რკინაბეჭონის შენობა-ნაგებობების ადების  
დროს ხშირად საჭირო ხდება მთელ მის პერიმეტრზე სარკმლების ან სპეციალური  
დანიშნულების მნიშვნელოვანი ღიობების მოწყობა. ამ დროს, დაბეჭონების  
სამუშაოების გამარტივების მიზნით სასურველია მოხდეს მთლიანი საყალიბე  
სისტემების დამონტაჟება, ამ სიცარიელეების გათვალისწინებით. ტექნიკური მსგავსი  
ყალიბების მოწყობა დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული,  
მაგრამ პროცესები იქმნება დიობების ზუსტი ზომების დაცვასთან და მათ ერთ  
დონეზე და სიმაღლეზე განლაგებასთან დაკავშირებით. სამშენებლო პრაქტიკაში  
განსაკუთრებით ხშირად ხდება საჭირო ამ ტიპის სამუშაოების შესრულება  
ტაძრებისა და ეკლესიების მონოლიტური გუმბათის ყელის მოწყობისას და კედლის  
კონკრეტული შემთხვევა მოითხოვს ყალიბების მოწყობისა და კედლის  
დაბეჭონების თავისებურ გადაწყვეტას.

2. ძირითადი ნაწილი

ქ. თბილისში, მახათას მთაზე მშენებარე ივერიის დგომისმშობლის ხაზის  
სახელობის ტაძარი, გუმბათის ყელის კონსტრუქციითაც გამორჩეულია.



ნახ.1. კედლის არმატურის კარგასების მოწყობა



ნახ.2 არმატურის კარკასებს შორის სარკმლის ყალიბების მონტაჟი



ნახ.3. შიგა ნახევრადწრიული საყალიბების ფარის მონტაჟი



ნახ.4. დაბეტონებული წრიული რკინაბეტონის კედელის სარკმლებით

გუმბათის ყელის გარშემო განთავსებულია 20 სარკმელი, რაც მათი სიმრავლით გამონაკლისი შემთხვევაა. გუმბათის ყელის რკინაბეტონის მონოლითური ნაწილის შესრულებისას სარკმლების განთავსების სიზუსტის დასაცავად წინასწარ აიგო ოცივე სარკმელის ერთნაირი ზომის, ყუთისებრი ფორმის ასაწყობი ყალიბი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგებოდა. შესაბამისად, სიმაღლეში სამ ეტაპად უნდა განხორციელებულიყო დაბეტონება.

ტექნოლოგიური პროცესის გამარტივების მიზნით გადაწყდა წრიული კედლის შიგა მხრიდან ნახევარწრიული მოხაზულობის მთლიანი საყალიბების აგება, რომელიც უზრუნველყოფდა ბეტონის შიგა ზედაპირის სისწორეს. დაბეტონების შემდეგ ადვილი იყო ასეთი ყალიბის დემონტაჟი და ზედმეტი დანახარჯების გარეშე ხდებოდა მისი მრავალჯერადი გამოყენება, როდესაც სარკმლების ყალიბები გამოხსნისას მთლიანად დაშლას მოითხოვდნენ..

სამშენებლო პროცესი შემდეგი თანმიმდევრობით განხორციელდა:

1. წრიული კედლის პერიმეტრის ნახევარზე, გეოდეზიური კოორდინატებისა და ნიშნულების დაცვით ეწყობოდა არმატურის კარგასები, რომლებიც დაბეტონების ყოველ ეტაპზე, ერთმანეთზე გადაბმით გრძელდებოდა სიმაღლეში (ნახ.1);
2. არმატურის კარგასებს შორის იდგმებოდა სარკმლების ყალიბები, რომელთა სისწორეც ასევე განსაკუთრებით მოწმდებოდა ყველა ეტაპზე (ნახ.2);
3. ნახევრადწრიული შიგა საყალიბები ფარის ძალოვან ხარაჩებზე დადგმის, გასწორებისა და დამაგრების შემდეგ მასზე მჭიდროდ მაგრდებოდა სარკმლის ყალიბები;
4. გარედან მისადაგმელი საყალიბები ფარები, გამჭოლი დეროებით უკავშირდებოდნენ და მაგრდებოდნენ შიგა ყალიბთან. მათ შორის ექცევდა სარკმლის ყალიბები;
5. საყალიბები სისტემის სათანადო გამაგრების და სიზუსტის შემოწმების შემდეგ ხდებოდა კედლის ნახევარწრის დაბეტონება (ნახ.3);

ადნიშნული თანმიმდევრობით ხდებოდა ჯერ წრიული კედლის მეორე ნახევარის მოწყობა, ხოლო შემდეგ იგივე მეორდებოდა გერტიკალური მიმართულებით ედაბეტონების ეტაპების შესრულებისას (ნახ.4).

### 3. დასპანა

წრიული მოხაზულობის რკინაბეტონის სარკმელებიანი კედლების აგების ტექნოლოგიური პროცესი, მნიშვნელოვნად მარტივება, კედლის შიგა მხრიდან ნახევრად წრიული საყალიბები ფარის გამოყენებით. იგი იძლევა კედლის არმატურის კარგასებს შორის საჭირო დიობების ზუსტად მოწყობის და მათი გამაგრების კარგ საშუალებას. გარდა ამისა, დაბეტონების შემდეგ ადვილია მისი დემონტაჟი და შესაძლებელია მრავალჯერადი გამოყენება.

### ლიტერატურა

1. ი. ქარაია, თ. დვალიშვილი, შ. ყანჩაშვილი. მარტივი მოძრავი კვანძების მოწყობა რკინაბეტონის საყალიბების სისტემების აგების დროს სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“. №4(39), გვ. 54-56.

მთის ქანების ფერდობის მდგრადობაზე  
გაანბარიშება ზღვრული დაბაბული მდგრმარეობის მეთოდით

ტ. კვიციანი

(საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობაში ტექნიკური ექსპერტის  
დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი,  
კოსტავას 77).

**რეზიუმე:** განხილულია ფხვიერი გარემოს ზღვრული დაბაბულობის თეორიის  
ბრტყელი ამოცანა. გამოყენებულია დრეკადობის თეორიის დაბაბული  
მდგრმარეობაში ნებისმიერად წრფივად დეფორმირებადი სხეულებისათვის  
წონასწორობის კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებათა  
სისტემა. მიღებულია დაცურების წირის გასწრივ მახასიათებელებისათვის  
ჩვევლებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემა, ხოლო ხასრული  
სხვაობებით ალგებრული განტოლებათა სისტემა, რომლიც საშვალებას იძლევა  
მიახლოებით განვხაზღვროთ უცნობი სიდიდეები, აგრეთვე მინიმალური და  
მაქსიმალური დაბაბული მდგრმარეობის ჯდენისა და ამობურცვის ზონები.

**საკვანძო სიტყვები:** ფერდო, მდგრადობა, ზღვრული წონასწორება, დაცურები  
წირი, დიფერენციალური განტოლება.

## 1. შესაბამის

საინჟინრო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბუნებრივი ფერდოების  
მდგრადობის შემოწმების, გრუნტის მასების ჩამოშვავებისა და მეწყერული ხასიათის  
მოვლენების წარმოშობის პროცენტების ამოცანების გადაჭრას, რომლსაც  
საფუძვლად უდევს გრუნტების ზღვრული დაბაბული მდგრმარეობის თეორია. მათ  
ამოსახსნელად ჯერჯერობით იყენებენ გამარტივებულ ხერხებს, როდესაც გრუნტის  
გადაადგილების ზედაპირის ფორმა დგინდება არა მკაცრი მათემატიკური სიზუსტით,  
ზღვრული დაბაბულობის თეორიის მეშვეობით, არამედ წინასწარ გარკვეული  
დაშვებებით. ასეთ ამოცანებში გრუნტების გადაადგილების ზედაპირის ფორმა ან  
განსაზღვრულია ბუნებრივი პირობებით, ან დაინიშნება პრაქტიკით მიღებული  
გამოცდილების საფუძველზე [1].

ზღვრული წონასწორობის ძირითად პირობას ფერდოს მასივის (კარიერის  
ბორტის) ნებისმიერ სიბრტყეზე აქვს შემდეგი სახე [2]:

$$\mathbf{f} = \{(\mathbf{t}_n)\}, \quad (1)$$

სადაც,  $\tau$  და  $s_n$  მხები და ნორმალური ძაბვებია მოცემულ სიბრტყეზე.

განვიხილავთ ბრტყელი დაბაბული მდგრმარეობის შემთხვევას, როცა ძალები  
მოქმედებენ ერთ სიბრტყეზე მდებარე ორი წრფის მიმართულებით და ერთი მთავარი  
ძაბვა ნულის ტოლია.

როგორც წესი, მთის ქანები ყველა მხრიდან კუმშვის პირობებში იმყოფება  
მოცულობით დაბაბულ მდგრმარეობაში, ამიტომ მკუმშვავ ძაბვებს დადებითი ნიშანი  
აქვს. მაქსიმალური მთავარი ძაბვა აღინიშნება σ1-ით, მინიმალური σ3-ით და საშუალო  
σ2-ით.

ფერდოების მდგრადობის თეორიული გაანგარიშების მექანიკო-მათემატიკურ  
საფუძველს წარმოადგენს გრუნტის მასის ან ე.წ. ფხვიერი გარემოს ზღვრული  
წონასწორობის თეორია.

ფხვიერი გარემოს ზღვრული წონასწორობის თეორიაში განიხილება ერთმანეთისაგან მეთოდით და გადაწყვეტილებით პრინციპულად განსხვავებული ორი ძირითადი ამოცანა:

1) ამოცანა, რომლშიც მასივის როგორილაცა მიღამოს ნებისმიერ წერტილში დაკმაყოფილებულია ზღვრული წონასწორობის პირობა;

2) ამოცანა, რომლშიც მასივის ნებისმიერ წერტილში არ არის დაკმაყოფილებული ზღვრული წონასწორობის პირობა, არამედ კმაყოფილდება მხოლოდ მის შიგა საზღვარზე.

პირველი კვუფის ამოცანების გადაწყვეტის მეთოდს ეწოდება ფხვიერი გარემოს ზღვრული დაძაბული მდგომარეობის მეთოდი, ხოლო მეორეს - ფხვიერი გარემოს ზღვრული წონასწორობის მეთოდი.

პირველი მეთოდის განვითარება თანამედროვე სახით მიღებულია მეცნიერების ვ. გ. სოკოლოვსკის და ს. ს. გოლუშკევიჩის მიერ [2].

## 2. ძირითადი ნაშილი

ამოცანების ზღვრული დაძაბული მდგომარეობის მეთოდით ამოხსნა საგრძნობლად მარტივდება, თუ BC წრფეს (ნახ.1) გავაგრძელებთ აბსცისთა დერმან გადაკვეთამდე და O' წერტილს განვიხილავთ, როგორც პირობითი (დაყვანილი) ძაბვების სიდიდეების სათავეს. σ<sub>1</sub>-ის გადატანა O-დან O' წერტილში ზრდის ნორმალურ ძაბვებს სიდიდით:

$$H = Kctg \dots \quad (2)$$


ეს დამოკიდებულობა ფართოდ გამოიყენება ზღვრული წონასწორობის მდგომარეობის მეთოდით ამოცანების ამოხსნის დროს. როგორც 1 ნახაზიდან ჩანს კორდინატთა სათავის O' წერტილში გადატანა არ ცვლის მხები ძაბვების სიდიდეს, ხოლო ნორმალური ძაბვები H მონაკვეთით იზრდება. ამოცანის ამოხსნა საგრძნობლად მარტივდება, თუ ვისარგებლებთ პირობითი (დაყვანილი) ძაბვების საშუალო სიდიდით:

$$\dagger = H + \frac{1}{2}(\dagger_1 + \dagger_3) \quad (3)$$

ამ შემთხვევაში ზღვრული წონასწორობის პირობა უმარტივეს სახეს მიიღებს

$$\frac{1}{2}(\dagger_1 + \dagger_3) = \dagger \sin \dots \quad (4)$$

$$\dagger = \frac{1}{2} \dagger \sin 2 \dots \quad (5)$$



ნახ.1. დამოკიდებულება ნამდვილ და პირობით ძაბვებს შორის:

ა - პირობითი ძაბვები სიბრტყეზე; ბ - პირობითი ძაბვები გრაფიკზე.

ვ. ვ. სოკოლოვსკი და სხვა მრავალი ავტორი H მონაკვეთს ყველამხრივი თანაბარი გაჭიმვის დროს დროებით წინადობას უწოდებენ [2]. სინამდვილეში ექსპერიმენტალური მონაცემები და თეორიული მოსაზრებები აჩვენებს, რომ მთის ქანებს, რომლებიც წარმოადგენენ მყიფე მასალას, აგლეჯვაზე წინადობის ასეთი სიდიდე არ უნდა ჰქონდეს.

თუ ამ მასალებს ჩავაყენებთ ყოველმხრივ თანაბარ გაჭიმვის პირობებში, მაშინ სხვადასხვა ნიშნიანი მხები ძაბვები ერთმანეთს გააბათილებენ და რდვევას გამოიწვევს არა ის ძალები, რომლებიც ერთდერძა კუმშვის დროს ნიმუშის რდვევას იწვევეს, არამედ ნორმალური უდიდესი ძაბვებით გამოწვეული აგლეჯვა. მასალის ყველამხრივი გაჭიმვა არ იწვევს უდიდეს გამჭიმავ მთავარი ძაბვის სიდიდის ცვლილებას, მაგრამ ამცირებს მხები ძაბვების სიდიდეებს და ხელს უწყობს პლასტიკური მასალების რდვევას აგლეჯვაზე.


მყიფე მასალები ირდვევიან ერთდერძა კუმშვის დროსაც (და ასევე ძვრით, გამოწვეული უმნიშვნელო სიდიდის ნორმალური ძაბვებითაც) ნორმალური გამჭიმავი ძაბვების მიმართულებით სიბრტყეებზე აგლეჯვით. გვერდითი გამჭიმავი ძალების გაზრდა არ ზრდის ძაბვებს ამ სიბრტყეებზე და ამიტომაც არ იცვლება  $\pm$  სიდიდე.

მთის ქანების დროებითი წინადობა აგლეჯვაზე ერთდერძა ჭიმვის დროს არ განსხვავდება დროებითი წინადობისგან ყველამხრივ თანაბარ გაჭიმვის შემთხვევისგან. ამაში ვლინდება მყიფე მასალების ძირითადი განსხვავება პლასტიკური მასალებისგან. პლასტიკური მასალებისთვის წინადობა აგლეჯვაზე უფრო მეტია ვიდრე წინადობა ძვრაზე. მყიფე მასალებისთვის პირიქით, წინადობა ძვრაზე და კუმშვაზე უფრო მეტია ვიდრე წინადობა აგლეჯვაზე.

მოცემულ სიბრტყეზე ნამდვილი და პირობითი ძაბვების ფარდობა ნაჩვენებია 1 ნახაზზე, საიდანაც ჩანს, რომ ნორმალური ძაბვის გაზრდა H სიდიდით იწვევს სიბრტყის ნორმალსა და p-ს მიმართულებას შორის არსებულ კუთხის ცვლილებას. ზღვრულ მდგომარეობაში , ტოლი ხდება კუთხის (ნახ.1) და იმის გამო, რომ ერთგაროვანი იზოტროპულ გარემოში ზღვრული დაძაბული მდგომარეობის პირობების დროს მის ყოველ წერტილში არსებობს დაცურების ორი ერთმანეთთან  $\left(\frac{f}{2} - \dots\right)$  კუთხით გადაკვეთილი სიბრტყე, ამ სიბრტყეებზე მოქმედი პირობითი ძაბვები აღმოჩნდება შეუდლებული ე.ი. როცა ერთერთის მიმართულება პარალელური იქნება იმ სიბრტყის, რომელზეც მოქმედებს მეორე.

კარიერებისთვის, რომელთა ბორტებს გეგმაში გააჩნიათ მცირე სიმრუდე, დაძაბული მდგომარეობის პრტყელი ამოცანის ამოხსნისას მიიღება საკმაოდ ზუსტი შედეგი, როდესაც მხები ძაბვების  $\tau_{zy}$ -ის და  $\tau_{zx}$ -ის კომპონენტები 0-ის ტოლია, ხოლო ძაბვების დანარჩენი კომპინენტები, რომლებიც ემთხვევიან ქანობის ზედა და ქვედა კიდეების მიმართულებებს, არ არიან დამოკიდებულნი Z კოორდინატებზე.

ბრტყელ ამოცანაში, როდესაც xy სიბრტყეზე გადაიკვეთებიან დაცურების ზედაპირები მიიღება წრფივი დაცურების ბაზე (ნახ.2).



ნახ.2. დაცურების წირების ორი თვასი

გრუნტების ზღვრული დაძაბული მდგომარეობის წონასწარობის დიფერენციალური განტოლებები. ბრტყელი ამოცანა. როგორც დრეკადობის თეორიიდანა ცნობილი ზოგად შემთხვევაში დაძაბულ მდგომარეობაში ნებისმიერი წრფივად დეფორმირებად სხეულებისათვის წონასწორობის დიფერენციალური განტოლებები ჩაიწერება შემდეგი სახით [3]

$$\frac{\partial \tau_x}{\partial x} + \frac{\partial \tau_{xy}}{\partial y} = 0; \quad \frac{\partial \tau_{xy}}{\partial x} + \frac{\partial \tau_y}{\partial y} = \chi \quad (6)$$

სადაც  $\sigma$ ,  $\tau$  არის შესაბამისი ძაბვები;  $\chi$  - გრუნტის ხვედრითი წონა. ამ ორ დიფერენციალურ განტოლებაში სამი უცნობია ( $\sigma_x$ ,  $\tau_{xy}$ ,  $\chi$ ), ე.ი. ამოცანა (დამატებითი პირობების გარეშე) სტატიკურად განუსაზღვრელია. თუ ამ ორ განტოლებას დაუმატებთ მესამე განტოლებას, მაგალითად, ფხვიერი გარემოს ზღვრული წონასწორობის განტოლებას, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$\frac{1}{4}(\tau_x - \tau_y)^2 - \tau_{xy}^2 = \frac{\sin^2 \gamma}{4}(\tau_x + \tau_y + 2H)^2 \quad (7)$$

მაშინ მივიღებთ სამ განტოლებას სამი უცნობით. მაშასადამე, ამოცანა სტატიკურად განსაზღვრული იქნება. გარდაქმნებით მიღებულია დაცურების წირის გასწორივ მახასიათებლების დიფერენციალური განტოლება, რომელიც მოცულობითი წონით ვერტიკალურად მიმართული მიდამოსოფლის ჩაიწერება შემდეგი სახით (ნახ.3):

$$\left. \begin{aligned} dy &= dx \operatorname{tg}(\{\mp v}), \\ d\tau &= 2\tau \operatorname{tg} \dots \cdot d\{\ = \chi(dy \mp \operatorname{tg} \dots dx), \end{aligned} \right\} \quad (8)$$


სადაც - უდიდეს ძაბვის მიმართულებასა და  $x$  ღერძს შორის არსებული კუთხეა.

- პირობითი ძაბვის საშუალო სიდიდე (ნახ.4),  $v = \frac{f}{4} - \frac{\dots}{2}$  არის ძაბვის

მიმართულებასა და დაცურების ზედაპირს შორის კუთხე.

ამ განტოლებებში ნიშანი მინუსი ეკუთვნის დაცურების წირის პირველ თვასს, ხოლო ნიშანი პლიუსი - მეორეს.

კონკრეტული ამოცანების რიცხვითი გადაწყვეტის თვალსაზრისით შემოვიდოთ უგანზომილებო ცვლადები:  $\bar{x}$ ,  $\bar{y}$ ,  $\bar{\tau}$ , რომელებიც დაკავშირებულია შემდეგი თანაფარდობით:  $\bar{x} = \frac{x}{K}x$ ,  $\bar{y} = \frac{x}{K}y$ ,  $\bar{\tau} = \frac{\tau}{K}$ ,



ნახ. 3. კოორდინატთა ღერძების დადებითი  
მიმართულება და კუთხეთა ათვლის მიმართულება

ნახ. 4. დამოკიდებულება პირობით ძაბვასა და  
გარე ნორმალურ დატვირთვებს შორის

ქვემოთ ხაზები ასოების თავზე მოცილებული იქნება, ვინაიდან გაანგარიშებას ვაწარმოვებო, დაშვებით, როცა  $\gamma=1$  და  $K=1$ . იმისათვის, რომ გადავიდეთ უგანზომილებო კოორდინატებიდან ნამდვილზე, საკმარისია პირველი გავამრავლოთ ფარდობაზე.

ახლა, დიფერენციალები:  $dx, dy, d\sigma, d\varphi$  პირველი ოჯახის დაცურების წირებისთვის შეგვალოთ სასრული სხვაობებით [4]:

$$dx_1 = x - x_1; \quad dy_1 = y - y_1; \quad d\dot{\tau}_1 = \dot{\tau} - \dot{\tau}_1; \quad d\{\}_1 = \{\} - \{\}_1;$$

ხოლო, მეორე ოჯახის დაცურების წირებისთვის:

$$dx_2 = x - x_2; \quad dy_2 = y - y_2; \quad d\dot{\tau}_2 = \dot{\tau} - \dot{\tau}_2; \quad d\{\}_2 = \{\} - \{\}_2;$$

(8) დიფერენციალური განტოლებების ნაცვლად მივიღებთ შემდეგ ალგებრულ განტოლებათა სისტემას:

$$\left. \begin{array}{l} \Delta y_1 = \Delta x_1 \operatorname{tg}(\{\}_1 - \nu), \\ \Delta \dot{\tau}_1 = 2\dot{\tau}_1 \cdot \Delta \{\}_1 \operatorname{tg} \dots - \Delta y_1 - \Delta x_1 \operatorname{tg} \dots, \\ \Delta y_2 = \Delta x_2 \operatorname{tg}(\{\}_2 + \nu), \\ \Delta \dot{\tau}_2 = -2\dot{\tau}_2 \Delta \{\}_2 \operatorname{tg} \dots + \Delta y_2 + \Delta x_2 \operatorname{tg} \dots, \end{array} \right\} \quad (9)$$

ამ განტოლებების გამოყენებით შეიძლება განისაზღვროს დაცურების ორი წირის გადაკვეთის C წერტილის  $x, y, \sigma, \varphi$  კოორდინატები და სიდიდეების მიახლოებითი მნიშვნელობები, თუ ეს სიდიდეები ცნობილია ამ წირებზე მდებარე 1 და 2 წერტილებში (ნახ. 3.).

ბუნებრივია, შეიძლება შებრუნებული ამოცანის გადაწყვეტაც: C და 2 წერტილებში მოცემული  $x, y, \sigma, \varphi$  სიდიდეებით შეიძლება განისაზღვროს 1 წერტილის კოორდინატები, თუ მათში ცნობილია  $\sigma, \varphi$  ანდა შეიძლება განისაზღვროს  $x, y, \varphi$ , თუ ამ წერტილში ცნობილია  $\sigma$ . იგივე შეიძლება ითქვას 2 წერტილის მიმართ.

ხშირად გვხვდება ე.წ. გადაგვარებული შემთხვევა, როცა გარკვეული პირობებისათვის ერთი ოჯახის წირები თანდათან უახლოვდებიან და მოიჭიმებიან ერთ წერტილისაკენ; ამ შემთხვევაში ბაქნებზე პირობითი ძაბვები, რომლებიც წარმოადგენს დაცურების წირთა კონის საწყისს, იცვლება კანონით:

$$\dot{\tau}' = \dot{\tau} e^{\pm 2\Delta \{\} \operatorname{tg} \dots}. \quad (10)$$

წერტილი, რომელისკენაც მოიჭიმებიან (თავს იყრიან) დაცურების წირების ერთი ოჯახი, პრანდტლის წერტილი ეწოდება [1].

განვიხილავთ რა ფხვიერი გარემოს ზღვრული დაძაბულობის თეორიის ბრტყელი ამოცანის ძირითად საკითხებს, აუცილებელია მივუთითოთ მინიმალურ და მაქსიმალურ დაძაბული მდგომარეობის ზონების არსებობაზე, ან უფრო ზუსტად ჯდენის და ამობურცვის ზონებზე.

ჯდენის ზონა ეწოდება დეფორმირებული მასივის იმ ნაწილს, რომლის ზედაპირზე მოდებულია  $p$  ინტენსივობის აქტიური დატვირთვა, რომელიც იწვევს დაცურების ზედაპირების წარმოშობას და აქტიური დატვირთვების მოქმედების მიმართულებით მთლიანი ზონის გადაადგილებას.

ამობურცვის ზონა ეწოდება მოშიშვლებული ზედაპირის მიმდებარე დეფორმირებულ მასივის ნაწილს, რომელიც ამობურცვება ჯდენადი ზონის დაწოლის ზემოქმედებით, ამასთან ერთად ამობურცვის ზონის ზედაპირი შეიძლება იყოს ან თავისუფალი, ან მასზე მოდებული იყოს  $q$  ინტენსივობის დატვირთვა.

თუ  $p$  და  $q$  წარმოადგენენ ზღვრულ დაძაბულ მდგომარეობაში მყოფ ფხვიერი გარემოს ზედაპირზე ნორმალურ დატვირთვებს, მაშინ მათგან პირველის მიმართულება ემთხვევა სი-ის მიმართულებას, ხოლო მეორე სი-ს, და ამ შემთხვევაში დაცურების ბაქნები ჯდენის ზონის ნაწილში მოქცეულ ზედაპირთან შეადგენეს  $(45^\circ + \frac{\gamma}{2})$ -ის ტოლ კუთხებს, ხოლო ამობურცვის ზონის ზედაპირთან  $(45^\circ - \frac{\gamma}{2})$ .

უდიდესი მთავარი ძაბვის მინიმალური სიდიდე, რომელიც აუცილებელია ჯდენის და ამობურცვის ზონაში ზღვრული წონასწორობის პირობისთვის, ერთდერძა კუმშვაზე დროებითი წინაღობის ტოლია:

$$\dagger_1 = \dagger_0 = 2Kctg\gamma, \quad (11)$$

ამასთან ერთად, ჯდენის ზონის ზედაპირზე ეს ძაბვები შეიძლება წარმოიშვას  $H_{90} = \frac{\dagger_0}{\chi}$  სიმძლავრის ვერტიკალური მთის ქანების დრეკადი ფენით.

თუ ჯდენისა და ამობურცვის ზედაპირები ჰქონია განაწილებულია, ხოლო მათზე მოქმედი განაწილებული  $p$  და  $q$  ნამდვილი დატვირთვები ვერტიკალური და მუდმივი, მაშინ ამ ზონებში დაცურების წირები წრფივია (ნახ.5), ხოლო მათი პირობითი ძაბვები არ არის დამოკიდებული  $x$ -ზე და ჯდენის ზონაში განისაზღვრება ფორმულით:

$$\dagger = \frac{p + H + \chi y}{1 + \sin \dots}, \quad (12)$$


ხოლო ამობურცვის ზონაში ფორმულით:

$$\dagger = \frac{p + H + \chi y}{1 - \sin \dots}; \quad (13)$$

თუ  $p = 0$  და  $q = 0$ , მაშინ ამობურცვის და ჯდენის ზედაპირებზე არსებული ძაბვები აღმოჩნდებიან ერთნაირი  $\tau = \tau_0 = \frac{\tau_0 + H}{1 + \sin \dots} = \frac{H}{1 - \sin \dots} = \frac{ctg \dots}{11 - \sin \dots}$ . (14)

ნამდვილ ნორმალურ  $p$  და  $q$  ინტენსივობის დატვირთვებსა და პირობით ძაბვებს შორის თანაფარდობა ილუსტრირებულია მე-4 ნახატზე.

იმისთვის რომ, ფხვიერი გარემო რომელიდაც მიდამოს ყოველ წერტილში იმყოფებოდეს ზღვრულ დაძაბულ მდგომარეობაში, აუცილებელია ამ მიდამოზე ძაბვების განაწილებისთვის გარკვეული პირობების უზრუნველყოფა, რომელსაც კონტურული (სასაზღვრო) პირობა ეწოდება.



ნახ.5. დაცურების წირების ბადე:

ა - ჯდომის პრიზმაში; ბ - ამობურცვის პრიზმაში

### 3.დასპეციალური კონტურების განვითარება


კონტურული (სასაზღვრო) პირობებიდან გამომდინარე ზღვრული მიდამოს კონტურის განსასაზღვრავად, აგრეთვე კვანძებში  $\sigma$  და  $\phi$ -ის მახასიათებლების დასადგენად შესაძლოა რიგი ამონასსნების პოვნა. ამასთან, სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით კონკრეტული ამოცანებისთვის შეთავსებით იხსნება (9) განტოლებების ესა თუ ის წყვილი.

### ლიტერატურა

1. კვიციანი ტ. ფერდოს მდგრადობის გაანგარიშებისას საშიში დაცურების წირის ანალიზური ხერხით განსაზღვრა. ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები. თბილისი, 2000, გვ. 53-62.
2. . . . . 1985. 340 .
3. Цытович. Механика грунтов. Изд. Высшая Школа. М., 1993. 286с.
4. . . . . 1970. 220 .




« »



1

, x y

$$\beta = \frac{M_y}{M_x}$$



2

$$\frac{M_x}{W_y} \cdot \left( 1 + \beta \frac{W_x}{M_y} \right) \leq R_y \cdot \gamma_c \quad (1)$$

$$W_x = \frac{A \cdot h(3-2a)}{6} \quad (2)$$

$$W_y = \frac{A \cdot b(1+2a)}{6} \quad (3)$$

$$\lambda_w = \frac{\lambda_{w1}}{2} = \frac{h}{2t_w} = \frac{h^2}{aA} \quad (4)$$

$$\lambda_f = \frac{\lambda_{f1}}{2} = \frac{b_f}{2t_f} = \frac{b_f^2}{(1-a)A} \quad (5)$$

(2) ... (5) (1)

$$A = \sqrt[3]{\frac{(6M_x)^2}{(R_y \cdot \gamma_c)^2 \cdot \lambda_w}} f(\alpha, \beta, \gamma) \quad (6)$$

$$\gamma = \frac{\lambda_w}{\lambda_f} \quad (6)$$

,      = 0.5.

$$h_{opt} = \sqrt[3]{1,5 \cdot \lambda_w \cdot \frac{M_x}{R_y \cdot \gamma_c} (1 + \gamma^{0,5} \cdot \beta)} \quad (7)$$

$$h_{min} = \frac{10}{48} \cdot \frac{\ell^2 R_y \cdot \chi_c}{Ef_u} \cdot \frac{M_n}{M} \quad (8)$$

$f_u$  -

$$a = \frac{A_w}{A}, \lambda_{w1}, \lambda_{f1} - , A_w -$$

$$\pi_0 \quad f \quad t_f = \sqrt{\frac{A_f}{\lambda_{f1}}} \quad b_f = \sqrt{A_f \lambda_{f1}} \quad , \quad (9)$$

### 3.

- 1. . . « ». 1986 . ,
- 2. . . « ». 1979 . ,
- 3. . . « ». 1978 . ,
- 4. . . . . . . . « ». 2001 . ,

## პლაზანი და ნახევრდაკლდოვანი მთის ქანების შრევისაბან შედგენილი ფერდობის მდგრადობა

შ. ბაქანიძე, ლ. ზამბახიძე, გ. შალიტაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175 თბილისი,  
კოსტავას 77)

**რეზიუმე:** ხტატიაში გაანალიზებულია კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი მთის ქანების შრევებისაგან შედგენილი ფერდობის მდგრადობის საკითხი. რიცხვითი გაანგარიშების საფუძველზე დადგენილია, რომ ფერდოს და ქანების შრევების დახრის თანხვედრისას ფერდოს მდგრადობა უზრუნველყოფილია არ არის.

**საკვანძო სიტყვები:** კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანები, შრევები, ფერდოს, მდგრადობა, დახრის თანხვედრა.

### 1. შესავალი

როგორც ცნობილია, კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი მთის ქანების შრევებისაგან შექმნილი ფერდობის გამაგრების ღონისძიებათა დაგეგმვისას დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი ქანების დახრის მიმართულებას ფერდოს გრძივ დახრასთან მიმართებაში.

თუ ძირითადი ქანების დახრა არ არის თანხვედრილი ფერდოს გრძივ დახრასთან, ეს არ ითვლება მშენებლობის ხელისშემსლელ ფაქტორად. მდგომარეობა რთულდება მაშინ, როცა ზემოაღნიშნული დახრების მიმართულებები თანხვედრილია. ასეთ ფერდობებზე შენობა-ნაგებობების ასაგებად საჭიროა რაიმე კონსტრუქციული ღონისძიებების გატარება მათ გასამაგრებლად (საყრდენი კედელი, ხიმინჯები, გრუნტული ანკერები, მემბრანები და ა.შ.).

ასეთ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ფერდოს მდგრადობის გაანგარიშება. თუ აღმოჩნდება, რომ ფერდო მდგრადია (ანუ ფერდოს შრევების შემაკავშირებელი ძალები აღვმატება მათი ძვრის ძალებს), მისი გამაგრების საჭიროება არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში კი - საჭიროა ფერდოს გამაგრება.


### 2. ძირითადი ნაწილი

#### 2.1. განმარტება

ზემოაღნიშნული საკითხი განხილული გვაქვს კონკრეტულ რეალურ მაგალითზე: ქ. თბილისში, შატერიაშვილის და კეკელიძის ქუჩების მიმდებარებდ, 6 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (ნახ. 1).

გეოლოგიური დასკვნის თანახმად, გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. თბილისის ასიმეტრიული ქვაბულის მარცხენა-დასავლეთ მხარეს. მორფოლოგიურად ის მდინარე ვერეს ხეობის მარჯვენა ნაწილშია და წარმოადგენს მამადავითის ქედის ჩრდილო ფერდობის შუა ნაწილს, დახრილს 20-30, ზოგან 25-35°-ით, დანაწევრებულს უწყლო ხევებით და ნიაღვრებით. უშუალოდ სამშენებლო მოედანი არის წყალგამყოფი ნაწილი ორი ასეთი ხევისა.

ძირითადი ქანების ვარდნის კუთხე 25-28° თანხვედრილია ფერდობის გრძივ დახრასთან (25-40°).



ნახ. 1 სამშენებლო მოედნის ტოპოგრაფიული გეგმა

სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია 2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:

I ს.გ. - გამოფიტული ძირითადი ქანების - ქვიშაქვეებისა და არგილიტების მორიგეობა ( $\rho=1,9 \text{ გ/მ}^3$ ,  $R=4 \text{ კგ/სმ}^2$ );

II ს.გ. - სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანების-ქვიშაქვეების და არგილიტების მორიგეობა ( $\rho=2,37 \text{ გ/მ}^3$ ,  $R=63 \text{ კგ/სმ}^2$ ).

რადგან შენობის ექსპლუატაციის პერიოდში გამორიცხული არ არის ფერდოს შრეებში ზედაპირული წყლების ჩადინება, ფერდოს მდგრადობაზე გაანგარიშებისას მიღებული გვაქვს ქანების ძვრის პარამეტრების მნიშვნელობები მათი წყალნაჯერი მდგომარეობისათვის.

გაანაგრიშებებში მიღებული გვაქვს ორივე შრის გასაშუალებული მნიშვნელობები:  $\varphi=19,5^\circ$ ,  $C=0,1 \text{ გ/მ}^2$ .

რაც შეეხება ფერდოს და შრეების დახრის კუთხეებს, გაანგარიშებებში მიღებული გვაქვს მათი მაქსიმალური მნიშვნელობები, კერძოდ: ფერდოს დახრის

კუთხე -  $40^\circ$  და შრეების დახრის კუთხე -  $28^\circ$ . გაანგარიშებებში მარაგის კოეფიციენტი მიღებულია  $k=1,5$ .

ნაშრომში მოტანილი გვაქვს გაანგარიშებები ფერდოს მხოლოდ ერთი განივი პროფილისათვის (ფერდოს ერთი გრძივი მეტრისათვის).

## 2.2. ფერდოს გაანაგრიშება მდგრადობაზე.

### საწყისი მონაცემები.

კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი გრუნტებისათვის ფერდოს მდგრადობის პირობაა [1]:

$$S = n_c N - \frac{1}{k_H} R \leq 0 \quad (1)$$

სადაც:  $N$  და  $R$  შესაბამისად, განზოგადოებული ძვრის ძალის და ძვრის ზღვრული წინააღმდეგობის საანგარიშო მნიშვნელობებია.

$K_H$  და  $n_c$  – შესაბამისად, საიმედოობისა და დატვირთვათა შეთაწყობის კოეფიციენტები ( $n_c=0,9$  და  $K_H=1,25$ );

$N$  და  $R$  გამოთვლება შემდეგი ფორმულებით:

$$N = G[\sin \alpha + k_c \cos(\alpha - \delta)] + U_2 \cos \alpha - Q \cos(\alpha + \beta); \quad (2)$$

$$R = tg\{[G[\cos \gamma - k_c \sin(\gamma - u)] - U_1 - U_2 \sin \gamma + Q \sin(\gamma + s)] + cL \} \quad (3)$$

სადაც:

$G$  განსახილველი მასივის წონაა;

$\text{tg}\varphi$  და  $C$  – ძვრის პარამეტრების საანგარიშო მნიშვნელობებია ფერდოს მიმართულებით განთავსებული ბზარისათვის;

$\alpha$  - ბზარის დახრის კუთხე;

$L$  - ბზარის განსახილველი მონაცემის ზომა (სიგრძე);

$U_1$  და  $U_2$  – წყლის პიდროსტატიკური დაწნევის ძალები, შესაბამისად, განსახილველი მასივის ქვედა და გვერდით წახნაგებზე;

$Q$  – მასივზე მოქმედი გარე ძალა,

$K_c$  – სეისმური კოეფიციენტი;

$\beta$  და  $\delta$  – შესაბამისად, გარე და სეისმური ძალების პორიზონტის მიმართ დახრის კუთხეები.

გაანგარიშებებში მიღებულია:

რაოთნის სეისმურობა – 8 ბალი ( $K_c=0,05$ )

დატვირთვების შეთაწყობის კოეფიციენტი:  $=0,9$

სეისმური ძალების მიმართულება – პორიზონტალური ( $\delta=0$ );

საიმედოობის კოეფიციენტი:  $K_H=1,25$ .

$U_1=0$ ,  $U_2=0$  (გრუნტის წყლები არ არის გამოვლენილი);


$Q=0$  (მასივზე არ მოქმედებს გარე ძალა);

$\varphi=19,5^\circ$  ( $\text{tg } \varphi=0,351$ );

$C=0,1 \ \beta/\partial^2$ .

$\alpha=28^\circ$  ( $\sin \alpha=0,46947$ ;  $\cos \alpha=0,88295$ )

2.3. მასივების წონების განსაზღვრა (ნახ. 2)



ნახ. 2 ფერდოს განივი პროფილი

გრუნტის მასივების წონის გაანგარიშება.

$$G_1 = \frac{1 \cdot 0,3}{2} \cdot 2,37 = 0,36 \text{ ტ};$$

$$G_2 = \frac{0,4 + 0,7}{2} \cdot 2,37 = 1,3 \text{ ტ};$$

$$\text{და ა.შ. } G_{13} = \frac{3,8 + 4}{2} \cdot 2,37 = 9,24 \text{ ტ}.$$

#### 2.4. ძვრის ძალების გაანგარიშება.

$$N_1 = 0,36(0,4697 + 0,05 \cdot 0,88295) = 0,36 \cdot 0,5136 = 0,18 \text{ ტ}.$$

$$N_2 = 1,3 \cdot 0,5136 = 0,67 \text{ ტ}.$$

$$N_3 = 2,13 \cdot 0,5136 = 1,09 \text{ ტ}.$$

$$\text{და ა.შ.}$$

$$N_{13} = 9,24 \cdot 0,5136 = 4,75 \text{ ტ}.$$

#### 2.5. ძვრის ზღვრული წინააღმდეგობის ძალების საანგარიშო მნიშვნელობების განსაზღვრა.

$$R_1 = 0,351[0,36[0,88295 - 0,05 \cdot 0,46947]] + 0,1 \cdot 1 = 0,351(0,36 \cdot 0,859) + 0,1 = 0,21 \text{ ტ}$$

შესაბამისად:

$$R_2 = 0,351(1,3 \cdot 0,859) + 0,1 = 0,49 \text{ ტ} \text{ და ა.შ.}$$

$$R_{13} = 0,351(9,24 \cdot 0,859) + 0,1 = 2,89 \text{ ტ}.$$

მიღებული მონაცემები შეგვაქვს ცხრილში 1.

**ცურდოს მადგრადობის გაანგარიშება**

ცხრილი 1

ბლოკის	მასა (ტ)	N(ტ)	R(ტ)	მარაგის კოეფიციენტი k	S (ტ) (S=N-R)
1	0,36	0,18	0,21	1,17	-0,03
2	1,3	0,67	0,49	0,73	0,18
3	2,13	1,09	0,74	0,68	0,35
4	2,84	1,46	0,96	0,66	0,5
5	3,32	1,71	1,1	0,64	0,61
6	3,91	2,0	1,28	0,64	0,72
7	4,62	2,37	1,49	0,63	0,88
8	5,45	2,8	1,74	0,62	1,06
9	6,28	3,23	1,99	0,62	1,24
10	6,87	3,53	2,17	0,61	1,36
11	7,58	3,89	2,39	-0,61	1,5
12	8,53	4,39	2,67	0,61	1,71
13	9,24	4,75	2,89	0,61	1,86
ჯამი	-	32,06	20,12	-	11,91

როგორც ვხედავთ, ყველა ბლოკის მდგრადობა (გარდა I ბლოკისა), არამდგრადია. ცხადია, ყველა ბლოკისათვის და მთლიანად, მასივისათვის, არ არის დაცული (1) პირობა, რადგან ჩვენ შემთხვევაში:

$$S = 0,9 \cdot 32,06 - \frac{1}{1,25} \cdot 20,12 = 12,75 > 0$$

### 3. დასკვნა

როგორც გაანგარიშებამ გვიჩვენა, განხილულ კონკრეტულ სამშენებლო მოედანზე, კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი მთის ქანებისა შრეებისაგან (ქვიშაქვებისა და არგილიტების მონაცვლეობა) შედგენილი ფერდოს მდგრადობა ფერდოს და ქანების დახრის თანხვდენისას უზრუნველყოფილი არ არის და საჭიროა რაიმე კონსტრუქციული დონისძიებების გატარება მდგრადობის დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

### ლიტერატურა

1.

, , 1986, . 50

« »

( . , . , . , . . ) 77,0175

1976 .(1) ( )

1.

( ) ,

2.

2.

- 1.
- 2.

,  
(1,2,3)  
( ):

$$Q_t = C + \sum_{i=1}^p A P_i Q_{t-i} - \sum_{j=1}^g C_j a_{t-j} + a_t \quad (1)$$

: – , ;  
 t – .

$(p,d,q)$  :  
 p – ;  
 d – ;  
 q – .

$(p,d,q)$  ( $ps,ds,qs$ ) :  
 ps – ;  
 ds – ;  
 qs – .

1. ;  
 2. ;  
 3. .

, .

, .

, .

, .

, .

$$\nabla_1^t = Q_{t+1} - Q_t \quad (2)$$

, .

12- 4-

, .

$$\nabla_1^t = Q_{t+12} - Q_t \quad \nabla_1^t = Q_{t+4} - Q_t \quad (3)$$

, .

, .

, .

, .

, .

, .

, .

, .

« »

(meansquare),

$$\nabla_1^t = Q_{t+1} - Q_t \quad (4)$$

3.

1. . . , . . .  
", . . . , 1974 . . .  
2. . . . .  
  
84.N1,1976 . . .  
3. . . . . , . . . , . . .

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ISSN 1512-393  
სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ 2016წ. ქ.თბილისი.

სამხედრო თანამდზავრული სისტემის პროექტი  
ა. ხატელაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას № 77,0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** თავდაცვის თანამგ ზავრული სიტემის ამუამინდელი პროექტი მოიცავს ოთხ მიმართულებას: დაცული, ფართო ზოლოვანი, ფართო ზოლოვანი მაუწყებლობა და ვიწრო ზოლოვანი. მეხუთე მიმართულება, რომელიც მოიცავს კომუნიკაციულ SATCOM სისტემებს, ახევე ინტეგრირებულია MILSATCOM (თავდაცვის თანამგ ზავრული სიტემა) სერვისებთან.

**საკვანძო სიტყვები:** სამხედრო სატელეკომუნიკაციების სისტემა, სატელეკომუნიკაციების სერვისები, ფაზური ანტენა.

## 1. შესავალი

DOD SATCOM პროექტის სტრუქტურა მოიცავს ოთხ ძირითად სისტემას (ყველა მათგანი გეოსინქრონულ ორბიტაზეა), რომელიც თკერირებას ახორციელებს UHF, SHF da EHF დიაპაზონზე:

1. UHF შემდგომი (UFO) სატელიტი;
2. SHF სამხედრო სატელიტური კავშირების სისტემა (DSCS);
3. ფართო ზოლოვანი საერთაშორისო სატელიტური კავშირების სისტემა (Wide Global SATCOM (WGS));
4. EHF ilstar სატელიტი.

დაცული	ფართო ზოლოვანი	ფართო ზოლოვანი ნი მაუწყებლობა	ვიწრო ზოლოვანი	კომუნიკაციული
<b>EHF Q/Ka-სისტემის MILSTAR I/II</b>	<b>SHF S/Ka-სისტემის DSCS</b>	<b>Ka- სისტემის UFO</b>	<b>UHF P/L-სისტემის UFO</b>	<b>L, C, Ku, Ka-სისტემები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• მაღალი დაცვა (AJ, LPI, LPD, EMP)</li> <li>• სატელიტთა შორის კავშირის ჩვეულებრივი საშუალება</li> <li>• განუმეორებელი კავშირის საშუალებები AEHF</li> <li>• გაუმჯობესებული გამტარუნარიანობა</li> <li>• გაუმჯობესებული დაფარვა</li> </ul> <p>TSAT (ტრანსფორმაციული სატელიტი)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფართო ზოლოვანი დაცული</li> <li>• პლატფორმა COTM</li> <li>• IP-დაფუძნებული, ქსელური-ცნობრალური</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მაღალი ინფორმაციული გამტარებით მოსარგებლეთათვის</li> <li>• საპასუხო კავშირი ზუდა დონესთან, რომელიც გამოიწყონა DISN-სთვის</li> <li>• AJ-ის(რადიოკავშირის ჩაბმობა)რამდენიმე შემთხვევა</li> </ul> <p>WGS</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაზრდილი გამტარუნარიანობა</li> <li>• პლატფორმა COTM</li> <li>• IP-დაფუძნებული, ქსელური-ცნობრალური</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• GBS Ka დატვირთვა UFO სატელიტებზე</li> <li>• მაღალი გამტარება</li> <li>• პატარა ანტენები</li> <li>• სწრაფი იერიში/უკან დახევა</li> </ul> <p>WGS</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაზრდილი გამტარუნარიანობა</li> <li>• პლატფორმა COTM</li> <li>• IP-დაფუძნებული, ქსელური-ცნობრალური</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მცირებინიანი, მობილური ტერმინალები; COTM</li> <li>• დაბალი ინფორმაციული გამტარება</li> <li>• რაციონალური, ბრძოლა C2-სთან</li> </ul> <p>MUOS</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 6-10X სისტემის მოცულობა</li> <li>• პორტატული ტერმინალები</li> <li>• დაყინებული OTM</li> <li>• GIG-ის სრული ინტეგრირება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მზარდი შესაძლებლობები</li> <li>• მაღალი გამტარობა —ტელემეტრის CSS (კოდირებული ჩართვის სისტემა)</li> <li>—დანაწილებაზე დაფუძნებული ოპერაცია —ვიდეო</li> <li>• დამცავი მოწყობილობის გარეშე</li> <li>• მომსახურების საფასურის გადახდა</li> <li>• მობილური სატელიტური სისტემა COTM-ისთვის</li> </ul>

სამხედრო და კომუნიკაციულ სატელიტურ სისტემებს არსებითი მნიშვნელობა აქვს საბრძოლო მოქმედებებში მყოფი ჯარისკაცითათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით

## 2. ძირითადი ნაწილი

UFO კომპლექსი წარმოადგენს ძირითად სისტემას, ტაქტიკური მობილური კავშირების განხორციელების თვალსაზრისით. UHF, EHF და მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო სამაუწყებლო მომსახურების (GBS) შესაძლებლობის უზრუნველყოფით, UFO სატელიტური სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს DOD-ის ხმის მონაცემთა და ვიდეო გადაცემისათვის საჭირო მოთხოვნილებების დაქმაყოფილების თვალსაზრისით. ადნიშნულით ყველაზე მეტად სარგებლობები სახმელეთო ჯარები, რომლებიც წარმოადგენებს ულტრა მაღალი სიხშირის კავშირების მომხმარებელთა 85 პროცენტს. UFO კომპლექსი შედგება რვა მოქმედი საპატონო ხომალდისა და პლუს ერთი ორბიტაზე არსებული სათადარიგო ხომალდისგან, რომელიც წარმოადგენს გეოსინქრონულ ორბიტებს.

EHF ქვესისტემა უზრუნველყოფს გაძლიერებულ ჩახშობის საწინააღმდეგო ტელემეტრულ კავშირს, მართვას, მაუწყებლობასა და ფლოტის ინფორმაციულ კომუნიკაციას სიგნალის დამუშავების მოწინავე ტექნიკის გამოყენებით.

SHF დიაპაზონის ფარგლებში მოქმედებს ორი სამხედრო სატელიტური სისტემა: თავდაცვის სატელიტური კავშირების სისტემა და ფართოზოლოვანი საერთაშორისო SATCOM სატელიტები.

თავდაცვის სატელიტური კავშირების სისტემა (DSCS) წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბის სამხედრო სატელიტურ ქსელს, რომლის მართვაც ხორციელდება USSTRATCOM-ის (ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული სარდლობის) ხელმძღვანელობით DIS-ს (ინფორმაციის დაცვის უსაფრთხოების აღმინისტრაცია) მიერ. DSCS შედგება კოსმოსისა და სატელიტური სეგემნტებისაგან სახმელეთო ტერმინალებთან ერთად, რომლებიც მოქმედებას ახორციელებენ SHF სიხშირეზე შორეული მრავალარხიანი კაშირების უზრუნველყოფის მიზნით. სისტემა წარმოადგენს აღნიშნული გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო სამხედრო მომხმარებლების მხარდაჭერით. ამჟამად, წარმოდგენილია 14 ოპერაციული DSCS სატელიტი, ხუთ ფაზა DSCS III სატელიტთან ერთად გეოსინქრონულ ორბიტაზე, რომელიც დედამიწის გარშემო შემოვლას ახორციელებს 22,300 მილის სიმაღლეზე. ხუთი ძირითადი DSCS III სატელიტი უზრუნველყოფს დასაყრდენს მსოფლიო მასშტაბის კავშირებისათვის 65 ჩრდილოეთ განედსა და 65 სამხრეთ განედზე. DSCS-ს ხუთ სატელიტიანი კომპლექსი დედამიწაზე არსებულ ტერმინალებს თუ სატელიტთან წვდომის საშუალებას აძლევს. სატელიტური სისტემა მოიცავს ერთ და მრავალი სხივის მქონე ანტენებს. თითოეულ SCS III სატელიტს ასევე გააჩნია სპეციალური მიზნისათვის განკუთხნილი ერთ არხიანი ტრანსპონდერი, რომელიც გამოიყენება გადაუდებელ ქმედებებთან და ჯარების მიმართულებასთან დაკავშირებული შეტყობინებების გავრცელების მიზნით. თითოეულ DSCS სატელიტს გააჩნია ექვსი SHF ტრანსპონდერის არხი (რომელთაგან ერთერთი მათგანი უზრუნველყოფს ჩახშობის საწინააღმდეგო შესაძლებლობას), რომელიც უზრუნველყოფს კოდირებული სიტყვებისა და ინფორმაციული კომუნიკაციის შესაძლებლობას მსოფლიო მასშტაბით. ერთი რეგულირებადი რეფლექტორული ანტენა უზრუნველყოფს გაზრდილი ენერგიის სხივს, რომელიც უნივერსალურად ერგება სხვადასხვა ზომის ტერმინალებს.

DSCS III საჰაერო ხომალდი წარმოადგენს სამ ღერძიან, იმპულსურად სტაბილურ საფრენ აპარატს, რომლის წონაც ორბიტაზე შეადგენს 2,550 ფუნტს საწვავთან ერთად. საჰაერო ხომალდის მართვული კორპუსის თითოეული მხარე შეადგენს 6.5 ფუტს, 38-ფუტიანი სიგანით (მზის ელემენტებთან ერთად). მზის ელემენტები წარმოქმნის 1,100 ვატს, რომელიც 837 ვატამდე მცირდება ხუთი წლის შემდეგ. SCS სიხშირის გეგმა განეკუთვნება SHF სპექტრს (X სიხშირე), კავშირის აღმავალი ხაზის 7,900-8,400 მჰც სიხშირესთან

ერთად, რომელთა გადაცემაც ხორციელდება ტრანსპონდერების მიერ კავშირის დაღმავალი ხაზის 7,250-7,750 მჰც ფართოზოლოვანი საერთაშორისო სატელიტური კავშირების სისტემით. SATCOM თავდაპირველად იყო ცნობილი როგორც ფართოზოლოვანი სატელევიზიო რეტრანსლატორის სატელიტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით შესაძლებლობას ამჟამინდელი DSCS კომპლექსისთვის. მიუხედავად იმისა, რომ WGS კომპლექსის დაგეგმარება დაიწყო 1990-იანი წლების პერიოდში, პირველი WGS-ს ექსპლუატაციაში წარმატებული გაშვება განხორციელდა 2007 წლის 10 ოქტომბერს და გადაეცა საპარტნერო ძალებს 2008 წლის 18 იანვარს. ხოლო დანარჩენი ორის კი განხორციელდა 2012 და 2013 წელს.

სისტემა მოიცავს ოვა X-სისტერის ფაზირებულ ანტენას, 10 Ka-სისტერის პარაბოლურ ანტენას და ერთ X-სისტერის დედამიწის დაფარვის ანტენას. ოვა X-სისტერის ფაზირებული ანტენა მიიჩნევა რეგულირებად ანტენებად მათთვის დამასასიათებელი ფაზირებული ანტენების ტექნოლოგიიდან გამომდინარე. WGS საპარტნერო ხომალდი შექმნილია კომერციული ბოინგის მოდელზე დაყრდნობით და ორბიტაზე მისი წონა შეადგენს 7,600 ფუნტს. მზის ელემენტები წარმოქმნიან 11 კილოვატს, რომელიც თითქმის 10-ჯერ მეტია DSCS სატელიტის სიმძლავრეზე. რადიატორები და გათბობის მიღები უზრუნველყოფებ უფრო მეტად სტაბილურ თერმულ გარემოს სატელიტისთვის და ამგვარად იზრდება ნდობა მისი მოქმედების ვადის მიმართ.

WGS სისტერის გეგმა განეკუთვნება SHF სპექტრს, რომლის მიერაც ხდება X სისტერისა და ka სისტერის გამოყენება 7-8 გჰც და 20-21 გჰც სისტერის ფარგლებში, რომელსაც შესწევს ორმხრივი კავშირის დამყარების უნარი X, ka სისტერებთან.

WGS უზრუნველყოფს საკმარის გამტარუნარიანობას, და საშუალებას აძლევს UAV-ს გამოიყენონ სამხედრო SATCO რესურსები, რათა შემცირდეს კომერციულ SATCO -ზე არსებული დამოკიდებულება.

გადაცემის სიჩქარე საბოლოო ტერმინალებისთვის დამოკიდებულია მომხმარებლის მოთხოვნებზე, ანტენის ზომასა და გამოყენებულ მოდულაციაზე. ტიპიური გამტარუნარიანობა თითოეული WGS სატელიტისთვის იქნება გიგაბაიტი წამში (Gbps) და 3.6 Gbps. ilstar სატელიტური სისტემა წარმოადგენს გაერთიანებულ საშუალებას, რომელიც შექმნილია საპარტნერო ძალების მიერ და გააჩნია სატელიტური ჯვარედინი კავშირის შესაძლებლობა. ილსტარი უზრუნველყოფს მეტად მძლავრ, უსაფრთხო კავშირებს ფიქსირებულ ცენტრებსა და ტერმინალებს შორის. ილსტარ-ის უნიკალური შესაძლებლობები ჯარებს საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ ინფორმაციის ფლობით გამოწვეული უპირატესობა კონფლიქტის ყველა დონეზე, მათ შორის გააძლიერონ სრულ მასშტაბიანი დაცვა და უზრუნველყონ ჯარისკაცებისთვის მოქმედების თავისუფლება უწყვეტი, უსაფრთხო და ჩახშობის საწინააღმდეგო კავშირების მეშვეობით.

ილსტარ სატელიტი კოსმოსში ასრულებს კომუტატორის ფუნქციას, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შექმნან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემის სისტემა ფრენის პერიოდში.

MILSTAR-ის კომპლექსი შედგება ხუთი სატელიტისგან, რომელიც განთავსებულია დედამიწის გარშემო ნაკლებად დახრილ გეოსინქრონულ ორბიტებში დაახლოებით 22,300 მილის სიმაღლეზე. აღნიშნული სატელიტები უზრუნველყოფენ დაფარვას 65 ჩრდილოეთიდან 65 სამხრეთამდე, ორბიტაზე მათთვის მიკუთვნებული პოზიციიდან.

პირველ ორ სატელიტს გააჩნია თავდაპირველი სტრატეგიული კავშირების ნაკლებად ინფორმატიული სწრაფი გადაცემის (LDR) (75-2,400ბპს) უნარი. მესამე და მომდევნო სატელიტებს გააჩნიათ მონაცემების საშუალო სისტრაფით (MDR) გადაცემის შესაძლებლობა (1.544 მეგაბაიტამდე) LDR-სგან განსხვავებით.

ილსტარ სატელიტი განთავსებულია ფუტის სიგრძეზე მისი დერძის გარშემო. მზის მასიური ელემენტები წარმოქმნიან დაახლოებით 5,000 ვატის ენერგიას, მის ტიპორში

შედის ბორტზე არსებული კომპიუტერები რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება რესურსების მონიტორინგი და კონტროლის ფუნქციები მსოფლიო მასშტაბით ხმის, მონაცემების, ვიდეო, ტელეტიპისა და ფოტოგრაფიული კავშირების ჩათვლით. იღსტარ II ასევე გააჩნია ხმაურის ჩამეშობი ანტენა, რომლის მიერაც ხორციელდება მტრის მიერ ჩახშობის მცდელობის გაუვნებელყოფა.

იღსტარ უზრუნველყოფს თავსებადი კავშირის შესაძლებლობებს წყალქვეშ, გემებზე, ხმელეთზე განთავსებულ და მობილურ სისტემებში არსებულ ტერმინალებთან. იღსტარის ტერმინალის სეგმენტი შედგება მრავალმხრივი მომსახურების მქონე სახმელეთო, საზღვაო, წყალქვეშა და საპარო ფუნქციურად თავსებადი ტერმინალებისგან. ამასთან ისინი მოიცავენ საპარო ძალების და სახმელეთო სამეთაურო პუნქტების ტერმინალებს და ასევე ფლოტის უკიდურესად მაღალი სიხშირის სატელიტურ პროგრამას (NESP) საზღვაო, სანაპირო და წყალქვეშა, ასევე არმიის ერთ არხიან პორტატულ ჩახშობის საწინააღმდეგო (SCAMP) ტერმინალს და დაცულ, მობილურ, ჩახშობის საწინააღმდეგო, ტაქტიკურ ტერმინალს (SMART-T). ექსპლუატაციისთვის განკუთვნილი SATC-ის უმეტესობა უზრუნველყოფილია კომერციული SAT-COM-ით.

SATCO-ის მოთხოვნები განისაზღვრება SSTRATC-ის მიერ, მისი როლიდან გამოდინარე. რომელიც წარმოადგენს SATCO-ის ოპერაციულ მენეჯერს MILSATC-სა და კომერციულ SATCOM-თან დაკავშირებით.

MSS წარმოადგენს სატელიტზე დაფუძნებულ სატელეფონო და მონაცემთა კომუნიკაციის სერვისს, რომელიც ხმისა და მონაცემთა დაბალი სიჩქარის გადაცემის სერვისებისთვის იყენებს კომერციული სატელიტის ინფრასტრუქტურას, ასევე მცირებულიან ტერმინალს DoD-ისათვის განკუთვნილი პუნქტის მეშვეობით, რომელიც მიერთებულია თავდაცვის საინფორმაციო სისტემის ქსელთან (DISN). მას შეუძლია დაცული კოდირებული სიტყვების უზრუნველყოფა და ასევე მიერთება კომერციულ DSN [თავდაცვის საკომუნიკაციო ქსელი] სატელეფონო სერვისებთან. MSS ასევე უზრუნველყოფს: სამაუწყებლო სერვისს, დაცულ პეიჯერულ კავშირს, არაკლასიფიცირებულ მაგრამ სენსიტიურ ინტერნეტის პროტოკოლით გათვალისწინებულ ქსელურ კავშირს (NIPRNet), საიდუმლო წერილების გადაცემას, საკონფერენციო კავშირს და საიდუმლო ინტერნეტის პროტოკოლით გათვალისწინებულ ქსელურ კავშირს EMSS-თან ერთად. EMSS-თან ერთად გამოყენებულ საბოლოო ტერმინალს წარმოადგენს ირიდიუმის კომერციული სატელიტური ტელეფონი, რომლის უსაფრთხოების უზრუნველყოფაც შესაძლებელია და დამტკიცებულია „ეროვნული უშიშროების სააგენტოს (NSA) მიერ EMSS ხელმისაწვდომია DISA და DOD-ისთვის, სხვა ფედერალური დეპარტამენტებისა და სააგენტოებისთვის. ზემოაღნიშნული სისტემები უზრუნველყოფენ მდლავრ, რენტაბელურ ინტეგრირებულ MILSATCOM სტრუქტურას, რომელიც აკმაყოფილებს თავდაცვის დეპარტამენტის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნებს.

### 3. დასპანა

თავდაცვის თანამგზავრული სისტემა ქმნის შესაძლებლობას რათა გლობალური მასშტაბით შესრულდეს მისიები, აცილებულ იქნეს არაპროგნზორებადი საფრთხე, განხორციელდეს მარმართვა და კონსტროლი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ხორციელდება დაზვერვა და ინფორმაციის მოპოვება, რაც წარმოადგენს გადამწყვეტ უპირატესობას ამოცანის წარმატებით შესასრულებლად.

### ლიტერატურა

- Burbank, J. L., and Jones, S. D., “EHF MILSATCOM LPI/LPD Performance: Performance in Practice and Methods of Optimization,” in IEEE MILCOM Conf. Proc. 13Burbank, J. L., et al., Concepts for the Employment of Satellite Communications in the Army Objective Force, VS-02-106, JHU/APL, Laurel, MD 14Fritz, D. A., and Parikh, B., “Network Centric Operations over Transponded SATCOM,” in IEEE MILCOM Conf. Proc. (2004). 15DoD Teleport Architecture Feasibility Study, VS-00-054, JHU/APL, Laurel, MD

## ორ საყრდენზე თავისუფლად მდებარე შედგენილი კვეთის პოზის ექსპრიმენტული კვლევა

გ. ნოზაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, გ. კოსტავას ქ. №77)

**რეზიუმე:** შედგენილი კვეთის კონსტრუქციების გამოყენების არე სამშენებლო ინდუსტრიაში ძალზედ დიდია. მათ გაანგარიშებაში მეტად მნიშვნელოვანია დატვირთვის ხანგრძლივი მოქმედებისას განვითარებული ცოცვადობის დეფორმაციები. თეორიულად გავიანგარიშეთ ამ სიდიდის მნიშვნელობა უკეთა მდგენელი ერთგვაროვანი ელემენტისათვის დროის ნებისმიერ მოძებნები და ექსპრიმენტით უნდა დაგამტკიცოთ ამ გამოთვლების სამართლიანობა. საექსპერიმენტოდ დაგამზადეთ 2 მეტრი სიგრძის რკინაბეტონის ტებები კვეთის კოჭი; კოჭის წიბო დამზადდა B20 კლასის, ხოლო თარო - B15 კლასის ბეტონისაგან. ექსპერიმენტის მიზანს წარმოადგენდა თეორიული გამოთვლების სისტორის დადასტურება.


**საკვანძო სიტყვები:** კრიტიკული ძალა, ცოცვადობა, დეფორმაცია, ძაბვა.

### 1. შესავალი

უკანასკნელი წლების განმავლობაში მსოფლიოში სამშენებლო ინდუსტრიაში მკვეთრი ნახტომით წაიწია წინ. რომ არაფერი ვთქვათ აშშ-ზე, აზიის რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით ჩინეთში და არაბულ სახელმწიფოებში, ზალზედ სწრაფი ტექნიკური მიმდინარეობს ახალი ქაღაქების მშენებლობა, სადაც ძირითადად მაღლივი შენობები შენდება. ამის ძირითადი მიზეზი ტერიტორიების სიმცირე და მოსახლეობის სიჭარბეა. ასეთი ტიპის შენობებში ძირითადად მსუბუქი კონსტრუქციები გამოიყენება. არქიტექტორთა და კონსტრუქტორთა ფანტაზიის და შრომის შედეგად იქმნება ისეთი ტიპის შედგენილი კვეთის კონსტრუქციები, რომლებშიც ერთობლივად მუშაობენ რკინაბეტონი და ფოლადი, ფოლადი და კომპოზიტი, სხვადასხვა მახასიათებლის მქონე (სხვადასხვა კლასის) ბეტონები და ა. შ. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია ამ ტიპის კონსტრუქციების მუშაობის კვლევა როგორც დრეკად, ისე პლასტიკურ სტადიაში. ჩემს წინა ნაშრომებში განხილული მქონდა შედგენილი კვეთის კონსტრუქციების, კერძოდ რკინაბეტონის კოჭის, თეორიული კვლევა ხანგრძლივი დეფორმაციების განვითარების პირობებში. მოცემულ ნაშრომში მიმოხილული გვაქვს ექსპერიმენტული კვლევის მოსამზადებელი ეტაპი. ექსპერიმენტის შედეგებს შემდგომ ნაშრომში განვიხილავთ.

### 2. ძირითადი ნაშილი

ექსპერიმენტის ჩასატარებლად დავამზადეთ შედგენილი კვეთის რკინაბეტონის 2 მ. სიგრძის ტებები განივევთის კოჭი (ნახ.1). თარო, რომლის ზომებია 30X10 სმ, დამზადდა B20 კლასის ბეტონისგან, ხოლო წიბო, ზომებით 10X20 სმ, დამზადდა B15 კლასის ბეტონისგან. გაჭიმულ ზონაში სამუშაოდ გამოვიყენეთ A-III კლასის არმატურა დიამეტრით 12 მმ. კოჭი დავამზადეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაულტეტის სასწავლო და სამეცნიერო კვლევის ლაბორატორიაში. დამზადებული კოჭის სურათები მოცემულია ნახ.2-ში.



ნახ.1. შედგენილი კვეთის რკინაბეტონის კოჭი


თავდაპირველად გადაწყვეტილი გვქონდა კოჭი დაგვერტვირთა თავისივე იდენტური კოჭით (ნახ.3). ასეთნაირად დატვირთული კოჭის საანგარიშო სქემა მოცემულია ნახ 4-ზე. ექსპერიმენტი დავიწყეთ 2016 წლის მაისში. მთელი ზაფხულის განმავლობაში დატვირთულ კოჭზე დაკირვებამ არანაირი შედეგი არ მოგვცა.



ნახ.2. რკინაბეტონის შედგენილი კვეთის კოჭი




ნახ.3. დატვირთული კოჭი



ნახ.4. კოჭის საანგარიშო სქემა

გადავწყვიტეთ შეგვეცვალა დატვირთვის ფორმა. წინასწარ გამოვიანგარიშეთ ამტიპის ორ საყრდენზე თავისუფლად მდებარე კოჭი, გამოვთვალეთ კრიტიკული ძალა, რომელმაც კოჭის რღვევა უნდა გამოიწვიოს. ამ ძალის მნიშვნელობამ 6,4 ტდ შეადგინა (ნახ.5,6).



ნახ.5. კრიტიკული ძალით დატვირთული კოჭის საანგარიშო სქემა



ნახ.6. დაუტვირთავი კოჭი

ჩვენი ექსპერიმენტის საბოლოო მიზანია, დავადგინოთ ხანგრძლივი დეფორმაციის განვითარების შედეგად აღმრული ძალვების სიდიდის დადგენა, ასევე მათი გავლენა კონსტრუქციის მზიდუნარიანობაზე. თეორიულად გამოთვლილი გვაქვს ამ ტიპის კონსტრუქციაში აღმრული მდუნავი მომენტის და ძაბვების მნიშვნელობები დაძველების თეორიის და დაძველების მოდიფიცირებული თეორიების საფუძველზე. ექსპერიმენტმა უნდა გვიჩვენოს, რომელი თეორიით გამოთვლილი მნიშვნელობაა რეალურთან უფრო ახლოს. ამას სჭირდება დრო, და სწორედ ამიტომ დავამზადეთ იდენტური კოჭი, რომელსაც დაუტოვებო დატვირთვის ქვეშ და დავაკვირდებით. ამ ეტაპზე კი ექსპერიმენტით უნდა დავადგინოთ სწრაფად განვითარებული ძალვები და დეფორმაციები. დატვირთვის რა მნიშვნელობისთვის ჩნდებიან პირველი ბზარები, რომლებიც ზედაპირზე ჯერ კიდევ არ ჩანან და რა დატვირთვას გაუძლებს საბოლოოდ კოჭი, რამდენად დაქმთხვევა ეს შედეგი თეორიულად გამოთვლილ მნიშვნელობას.

### 3. დასპენა

ორ საყრდენზე თავისუფლად მდებარე კოჭის თეორიულმა გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ კრიტიკული ძალის მნიშვნელობა, რომლის შემდეგაც კოჭი ექსპლუატაციისთვის უვარგისი ხდება, ტოლია 6,4 ტ-ის, ანუ 64 კნ-ის.

### ლიტერატურა

1. 1. . . . . , 1952, 324 .
2. . . . . ,
- 1988 . . . . . 2 .130,
3. მ. ლ. ჭანტურია. კომპლექსურ კონსტრუქციებში ცოცვადობის დეფორმაციების განვითარების პროგნოზირება. სამეცნიერო ტექნიკური კონფერენც. „მშენებლობა და XXI საუკ.“ მოხსენებები თბილისი 2005წ.
4. მ. ლ. ჭანტურია. ძალვათა ცვლილების ალბათური ბუნების გამოკვლევა რკინაბეტონის სტატიკურად ურკვევ კონსტრუქციებში ბეტონის ცოცვადობის დეფორმაციის მახასიათებელო მრუდების ალბათური ბუნების გათვალისწინებით. სამეცნიერო ტექნიკური კონფერენც. „მშენებლობა და XXI საუკ.“ მოხსენებები თბილისი 2005წ.

საბჭოთა კერიოდის მსხვილი საცხოვრებელი მასივების  
რეპრესრტუქციის უცხოური გამოცდილება

თ. მახარაშვილი, გ. ხოფერია

( საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0175,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია მეოცე საუკუნის 50-70-იან წლებში საბჭოთა კავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებში სახოვრებელი მასივების აშენების შედეგად გამოწვეული როცლი პრობლემების არქიტექტურულ-გეგმარებითი რეაბილიტაციის საინტერესო მაგალითები.

ამ გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლოა შემუშავდეს მეთოდი საქართველოში არსებული მხგავსი მასივების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტა; კარგასულ-პანელოვანი საცხოვრებელი მასივები; არქიტექტურული რეკონსტრუქციის პროექტი; საცხოვრებელი კორპუსების ექსპლუატაციის ვადის ამოწურვა; თანამედროვე მოთხოვნები; შენობა ნაგებობების მოდერნიზაცია; სარეკრეაციო ზონა.

## 1. შესაბამის

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, 40-50 იანი წლების მიჯნაზე, საბჭოთა კავშირში და ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში დაიწყო მთელი რიგი საცხოვრებელი მასივების ინტენსიური მშენებლობები, დაგეგმარებული ძირითადად ხუთსართულიანი კარგასულ-პანელოვანი კორპუსებით, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ მსატვრულ-არქიტექტურულ დირექტულებებს. შენობათა ექსპლუატაციის ვადა გათვლილი იყო 25-40 წელზე, აქედან გამომდინარე ეს ნაგებობები დღეისათვის არიან ნაწილობრივ ან მოლიანად ამორტიზებულნი.

ზემოაღნიშნული ფაქტორები განაპირობებენ მათი რეკონსტრუქციის ან სრულად განახლების აუცილებლობას. პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის თბილისშიც, მთელი რიგი მსხვილი საცხოვრებელი მასივები სავალალო მდგომარეობაშია, სამწუხაროდ მათი რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის მიმართულებით ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა.

ამ პრობლემების მოგვარების მაგალითები მრავლად არსებობენ, ისინი შეგვიძლია მოვიძიოთ, როგორც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასევე ყოფილ ევროპულ სოციალისტურ ქვეყნებშიც.

## 2. პირითადი ნაწილი

პირველი კარგასულ-პანელოვანი ექსპერიმენტაციური პროექტი დამუშავდა და რეალიზდა 1948 წელს მოსკოვში სოკოლინიკის მთაზე და ხოროშევსკის შოსეზე, (ავტორი არქიტექტორი ვ. პ. ლაგუტერნკო). ეს იყო ოთხსართულიანი ლითონის კარგასიანი შენობა, მოგვიანებით, დიდი ხარჯის გამო, ლითონის კარგასი შეიცვალა ანაკრები რკინაბეტონით.

50-იან წლების მეორე ნახევარში (ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდი), საბჭოთა კავშირსა და მის მეზობელ სოციალისტურ ქვეყნებში, დაიწყო მთელი რიგი საცხოვრებელი მასივების მშენებლობები, სადაც უარი ითქვა ძვირადღირებულ არქიტექტურულ ელემენტებზე. ფასადები გახდა მსატვრულ-არქიტექტურული

თვალსაზრისით მშრალი და უინტერესო, საცხოვრებელი სათავსების ფართები შემცირდა მინიმუმამდე, ჭერი დადაბლდა 2,5 მეტრამდე, სადარბაზოები- მცირე გაბარიტიანი, სართულიანობა მერყეობდა 4 დან 5 მდე, ვინაიდან იმ დროინდელი სტანდარტებით ხუთი სართულის ჩათვლით კორპუსები არ საჭიროებდნენ ლიფტით და სანაგვე კომუნიკაციით აღჭურვას. უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით 1964 წლიდან (ბრეჟევის მმართველობის პერიოდის საწყისი ეტაპი) იგივე გეგმარების ტიპიური პროექტები გადაკეთდა 8-9 სართულიანებად და შესაბამისად დაემატა ლიფტები და სანაგვე ბუნკერები, ოდნავ 5-10 სანტიმეტრით ამაღლდა ჭერი. ამ ნაგებობების დიდ ნაკლად იყო მიჩნეული ცუდი თბო და პიდროიზილაცია, რაც გამოწვეული იყო საშენი მასალის ეკონომიით. ამასთან, იმ პერიოდში, ამ მასივების დაგეგმარებისას, დიდი უურადღება ექცეოდა საპროექტო ქალაქებმარებითი ნორმების დაცვას, რაც დღევანდელი გადასახედიდან დადებითად უნდა შეფასდეს.

80-იანი წლების მიწურულს, საბჭოთა იმპერიის რდევების, გერმანიის გაერთიანების და სოციალისტური ბანაკის დაშლის შედეგად მსოფლიოში გაჩნდა მრავალი ახალი სუვერენული სახელმწიფო.

სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ გაერთიანებულ გერმანიაში, მწვავედ დადგა ზემოაღნიშნული 50-70 წლებში აშენებული მასივების პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობა. უპირველესი მიზეზები იყო ექსპლუატაციის ვადის ამოწურვა, უფერული არქიტექტურულ-მხატვრული იერსახე და არასაკმარისი კომფორტი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური მმართველობის დროს, ინტენსიურად და დიდი მასშტაბებით მიმდინარეობდა ასეთი ტიპის დასახლებული რაიონების მშენებლობა, შედეგად შეიქმნა ძალიან ბევრი მსხვილი საცხოვრებელი მასივი, რომლებიც აუფერულებდნენ და არღვევდნენ ქალაქის საერთო იერსახეს.

გერმანიის გაერთიანების შემდეგ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ბევრი სამუშაო ჩატარდა იმ მიმართულებით, რომ შეცვლილიყო საცხოვრებელი მასივების სტრუქტურა, კერძოდ მოხდა მათი დიფერენციაცია იერსახის, ვარგისიანობის და კომფორტის მიხედვით, რის შედეგად გამოიკვეთა სარეკონსტრუქციოდ ვარგისი და უვარგისი ნაგებობები. ამ და სხვა მნიშვნელოვანი წინასაპროექტო კალევების შედეგად დაიწყო ქალაქების მასივების ძირეული რეკონსტრუქციის საპროექტო სამუშაოების შესრულება. აქედან გამომდინარე შემუშავდა ყოველი მასივისთვის კონკრეტული არქიტექტურულ-ქალაქებმარებითი გადაწყვეტა, რომელიც ითვალისწინებდა კონცეპტუალურ მრავალფეროვნებას თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, კერძოდ: შენობების მოდერნიზაცია-შეკეთებას, ბინების გეგმარების და ფართის გაუმჯობესებას, კომფორტის ამაღლებას, კორპუსების სივრცულ-კომპოზიციურ გადაწყვეტის ცვლილებებს.

საინტერესო ექსპერიმენტული პროექტი განხორციელდა ქ. ლაიპციგში. აქ ავარიული და მორალურად მოძველებული კორპუსები დემონტირებული იქნა, რამაც გამოიწვია დიდი თავისუფალი ეწ. „შუალედური სარგებლობის ფართის“ შექმნა, რომელიც დროებით დაიტვირთა გამწვანებული ზონებით (ბაღები, პარკები, სათამაშო მოედნები). ძველი ნაგებობებისგან განთავისუფლებული ტერიტორია ახლებურად დაგეგმარების საშუალებას იძლეოდა, ახალი დაგეგმარება განხორციელდა თანამედროვე მოხხოვნების შესაბამისად, დაპროექტდა და აშენდა შედარებით დაბალსართულიანი განაშენიანება, გაიზარდა საცხოვრებელი ფართები, მოეწყო ავტოსადგომები და სარეკრეაციო ზონები.

2001 წლის ოქტომბერში გერმანიის საბინაო საქმის ფედერალურმა სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი “stadtumbau ost”. კონკურსის მიზანი იყო, ხელი შეეწყო ქალაქების ძველი საცხოვრებელი მასივების გარდაქმნისათვის საჭირო ნოვატორული

იდეების განხორციელებისათვის. ფედერაციამ შეარჩია 259 ქალაქი და აღმოსავლეთ ბერლინის 10 კვარტალი. კონკურსი დასრულდა 2002 წლის სექტემბერში 34 ქალაქის გარდაქმნის კონცეპციაზე პრემიის გაცემით. შემუშავებულ იქნა გარკვეული სტანდარტები, რის მიხედვითაც თითოეული პროექტი მოიცავდა კონცეპციას მთელი ქალაქის განვითარებისათვის, რომელიც შედგებოდა ქალაქის არსებული მდგომარეობის გეგმისა და საპროექტო გეგმისაგან, ასევე კონცეპციას კონკრეტულად ქალაქის ერთი ან ორი უბნისათვის.

კონცეპციის შეფასებისათვის შემდეგი თემები იყო პრიორიტეტული:

- ქალაქის გარდაქმნის ნიმუშები;
- ქალაქის გარდაქმნის სტრატეგიები ძველი უბნისათვის;
- ქალაქის განვითარების სტრატეგიები ახალი უბნებისათვის;
- ტექნიკური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ქალაქებისა და რეგიონების მმართველობის კოოპერაცია;
- სამშენებლო კულტურის ასპექტების წარმოჩენა ქალაქის გარდაქმნის ფარგლებში.

საინტერესო საქალაქმშენებლო სამუშაოები ჩატარდა ქ. ლაინეფილდეში, ეს იყო პატარა სოფელი, რომელიც გდრის პერიოდში ინდუსტრიულ ქალაქად გარდაიქმნა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ქარხნების დიდი ნაწილი გაუქმდა, გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, რამაც გამოიწვია მოსახლეობის მიგრაცია და საცხოვრებელი მასივების, (რომლებიც აშენდა 1960-80 წლები), დაცარიელება. ამ პროცესის შესახერებლად საჭირო გახდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და საცხოვრებელი განაშენიანების ხარისხის ამაღლება. (რასაც ხელს უწყობდა შემდეგი პროგრამები “stadtumbau ost”, „სოციალური ქალაქი - ქალაქის უბნები განახლების განსაკუთრებული საჭიროებით“ და „ახლადაშენებული მსხვილი საცხოვრებელი მასივების საქალაქმშენებლო მასივების პროგრამა“). შეიქმნა ახალი სოციალური ინფრასტრუქტურა, გაკეთდა ერთგვარი გზა-დერბი, რომელიც აკაგშირებს უკვე მოდერნიზებულ უბანს ქალაქის უკიდურეს სამხრეთ ნაწილოან. სარეკონსტრუქციო ზონაში აიღეს შენობები და მათ ადგილზე უფრო დაბალსართულიანი თანამედროვე შენობები ააშენეს, კორპუსების დიდ ნაწილს ჩატარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, დიდი ყურადღება მიექცა სტრუქტურულება მაღალი ხარისხის მოცულობით გადაწყვეტას. ქალაქის გარდაქმნის შედეგად გაჩნდა საქმაოდ დიდი თავისუფალი ტერიტორია, რაც გამოყენებული სარეკონსტრუქციო ზონის შესაქმნელად.

პროგრამა “stadtumbau ost” ევექტურად განხორციელდა აგრეთვე ქ. ეგზინში, რომელიც მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ გერმანიაში. 1930-იან წლებში აქ მდებარეობდა პატარა დაბა 3000 მოსახლით. 1950-იან წლებში აქ აიგო ყაზარმები და საგარნიზონო ქალაქად გარდაიქმნა, 1970-იანებში კი აშენდა მსხვილპანელოვანი კორპუსები. გერმანიის გაერთიანების შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება საცხოვრებელი კორპუსების საფუძვლიანი გაუმჯობესების შესახებ. თავიდან მხოლოდ პირველი სართულები გადაგეგმარდა, ხოლო შემდგომ, გადაკეთდა ყველა ბინა. შეიცვალა კორპუსების ფასადები. ამ სამუშაოების შედეგად, ქალაქმა სრულიად ახალი სახე შეიძინა. შემდგომ ეტაპზე მოხდა ნაგებობების ნაწილობრივი დაშლა და რეკონსტრუქცია, ბევრ ადგილას განხორციელდა მათი სრული დემონტაჟი, დაგეგმარდა ახალი, თანამედროვე ტიპის ნაგებობები. ქ. ეგზინშის გარდაქმნა ამით არ ამოიწურება, ამჟამად მოქმედებს ქალაქის პერსპექტიული განვითარების გეგმა 2020 წლამდე.

ოდერის შვედტი არის ტიპიური აღმოსავლეთ გერმანული ქალაქი, სადაც სოციალიზმის პერიოდში აშენდა, ბლოკურ-პანელოვანი კორპუსებიანი მასივები, რომლის შექმნაც დაკავშირებულია ცალკეულ ინდუსტრიულ საწარმოებთან და

ქადალდის ფაბრიკასთან. 1998 წელს შემუშავდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 3000 ბინის დანგრევას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბინების დაცარიელება მოსალოდნელზე სწრაფი ტემპით მოხდა, ამიტომ შემუშავდა კორპუსების ნაწილობრივი დაშლის და ქალაქის ცენტრის და ძველი უბნების გაუმჯობესების პროექტი.

ამავე ქალაქის საცხოვრებელ რაიონ კიულცში, რომელიც განაშენიანებული იყო ხუთსართულიანი პანელოვანი სახლებით, პატარა საბინაო ფართებით, უფანჯრო სამზარეულოთი და ა.შ. დაისვა საკითხი ბინების გაუმჯობესების თაობაზე. შეიქმნა სამშენებლო საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა საბინაო ფართის გაზრდის მიზნით ახალ მიშენება-დაშენებას, ბინის დაგეგმარების ცვლილებას, ლიფტების დაყენებას, აივნის გაფართოებას და ფასადის იერსახის გაუმჯობესებას.

გერმანიაში ჩატარებული საცხოვრებელი მასივების გარდაქმნის მაგალითების გარდა, შესაძლებელია პოსტსაბჭოური ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაც. 1950-70 წლების საცხოვრებელი მასივები მრავლად შეიქმნა საბჭოთა კავშირში, მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო მოსკოვის სამხერეთ-დასავლეთით მდებარე რაიონი „ჩერიომუშკი“, რომლის ძირითადი ნაწილი განთავსებული იყო პროფკავშირელთა ქუჩის გასწვრივ, აქ პირველად გამოყენებული იქნა ხუთსართულიანი პანელოვანი სახლები „ხრუშჩოვგა“, შემდგომ რვა-ცხრასართულიანები „ბრეჟენევგა“. 1990-იან წლებში რაიონის ბევრმა კორპუსებით თავისი ექსპლუატაციის ვადა ამოწურა, ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყვეს, რომ პირველ ნაკადში აშენებული კორპუსები „ხრუშჩოვგაები“ თითქმის ამორტიზებული იყო, რის გამოც მიღებულ იქნა დადგენილება მათი დემონტაჟის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში, როდესაც ეს რაიონი აშენდა, „ჩერიომუშკი“ გახლდათ მოსკოვის გარეუბანი (ამავე სახელწოდების პატარა სოფელი), ქალაქის სწრაფი ზრდის შედეგად, 50 წლის შემდეგ, ეს მასივი მის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა. შესაბამისად დღეს ის, თავისი მდებარეობით, წარმოადგენს პრესტიულ უბანს, აქედან გამომდინარე ინვესტორები დაინტერესდნენ ამ ტერიტორიის შესყიდვით და იქ ახალი მაღალხარისხის საცხოვრებელი რაიონის შექმნით, რომელიც უკვე განხორციელდა.

1990-2000 წლებში ქ. ყაზანში შემუშავდა არქიტექტურული რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა „ხრუშჩოვგაის“ ტიპის კორპუსებზე (კერძოდ ხუთსართულიანებზე) მექქანიკური საცხოვრებელი სართულის დაშენებას და მიღებულ სივრცეში ახალი ბინების განთავსებას, არსებული ძველი ფასადების გაუმჯობესებას, ეზოებში ავტოსადგომების შექმნას და სარეკრეაციო ზონის მოწყობას. ამგვარად მოდერნიზებული იქნა ორი სახლი კოროლენკოს ქუჩასა და იბრაიმოვის პროსპექტზე. სამწერაოდ მობინადრეთა კორპუსიდან დროებით გაყვანაის პრობლემების გამო, პროექტის შემდგომი განხორციელება ვეღარ მოხერხდა.

2007 წელს ქ. უფაში ოქტომბრის პროსპექტზე განხორციელდა კორპუსებზე ორსართულიანი დაშენება, სადაც განათავსეს 16 ორდონიანი (დუპლექსი) ორ და სამოთახიანი საცხოვრებელი ბინები. სამუშაოს შემსრულებელი იყო ჩეხური სამშენებლო ფირმა „ბრნო“, რომელსაც ამ ტიპის დაშენებათა შესრულების დიდი გამოცდილება ჰქონდა. ჩატარებულმა სამუშაოებმა ცხადჰყვეს პროექტის არარენტაბელურობა და ამიტომაც პროექტით გათვალისწინებული შემდეგი 5 კორპუსის რეკონსტრუქცია აღარ შემდგარა.

მსგავსი ექსპერიმენტები ყოფილი საბჭოთა კავშირის კიდევ არაერთ ქალაქში ჩატარდა (სანკტ-პეტერბურგი, ჩელიაბინსკი, მაგნიტოგორსკი და ა.შ.) გერმანიის მაგალითებისგან განხვავებით შედეგები ყველგან არაერთგვაროვანი და ნაკლებად ეფექტული აღმოჩნდა.

### 3. დასტვა

ამრიგად, საბჭოთა პერიოდის მსხვილი საცხოვრებელი მასივების რეკონსტრუქციის უცხოური გამოცდილება კარგ მაგალითს წარმოადგენს იმისათვის, რომ გავითვალისწინოთ ყველა ეს მეთოდები საქართველოში არსებული ამ ტიპის მასივების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტისათვის, ყველა იმ სოციალური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნისთვის, აღსანიშნავია, რომ მასივების რეკონსტრუქცია დიდ სოციალურ ეკონომიკურ პრობლემებთნაა დაკავშირებული, მაგრამ ამ პრობლემის კონცეპტუალურ და არქიტექტურულ-გეგმარებითი გააზრება ძალზე აქტუალური და მნიშვნელოვანია.

### ლიტერატურა

T. მახარაშვილი გ. მახარაშვილი - თბილისის პოსტსაბჭოთა პერიოდის ურბანული და საცხოვრებელი განაშენიანების განვითარების წინამდღვრები. სტუ-ს სამეცნიერო შრომების კრებული - 4 (470), თბილისი 2008 წ. გვ. 15

2.

// . . . 1986. - 4. -88

3.

5- . . . ; 15. стр-37  
, 1997;

## ორთოცენტრული სამკუთხედის პერიმეტრი


გ. ბეგიაშვილი, ნ. მუმლაძე, ო. შებითიძე  
 (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას № 77,0175,  
 თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია ორთოცენტრული სამკუთხედის თვისება: მახვილკუთხი  $ABC$  სამკუთხედში ჩახაზული ორთოცენტრული სამკუთხედის პერიმეტრი არის კვადაზე მცირე მასში ჩახაზული ნებისმიერი სამკუთხედის პერიმეტრთან შედარებით. ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნული თვისების გრაფიკული ინტერპრეტაცია გეომეტრიული გარდაქმნის (სიმეტრიის) გამოყენებით.  $ABC$  სამკუთხედის და მასში ჩახაზული ორთოცენტრული სამკუთხედის, ასევე იგივე მახვილკუთხი სამკუთხედში ჩახაზული ნებისმიერი სამკუთხედის დერძული სიმეტრიით გარდაქმნა ამ თვისებას ადასტურებს გეომეტრიული ფორმულირების გარეშე. ორთოცენტრული სამკუთხედის პერიმეტრთან დაკავშირებული საკითხი გეომეტრიაში განიხილება არსებული თეორემის დამტკიცებით.


**საკვანძო სიტყვები:** ორთოცენტრული სამკუთხედი, პერიმეტრი, გეომეტრიული გარდაქმნა, სარკული სიმეტრია, ბრტყელი პარალელური გადაადგილება, კონგრუენტული სამკუთხედები.

### 1. შესავალი

$ABC$  მახვილკუთხი სამკუთხედის ორთოცენტრული სამკუთხედი მიიღება თუ  $A$ ,  $B$ ,  $C$  წვეროებიდან გაივლება წრფეები მოპირდაპირე გვერდების მართობულად. მართობების გვერდებთან გადაკვეთის წერტილების შეერთებით განისაზღვრება ორთოცენტრული სამკუთხედი  $\Delta DEF$  (სურ.1).  $\Delta ABC$ -ში ჩაიხაზება ასევე ნებისმიერი  $\Delta KLM$  (სურ.2).  $\Delta KLM$  გამოსახულია წყვეტილი ხაზით.



სურ. 1




სურ. 2

### 2. პირითადი ნაშილი

$\Delta ABC$ -ს მასში ჩახაზული  $\Delta DEF$  და  $\Delta KLM$ -თან ერთად გარდავქმნათ დერძული სიმეტრიით. სიმეტრიის დერძები  $\Delta ABC$ -ს გვერდებზე გავლებული  $a, b, c, d, e, k$

წრფეებია (სურ.3). გეომეტრიული გარდაქმნა შესრულდება სიმეტრიის დერმების მიმართ, აღნიშნული თანამიმდევრობით:  $[\text{BC}]$ -ზე გაივლება  $a$  დერძი,  $a$  დერძის მიმართ  $\Delta \text{ABC}$ ,  $\Delta \text{DEF}$  და  $\Delta \text{KLM}$ -ის სიმეტრიული სამკუთხედებია.  $\Delta \text{A}_1\text{BC}$ ,  $\Delta \text{D}_1\text{E}_1\text{F}$  და  $\Delta \text{K}_1\text{L}_1\text{M}$ .  $[\text{A}_1\text{C}]$ -ზე გაივლება  $b$  დერძი,  $b$  დერძის მიმართ  $\Delta \text{A}_1\text{BC}$ ,  $\Delta \text{D}_1\text{E}_1\text{F}$  და  $\Delta \text{K}_1\text{L}_1\text{M}$ -ის სიმეტრიული სამკუთხედებია:  $\Delta \text{A}_1\text{B}_1\text{C}$ ,  $\Delta \text{D}_1\text{E}_2\text{F}_1$  და  $\Delta \text{K}_2\text{L}_1\text{M}_1$ .  $[\text{A}_1\text{B}_1]$ -ზე გაივლება  $c$  დერძი,  $c$  დერძის მიმართ  $\Delta \text{A}_1\text{B}_1\text{C}$ ,  $\Delta \text{D}_1\text{E}_2\text{F}_1$  და  $\Delta \text{K}_2\text{L}_1\text{M}_1$ -ის სიმეტრიული სამკუთხედებია:  $\Delta \text{A}_1\text{B}_1\text{C}_1$ ,  $\Delta \text{D}_2\text{E}_2\text{F}_2$  და  $\Delta \text{K}_2\text{L}_2\text{M}_2$   $[\text{B}_1\text{C}_1]$ -ზე გაივლება  $d$  დერძი,  $d$  დერძის მიმართ  $\Delta \text{A}_1\text{B}_1\text{C}_1$ ,  $\Delta \text{D}_2\text{E}_2\text{F}_2$  და  $\Delta \text{K}_2\text{L}_2\text{M}_2$ -ის სიმეტრიული სამკუთხედებია:  $\Delta \text{A}_2\text{B}_1\text{C}_1$ ,  $\Delta \text{D}_3\text{E}_3\text{F}_2$  და  $\Delta \text{K}_3\text{L}_3\text{M}_2$ .  $[\text{A}_2\text{C}_1]$ -ზე გაივლება  $e$  დერძი,  $e$  დერძის მიმართ  $\Delta \text{A}_2\text{B}_1\text{C}_1$ ,  $\Delta \text{D}_3\text{E}_3\text{F}_2$  და  $\Delta \text{K}_3\text{L}_3\text{M}_2$ -ის სიმეტრიული სამკუთხედებია:  $\Delta \text{A}_2\text{B}_2\text{C}_1$ ,  $\Delta \text{D}_3\text{E}_4\text{F}_3$  და  $\Delta \text{K}_4\text{L}_3\text{M}_3$ .  $[\text{A}_2\text{B}_2]$ -ზე გაივლება დერძი,  $k$  დერძის მიმართ  $\Delta \text{A}_2\text{B}_2\text{C}_1$ ,  $\Delta \text{D}_3\text{E}_4\text{F}_3$   $\Delta \text{K}_4\text{L}_3\text{M}_3$ -ის სიმეტრიული სამკუთხედებია:  $\Delta \text{A}_2\text{B}_2\text{C}_2$ ,  $\Delta \text{D}_4\text{E}_4\text{F}_4$  და  $\Delta \text{K}_4\text{L}_4\text{M}_4$ .



სურ.3

$\Delta \text{ABC}$ -ს დერძული სიმეტრიით მიიღება ექვსი კონგრუენტული სამკუთხედის კონკონცია, სადაც საწყისი სამკუთხედი არის  $\Delta \text{ABC}$ , საბოლოო კი  $\Delta \text{A}_2\text{B}_2\text{C}_2$ . შესაბამისად  $\Delta \text{ABC}$ -ზი ჩახაზული  $\Delta \text{DEF}$  და  $\Delta \text{KLM}$  ექნებათ ექვსი კონგრუენტული სამკუთხედი.  $\Delta \text{A}_2\text{B}_2\text{C}_2$  შეიძლება განვიხილოთ, როგორც  $\Delta \text{ABC}$ -ს პარალელური გადადგილების შედეგად მიღებული სამკუთხედი. გარდაქმნის შედეგად ორთოცენტრული  $\Delta \text{DEF}$ -ს გვერდები განლაგდება ერთ  $[\text{FF}_4]$  მონაკვეთზე.  $[\text{FF}_4]$  მონაკვეთი შედგება ორი  $[\text{EF}]$ -ის ტოლი მონაკვეთისგან, ორი  $[\text{FD}]$ -ის ტოლი და ორი  $[\text{DE}]$ -ის ტოლი მონაკვეთებისგან. ე. ი.  $[\text{FF}_4]$  მონაკვეთი ტოლია  $\Delta \text{DEF}$ -ის გაორმაგებული პერიმეტრის.  $\Delta \text{KLM}$ -ის გარდაქმნის შედეგად მიიღება  $M$  და  $M_4$  წერტილების შემაერთებელი ტეხილი, რომელიც მეტია  $[\text{FF}_4]$  მონაკვეთზე.  $[\text{FF}_4]$ -ის ტოლი და პარალელურია  $[\text{MM}_4]$ . ( $[\text{FF}_4]$ ,  $[\text{MM}_4]$ ,  $[\text{MF}]$  და  $[\text{M}_4\text{F}_4]$  მონაკვეთებით იქმნება პარალელოგრამი). წარმოდგენილი გრაფიკული გამოსახულება გეომეტრიული ფორმულების გარეშე თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ ორთოცენტრული  $\Delta \text{DEF}$ -ის

პერიოდი არის მცირე  $\Delta KLM$ -ის პერიოდზე. ეს თვისება გრცელდება მახვილკუთხა სამკუთხედში ჩახაზულ ნებისმიერ სამკუთხედზე.

### 3. დასპანა

მახვილკუთხა სამკუთხედში ჩახაზული ორთოცენტრული სამკუთხედის პერიოდის თვისება ცნობილი გეომეტრიული კანონზომიერებით მტკიცდება. წარმოდგენილი გრაფიკული მეთოდით თვისების დამტკიცება არის თვალსაჩინო მაგალითი იმის, თუ გარდაქმნის შედეგად როგორ ინარჩუნებს ფიგურა გეომეტრიულ თვისებებს და მარტივად განსაზღვრავს ორთოცენტრული სამკუთხედის პერიოდს.

### ლიტერატურა

- |    |      |            |          |
|----|------|------------|----------|
| 1. | .. . | , ..       | , 1966 . |
| 2. | .. . | .. . . . . | , 2009 . |
| 3. | .. . | .. . . . . | . 1966 . |

თბილისის საპარკო რეპრეაციული ლანდშაფტების ფორმირება XIX-XX საუკუნეებში (საბჭოთა და კოსტაბჭოთა პერიოდი)

თ. მახარაშვილი გ. ხელაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას 68, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატია მოიცავს როგორც თბილისის საბაღე-საპარკო კულტურის განვითარების რეტროსპექტივას XIX-XX საუკუნეებში, ასევე მათ დიფერენციაციას და პრობლემებს, რომლებიც წარმოიშვა ამ წლების განმავლობაში. ნაშრომში განხილულია როგორც საბჭოთა, ასევე კოსტაბჭოთა პერიოდები და თბილისის სარეკრეაციო ტერიტორიების ფორმირების რეტროსპექტიული ანალიზი.

**საკვანძო სიტყვები:** ლანდშაფტის არქიტექტურა, თბილისის საბაღე-საპარკო კულტურა, რეკრეაციული ზონები, ლოკალური სივრცეები.

## 1. შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საბაღე-საპარკო თანამედროვე განვითარება არც ისე მრავალ წელს ითვლის, მისი ისტორია საკმაოდ მასშტაბური და დინამიურია. თბილისის ურბანულ ნაწილში რეკრეაციული ტერიტორიების პრობლემები დღითიდებე უფრო და უფრო აქტუალური ხდება, თუმცა იმისათვის, რომ გავაანალიზოთ არსებული სიტუაცია, საჭიროა, განვიხილოთ მისი ისტორია და ის განსხვავებული ეტაპები, რომლებიც ქალაქმა გაიარა ამ წლების განმავლობაში, რამაც თავისებური კვალი დატოვა თბილისის ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარებაში.

## 2. ძირითადი ნაწილი

XIX საუკუნის პირველი ნახევრის თბილისის გეგმარებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ ვითარდება ქალაქის გამწვანება. 1828 წლის თბილისის საერთო გეგმაზე ჩანს, ქალაქის ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ნაწილთან მდებარე, სოლოლაკის, სეიდაბადის და ახლანდელი ბორგანიკური ბაღის ძველი მასივები. შედარებით უფრო მცირე ტერიტორიის ბაღებს უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზეც ვხვდებით.

ქ. თბილისის განაშენიანების გაფართოებასთან დაკავშირებით ინტენსიურად იჩეხებოდა ძველი, მწვანე მასივები და მათ ადგილს იკავებდა ქალაქის ახალი საცხოვრებელი კვარტლები და სამრეწველო რაიონები. ამ მიზნით XIX საუკუნის 40-60-იან წლებში ძველი ბაღების უმეტესობა უკვე გაყიდული და გაჩეხილი იყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, კაპიტალისტური ეპოქისთვის დამახასიათებელი ქალაქის ინტენსიური ზრდის პირობებში, ბევრი რამ შეიცვალა. ზოგიერთი დადებითი ქალაქთმულებლობითი გააზრება დაიკარგა, მაგრამ ზოგი დღესაც ქალაქის ღირსებას წარმოადგენს. უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა განაშენიანების სიმჭიდროვე. შენობები ქუჩის გასწვრივ პერიმეტრალურად, ერთმანეთის მომიჯნავედაა განლაგებული; თუმცა არქიტექტორების მიერ ე.წ. კურდონერული გადაწყვეტის ხერხის გამოყენებით - წითელი ხაზები და შენობის შიგნით შეწევისა და წინ პატარა გამწვანებული ეზოების შექმნით, ზოგიერთი ქუჩის განაშენიანების ჩაკეტილი იერი ამ გარდვევებით შერბილებულ და გამდიდრებულ იქნა.

განაშენიანების სიმჭიდროვის ზრდის მიუხედავად, პროექტით გათვალისწინებულ კვარტალში გამწვანებული ზონის შექმნის პროგრესული პრინციპი ნაწილობრივ მაინც ხორციელდებოდა.

1833-35 წლებში შედგენილი თბილისის გეგმის ანალიზით ჩანს, რომ ქალაქის ახალი რაიონების გეგმიური განაშენიანება დაიწყო. მართალია, თბილისის ქალაქითმშენებლობაში შემოიჭრა ამ დროისთვის უცხო, ქუჩების ქსელის რეგულარული სისტემა, მაგრამ ის გააზრებულად, სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან დაკავშირებით იქნა გამოყენებული.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისში დაიწყეს საზოგადოებრივი დანიშნულების ბაღების მოწყობაც. პირველი ევროპული ტიპის ბაღი, რომელიც საზოგადოებრივი დანიშნულების იყო, გაშენდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 20-იან წლებში, სოლოლაკის ძველი მასივის ერთი ნაწილის ბაზაზე. ახალი ბაღების მშენებლობა მიმდინარეობდა მტკვრის მარცხნა სანაპიროზეც, კერძოდ, საქართველოში შიგთა სამღვდელოების მთავარმა მუშტაიდმა, უდროოდ გარდაცვლილი ქართველი მეუღლის პატივსაცემად, მდინარის პირას საფუძველი ჩაუყარა ბაღს, რომელიც მუშტაიდის სახელწოდებით იყო ცნობილი, ბაღი ირწყევბოდა მტკვრიდან გამოყვანილი ე.წ. “გერმანული არხის” საშუალებით. შემდგომ მისი დიდი ნაწილი საქალაქო მნიშვნელობის სასეირო ბაღი გახდა. 1896 წლისთვის ბაღის ტერიტორიაზე არსებობდა სხვადასხვა დანიშნულების გასართობი თბიექტები. ბაღის გაგრძელებაზე, მტკვრის მარცხნა სანაპიროზე, გაშლილი იყო კოლონიები მრავალი ბოსტნითა და ხეხილის ბაღებით. თავისი დაგეგმარებით და მცენარეული კომპოზიციით მუშტაიდის ბაღი გამოირჩეოდა თბილისში იმ დროისთვის არსებულ ბაღებს შორის.

იმ პერიოდში თბილისში 12 მოედანი არსებობდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი “ერენის მოედანი” იყო. მის შუავულში დიდი ზომის ლამაზი შადრევანი ყოფილა მოწყობილი. ეს შადრევანი 1851 წელს აუშენებიათ, ხოლო წყალი მასში სოლოლაკის წყაროებიდან გამოუყვანიათ. 1848 წლიდან, ახლანდელი რუსთაველის პროსპექტის გასწორივ, მოხდა ნარგავების რიგობრივი განთავსება, ეს იყო ქუჩის გამწვანების პირველი ცდა თბილისში, ხოლო მომდევნო წლიდან დაიწყეს ქალაქის ქუჩების მასიურად გამწვანება და სხვადასხვა უბნებში სკვერების მშენებლობა. ყოფილი “ერენის მოედნის” მოსაზღვრედ იქ, სადაც ადრე დიდი ბაზრის ნაშთი არსებობდა, 1885 წელს მოაწყვეს მცირე ბაღი, რომელიც იმ დროს “ახალ ბაღად” იწოდებოდა.

უფრო მოგვიანებით, თბილისის შემორჩენილ საგარეუბნო ზონებში, ჩნდება მასობრივი დასვენებისა და გართობის ბაღები, კერძოდ, ორთაჭალაში არსებობდა ბაღები: “ფანგაზია”, “ელდორადო”; ხოლო საბურთალოზე - “სან-სუნი”, “სამშობლო”, “შანტეკლერი”, “ახალი სხივი” და სხვ.. 1891 წლიდან დაიწყო ქალაქის ფერდობების გატყიანების სამუშაოები, რაც განპირობებულ იყო ნიაღვებთან ბრძოლისა და ქალაქის კლიმატური პირობების გაუმჯობესების აუცილებლობით. 1899 წელს ექიმ ნიკოლოზ ხუდადოვის ინიციატივით ყოფილი ნაძალადევის სახაზინო მიწის აღმოსავლეთით, დაიწყეს ტყის გაშენება. დღეს აქ ფოზიატრიული საავადმყოფო განთავსებული.

მტკვრის მარცხნა სანაპიროზე, გარდა მუშტაიდის ბაღისა, გაშენებული იყო მრავალი მცირე ბაღი. ყოფილ მიხაილოვის ქუჩას ამშვენებდა პირამიდული აღვის ხეების მწვრივები, რომლებიც კარგად ერწყმოდა ამ ქუჩაზე განლაგებულ მძივებივით აკინძული ბაღების ხშირ ნარგაობებს.

საბჭოთა პერიოდში (1921-1991 წწ) შემუშავდა ქალაქის ისტორიაში პირველი გენერალური გეგმა (1932-1934წწ), რომელიც აგრძელებდა ქალაქის ხაზოვანი განვითარების ტენდენციებს. ქალაქი დაგეგმარდა მდინარე მტკვრის გასწორივ განვითარებით ხეობაში, ხელსაყრელი ტერიტორიების ათვისებით და მდინარეზე ორმხრივი განაშენიანების მძლავრი კავშირებით. გენგეგმაზე მოინიშნა “თბილისის

ზღვა” განვითარებული რეკრეაციული ზონით, დაიწყო ქალაქის ტერიტორიის გამწვანებისა და გაწყლოვანების დიდი სამუშაოები, მთაწმინდის კალთებზე ტყე-პარკის მოწყობის, მდინარე ვერეს მარცხენა ნაპირზე ზოოპარკის მშენებლობის სამუშაოები. ქალაქის ყველა რაიონში უნდა გაშენებულიყო პარკები - მათ შორის, ავლაბარსა და ორთაჭალაში, აგრეთვე ორბელიანის კუნძულზე. მშენებარე სანაპიროებს, ხეივნებითურთ, ამ პარკების გამართიანებული რგოლის ფუნქცია უნდა ეტვირთა. გაშენდა კომკავშირის ხეივანი (1935 წ.), პარკი მთაწმინდის პლატოზე (1938 წ.) და სხვ..

ქალაქის გამწვანებას განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მეორე გენერალურ გეგმაშიც, რომელიც 1954 წელს დამუშავდა, რომლის შედეგად ქალაქითმშენებლობაში ჩატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: შეიქმნა მარჯანიშვილის სახელობის მოედანი (მე-20ს-ის 40-იანი წლების მიწურული); გაყვანილი იქნა განივი მაგისტრალები - ვარაზისხევი, გურამიშვილის ქუჩა (მე-20ს-ის 50-იანი წ.წ.). მე-20ს-ის 70-იან წლებში დასრულდა მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ მაგისტრალური ქუჩების გაყვანა და გამწვანება. გაშენდა გამარჯვების პარკი (ამჟამად ვაკის პარკი), დაიწყო ხელოვნური წყალსაცავის ე.წ. “თბილისის ზღვის” გარშემო ტყე-პარკის, დასვენების ზონის მოწყობა. მთლიანად ათვისებული იქნა ვაკის, საბურთალოს და მცირე დიდის ტერიტორიები. დაიწყო ვარკეთლის, გლდანის, ავშნიანის, ბაგებისა და სხვა ტერიტორიების განაშენიანება. თბილისის ტერიტორიის 10 000 ჰექტარიდან გამწვანებას დაეთმო 650 ჰექტარი. გათვალისწინებული იყო “მწვანე სოლების” მეშვეობით ბუნებრივი ლანდშაფტის შეყვანა თბილისის ურბანულ ნაწილებში, ამასთან “ძველ უბნებში” მოხდა დაბალსართულიანი შენობების აღება და ისტორიულად არსებული შიდა კვარტალური პარკების დაკავშირება პროსპექტებთან.

1971 წელს დამტკიცდა ქ. თბილისის მესამე გენერალური გეგმა (1980-2000 წლებისთვის), რომელიც, წინა გენერალური გეგმებისგან განსხვავებით, ითვალისწინებდა ქალაქის ტერიტორიულ ზრდას არა მარტო მდინარის სიგრძივ, არამედ განივადაც. ასეთი ქუჩების ქსელის შექმნა შესაძლებელს ხდიდა მნიშვნელოვანად გაუმჯობესებულიყო ქალაქის განივება და სატრანსპორტო კავშირები. ამ პერიოდში გრძელდებოდა საპარკო მასივების შექმნა. აშენდა ისეთი მნიშვნელოვანი რეკრეაციული ზონა როგორიცაა “ვაკის პარკი”, რაც ამ ტერიტორიისთვის საუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნას უწყობდა ხელს. “თბილისის ზღვის” ირგვლივ შეიქმნა დასასვენებელი ზონა, მოეწყო 850 ჰა-მდე ფართობის პარკი; ხოლო თბილისის ირგვლივ დაიგეგმა მწვანე სარტყლის შექმნა, რაც შეიძლება მიზნეულ იქნეს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ღონისძიებად.

მიუხედავად საბჭოთა პერიოდის თბილისის გამწვანებისა და კეთილმოწყობის მიმართულებით გარკვეული მიღწევებისა, კომუნისტურმა სისტემამ ძალიან ბევრი ლანდშაფტურ-გეგმარებითი გადაწყვეტებით მძიმე შეცდომები დაუშვა თბილისის ქალაქებმარებითი და ლანდშაფტურ-რეკრეაციული საკითხების რეალიზაციისას.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მდინარე მტკვრის, როგორც მთავარი ქალაქმაფორმირებელი ფაქტორის, უგულველყოფა მისი ბეტონის ჯებირებში მოქცევით და ორივე სანაპიროს სატრანსპორტო კომუნიკაციად გადაქცევით. მდინარის სანაპიროები მოქალაქეების დასვენებისა და გართობის მთავარი დერძი უნდა გამხდარიყო, ასეთი ტენდენციები ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან არსებობდა (ორთაჭალის ბაღები, მადათოვის კუნძული და ა.შ.). მდინარე მტკვარი მოწყდა ქალაქის ნაწილებს, მოქალაქეებს, რაც დიდი შეცდომად და რომლის გამოსწორებაც თითქმის შეუძლებელია.

დაშვებული იყო კიდევ ერთი მძიმე შეცდომა: ქალაქის პერსპექტიული განვითარებისთვის თბილისის დასავლეთით და აღმოსავლეთით არსებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების (დიდის, გლდანის, ვარკეთილის და ა.შ.) გამოყენება. ეს გამწვანებული სასოფლო-სამეურნეო საგარეულები შთანთქა უზარმაზარმა და სრულიად უსახო საცხოვრებელმა მასივებმა.

გარდა ამისა, ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გამწვანება ხდებოდა არა ლანდშაფტის დიზაინის პრინციპებისა და მეოთხების გამოყენებით, არამედ ქუჩებსა და პროსპექტებზე ხეების მწერივებად განლაგებით. ასევე დაბალი იყო ბაღებისა და პარკების მხატვრულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და მცირე არქიტექტურული ფორმების ხარისხი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მე-20 საუკუნის თბილისის მსხვილი პარკებისა და რეკრეაციული ზონების მნიშვნელობა საქალაქო-საპარკო ლანდშაფტური არქიტექტურის თვალსაზრისით, აქედან გამომდინარე მოკლედ მიმოვინილავთ მათი განვითარების რეტროსპექტივას.

მთაწმინდის პარკი ფუნიკულიორის ზედა სადგურის დერბზე 1930 წელს გაშენდა. მისი ფართობი 100 ჰექტარს აღემატება და თბილისის უკელაზე მაღალი პარკია. პარკის მთავარი დერბი 210 მეტრი სიმაღლის სატელევიზიო კოშკი-ანბაა. პარკს თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილმდებარეობა აქვს მთაწმინდის პარკი, არაჩვეულებრივი გეოგრაფიული მდებარეობითა და საინტერესო ინფრასტრუქტურით, თბილისის ერთ-ერთი უკელაზე კოლორიტული ნაწილია.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, რუსეთის უშუალო წაქეზებითა და მონაწილეობით ქვეყანაში სამხედრო დაპირისპირებები, მწვავე პოლიტიკური კრიზისები და შედეგად სოციალურ-ეკონომიკური სტაგნაცია დაიწყო. ასეთ სიტუაციაში, როდესაც არ არსებობდა სრულყოფილი საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა, ქალაქის ურბანულ განვითარებაში ქაოსური სიტუაცია შეიქმნა. დეველოპერები ცდილობდნენ „პრესტიულ“ უბნებში მშენებლობებით, რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღოთ. შედეგად ხშირად ხდებოდა არსებული რეკრეაციული ზონების და ბაღ-პარკების ექსპანსია. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. განსაკუთრებით დაზარალდა ვაკის პარკის, ვერის ბაღის, ბაგშვია ქალაქ მზიურის და დიღმის ტყე-პარკის გამწვანებული სივრცეები.

ვაკის პარკის გაშენება II მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების აღსანიშნავად 1945 წელს დაუწყიათ. პარკი გაშენდა 226 ჰექტარზე. ვაკის პარკის ტერიტორიის ხელყოფა და ფართობის შემცირება 2002-2007 წლებიდან დაიწყო. ამ დროისთვის იგი შეადგენდა 98.87%-ს. მომდევნო წლებში 2008-2009 მცირედით, თუმცა ფართობის შემცირება მაინც გრძელდებოდა და შეადგენდა 96.55%-ს, ბოლო 2011-2012 წლების მონაცემებით, ფართობი საგრძნობლად შემცირდა და შეადგენდა 65.78%-ს.

კირვის პარკი, იგივე ვერის ბაღი: დასასვენებელი ბაღი თბილისში, ვერის უბანში, გაშენებულია მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, 4 ჰა-ზე. ადრე ამ ტერიტორიაზე გაშენებული ბაღები ლურჯი მონასტრიდან მდინარე ვერეს და მტკვრის შესართავამდე ვრცელდებოდა.

ვერის პარკის ექსპანსია შედარებით გვიან დაიწყო, მისი ფართობი 2007-2008 წლებში 93.01%-ს შეადგენდა, თუმცა პროცესი სწრაფი ტემპებით გაგრძელდა და 2011 წლისთვის უკვე 72.44%-მდე ჩამოვიდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის ფარგლებში ფაქტიურად არ არსებობს გამწვანებული ტერიტორიები და ბაღ-პარკები, რომელთაც ექსპანსია არ შეხებოდეს, გამონაკლისი არც დიღმის ტყე-პარკია, ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ათწლეულების შემდეგ ტყე-პარკის მხოლოდ ფრაგმენტებიდა არსებობს. ეს

შესანიშნავი რეკრეაციულ-ეკოლოგიური ზონა ბოლო ათწლეულებში გახდა მენაშენეთა და კერძო პირების ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. 2007-2012 წლებში მოხერხდა სახელმწიფოს მიერ მთლიანი ტერიტორიის (205 200 კვ.მ.) 38.4%-ის ანუ 78 809 კვ.მ-ის დაბრუნება, მაგრამ ზოგადად ტერიტორიის ტერიტორიის ხელყოფა არ შეჩერებულა. თუმცა მძიმე მდგომარეობაა შექმნილი უკვე გასხვისებულ ნაწილზე, სადაც კერძო პირები ცდილობენ თავიათ კომუნიკაციულ ინტერესებზე მორგებული ამოცანების განხორციელებას.

დედაენის ბაზი - გაშენებულია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. დღესდღეისობით, ისევე როგორც სხვა დანარჩენი პარკების ტერიტორია, დედაენის ბაზიც ექსპანსიონულია სხვადასხვა დანიშნულების კომერციული ობიექტებით. გარდა ამისა, ბაზის გარკვეული ტერიტორია შეეწირა იუსტიციის სახლის პარკინგის მშენებლობას.

გარდა ზემოთ სხენებული პარკებისა, მძიმე მდგომარეობაა შექმნილი სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ბოლო ათწლეულებში მოხდა გამწვანებული ტერიტორიების განაშენიანება ქაოტური და უსახური შენობებით, გაქრა მწვანე სივრცეები და დასახლების ეკოლოგიური მდგომარეობა მძიმეა. ასევე არასასარბიელო მდგომარეობაა ყოფილი იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზეც, სადაც დღითიდებები მაღალსართულიანი კორპუსების რიცხვი, მათ მშენებლობას კი ათობით მრავალწლოვანი ხე ეწირება.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, თბილისში, ისევე როგორც მთელს საქართველოში, დაიწყო როგორი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, რაც უარყოფითად აისახა თბილისის არქიტექტურულ-ლანდშაფტურ განვითარებაზე. დროთა განმავლობაში მიმდინარეობდა ტერიტორიების გაჩეხვა, უკანონო თუ კვაზი კანონიერი მშენებლობები, საწარმოო ნარჩენებით ტერიტორიების დაბინძურება. დედაქალაქში, ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებულმა ქაოსურმა ურბანიზაციამ, ქალაქური ცხოვრების დაჩქარებულმა ტემპამა, გამოიწვია ის უარყოფითი შედეგები, რაც ასე მძიმედ აისახა ჩვენი საარსებო გარემოს დეგრადაციაში.

დღესდღეისობით თბილისში 255 სკერი და 12 ბაზია. გარემოსდაცვითი და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, საქართველო გამწვანებული ადგილების დეფიციტის განიცდის. 2002 წლის მონაცემებით თბილისში ერთ ადამიანზე 5 კვ.მ. გამწვანებული ტერიტორია მოდიოდა, გარემოს დაცვებულების ინფორმაციით ეს მონაცემები წლების შემდგომ კიდევ შემცირდა და ეს ხდება მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებში გამწვანების მინიმალური ზღვარი ათეულობით კვადრატულ მეტრს სცდება, მაგალითისთვის გერმანიის დედაქალაქ ბერლინში ერთ ადამიანზე 80 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორია მოდის.

პროექტ „თბილისის ეკოლოგიის“ ფარგლებში, რომელიც 2011–2012 წლებში განხორციელდა, ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცემ“ თბილისის სარეკრეაციო ზონები და გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ სფეროში თბილისის საკრებულოსა და მერიის საქმიანობა შეისწავლა, ასევე ჩატარდა თბილისის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და გამოავლინა ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობს მწვანე საფარის შემცირებას, ესენია:

- თბილისის არცერთ პარკს არ გააჩნია დამტკიცებული საზღვრები (წითელი ხაზები);
- სარეკრეაციო ზონების ტერიტორიები დანაწევრებულია ნაკვეთებად;
- არ არსებობს პარკების ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურა;
- მერიას არა აქვს დამტკიცებული ნორმატიული აქტი (აგრო ნორმები), რომლითაც ისარგებლებდა სამუშაოების დაგეგმვის დროს;

- მასიურად გავრცელებულია მცენარეების დაავადებები;
- მოშლილია ქალაქის სარწყავი სისტემა;
- ხე -მცენარეები იჩენება უსისტემოდ;
- თბილისის წყალსაცავი და ნაპირი დაბინძურებულია.

### 3. დასპპნა

თბილისის საბაზე-საპარკო რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირების, რეტროსპექტული ანალიზის შედეგად, რომელიც მოიცავს პერიოდს წინა საუკუნეებიდან დღემდე, დადგინდა, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან დაიწყო ქალაქის გამწვანებითი სამუშაოები. თუმცა მოგვიანებით, სოლოლაკის რეგულარულმა განაშენიანებამ გამოიწვია მწვანე მასივების გაჩეხვა; რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, მიუხედავად თბილისის გამწვანებისა და კეთილმოწყობის მიმართულებით გარკვეული მიღწევებისა, კომუნისტურმა სისტემამ, ძალიან ბევრი მძიმე შეცდომები დაუშვა თბილისის ქალაქებებითი და ლანდშაფტურ-რეკრეაციული საკითხების გადაწყვეტისას, პოსტსაბჭოთა პერიოდიდან დღემდე კი გრძელდება თბილისის მწვანე სივრცეების ქაოტური ექსპანსია და მათი ჩანაცვლება დავალოპერების ამოცანებზე მორგებული შენობა-ნაგებობებით.

### ლიტერატურა

1. ე. თევზაბე ISBN 99940-40-88-X - ლანდშაფტური არქიტექტურა (თბილისი 2004)
2. თ. მახარაშვილი, ა.ლალიძე – ქალაქ თბილისის საპარკო-რეკრეაციული ლანდშაფტების ფორმირების რეტროსპექტული ანალიზი. შამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ №1(36), 2015 წელი, გვ. 65
3. თ. მახარაშვილი – “მწვანე არქიტექტურა”. ჟურნალი სტილი №29, თბილისი 2008, გვ. 27

ჩამდინარე წყლების ბუნებრივი ჰარბეტენიანი ეპოსის ტემაზე  
გამოცდის საზღვარგარეთული გამოცდილების შესახებ

ლ. კლიმიაშვილი, ნ. ნებიერიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ.კოსტავას  
ქ. 77)

**რეზიუმე:** განხილულია დასახელებულ ადგილებში საყოფაცხოვრებო-სამუშარებო ფერადური ჩამდინარე წყლების ბუნებრივი ჭარბებიანი ეკოსისტემებით ტექნოლოგიური გაწმენდის დადებითი საზღვარგარეთული გამოცდილება. აღნიშნულია ახეთი სისტემების გამოყენების ეფექტურობა იქ სადაც სათანადო ტრადიციული გამწმენდი საშუალებების მშენებლობის და ექსპლუატაციის დირექტულება ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მიუწვდომელია.

**საკვანძო სიტყვები:** დასახლებული ადგილები, საყოფაცხოვრებო-სამუშარებო ფერადური ჩამდინარე წყლები, ბუნებრივი ჭარბებიანი ეკოსისტემებით გაწმენდა, საზღვარგარეთული გამოცდილება.

## 1. შესავალი

თანამედროვე მდგომარეობით დაბინძურებისგან წყლის ობიექტების დაცვისა და პლანეტის რესურსების შენარჩუნების პრობლემა ნებისმიერ ქვეყანაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. ამასთან დაკავშირებით წყლის ბუნებრივი ობიექტების დაცვის, მომზადებისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის ქმედითი ტექნოლოგიების შემუშავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან წყალი ადამიანის არსებობისათვის განკუთვნილი სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. დღისათვის ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოთა წყალმომარაგებისათვის საჭირო წყლის დაახლოებით 80% აღებულია ზედაპირული წყალსატევებიდან. ამასთან წყალსატევების წყლის ხარისხი ხშირ შემთხვევაში ისეა დაბინძურებული, რომ მათგან მკვებავი წყალსადენების გამწმენდი ნაგებობები და მათში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები ვეღარ უზრუნველყოფებ წყლის გაწმენდის საჭირო ხარისხს. არსებული ტრადიციული ინტენსიური სისტემების გამოყენება კი დაკავშირებულია ენერგიის დიდ ხარჯვასა და მაღალკვალიფიციური მუშაქელის გამოყენებასთან (Shrader Frechette, K. 1994).

ზედაპირული წყლის რესურსების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ზოგადად გამოწვეულია მათში დასახლებული ადგილების სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ფერადური წყლების არასაკმარი გაწმენდით ან კიდევ სრულიად გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით წყალსატევებში. წინდებარე ნაშრომში, საზღვარგარეთის გამოცდილების მიხედვით, განხილულ იქნება საკითხი ჩამდინარე წყლების ბუნებრივი გამწმენდი ჭარბებიანი ეკოსისტემის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

## 2. ძირითადი ნაშილი

საერთო მდგომარეობით ცნობილია, რომ, დღისათვის: საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო ჩამდინარე წყლების მოცულობის დაახლოებით 30% წყალსატევებში ჩაშვებამდე არ იწმინდება და მათ შემადგენლობაში

არსებული ელემენტები (ძირითადად აზოტისა და ფოსფორის ნაერთი) ჩამდინარე წყლებთან ერთად წყალსატევში აკუმულირდება. ასეთ სიტუაციას, განსკუთრებით ხშირად, ადგილი აქვს მცირე დასახლებულ პუნქტებში, სადაც სათანადო ტრადიციული გამწმენდი საშუალებების მშენებლობის ღირებულება ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მიუწვდომელია. ამავე დროს, ჯარიმები და გადასახადები ასეთი წყლების ჩაშვების გამო მნიშვნელოვან თანხას შეადგენს (Cairns, J., Jr. 1996).

საყოველთაოდ ცნობილია ჩამდინარე წყლების გასაწმენდად ეფექტური ბუნებრივი გამწმენდი საშუალებებისა და ქიმიური რეაგენტების გამოყენების შესახებ. ამასთან დასაბუთებულია მათი გამოყენების უპირატესობა და ეფექტურობა გამწმენდი სადგურების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში (შედარებით დაბალი ღირებულებების გამო), აგრეთვე, უმეტეს შემთხვევაში, გამწმენდილი წყალი გამწმენდ სადგურებში შედარებით მაღალი ხარისხისაა ვიდრე ხელოვნურ ნაგებობებში (გუბურა, ტბორი და სხ.). ამასთან უანგვითი პროცესების ინტენსივობა ზამთარის პერიოდში, კლიმატურ პირობებთან დაკავშირებით, შედარებით მცირდება, რაც დაკავშირებულია გასაწმენდად შემომავალი ჩამდინარე წყლების დაბალ ტემპერატურასთან.

მრიგად, ახალი ტიპის გამწმენდი ნაგებობების შემუშავება, რომლებიც შეძლებენ შემომავალი ჩამდინარე წყლების დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში (ზამთარში) საიმედო ფუნქციონირებას და აგრეთვე სამშენებლობლო ღირებულება და საექსპლოატაციო ხარჯები ტრადიციულთან შედარებით 10-20 ჯერ დაბალი იქნება, აქტუალური პრობლემაა. თანამედროვე მიღგომებით აგრეთვე პროგრესულ და პერსპექტიული მიმართულებაა წყალმცენარეების ბუნებრივი ეკოსისტემის გამოყენებით ჩამდინარე წყლების გაწმენდა. ეს მეთოდი საკმაოდ იაფია, არ არის რთული და გამოირჩევა გარკვეული ეფექტურობით (Robert L. Knight, 2004).

